

ფანა



№52 28/12/2017 ფასი 1.5 ლ

ექსკლუზივი

რას
სთხოვს
მსოფლიოს
უძლიერესი
მამაკაცი
თოვლის
ბაბუას

„მე და ჩემს
ძმას
საახალწლო
მაშხალაბი
ძალიან
გვიყვარს“

გვ. 27

მამა
გამბახიძის
უცნაური
შეთავაზება
და პირველი
წერილი
სანტას

ცნობილების
საახალწლო
ნათვრები

გვ. 12

რატომ „გარეცხეს“
ფოთელაბა „ტონი ორიგავა“

გიორგი სურმაკას
დაუვიწყარი ახალი წელი

გვ. 14



გილოცავთ დამდაგ
ახალ წელს!

გვ. 66


როგორი იქნება ჩვენთვის
> 2018 წელი, გოდიაქოს
ნიშნების მიხედვით



„ღვივების
აღმოგონება
– ზოტახეთი
იყრის
წელიწადი“

გვ. 21

კახა ჭუმბურიძის
> პირადი ცხოვრება



არასრულწლოვანი
მსჯავრდებულების
სეფდიაანი ამბები და
სადღესასწაულო
სამგაღისი

გვ. 15

„სასწაული მანდარინის,
> კარტოფილის, ძეხვის
მოპარვისთვის...“

ISSN 1987 - 5029



9 771987 502009



უილიამ თეკეჩი

სამსოგაულო ტომი III

შპს-ი
დანიელ ჯაფო
სამსოგაულო

ავერსი გილოცავთ

შობა-ახალ წელს

ბთავაზობთ

10 დეკემბრიდან 20 იანვრის ჩათვლით

30%-მდე ფასდაკლებას

ავერსის ექსკლუზიურ ბრენდებაზე

Maternea

ხეხილ

RISOLO

CHIKOVITA

Cameleo

Lo Bello
BABY FOOD

Oebest

MESAUDA
MILANO

PARIS
Evoluderm
Shower Gel

Georg
BioSystems

ავერსი  AVERSI

გისურვებთ ჯანმრთელობას და სულიერ სიმშვიდეს!
www.aversi.ge  2-900-800



**როგორ ხვდებით ნენ შობა-ახალ წელს
ძველ თბილისში**

„ყოველ წელიწადს ისეთი ნადვის ხე გვეკონდა, ჭერს რომ
სწვდებოდა. მეკვლეს თუ ცოტა შეაგვიანდებოდა, ჩვენი
სტუმრები გარეთ ელოდნენ. მათ შორის გოგლა ლეონიძეც...“

9



**„ადამიანებს ურჩევნიათ თვალი დახუჭონ და
სიცარიელეში იცხოვრონ“**

„შეუძლებელია ადამიანი მუდმივად აკეთოს ის, რაც
მხოლოდ თავად მოგონს. ვფიქრობ, ეს დიდი ეგოიზმია,
რადგან ყველა ადამიანი ინდივიდუალურია და ყველას
სხვადასხვა რაღაც ხდის ბედნიერს.“

30



**როგორ იხმნება „ერულიტი“?
ის, რაც სტაბილური მიღმა რჩება**

„10 წელია, ჩემთვის „გზის“ ყოველ ახალ ნომერზე
მუშაობა, „ერულიტის“ რესპონდენტის ძიებით იწყება. ეს
ყველაზე რთული საქმეა. მინიმუმ 5 ადამიანს მაინც უნდა
დავურეკო, ერთი თანხმობა რომ მივიღო...“

77



უილიამ თეკერი

სამტომეულში შედის:

- I ამაოების ბაზარი (ნიგნი I)
- II ამაოების ბაზარი (ნიგნი II)
- III ქეთრინი



საზოგადოებრივ-პოლიტიკური ჟურნალი „გზა“
ამოღის კვირაში ერთხელ, ხუთშაბათობით. გაზეთ „კვირის აალიტის“ დაგაბაა
ჟურნალი ხელმძღვანელობს თავისუფალი პრესის პრინციპებით.
რედაქციის აზრი შესაძლოა არ ემთხვეოდეს მასალის ავტორის აზრს.

მთავარი რედაქტორი **ლიკა ქაჯაია**
მთავარი რედაქტორის მოადგილე **მარი ჯაფარიძე**
მენეჯერი **თათია ფირცხელავა**

დიზაინი და კომპიუტერული
უზრუნველყოფა:
ირმა ლიპარტელიანი, რეზო თხილიშვილი



დაიბეჭდა
სტამბა
კოლონი

„პალიტრაშემდის“ ცხელი ხაზი: (+995 32) 219 60 13; (+995 32) 219 60 53
ელ.ფოსტა: contact@palitra.ge
მისამართი: თბილისი, იოსებძის ქ. 49; ელ.ფოსტა: gza@palitra.ge
სარეკლამო განყოფილება: (+995 32) 237 78 07



როგორ აგზიანებს „ინდოელი ბიზნესმენ-მამობილი“ ადგილობრივ ღარიბ ბოგონებს

ინდოელმა ბიზნესმენმა, მაჰემ სავანიმ, იმ საპატარძლოებზე, რომელთა ოჯახებსაც მათი გამზიანების საშუალება და შესაბამისად — გოგონებს გათხოვების შანსი არ ჰქონდათ, „მამის ფუნქცია იკისრა“. ბიზნესმენი მათ საჭირო თანხითა და ნივთებით ამარაგებს. ის ყოველწლიურად უზარმაზარ საქორწინო ცერემონიალებს მართავს, სადაც ასობით წყვილი ქორწინდება.

ასე მაგალითად, რამდენიმე დღის წინ, ინდოეთის ქალაქ სურათში, 250 წყვილი დაქორწინდა. საზეიმო ცერემონიას ტრადიციულად, სავანიმ უმასპინძლა, რომელიც ბრილიანტების ბიზნესით არის დაკავებული... ახალ-



დაქორწინებულებს შორის 5 მუსლიმანი და ერთი ქრისტიანი წყვილია.

ინდოელი „ბიზნესმენ-მამობილის“ თქმით, ქალების გამზიანება და „პატრონისთვის ჩაბარება“ ღმერთისგან დალოცვაა. ამ ცოტა უცნაურის სახის ქველმოქმედებას, ის სურათში 2012 წლიდან ეწევა. ყოველ ახალ წელს, ჭრელ, ეთნიკურ სამოსში ჩაცმული ასობით ქალი საკუთარ რჩეულზე სწორედ გულუხვი ბიზნესმენის დახმარებით ქორწინდება.

სავანი პატარძლებს საჩუქრად ოქროსა და საყოფაცხოვრებო ნივთებს, ასევე, ავეჯს ატანს, ერთი პატარძლის გამზიანება, დაახლოებით 7 400 დოლარი უჯდება. ბიზნესმენის თქმით, გაჭირვებული, განსაკუთრებით კი ობოლი გოგონების მიმართ „განსაკუთრებულ სოციალურ პასუხისმგებლობას გრძნობს“, რადგან ინდოეთში ქალის გამზიანება აუცილებელია. იმ ოჯახს, რომელსაც მზითვისა და ქორწილის თანხები არ აქვს, ქალიშვილის გათხოვება ძალიან უჭირს. წესით, პატარძლის ოჯახები სასიძოებს, დიდი რაოდენობით საჩუქრებსა და მნიშვნელოვან თანხას აძლევენ.

იერუსალიმის ლათინური ეკლესიის მმართველმა ქრისტიანებს წმინდა მიწაზე დარჩენისკენ მოუწოდა

იერუსალიმის ლათინური ეკლესიის სამოციქულო მმართველმა ქრისტიანებს მოუწოდა, დარჩნენ წმინდა მიწაზე და გააგრძელონ იქ ცხოვრება. პიერ ბატისტა პიცაბალამ, წმინდა ეკატერინეს შობის ტაძარში ღვთის მსახურებისას, ბეთლემში, მსოფლიოს ქვეყნების ლიდერებს მიმართა, „წარმართონ თამამი, რეალური და სერიოზული პოლიტიკა“.

სასულიერო პირმა თავის მიმართვაში ასევე აღნიშნა, მიუხედავად იმისა, რომ, ყოველდღიურ ცხოვრებაში დაუცველები არიან, ქრისტიანები წმინდა მიწაზე უნდა დარჩნენ. როგორც კვლევებიდან ირკვევა, ისინი წმინდა მიწას, პოლიტიკურ და ეკონომიკურ მიზეზებთან ერთად, უსაფრთხოების არარსებობის გამოც ტოვებენ. ქრისტეშობის წინა პერიოდში წმინდა მიწაზე ძალადობისა და დაძაბული ვითარების გამო, უამრავი ქრისტიანი საეკლესიო ცერემონიებს ვერ დაესწრო. წლებანდელი საშობაო რიტუალი მლოცველების განსაკუთრებული სიმცირით გამოირჩეოდა...

ვის „გუგლავდნენ“ ყველაზე ხშირად 2017 წელს

„გუგლმა“ იმ ადამიანების რეიტინგი გამოაქვეყნა, ვის შესახებაც ყველაზე ხშირად „გუგლავდნენ“ მომხმარებლები 2017 წელს.

მათ შორისაა მეტ ლაუერი, Today show-ს ყოფილი წამყვანი, ინგლისის პრინცის საცოლე მეგან მარკლი და კეითი გრიფინი.

ლაუერი სიის სათავეში ნოემბრის მოვლენების შემდეგ მოხვდა, რაც

Today-დან არასათანადო სექსუალური საქციელის გამო გაათავისუფლეს. სიაში მასთან ერთად არიან ის ცნობილი სახეებიც ჰოლივუდიდან, ვისაც წელს იგივე ბრალდებები წაუყენეს — პროდიუსერი ჰარვი ვაინსტინი, მსახიობი კევინ სპეისი და Fox-ის ყოფილი წამყვანი ბილ ო'რაილი.


მეორე მხრივ, ყურადღების ცენ-

ტრში მოექცა მსახიობი მეგან მარკლი მას შემდეგ, რაც ცნობილი გახდა მისი და ბრიტანეთის პრინცის, ჰარის ნიშნობის შესახებ.

სიაში მოხვდნენ პრეზიდენტ დონალდ ტრამპის ადმინისტრაციის ყოფილი წევრებიც: ეროვნული უსაფრთხოების საკითხებში ყოფილი მრჩეველი, მაიკლ ფლინი და პირველი ლედი, მელანია ტრამპი. ასევე, მსახიობი გალ გადო, რომელმაც Wonder Woman-ის როლი ითამაშა ბოლო ადგილზე გავიდა.

სრული სია ასე გამოიყურება:

1. მეტ ლაუერი
2. მეგან მარკლი
3. ჰარვი ვაინსტინი
4. მაიკლ ფლინი
5. კევინ სპეისი
6. ბილ ო'რაილი
7. მელანია ტრამპი
8. კეითი გრიფინი
9. მილო იანოპულოსი
10. გალ გადო.





მანტიაშემოსხელი

შესავლის მარტივ იმდენი თემა და-გროვდა, უკვე არჩევანის გაკეთება მიჭირს, ვის „გავუხარო“ გული, წლის ფინალური პროვოკაციით? „ნაციონალურ მოძრაობას“ მძიმე დღეები უდგას და რაღა კბილის გაკვრა უნდათ, ისედაც მიწასთან გასწორებულ მიმისტურ და ნეომიშისტურ ძალებს? ლეიბორისტების უმამამთავრესმა (და არა მარტო უმთავრესმა) ნათელაშვილმა, 2018 წლის საპრეზიდენტო არჩევნებში მონაწილეობის სურვილი მოგვახარა, მაგრამ არც ეგ გახლავთ „საჩემო“ თემა, უფრო კომედიურ-კლოუნისტურ ჟანრში „ჭიდაობს“ ბატონი შალვა და არა — საპროვოკაციოში! თანაც, ყოფილმა თანაგუნდელმა ისეთი რამ დაწერა, გაცივდება ვერ შეეძლება: თმას რომ იღებავს და ფულს აპროცენტებს, რა პრეზიდენტობა უნდა, მათ ათასჯერ გაყიდულსო?! ვერც „პატრიოტთა ალიანსს“ ვუპოვე საპროვოკაციო წერტილები, რადგან თვითადა მარშანიაა (თარხან მოურავი, ინაშვილი და კვიციანი არ გეგონოთ, არ შეცდეთ!) მთავარი ზღუდე და ცინე-კოში ამ პოლიტიკური ძალისა და მინდა ახლა მე, წინასაახალწლოდ ადაზე წერა?! ბუნებრივია, არ მინდა!

ვილის ლექსიკა მოისმინა ბავშვმა და დაზაფრულიაო. „პირველი არხისა“ და „იმედის“ მედიაპოლიტიკაც ამას ითვალისწინებდა ალბათ, რომ არ გაისმა ტელეეთერში პრემიერის გინება... ჰოდა, დააბრალეთ „რუსთავი 2“-ს ბავშვების დაზაფვრა, სწორედ ეს „მიშავიზია“ ტირაჟირება კვირიკაშვილის „ტყ“-ძირიანი ზმნების კორიანტელს! ერთმა ჭკვიანმა კი თქვა, მუდმივად კუდაბეკილ თხებს გაუკვირდათ ცხვრის გადახტომისას გამოჩენილი კლოაკის დაბოლოებაო, მაგრამ ეს ცალკე დიდაქტიკური პროზაა და არ გეჭირდება პროვოკაციაში ამაზე დეტალურად საუბარი!

სამინისტროების საქმიანობასა და ეფექტიანობაზეც მინდოდა დამენერა, მაგრამ სულ ჯეჯელავას ვაშლები და ხეჩიკაშვილის კომპანიები მიტრიალებდა გონებაში, ამიტომ ისევ ყველაზე პოპულარულ კახიშვილზე ვიტყვი ორ სიტყვას! წარმოგიდგენიათ, რა მძიმე მდგომარეობა გვაქვს, როცა „ცინებების კაცია“ ყველაზე ეფექტიანი მინისტრი? ამიტომაც, დროულად დავინწყოთ კახიშვილის კლონირებაზე ოცნება, თორემ ნაქებ გახარიას მისივე ხელქვეითების ნამოქმედარი არ ახარებს უკვე და მის მომავალზე ვერ გეტყვით ვერაფერს!

სამაგიეროდ, „ქოცები“ დამრჩნენ მსუყე ლუკმად. ლარის კურსიც ციმციმებს მოსახლეობის ნერვებისა და ფინანსური მდგომარეობის მოსაშლელად, ამასთანავე, დენის სამომხმარებლო ტარიფიც იზრდება. უბრალოდ, ჯერ კიდევ ხერხდება „ქოცებისკენ“ მიმართული სიბრაზის გადამისამართება „ნაციონალები-სადმი“. „აბა, ნაციონალები ჯობდნენ?“ ლოგიკით კიდევ ერთხელ გვახსენებენ 41-იანელები, რას გადავურჩით 2012 წლის 1-ლ ოქტომბერს!

გემახსოვრებათ, მელიას შეკითხვებით გალიზიანებულმა დინჯმა კვირიკაშვილმა აკადემიურობის მანტია რომ შემოიხია და ისეთი ლექსიკა დაატრიალა პარლამენტში, სახტად დატოვა ამდენი რამის გადამტან-გამგონე ქართველი ხალხი. ყველაზე კარგი ვარიანტი იქნებოდა, გინების პარალელურად, ერთი კარგი მუსიკ მოეცხო თავიდან თმის ბენეფიციუმადღებელი მელიასთვისო, ლაღადებდნენ „მწარე ქოცები“. აი, „ნაციონალები“ კი ფიქრობდნენ, მივალნიეთ მიზანს, კვირიკაშვილის გინებამ მეორე სიცოცხლე მოგვანიჭაო, მაგრამ ისევ ცოცხალ-მკვდრებად დარჩნენ და მაგის მეტი სადარდებელი არაფერი მოგვეცეთ, წინასაახალწლოდ, მკითხველებო!

„რუსთავი 2“-ის კვესიტაძეს უბრძანებია, კვირიკაშ-



P.S. წინასაახალწლო პერიოდში, როგორც ყური მოკვარი, პრემიერ კვირიკაშვილის ადმინისტრაცია მელიასგან ოფიციალურად მიიღებს „ნაციონალური მოძრაობის“ პარტიულ სიასა და საოჯახო ალბომს, გასაგები მიზეზით: პრემიერს არ უნდა გამოჩრქეს კეთილების მოხსენებისას, რომელიმე...

პროვოკატორი



„იყო ბანდიტზე უკეთესი, არ ნიშნავს, რომ ხარ უნაკლო“

2017 წლის მთავარი ეკონომიკური საკითხების მიმოხილვა ანალიტიკოს დემურ გიორხელიძეს ვთხოვეთ, ქვეყნის ერთ-ერთი პრიორიტეტული მიმართულების — ტურიზმის განვითარებასა და წლის მიღწევებზე კი ინფორმაციებს ტურიზმის ექსპერტი ლალი მიქაბაძე გვიზიარებს.

თავთა დადებული

დემურ გიორხელიძე:

— გამოვეყოფდი ანაკლიის პორტის მშენებლობის დაწყებას, ჩინეთთან თავისუფალი ვაჭრობის შესახებ ხელშეკრულების დადებას. თავისთავად, თუ ასეთ მოცულობით ბაზარზე შესასვლელად მზად ხარ, ძალიან კარგია. ანაკლიის პორტი მნიშვნელოვანია, საინტერესო საქმეში ვებმებით, ეს ერთ-ერთი ალტერნატიული გზაა, რომელიც აღმოსავლეთ-დასავლეთის ტვირთბრუნვისთვის ძალზე მოსახერხებელი იქნება. მოკლედ, ბევრი კარგი რამ ხდება წმინდა საგარეო ფაქტორების კონტექსტში, მაგრამ პირველ რიგში უნდა იყოს მიმართული ქვეყნის შიგნით, მის ყველაზე დიდ ადამიანურ რესურსზე. ჩვენ უბრალოდ იმის გაგება გვჭირდება, რომ საქართველოს განვითარების „საიდუმლო“ დღეს ჩვენი მოქალაქეების ნიჭისა და უნარების განვითარებაშია. ვერავითარი ანაკლიის პორტი ან ევროკავშირსა თუ ნატოში გაწევრება ვერ განავითარებს ქვეყანას, თუ განათლება და მეცნიერება არ არის თანამედროვე, ინოვაციური. კარგად ვერ გავიზარეთ, რომ ესაა მთავარი საკითხი და ამან შესაძლოა, ორიენტირი დაგვაკარგინოს. გვგონია, რომ რალაც ხდება და ხდება კიდევ, მაგრამ ეს ის არ არის, რაც საქართველოს განვითარებას სჭირდება.

— მეზობელ სახელმწიფოებში ეკონომიკაში რა ცვლილებებია ისეთი, რამაც შეიძლება ჩვენს ქვეყანაზეც იქონიოს გავლენა?

— ის, რომ საქართველო სამხრეთ-კავკასიური სახელმწიფოა, ქართულ პოლიტიკურ ცნობიერებაში თითქოს საერთოდ დაფიქსირებულია, ვარსკვლავებში დაფორინავთ. რეგიონული პოლიტიკა არ არსებობს, ამის გამო, ფაქტობრივად, ბრმად მივებით თურქეთს, ახლა ნაწილობრივ ჩინეთს მივებმებით და რა, მერე? რაიმე სერიოზული რეგიონული კრიზისი რომ მოხდეს, საქართველოს ძალიან დიდი პრობლემების გადალახვა მოუწევს, რადგან კრიზისულ ვითარებაში არ არსებობს ის მარაგები, რომლებიც ქვეყანას შიმშილისგან იხსნის, თუნდაც, რამდენიმე თვით.



ყველაფერი ისევ და ისევ მთავრობის პოლიტიკაზეა დამოკიდებული

რებაში არ არსებობს ის მარაგები, რომლებიც ქვეყანას შიმშილისგან იხსნის, თუნდაც, რამდენიმე თვით.

— ეკონომიკური ზრდის მაჩვენებელი გასულ წლებს რომ შევადაროთ, როგორი მდგომარეობაა 2017-ში?

— წელს ეკონომიკის ზრდა ნამდვილად არის, მაგრამ ზრდის მაჩვენებელი ვერავითარ შემთხვევაში ვერ იქნება დამაკმაყოფილებელი, რადგან ეკონომიკის მასშტაბი მიზერულია და ამ დროს 4-5%-იანი ზრდა, უპერსპექტივო საქმეა. ასეთი ზრდა შესანიშნავია გერმანული, ამერიკული, იაპონური ეკონომიკისთვის, მაგრამ ჩვენთვის — არა. თუმცა, ზრდა, ცხადია, სჯობს გაჩერებას. თუმცა, ამით სიღარიბე ვერ დაიძლევა.

— რას ელის 2018 წლის დასაწყისში?

— ძალიან კარგად ვიცი ის რესურსი, რაც საქართველოშია და მერწმუნეთ, ყველანაირი რესურსია იმისათვის, რომ მძლავრი ზრდა მივიღოთ. ეს კი პოლიტიკურ პასუხისმგებლობასა და პროფესიონალიზმზეა დამოკიდებული. მონდომების შემთხვევაში, სერიოზულ შედეგებს მივიღებთ. ეს ხელისუფლება, რა თქმა უნდა, ათი თავით მაღლა დგას წინამორბედ ბანდიტ ხელისუფლებაზე. თუმცა, იყო ბანდიტზე უკეთესი, არ ნიშნავს, რომ ხარ უნაკლო.

— ლარის კურსის მკვეთრი ცვლილებები წელსაც ვერ ავიცილეთ თავიდან...

— ეს ასე იქნება პერიოდულად. არც ერთი ფუნდამენტალური საკითხი, რომელიც ლარის კურსის პრობლემას უკავშირდება, არ არის გადანყვეტილი. ეროვნული ბანკი და მთავრობა არაფერს ცვლიან. მთავრობას ყველაფერი ძალიან სწორად აქვს ფორმულირებული. დიახ, ორი წლის წინ, როდესაც მიიღებოდა განვითარების პროგრამა „საქართველო 2020“-ს, ყველაფერი სწორად დაინერა. როგორ გაკეთდება ეს, ჯერჯერობით ვერ ვხედავ... ყველაფერი ისევ და ისევ მთავრობის პოლიტიკაზეა დამოკიდებული. სერიოზული რეფორმებია გასატარებელი. კიდევ საჭიროა, დაახლოებით ოთხი სამინისტროს შეკვეცა. სხვა ინსტიტუციონალური ცვლილებები და მთავრობა გააკეთებდა უდიდეს საქმეს, თუ ბოლოს და ბოლოს, მკვეთრად გამოაცხადებდა თამაშის იმ წესებს, რომლებიც ყველასთვის ერთნაირი იქნება — დიდი ბიზნესისთვის, პრივილეგირებულისთვის თუ სხვა. მოკლედ, ჩვენ ან გადავდივართ იმ საბაზრო ეკონომიკაზე, რაც ავითარებს ქვეყნებს, ან გვექნება დეკლარაციები დასავლურ ორიენტაციაზე, ნატოსა და ევროკავშირში გაწევრებაზე და ეკონომიკა ნახევრად საბჭოური გვექნება. ეს ბოლშევიკური პროპაგანდა



უნდა დასრულდეს. დიას, ჩვენ დასავლური ორიენტაციის ქვეყანა ვართ და ამის ალტერნატივა არ არსებობს, მაგრამ ევროპა თუ გვინდა, ისეთივე სახელმწიფო მოვანყოთ, როგორც დასავლეთშია.

ლალი მიქელაძე:

— ის, რომ ტურიზმი უკვე აღარ არის არა მარტო პრიორიტეტული, არამედ სტრატეგიული მიმართულება, ამას ქვეყნის მთავარი პირი — პრემიერ-მინისტრიც აცხადებს. გახსოვთ, რომ 2016 წლის კლიპში — „მეექვსე მემილიონე“, იგი თავადაც მონაწილეობდა და მაშინ, საერთო ჯამში, საქართველოში 6 360 503 ვიზიტორი დაფიქსირდა (უშუალოდ ტურისტული მიზნით — 2,5 მლნ.), რაც თითქმის 8%-იანი ნამატი იყო 2015 წელთან შედარებით.

ტურიზმიდან ქვეყნის ეკონომიკაში 2 მილიარდი ლარი შევიდა. ტურიზმის ეროვნული ადმინისტრაციის კვლევებისა და სტატისტიკის სამმართველო — გიორგი ბრეგაძის ხელმძღვანელობით, ნამდვილად დიდ საქმეს აკეთებს, რადგან ახლა უკვე დინამიკაში აჩვენებენ, თუ რა მდგომარეობა გვაქვს ტურიზმში, თვიდან თვემდე, რაც დიდი ფუფუნებაა. რაც შეეხება 2017 წლის ტენდენციებს, იანვარ-ნოემბრის მონაცემებით, 18%-იანი ზრდა გვაქვს. ტურისტების რიცხვი, რომლებმაც საქართველოში 24 საათზე მეტი დაჰყვეს, წელს 3 250 000-მდეა, რაც 27%-იანი ნამატი გამოდის.

— რომელი ქვეყნიდან ფიქსირდება ყველაზე მეტი ვიზიტორი?

— მოსაზღვრე ქვეყნებიდან: აზერბაიჯანი, რუსეთი, სომხეთი, თურქეთი და ირანი. ეს ჩვეულებრივი ამბავია საქართველოსთვის. რაც შეეხება ევროკავშირის ქვეყნებს, გაიზარდა გაერთიანებული სამეფოდან ჩამოსულ ვიზიტორთა რიცხვი — 40%-იანი ნამატი. ასევე, აქტიურად ჩამოდიან ავსტრიიდან, ნიდერლანდებიდან, ესპანეთიდან, გერმანიიდან, საფრანგეთიდან და ა.შ. ჩვენ გვაქვს „სტრატეგია 2025“, სადაც უმთავრესი მიზანი სწორედ ამ ქვეყნებიდან ტურისტული ნაკადის გაძლიერებაა.

— რა განაპირობებს ამას?

— ტურიზმის ეროვნული ადმინისტრაციის სწორი მარკეტინგული ღონისძიებები. წარმოუდგენლად აქტიური მუშაობა მიდის განათლების მიმართულებით, შესანიშნავი, თანამედროვეობის ამსახვე-

ლი სახელმძღვანელოც გამოიცა სტუდენტებისთვის. გარდა ამისა, საერთაშორისო საიმიჯო რგოლები CNN-ზე, EURONEWS-ზე გადის და შედეგებზეა გათვლილი, რაც ქვეყანაში ტურისტული ნაკადების მომძლავრებაში აისახება.

სექტორის დაზარალებაც ხდება... სამწუხარო მაგალითებიც გვაქვს, როცა ოჯახის მასპინძლები არცთუ კარგად ეპყრობიან ვიზიტორებს, ალკოჰოლური თრობის შემდეგ...

— სასტუმროების მხრივ როგორი მდგომარეობა გვაქვს?



ძალიან მნიშვნელოვანია საქმიანი ტურიზმი

— რა ღონისძიებები გატარდა ტურისტული ინფრასტრუქტურის მოსაწესრიგებლად?

— მცირე ინფრასტრუქტურული მონაცობა ქვეყნის მასშტაბით კვლავ პრობლემად რჩება. ელემენტარულია, რომ უნდა არსებობდეს დასასვენებელი ადგილები, კვების ობიექტებითა და მონესრიგებული საპირფარეშოებით. ეს ძველ თბილისშიც როგორი მწვავე პრობლემაა, იცით. ის, რაც კოტე აფხაზის (ყოფილი ლესელიძის) ქუჩაზე ხდება, სრულიად მიუღებელია! თანაც, გაურკვეველი წარმომავლობის ადამიანები, რომელთაც საკუთარი ავტომობილები ტურისტული ფუნქციის მატარებელ პუნქტად აქციეს, დგანან და ქუჩაში გამვლელ-გამომვლელ ტურისტს სწორედ იმას სთავაზობენ, თანაც ძალიან არაეთიკურად, რასაც ტურისტული კომპანიები გაცილებით მაღალ დონეზე აკეთებენ. ბევრი რისკ-ფაქტორია — დაუცველობა, საფრთხე, დილეტანტური წარმოდგენა და ა.შ. მათ ჩვენი ქვეყანა შესაძლოა არასწორი კუთხით წარმოაჩინონ. ერთს ვკითხვთ, ტურისტი ცუდად რომ გაგისდეთ, რას იზამთ თქო? და იცით, რა გვიპასუხა? რომ მოკვდეს, იქნომ არ დავაგდებ, უნდა წამოვიღო... აი, ეს, აღსაკვეთია! ასე ქვეყნის იმიჯისა და ბიზნეს-

— ტურიზმის სექტორში ყველაზე მნიშვნელოვანი განთავსების ობიექტებია, რა მიმართულებითაც ცუდი მდგომარეობა არ გვაქვს. სასტუმრო ყოველთვის ძირითადი ნავსაყუდელია ტურისტისთვის და მისი მომსახურება, ხარისხი, სერვისი, ყველაფერზე მოქმედებს. საქართველოში დღეს ოფიციალურად ფიქსირებული 1765 განთავსების ობიექტია, 57 049 ადგილით. თუმცა, რეგიონებში სასტუმრო სახლები და გესტჰაუსებია, რომელთაც არანაირი აღრიცხვა არა აქვთ. რაც შეეხება მსოფლიოში ცნობილ, მაღალი კლასის სასტუმროებს, კარგია, რომ ჩვენთან არაერთი ცნობილი ბრენდია წარმოდგენილი. ძალიან მნიშვნელოვანია საქმიანი ტურიზმი, რომლის სტრატეგიაზე მუშაობაც უკვე სრულდება. ამ მიმართულების განვითარება მაღალშემოსავლიან ტურისტებს იზიდავს.

გიდების მომზადება და სერტიფიცირებაც წინა პლანზეა წამოწეული, მსოფლიო ფედერაციის აკრედიტაციას გაივლიან. აღსანიშნავია, რომ წილის ყრით, 2019 წელს საქართველოში მსოფლიო ფედერაციის ეგიდით დიდი კონფერენცია ჩატარდება. საქართველოს მიმართ ინტერესი დღითი დღე ძლიერდება და ეს საამაყოა.



საქმის გარჩევა პარლამენტში და გინებით დაცული ღირსება

კვირის მნიშვნელოვან მოვლენებს შორის საზოგადოების ყურადღება ყველაზე მეტად პრემიერის, გიორგი კვირიკაშვილის გინებამ მიიქცია. შეგახსენებთ, რომ დაპირისპირება ფრაქცია „ნაციონალური მოძრაობის“ სხდომაზე მოხდა, სადაც გიორგი კვირიკაშვილსა და მინისტრობის კანდიდატებს უსმენდნენ. მას შემდეგ, რაც პრემიერ-მინისტრმა ოპოზიციონერები სიცრუეში დააბნაშაულა, „ნაციონალმა“ ნიკა მელიამ კვირიკაშვილს უუნარო და „ვითომ პრემიერი“ უწოდა. საპასუხოდ, კვირიკაშვილმა მელიას უცენზურო სიტყვებით მიმართა, რის გამოც მოგვიანებით ბოდიშიც მოიხადა.

ხათუნა ბახტურიძე

„მანამდე, ვიდრე ჩვენ ვიქნებით დეპუტატები თუ მთავრობის წევრები, თუნდაც პრემიერ-მინისტრი, ჩვენ ყველანი ვართ ადამიანები და ჩვენი ღირსება გავგაჩნია. საზოგადოებას მინდა ბოდიში მოვუხადო ჩემი ზედმეტი ემოციებისთვის, მაგრამ სამწუხაროდ „ნაციონალური მოძრაობის“ წარმომადგენელმა მდგომარეობიდან გამომიყვანა და ეს არ იყო კარგი საყურებელი. რა თანამდებობაზეც არ უნდა ვიყო ჩვენ, ჯერ ჩვენი ღირსების დაცვა გვავალია და მერე ყველაფერი დანარჩენი“, — განაცხადა გიორგი კვირიკაშვილმა.

მომხდარ ფაქტს საზოგადოება არაერთგვაროვნად გამოეხმაურა.

ბანანა მემუარიშვილი, ექიმი:

— თავი სიზმარში მეგონა, ქვეყნის პრემიერი საპარლამენტო სხდომაზე ძველი ბიჭვით იქაჩებოდა. რა თქმა უნდა, არ ვამართლებ ნიკა მელიას. მან პრემიერს სიტყვა რამდენჯერმე შეანყვეტინა. ამკარად ნერვებზე თამაშობდა, კითხვებს სვამდა და პასუხებს არ უსმენდა. თუმცა პრე-

მიერის ქმედებას ეს არ ამართლებს. საკანონმდებლო ორგანოში ქვეყნის პირველი პირები ასე არ უნდა იგინებოდნენ.

ბაღატიანიშვილი, პედაგოგი:

— გუშინ სკოლაში მოწაფეები უცენზურო სიტყვებისთვის დავტუქსე და ერთ-ერთმა მათგანმა იცით, რა მითხრა? პრემიერი პარლამენტში იგინება და დიდი ამბავი, მე თუ ქუჩაში რამე უწმინდურს ვიტყვი. აი, ასეთი მაგალითი მისცა კვირიკაშვილმა ახალგაზრდებს. გაცნობილი ვარ, ის ყოველთვის დახვეწილობით, ელეგანტურობითა და კორექტულობით გამოირჩეოდა. რა ბზიკა უკბინა, ვერ გავიგე. მელიასგან ასეთ პროვოკაციულ გამოსვლას ველოდი, ეს არ იყო უცხო, პრემიერმა კი ნამდვილად შოკში ჩამავლო.

— პრემიერმა ბოდიშიც მოიხადა. ამის შესახებ რას ფიქრობთ?

— ბოდიშის მოხდა აღარაფერს შველის. მოსახდენი მოხდა, ამხელა ჩინოვნიკმა კაცმა საჯაროდ იგინა და საქმეები არჩია. თანაც, ჩემი აზრით, მან ბოდიში კი არ მოიხადა, თავი იმართლა, რა ვქნა, მელიამ მდგომარეობიდან გამომიყვანა, შეურაცხყოფა მომაყენა და ღირსება ხომ უნდა დამიცვაო?! გინება რას მიქვიან? თუ გახსოვთ, პეტრე მამრაძეს, პარლამენტში სიტყვით გამოსვლისას, აკაკი ბობოხიძემ პირდაპირ თავში ჩასცხო, მაგრამ კაცს სახეზე ნირი არ შეუცვლია, ის კი არა, სიტყვით გამოსვლა გააგრძელა. აი, ეგ იყო სამაგალითო ქცევა.

თიქაძე, მენარმე:

— აბა, რა გითხრათ, ახლა დაწყებული და დამშვიდებული ვარ და ვფიქრობ, რომ მსგავს სიტუაციებს თავი ღირსეულად უნდა გაართვა და საჯაროდ გინება არ ატეხო, თუმცა არ ვიცი, ნერვებმოშლილი რას ვიზამდი. შესაძლოა, მე უარესიც გამეკეთებინა. მელიამ, შეიძლება ითქვას, რომ კვირიკაშვილის ნერვებზე იხტუნავა.

იკა სიხინაშვილი, ჟურნალისტი:

— ადამიანური თვალსაზრისით, ბუნებრივია, ძნელია, მართო ემოცია. პრემიერიც ადამიანია და მესმის მისი. თუმცა, როდესაც ხედავ ამკარა პროვოკაციულ ფონს, ამ დროს ალბათ უმჯობესია, უფრო მალა დადგე და შეურაცხყოფას შეურაცხყოფით არ უპასუხო, მიუხედავად იმისა, რომ შესაძლოა, მეორე მხარე კიდევაც იმსახურებდეს ამას. გიორგი კვირიკაშვილი მალევე მიხვდა, რომ შეცდომა დაუშვა და ბოდიში მოიხადა. ეს მის ღირსებაზე მიუთითებს. თუმცა, პრემიერის მხრიდან გინებაზე მეტად, არ მომეწონა ბოდიშის ის ნაწილი, სადაც ის თავს იმართლებდა: — რამექნა, ღირსებას ვიცავდი და ჩემთვის ეს უპირველესიაო. სამოქალაქო საზოგადოება იმ აზრამდე ჩამოვყალიბდით, რომ გინება და უცენზურო სიტყვები ადამიანური ღირსების დამცველი ვერ იქნება და ეს ქუჩაშიც აღარ უნდა მოგვწონდეს, არათუ პარლამენტში. მაშინ რას ეუბნება პრემიერი იმ ახალგაზრდებს, რომელსაც ქუჩაში არასწორად მოექცევიან, თანატოლს გინებით უპასუხონ და ასე დაიცვან პიროვნული ღირსებები?! თუმცა აქვე ისიც მინდა აღვნიშნო, რომ პრემიერის იმიჯი ამან დიდად არ დააზარალა, „ნაციონალების“ მოწინააღმდეგენი პოზიტიურად შეხვდნენ ამ ფაქტს. მაინც მგონია, რომ ამ ინციდენტისას ორივე მხარე უსიამოვნოდ და არასახარბიელოდ გამოიყურებოდა, რადგან ჩვენ ვუყურებდით ადამიანებს, რომლებიც წყვეტენ ჩვენი ცხოვრების ბედს და ისინი არ მსჯელობდნენ პრობლემებზე, ისინი „საქმეს ურჩევდნენ“ ერთმანეთს პარლამენტში. ისე, ხუმრობით ვთქვი შემდეგ, შეიყვანოს იუნესკომ ქართული გინება არამატერიალურ კულტურულ ძეგლთა ნუსხაში-მეთქი. ხუმრობა ხუმრობად და ვფიქრობ, რომ ქართული პოლიტიკური ისტე-ბლიშმენტი უნდა გაიზარდოს და ეს გაკვეთილი უნდა გახდეს! უმჯობესია, პრემიერს ვაფასებდეთ მისი გაკვეთილი საქმეებით!

პაატა შარაშინიძე, სპორტსმენი:

— არ მესმის, რა უკვირს ხალხს, სხვა ქვეყნებში უარესებიც ხდება. თურმე ინგლისის პარლამენტში ხმამაღალი კამათი და ჩხუბი ჩვეულებრივი ნორმა ყოფილა. ყველაზე



ბოდიშის მოხდა აღარაფერს შველის



როგორ ხვდებოდნენ შობა-ახალ წელს ძველ თბილისში

ცნობილი კომპოზიტორის მოგონებები

მონესრიგებული, წყნარი და ზრდილობიანი პარლამენტარები კორეაში ყოფილან. რეაქციას არაფერზე გამოხატავენ, ზომბებივით არიან. ისე, რომ იცოდეთ, ყველაზე საშიში, გულგრილი და უემოციო ადამიანია. არა, რად გვინდა ასეთი პოლიტიკოსები, ურეაქციოები და უსულგულოები? ვენაცვალე კვირიკაშვილს, ჯიგარში მომხვდა მაგის გინება, ქართულად, მამაპაპურად ამოუტრიალა მელიას...

მარიკა ბერიკაშვილი, ფარმაცევტი:

— ყველა ამბობს, რომ პრემიერს თმენის ვალდებულება უნდა ჰქონდეს და პროვოკაციულ გამოხედომებზე თავის შეკავება შეეძლოსო. ამ მოსაზრებას მეც ვეთანხმები, მაგრამ ყველაფერს აქვს საზღვარი. ნიკა მელიამ კვირიკაშვილს ისეთი რალაცები აკადრა, რისი მოთმენაც შეუძლებელი იყო. ისეთი შთაბეჭდილება დამრჩა, რომ მიზანმიმართულად ულახავდა თავმოყვარეობას. ეს კიდევ არაფერი, კორუფციიაში, უუნარობაში, ათასგვარ სიავეში ადანაშაულებდა და თავის მართლების საშუალებასაც არ აძლევდა. კვირიკაშვილი რომ არ გაბრაზებულიყო, ვიფიქრებდი, რომ ეს კაცი ან მართლა დამნაშავეა, ან გიჟი-მეთქი.

მერაბ მარსიაშვილი, მძღოლი:

— სამი ბიჭის მყავს და ძალიან შემფოთებული ვარ, ქვეყანაში არსებული მდგომარეობით. ძალიან აგრესიული გახდა ხალხი. შინ რომ მივდივარ, ერთი სული მაქვს, ბიჭები დავინახო, დავრწმუნდე, რომ ცოცხლები და ჯანმრთელები არიან. ამ აგრესიას ხომ აქვს თავისი მიზეზი? საკანონმდებლო ორგანოს წარმომადგენლები თუ არ დაზოგავენ ერთმანეთს, ქუჩაში ახალგაზრდები რაღას იზამენ? სულ არ მაინტერესებს, მელიაა მტყუანი თუ კვირიკაშვილი, ჩვენთვის მაინც არაფერი იცვლება. ერთიც კორუმპირებულია და მეორეც, ჩემთვის და ჩემნიარებისთვის არც „ნაციონალებს“ გაუკეთებიათ რამე, არც „ოცნება“ აკეთებს. ერთმანეთში წილების გადანაწილებით არიან დაკავებულინი. იმის თქმა მინდა, რომ თავიანთ გაფუჭებულ საქმეებზე კამერების გარეშე იდაონ, იჩხუბონ და თუ უნდათ, დახოცონ კიდევ ერთმანეთი. ჩვენს ახალგაზრდებს ასე საჯაროდ ცუდ მაგალითს ნუ აძლევენ. ■

თბილისის ცენტრში, მაჩაბლის ქუჩაზე მდებარეობს სახლი, სადაც კომპოზიტორი მარიკა კვალაშვილი ცხოვრობს. მისი თქმით, ამ სახლის კედლებს ბევრი ლამაზი, ნათელი მოგონება ახსოვს, თუმცა შობა-ახალი წლის დღეებს თარხნიშვილების ოჯახში სულ სხვა ხიბლი და სილამაზე ჰქონდა. დღესასწაულის სულისჩამდგმელი მისი ბებია — ცნობილი მომღერალი — მარო თარხნიშვილი გახლდათ. ქალბატონი მარიკა დიდი სიყვარულით იხსენებს, როგორ ხვდებოდნენ ამ დღესასწაულს გასული საუკუნის 40-50-იანი წლების თბილისში:

ხატუნა ჩიბოძიძე

— ახალ წელს ყველა ადამიანი სიხარულით ეგებება, მას ახალი იმედი და სიხარული მოაქვს. ამ დღეებში ყველი და პურიც რომ ჰქონდეს ადამიანს, მაინც სხვა გემო აქვს. ჩვენს ოჯახში სულ ყრიაშული იყო, რაც შობა-ახალი წლის დღეებში ორმაგდებოდა. 14 სული ერთად ვცხოვრობდით: შვილები, სიძეები, შვილიშვილები — ხუთი ბავშვი ერთად იზრდებოდა, მაგრამ ზედმეტი ხმა და კამათი ჩვენგან არასოდეს გასულა. ბებიას მეუღლე — დიმიტრი თარხან-მოურავი 1925 წელს დახვრიტეს, მაგრამ მან მაინც შეძლო ფეხზე წამოდგომა და ოჯახის გაძლოლა. მარო თარხნიშვილი მარტო საქართველოში კი არა, მთელსაბჭოთა კავშირში სახელმძოვფიქლი მომღერალი იყო. მას ჰქონდა უნარი, რომ ერთდროულად თბილიც ყოფილიყო და მკაცრიც. ის ყველა ჩვენგანის ცხოვრებაში იღებდა მონაწილეობას და ოჯახის მთავარი საყრდენი იყო.

— და მაინც, როგორ ხვდებოდა ახალ წელს მარო თარხნიშვილის ოჯახში?

— ამ სახლში დაუფინყარი საახალწლო დღეები მაქვს გატარებული. შობა-ახალი წლის დღეებს ბავშვები გულისფანცქალით ველოდით და სიხარულით აღვნიშნავდით. ყოველ წელიწადს ისეთი ნაძვის ხე გვქონდა, ჭერს რომ სწვდებოდა. მეკვლეს თუ ცოტა შეაგვიანდებოდა, ჩვენი სტუმრები გარეთ ელოდნენ. მათ შორის გოგლა ლეონიძეც, რომელიც აქვე, მაჩაბლის ქუჩაზე ცხოვრობდა და ჩვენი მუდმივი თამადა იყო. ამ ოჯახში არაჩვეულებრივი სტუმრები იყრიდნენ თავს. მახსოვს შალვა დადიანი და ელისაბედ ჩერქეზიშვილი — თავისი ჩიხტიკოპით. აქ იკრიბებოდნენ ცნობილი ხელო-



მახსოვს შალვა დადიანი და ელისაბედ ჩერქეზიშვილი

ვანები და საახალწლო სუფრასთან სიტყვისა და სიმღერის ნამდვილი ზეიმი იმართებოდა. არც ცნობილი მომღერლები აკლდებოდნენ ამ დღესასწაულს, საქართველოს მშვენებად რომ ითვლებოდნენ.

— მეკვლეობის ტრადიციას ყოველ წელიწადს იცავდით?

— რასაკვირველია. ოჯახის პირველი მეკვლე ბებია იყო, რომელ-

გახლომა 5-დან 18 კმ-მდე თვაში
გასუქება 3-დან 5-6 კმ-მდე თვაში

მარტივად და უსაფრთხოდ, დიეტების ვარჯიშებისა და აკრძალვების გარეშე. რეგულირდება მალა, ქრება უსიამოვნო სუნი პირიდან, წესრიგდება ნივთიერებათა ცვლა და კუჭ-ნაწლავი. ორგანიზმი იწმინდება შლაკებისგან, სისხლძარღვები-ქოლესტერინისაგან. ძლიერდება იმუნიტეტი, კანი ხდება ახალგაზრდა, ელასტიკური. დადებით სასურველ წონაზე და სტაბილურად შეინარჩუნებთ მას.

ასევე სიმკვლეები ზრდა სწრაფად და ეფექტურად. კურსით 3-5სმ მომატებით 25 წლამდე. ეფექტურია გენეტიკური სიდაბლის დროსაც. მკურნალობა მცენარეული ძვლის მკვებავი მინერალებისა და ვიტამინების ნაკრებით+ვარჯიშებით. პროგრამა-დანიშნულება ინდივიდუალურია, განმეორება შეეძლიათ სასურველ შედეგამდე. უკუჩვენება 0-ია.

შედეგები 100%-იანი.

ტელ: 577 29-37-41, 247-58-83
ქ-ში მარიამი



მარიკა კვალაშვილი ბებიასთან, მარო თარხნიშვილთან ერთად

იც განთიადისას გარეთ გადიოდა და უკან დაბრუნებული რიხიანად იტყოდა ხოლმე: „შემოვდგი ფეხი, გწყალობდეთ ღმერთი, ფეხი ჩემი — კვალი ანგელოზისაო“. ჩვენს სიხარულს საზღვარი არ ჰქონდა. ახლაც თვალწინ მიდგას უშველებელი, ბრჭყვიალა ნაძვის ხე, ბების შემოსვლისას რომ ინთებოდა და აქაურობას სულ სხვა ხიბლს მატებდა. ბებია დაგვლოცავდა, ტკბილად დაგვაბერებდა და სასთუმალქვეშ საჩუქრებს ამოგვიდებდა, რასაც გულისფანცქალით ველოდით. ეს ჩვენთვის დაუვიწყარი ტრადიცია იყო. ამის შემდეგ ვინღა დაიძინებდა და ყველანი სტუმრების შესახვედრად

ვემზადებოდით. დილით კი მეკვლედ შურა ჯიბლაძე მოდიოდა — მოცეკვავე, რომელიც ბებიამ გამოზარდა და ძალიან უყვარდა. იყო ერთი სიცილი და ჟრიაბული. მოკლედ, ყოველთვის ძალიან ლამაზი ახალი წელი გვქონდა. ახლაც ყურში ჩამესმის ახალი წლის საგალობელი, რომელსაც ჩემს ბავშვობაში უფროსები ნაძვის ხეს უგალობდნენ: „ნაძვის ხის გარშემო დავდივართ და ვუგალობთ უფალსა“.

— ყველაზე კარგად რა გახსენდებათ იმ დღეებიდან?

— შეიძლება ვილაცხას გაუკვირდეს, მაგრამ ნაძვის ხის გარშემო უფროსი თაობა იკრიბებოდა, მომღერლები მღეროდნენ, პოეტები ახალ ლექსებს კითხულობდნენ. ბავშვები ამ ყველაფერს შორიდან ვადევნებდით თვალყურს. ნაძვის ხეს რომ სოტბას შეასხამდნენ, მერე პურმარილი იმართებოდა. გოზინაყი და საცივი ჩვენი საახალწლო სუფრის განუყრელი ატრიბუტი იყო. ახალი წლის ღამეს ყველა ერთად ვათენებდით. დღესაც ეს ჩვევა გვაქვს: ღამის 12 საათზე უკვე სუფრა გვაქვს გაშლილი, მივუსხდებით და 31 დეკემბერს მთელი ოჯახი ერთად ხვდება, რადგან გვჯერა, რომ ეს საოჯახო დღესასწაულია.

— ქალბატონო მარიკა, შობას როგორ აღნიშნავდით?

— რელიგიურ დღესასწაულებს, მათ შორის შობას და აღდგომას, ყოველთვის ზეიმით ვხვდებოდით ყველანაირი რიტუალის დაცვით. შობას და აღდგომას ბებია ხატების წინსანთლებს დაანთებდა და ოჯახის წევრები ერთად ვლოცულობდით. სააღდგომოდ ჩვენს ოჯახში პასქა

და ნითელი კვერცხი ყოველთვის იყო. ლოცვების კითხვით და საგალობლების გალობით ეკლესიისკენ ფეხით მივდიოდით. ბებია წინ მიგვიძლოდა. ანთებული სანთლებით ლესელიძის ქუჩას გავივლიდით და ამ დიდ დღესასწაულს სიონში ვხვდებოდით. ლიტანიობაშიც ვმონაწილეობდით და ყველა რელიგიურ რიტუალს ვასრულებდით. მახსოვს, ბებია ჩემი სადღესასწაულოდ უგემრიელეს ტკბილეულს ამზადებდა, რომელსაც ალვახაზს ეძახდა: თაფლისგან პატარ-პატარა კანფეტების მსგავს გუნდებს ამზადებდა: დარბილებულ თაფლს ფორმას აძლევდა, დაჭრიდა და საახალწლოდ არაჩვეულებრივი კანფეტები გვქონდა. შობას ახლაც დიდი სიხარულით ველოდები, მომწონს სადღესასწაულო განწყობა, რომელიც ამ დღეს ახლავს, ისიც მომწონს, შობის ღამეს, პატრიარქის კურთხევით, ყველა ფანჯარაში სანთელი რომ ანთია. ამ დროს თითქოს სრულიად განსხვავებულ სამყაროში ვხვდები ხოლმე.

— ძველით ახალ წელს როგორ ხვდებოდნენ იმდროინდელ თბილისში?

— ძველით ახალ წელსაც საგულდაგულოდ აღვნიშნავდით. ქართველები 14 იანვარს ნამდვილ ახალ წელს ვუნოდებთ და ამ დღეს თითქოს ახალი წლის დღესასწაულს ვანახლებთ. თვითონ მე, ბედობისაც მჯერა და საერთოდ, ყველაფრის, რაც ჩვენმა წინაპრებმა შემოგვიანახეს. ახლა ჩვენს ოჯახში მე ვარ მეკვლე, მერე კი, ჩემი შვილთაშვილი — პატარა ლევანიკო. ყველანაირად ვცდილობთ, ოჯახის ტრადიციები არ დაგვკარგოთ.

— დასასრულ, რას უსურვებდით და როგორ დალოცავდით ჩვენს მკითხველს?

— პირველ რიგში ერთმანეთის სიყვარულს ვუსურვებდი. რომ საქართველოში არ იყოს ბოღმა, შური და სიძულვილი. როგორც მუსიკოსს, კიდევ ერთი დიდი ნატვრა მაქვს: არ დავივიწყოთ ჩვენი, ძირძველი ქართული მუსიკა. გული მწყდება, რომ დღეს უცხოური მუსიკა მოგვეძალა. არ შეიძლება უცხოურმა მელოდიებმა საქართველოში ქართული მუსიკა ჩაანაცვლოს, რადგან ქართული სიმღერა ის იდუმალი ძალაა, რომელიც ჩვენმა წინაპრებმა ჩვენამდე მოიტანეს, მას თვალისჩინივით უნდა გავუფრთხილდეთ და ჩვენს მომავალ თაობებს გადავცეთ.



ქართული სიმღერა ის იდუმალი ძალაა, რომელიც ჩვენმა წინაპრებმა ჩვენამდე მოიტანეს



ცნობილთა საახალწლო ნატვრები

ინტერვიუ თოვლის პაპუს შვილიშვილთან და მკაა გამბახიძის უცნაური შეთავაზება

თოვლის ბაბუისთვის წერილი ბავშვობაში ალბათ არაერთ თქვენგანს მიუწერია. ამას ზრდასრულ ასაკში აღარავინ აკეთებს, გამონაკლისი მხოლოდ „გზაში“ ხდება. თოვლის ბაბუისთვის გასაგზავნი წერილების შეგროვება გადავწყვიტე და ცნობილ ადამიანებს დავუკავშირდი. უცნაურმა შეთავაზებამ ყველა გაახალისა. ახლა ეს წერილები მე მაქვს და სანამ თოვლის ბაბუას გადავცემ, თქვენ წაგაკითხებთ. ჩვენი საახალწლო „ზღაპარი“ კი ასე დაიწყო...

თამუნა კვინიკაძე

— გიორგი, გამარჯობა! ჟურნალ „გზიდან“ განუხებთ. თოვლის ბაბუისთვის გასაგზავნი წერილებს ვაგროვებ და მინდა, ერთი წერილი თქვენც მისწეროთ.

გიორგი ბილიბაშვილი:

— მშვიდობა თქვენ! ჩემმა მზემ, მსგავსი შემოთავაზება არასდროს მქონია, სიამოვნებით.

სიტყვების — „თოვლის პაპა“ ხსენებისას, პირველი ემოცია, რომელიც გონებაში მოდის, სიმშვიდეა. თოვლის პაპა იყო პაპაჩემი. ტანადი, საოცრად სათუთი იერის მატარებელი, სითბოს ასხივებდა. ნიკო პაპა საოცარი ადამიანი იყო, სულ ჭალარა მახსოვს. მე

და ჩემს და-ძმას ყოველთვის ისეთი საჩუქრები გვსურდა, რომელიც ძალიან მარტივად მოიძებნებოდა, მაგრამ ეს ბედნიერებას გვანიჭებდა.


— ბავშვობაში თოვლის ბაბუისთვის წერილი მიგიწერია?

— ჩემი და სწერდა ხოლმე. ის ჩემზე 1 წლით დიდია. წერა ადრე ისწავლა, მიუხედავად იმისა, რომ ერთ კლასში ვწავლობდით. დედას მარიამი სკოლაში რომ მიჰყავდა, მეც ბავშვით გამომანყო — წამოდი, მარიამი სკოლაში მივიყვანოთო. სკოლა იმდენად მომეწონა, ტირილი დავიწყე, აქ დავრჩები-მეთქი და პირველი სემესტრი ისე დავდიოდი, სიაში არ ვეწერე. როცა დარწმუნდნენ, რომ პროგრამა დავძლიე, შემდეგ გამა-



აქვე გაღიმებულ მზეს დავუხატავ

ინგლისელი კლასიკოსი მწერლის დანიელ დეფოს სამტომეული



წიგნი 1

მთლიანი ფასი



გაეცანი მსოფლიო ლიტერატურას

3-ტომეული ჟურნალ „გზასთან“ ერთად

წიგნის სპეციალური ფასი **5.50 ლ** ჟურნალთან ერთად **7 ლ**

4-დან 11 იანვრამდე

იკითხეთ წიგნის მაღაზიებსა და პრესის გავრცელების წერტილებში ან დარეკეთ ნომრებზე:

0(32)2382673; 0(32)2382674 და www.elva.ge ადგილზე მოგართმევთ




ფორმეს. ჩემი დის რვეული ჩემი ციო და სურვილებიც საერთო გვექონდა. — **თქვენი ოჯახის საახალწლო ტრადიცია როგორია?**



ვერ ვახერხებ ვინმეს ოჯახში პირველი მივიღე

— ახალ წელს ყველანი ერთად ვხვდებით, დედა თავის მომზადებულ გოზინაყს ჩამოგვირიგებს და გვატკბობს, შემდეგ მამა კოცნით ჩამოგვივლის. მერე ერთმანეთს ვუნაწილებთ სიტბოს. შემდეგ მეკვლეებად მეგობრები მოდიან, კარი სულ ღია გვაქვს. თოვლის პაპობას გამოგონება არ სჭირდება, ყველანი სიკეთის მატარებლები უნდა ვიყოთ. რატომ არ არსებობს წვიმის პაპა? ან სხვა სეზონს რატომ არ ჰყავს თავისი პაპა? იმიტომ რომ თოვლი ყველაზე სპეტაკი და სუფთაა. საგულისხმოა, რომ ეს ზღაპრული არსება საკვამურიდან ჩამოდის ანუ ჩვენთან სიტბოთი შემოდის. ერთი შემთხვევა მახსენდება:



ცნობილების მიერ დაწერილი წერილები

იმ დღეს ერთ მშვენიერთან ერთად ვსერნობდი, ჩოხით ვიყავი შემოსილი. ჩვენ წინ ბავშვებმა გადაირბინეს, ერთი გაჩერდა და დანარჩენებს დაუძახა: მოდიოთ, ბავშვებო, ნახეთ, ეს თოვლის ბაბუს შვილიშვილიაო. რადგან თეთრი წვერი არ მქონდა, შვილიშვილად აღმიქვა. ეს იდეა ძალიან მომეწონა. — კი, ძმობილო, ნამდვილად ეგრეა-მეთქი, — ვუთხარი გახარებულმა. მერე მათი საცხოვრებლის მისამართი გავიგე და დავპირდი, რომ საჩუქრებს მივუტანდი. მოკლედ, იმ საღამოს მე და მშვენიერი ახალწელს სახლებში შევხვდით, მერე კი ამ ბავშვებთან საჩუქრებით მივედი. დიდება უფალს, ეს რომ მოხდა. ჩემმა მზემ, მათ ჩემზე მეტი რწმენა ჰქონდათ და მელოდნენ, რომ მივიდოდი. სიხარულით სავსე ძალიან ბევრი თვალები მინახავს, ჩემ თვალწინ ადამიანებს ერთმანეთისთვის სახლი უჩუქებიათ, მანქანა უჩუქებიათ, მაგრამ ერთ ხურჯინში დატეულმა საჩუქრებმა რომ გამოიჩინა, მსგავსი — არასდროს. ეს ემოცია არ დამავიწყდება, საოცარი ოჯახი შეგვხვდა.

— მეკვლევ გეპატიჟებიან?

— ძმაკაცმა მთხოვა, მინდა ჩემი მეკვლე იყო. ჩემმა მზემ, მოვალ-მეთქი, დავპირდი. ახალ სახლში იყო გადასული, სადაც ნამყოფი არ ვიყავი. იმ ახალ წელსაც სახლში შევხვდი, შემდეგ კი ჩოხით შემოსილი, ზურგზე ხურჯინით მეგობრისკენ გავემართე. ვიცოდი, რამდენი ბავშვი დამხვდებოდა და ყველაფერი გათვლილი მქონდა. მეხუთე სართულზე ავედი, დავაკაკუნე, კარი გამიღეს და — „შემოვდგი ფეხი, გწყალობდე თ ღმერთი! ფეხი ჩემი კვალი ანგელოზისა!“ აყვარე ტკბილეული, ოჯახს მშვიდობა და სიყვარული ვუსურვე. ბავშვებმა რომ დამინახეს, შრიამული ატყეს, „თოვლის პაპა მოვიდა! თოვლის პაპა მოვიდა!“ შევედი შინ და ვერავინ ვიცანი, არადა, ყველა მილიმოდ, მილოცავდნენ... — ჩემი ზურა სად არის-მეთქი? — ვიკითხე. მივხვდი, რომ სადარბაზო შემეშალა. თურმე ამ ოჯახს თოვლის პაპა მართლა ჰყოლია გამოძახებული და ეგონათ, ის მივიდა. ბავშვებს საჩუქრებს ხომ არ წავართმევდი? იქვე, პატარა ჯიხურში ტკბილეული შევიძინე და მეგობართან ისე ავედი. იმხელა სიხარული ველარ მოვგვარე, მაგრამ მაინც საოცარი ამბავი იყო. მეკვლეზე ხშირად ამბობენ, ცუდი ან კარგი ფეხი აქვსო. მე სიყვარულის

მწამს, ავი თვალი, ავი გული, ავი ფეხი ვერ შეგაშინებს თუ სიკეთითა და სიყვარულით ხარ სავსე. სიამე არ არსებობს, ისევე, როგორც ბოროტება. სიკეთის ნაკლებობაა ბოროტება. ბოროტებას არ აქვს დასაბამი. დასაბამი აქვს სიკეთეს. ისევე, როგორც არ არსებობს სიბნელი, ეს სინათლის ნაკლებობაა. ადრე მეკვლე ოჯახში ხორბლით შედიოდა, ხორბალი ბარაქაა, თაფლი — სიტკბოება, ნიგოზი — მეფეთა საქმელი. ამიტომ ამზადებენ გოზინაყს საახალწლოდ. „მე მჯერა მამაცი გულის, / ხორცში არსებობა სულის, / მართალი კაცისთვის არ თქმულის / და ყველაფერი ქართულის“...

დედამ მითხრა, ერთხელ ბავშვობაში თოვლის პაპასთვის წერილი მიმიწერია, მაგრამ შინაარსი არ მახსოვს.

„დედას გოგია ვარ“, საკუთარ თავს ასე ვეძახი. დედა საოცარი ადამიანია, ბევრ საკითხში მაგალითია. მამაზე აღარ ვლაპარაკობ, მასზე წიგნი უნდა დავწერო.

— ახლა თოვლის პაპას რას მისწერ?

(სტილი დაცულია)

„მშვიდობა თოვლივით სპეტაკო თოვლის პაპა“

გამოიმეტე ხვავად სიტკბო და სიტბო ჩემი ოჯახისთვის და არ დაადნო თოვლი ჩემს კავკასიონზე ჩემმა მზემ გ. გილიგაშვილი“

აქვე გალიმებულ მზეს დავუხატავ. სასვენ ნიშნებს განგებ არ ვწერ. არის ასეთი გამოთქმა: „ისწავლე შვილო მამაშენივით ვირი არ გამოხვიდე“. ამ წინადადებაში მძიმე სად უნდა დაისვას? „შვილოს“ ან „მამაშენივით“ შემდეგ, არა? აზრი მკითხველმა გამოიჩინოს და სასვენი ნიშანიც თავად დასვას.

— წელს ახალ წელს სად და როგორ ხვდები?

— 2018 წლის შემობრძანებას რომში მცხოვრებ ქართველებთან ერთად შევხვდები. ძალიან ბევრი ქვეყნიდან დამირეკეს. პირველი ზარი რომიდან იყო და ამიტომ, ასე გადავწყვიტე. ჩვენ ყველას ერთად მშვიდობა გვექონდეს!

მომღერალი მამა ზამბახიძე ამბობს, რომ თოვლის ბაბუსთვის წერილი არასდროს მიუწერია. როგორია მისი წინასახალწლო სურვილები? — ამას წერილიდან შეიტყობთ.

— ბავშვობაში ჩემთან საჩუქრები თოვლის ბაბუსას ნაკლებად



მოჰქონდა, ამიტომ მისი მოსვლის მოლოდინიც მძაფრად არ მქონდა. მშობლები ყოველთვის მახარებდნენ, ყოველ ახალ წელს საჩუქრებს მიკეთებდნენ, მაგრამ იმ ზღაპრულ არსებას არასდროს აბრალებდნენ. მიუხედავად ამისა, ჩემს შვილს საჩუქარს ყოველთვის თოვლის ბაბუის სახელით ვუკეთებდი.

მეკვლეობის ტრადიცია მომწონს. ჩემთან მეკვლეები ყოველთვის ოჯახის წევრები არიან. თავად მეკვლედ ვინმეს არასდროს მიუუპატიუებდნენ. მგონი, შემთხვევითაც არავისთან შევსულვარ. ჩემი ცხოვრების დატვირთული გრაფიკიდან გამომდინარე, ვერ ვახერხებ ვინმეს ოჯახში პირველი მივიდე. ძალიან მიყვარს ბარბარობის დღესასწაული. ეს ბედობის დღეა და ძალიან დიდი მნიშვნელობა აქვს. ყოველ ბარბარობას სახლში ვხვდები, ამ დღესაც მეკვლედ ოჯახის წევრები მოდიან. წელს ბარბარობას მეკვლე თავად ვიყავი.

— მაკა, რომელია კერძი ან დესერტი, რომელსაც საახალწლოდ ყოველთვის ამზადებ?

— მე ხომ ცნობილი კულინარი ვარ. სამზარეულოში ფუსფუსი ძალიან მიყვარს. ჩემს ნახელავს

შემდეგ სოციალურ ქსელშიც ვდებ. შუების მომზადებამ სახელი მომიხვეჭა. ახალ წელსაც სიამოვნებით დავაცხოვდი, მაგრამ ძალიან დაკავებული ვარ. სახლში ყველას გვიყვარს შოკმანუე, ამ ნუგბარსაც ხშირად ვამზადებ.

— თოვლის ბაბუას რას მიწერ?

„ძვირფასო თოვლის ბაბუ!

მინდა, ყველა პატარის სახელით გთხოვო, აუსრულო მათ ოცნებები. ყველა ბავშვი იყოს ბედნიერი, წარმატებული, ჯანმრთელი და გახარებული.

ჩემთვის რა მინდა? რა თქმა უნდა, პირველ რიგში გთხოვ ქვეყანაში მშვიდობას. კიდევ ერთი უცნაური თხოვნა მაქვს, ძალიან მინდა, სოლო კონცერტი მქონდეს, იქნებ ამ ამბავს ორგანიზება გაუკეთო, მერე კი წამყვანად გეუპატიუები... აბა შენ იცი, გელოდები.

სიყვარულით და პატივისცემით, მაკა ზამბახიძე.“

აი, ეს წერილი გადაეცემა ჩემგან და დანრჩენი თავად იცის. მე კი ძალიან მალე, ჩემს მსმენელს ახალ კარგ სიმღერას შევთავაზებ.

— უჩვეულო ახალი წელი თუ გახსენდება?



ცუგას იმედიც მაქვს, ახლა ხომ ძაღლის წელი მოდის

— 2 წლის წინ, ღია ცის ქვეშ გამოვდიოდი და სცენაზე ავედი თუ არა, გათოვდა. თოვლი ძალიან მიყვარს, დნობის პროცესი — არა, თოვლის ფიფქები ზღაპრულ განწყობას მიქმნის, გარემოც ღამაზია.

ფლუქტლდი

რომლის ეფექტურობა თქვენ უკვე გამოსცადეთ 15 წლის მანძილზე!

გაციების სადარაჯოზე!

ფლუქტლდი ტაბლეტი N4



ფლუქტლდის ჩაი N5 პაკეტი



- გრიპი
- გაციება
- მაღალი ტემპერატურა
- სურდო და ცემინება
- თავის და კიდურების ტკივილი



შპს „ნაბროსი“ „ნაბროსი ფარმა“ ოფისი
საქართველოში საბარძილო ქ.ა.ს „ნაბროსი ფარმა“
ბელ: 557 943914

გამოყენების წინ გავანით ინსტრუქციას გვერდითი მოკლებების შემთხვევაში დამატებით ინფორმაციისთვის მიმართეთ უკან



მსახიობი ჯანმოიზორია ამბობს, რომ მისთვის გასული 2017 წელი შემოქმედებითად დატვირთული და წარმატებული იყო. იგივე მოლოდინი ახალი წლისგანაც აქვს. 2018 წელი მის ცხოვრებაში იმითაც იქნება გა-
მორჩეული, რომ ნაჩუქარ ბინაში საცხოვრებლად გადასვლას გეგმავს.

— 2017 წელს ჩემს ცხოვრებაში ბევრი საინტერესო რამ მოხდა. იყო პროექტები, სპექტაკლები, გადაღებები... ცუგას იმედიც მაქვს, ახლა ხომ ძაღლის წელი მოდის.

— სურვილები თოვლის ბაბუასაც შეუძლია, შეგისრულოს.

— თოვლის ბაბუს მოტანილი კანფეტების გემო ღრმა ბავშვობიდან მახსოვს. მაშინ კარნავალზე თოვლის ბაბუა და ფიფქა დადიოდნენ, ჩემს ბინაშიც მოვიდნენ. მახსოვს, კარი რომ გაიღო, თოვლის ბაბუს აღაჟღერებული ლანგები ჰქონდა, თეთრი წვერის ფონზე ეს უფრო კარგად ჩანდა. ის იყო ძალიან მისტიკური, მაღალი კაცი, რომელსაც გაფართოებული თვალებით ვუყურებდი.

— ახლა რას მისწერ?

„თოვლის ბაბუ!

მოგესალმები! სად ხარ? როგორ ხარ? მინდა ჯანმრთელად და კარგად იყო. პირველ რიგში გთხოვ, ყველა ბედნიერი იყოს. ჩემს ქვეყანაში, არ არსებობდეს ავადმყოფობა, ყველა ჯანმრთელი იყოს, როგორც ფიზიკურად, ასევე — სულიერად. გთხოვ, რომ საქართველო მთლიანი იყოს. კიდევ გთხოვ, 2018 წელს, როცა ჩემს ნაჩუქარ ბინაში შევალ, ისეთი სახლი ყოფილიყოს, ყველას ჩემთან მოსვლა



ობლად მიტოვებულ ბავშვებს, ბევრი ტკბილეული მიუტანე

უნდოდეს, და უხაროდეს. მინდა, მომავალ წელს, ნაძვის ხე ჩემს ევა-გაბრიელასთან ერთად, ახალ სახლში მოვრთო. მთავარი სურვილი კი ის არის, რომ მინდა, ძალიან ძალე ერთი წერილი აფხაზეთიდან მოგწერო. ეს აფხაზეთის დაბრუნების ნიშნად იქნება. მანამდე კი მინდა, ჩემი და აფხაზი ბიჭების სურვილები ერთნაირი იყოს და ერთნაირად აკვისრულო!

დიდი პატივისცემით, შენი ჯანო იზორია“.

— როგორი იყო ახალი წელი, რომელიც გამორჩეულად გახსოვს?

— ფოთში საახალწლო კონცერტი ტარდებოდა, რომელზეც მსახიობებიც გამოვდიოდით. წვიმა წამოვიდა, დავსველდით, მაგრამ ჩვენი მოვალეობა მაინც შევასრულეთ. მე რე კოსტიუმი კი გამოვიცვალე, მაგრამ გრიმი ვერ მოვიშორე. კინტოს ფორმაში, ხალით, დახატული თვალებით მთელი გზა სახლამდე ფეხით ვიარე, ტაქსი არ იყო. 12 საათი რაც უფრო ახლოვდებოდა, ნაბიჯებს უფრო და უფრო ვუმატებდი, ბოლოს სირბილზე გადავედი და... მინდოდა, სახლში შევხვედროდი, მიმესწრო, პატარა ბავშვივით დღესაც მიყვარს ასაფეთქებლები და არ მინდოდა, ჩემი ასაფეთქებლები სხვას გაესროლა.

ბოლო წლებში, პატარა ტრადიციასავით დავამკვიდრეთ, ფოთის თეატრის მსახიობები ვიკრიბებით და ალილოზე დავდივართ. ჩვენი სტუმრობა მოსახლეობას ძალიან უყვარს, ტკბილეულსა და თანხას გვჩუქნიან. შობას ტაძარში მივდიოდით. წელსაც გვინდა ალილოზე წავიდეთ, იმედია მოვახერხებთ. ერთი წელი რომ ჩაგვივარდა, გვისაყვედურეს, გელოდებოდით, არა მხოლოდ იმიტომ, რომ გვახალისებთ, ფეხიც კარგი გაქვთო.

„ჩემი ცოლის დაქალების“ ბოლო სერიებში, ძალიან პოპულარული გახდა ტონი ოჩიგავას პერსონაჟი, რომელსაც ფოთის თეატრის მსახიობი ბიორბის ურმაძე ასახიერებს.

— სერიალში ტონის პერსონაჟზე კასტინგი იყო გამოცხადებული, როგორც ვიცი, სანამ მე დამიკავშირდებოდნენ, ამ როლზე ბევრი ვინმე გაუსინჯავთ. ეპიზოდურ როლებზე ფოთის თეატრის ბევრი მსახიობი იყო დაკავებული. ეკა მუყანაძემ დამირეკა და მითხრა, სენაკში გვაქვს გადაღება, იქნებ მიხვიდეო. სიამოვნებით დავთანხმდი. გიორგი ლიფონავამ რომ დამინახა, ეგრევე თქვა, ეს არის

ტონი ოჩიგავა, ჩააცვიო და გადაღება დაიწყოო. როგორც ჩანს, მას ჩემ შესახებ უთხრეს, მაღლობა ყველას. იმდენად მეგობრულად მიმიღეს, თითქოს მთელი ცხოვრება მათთან ერთად ვმუშაობდი.

— ოდესმე თოვლის ბაბუის როლი თუ შეგისრულებია?

— ძალიან დიდი ხნის წინ, მეგობრებმა გადავწყვიტეთ, საახალწლოდ თოვლის ბაბუის გამოძახებაზე გავსულიყავით. ფგუფში ვიყავით ორი ჯუჯა, ფიფქა, კეთილი ჯადოქარი და თოვლის ბაბუა. პროგრამაზე ვიმუშავეთ, კოსტიუმები შევიძინეთ, ცისფერი „ზაპოროჟეცი“ ვიმოვეთ. საქმეს მთელი სერიოზულობით მივუდექით. ფოთში ბავშვებს ძალიან ბევრი რამ აკლიათ და გვინდოდა, საახალწლოდ მაინც გაგვეხარებინა. გავედით პირველ გამოძახებაზე, ვიმღერეთ, ვიცეკვეთ, ბავშვები გავახარეთ, უფროსებიც გახალისდნენ და ოჯახიდან ძალიან ბედნიერები გამოვედით, ჯერ 12 საათი არ იყო შესრულებული, მორიგ ოჯახში უნდა მივსულიყავით. მანქანა სანიალვრე არხის გადასასვლელთან გველოდებოდა. სრული სიბნელე იყო. ჩემი მეგობრები ჩასხდნენ, თურმე მძღოლს ოდნავ უკან დაუნევიო, მგონია, მანქანაში ვჯდები და უეცრად სანიალვრე არხში აღმოვჩნდი. არადა, უამრავი ოჯახი გვაქვს მოსავლელი. დავსველდი ეს თოვლის ბაბუა კაცი, ტალახით დავისვარე, თავიდან ბოლომდე შავი ვიყავი. ახლობლის ოჯახში მივედი, ღუმელი ჰქონდა, იქ „გამრეცხეს“, გამაშრეს. მე რე ხუმრობდნენ, ყველაფერს ვიფიქრებდით, მაგრამ 12 საათზე თოვლის ბაბუის „გარეცხვა“ თუ მოგვიხდებოდა, ვერც კი წარმოვიდგენდითო.

— თოვლის ბაბუისთვის წერილი მიგიწერია?

— ბავშვობაში ვწერდი და ახლაც სიამოვნებით მივწერ. ფოთში მშობლების მზრუნველობამოკლებული ბავშვები ცხოვრობენ და მინდა, მათი სახელით მივწერო:

„თოვლის ბაბუ, გამარჯობა!

ისევ მჯერა შენი, დამიჯერე. ვიცი, რომ კეთილი სურვილები სრულდება. გთხოვ, თუ შეგიძლია, არ გამიცრუო იმედები და ჩემს ქალაქში, იმ პატარა ობლად მიტოვებულ ბავშვებს, ბევრი ტკბილეული მიუტანო. მათ ხომ ძალიან უყვარხარ და მთელი წელი გელოდებიან.

23 დეკემბერი.

გიორგი სურმაძე“.



არასრულწლოვანი მსჯავრდადებულების სევერიანი ამბები და ახალი წლის სამზადისი

საახალწლო მზადება დიდი ხანია, დაიწყო და ბუნებრივია, ახალი წლის დადგომას არასრულწლოვანთა სარეაბილიტაციო დაწესებულებაში მყოფი მსჯავრდადებულებიც ელიან. განსხვავება მხოლოდ ის არის, რომ მათ ოჯახის წევრების გარეშე მოუწევთ ყოფნა, თუმცა დაწესებულების ადმინისტრაცია ყველაფერს აკეთებს, რომ მოზარდებმა მათი გვერდში დგომა იგრძნონ. იქ საახალწლო განწყობა დიდი ხანია, იგრძნობა. მსჯავრდადებულებმა თავიანთი ხელით მორთეს ნაძვის ხე და მათ მომღერალი მკა ზამბახიძეც ესმარებოდა. მან ბავშვებს რამდენიმე სიმღერაც შეუსრულა.

თქვა ხურცილაკა

საბედნიეროდ, დღეს არასრულწლოვანთა დაწესებულებაში მხოლოდ 19 მსჯავრდადებულია, თუმცა იყო პერიოდი, როცა იქ სხვადასხვა ბრალდებით 250-ზე მეტი მოზარდი იხდიდა სასჯელს. იმ დროს დაწესებულებას ქალბატონი ხატუნა ჯანაშია ხელმძღვანელობდა. კარგად ახსოვს, თითოეული მოზარდი რას განიცდიდა.

დღეს ქალბატონი ხატუნა ისევ არასრულწლოვანთა დაწესებულებაში მუშაობს. ამჟამად უფროსის მოადგილეა, სოციალურ დარგში.

თავად ქალ-ვაჟის დედაა. ერთ-ერთი პატიმრის ამბავმა ისე იმოქმედა მასზე, რომ მიუსაფარ ბავშვებზე ზრუნვა გადანევიტა და ქუჩაში უსახლკაროდ დარჩენილ 4 პატარას შეილივით ზრდიდა.

— ქალბატონი ხატუნა, ადრინდელთან შედარებით ძალიან ცოტა მსჯავრდადებული გყავთ. როგორც ჩანს, უკვე იშვიათად უსჯიან პატიმრობას მოზარდებს.

— ამჟამად არასრულწლოვანთა დაწესებულებაში 19 მსჯავრდადებულია. 2012 წლის ამნისტიის შემდეგ, ნელ-ნელა შემცირდა მათი რიცხვი და საბედნიეროდ, ბევრმა დატოვა დაწესებულება. ახლა ნაკლებად მძიმე დანაშაულისთვის პატიმრობას არ უსჯიან.

— განზრახ მკვლელობისთვის რამდენია გასამართლებული?

— 2 მოზარდი. აქედან ერთია განზრახ მკვლელობა, მეორე — სხეულის დაზიანება, რამაც სიკვდილი გამოიწვია.

— როცა მიხეილ სააკაშვილმა ნულოვანი ტოლერანტობა გამოაცხადა, მაშინ დაწესებულების დირექტორი იყავით. იქნებ გვიაზრებოთ, როცა მოზარდი ციხეში ხვდება, აქვს სინანულის გრძნობა?

— 2004 წლიდან ვიყავი არასრულწლოვანთა დაწესებულების დირექტორი. მიხეილ სააკაშვილის პერიოდში გამოცხადდა ნულოვანი



ახლა ნაკლებად მძიმე დანაშაულისთვის პატიმრობას არ უსჯიან

ტოლერანტობა. მართლა ნებისმიერ ქმედებაზე აკავებდნენ მოზარდებს. სტაბილურად 250 მსჯავრდადებული ბავშვი მყავდა 7-8 თვის განმავლობაში, მაგრამ თქვენ წარმოიდგინეთ, რთული არ იყო ამ ბავშვებთან მუშაობა, რადგან ოჯახის გავლენა ბავშვებს ამკარად ეტყობოდათ. იყო შემთხვევა, როცა მოსამართლე აუჯანყდა პროკურატურას, რადგან პროკურატურა დაჟინებით ითხოვდა მოზარდის დასჯას და რეალურად არ იყო ისეთი დანაშაული ჩადენილი, რომ არასრულწლოვანი დაესაჯათ.

— იქნებ უფრო კონკრეტულად გვიაზრებოთ ასეთ შემთხვევაზე?

— მამა-შვილი ტაქსით გადაადგილდებოდა და ტაქსის მძღოლმა დაასმინა ისინი. ბავშვის მამა ნარკომანი იყო, მანქანაში წამალი გაიკეთა. მის გვერდით რომ იყო შვილი, მხოლოდ იმიტომ დააკავეს. ამ ბავშვს 6 წელი მიუსაჯეს. საბედნიეროდ, მას გზა არ გამოუდებია, მერე უმაღლესი ცდაამთავრა, დღეს წარმატებულია და კარგი ოჯახი ჰყავს, მაგრამ ბევრი ვერ ეგუება უსამართლოდ დასჯას და მერე ცხოვრება ენგრევა.

— ხდებოდა ციხეში მოხვედრილი არასრულწლოვნების გამოსწორება?

— მაშინ მთელი სასჯელალსრულების სისტემა უნდა ყოფილიყო სადამსჯელო. ძალიან მწირი რესურსები იყო, სარეაბილიტაციო პროგრამები — ნაკლებად. ჩვენ თვითონ ვაკეთებდით ყველაფერს, რომ ბავშვები ჩაგვეერთო სხვადასხვა აქტივობაში. სკოლა გვექონდა, თიხაზე ვამუშავებდით, არტთერაპია ტარდებოდა, მერე მათი ნამუშევრები გავგვქონდა გასაყიდად, რომ ნაგვეხალისებინა. დღეს აბსოლუტურად სხვა გარემოა. ბევრად მეტი შესაძლებლობაა, ვიდრე მაშინ.

— რატომ მიდიან არასრულწლოვნები დანაშაულამდე? ადრე გყავდათ ხახვის, კარტოფილის ქურდობისთვის მსჯავრდადებულებიც.

— გვყავდა კარტოფილის, ხახვის, ორცხობილის და „კოკა-კოლას“ ქურდობისთვის გასამართლებულები. ბავშვმა 4 ცალი ნახევარლიტრიანი გაზიანი სასმელი მოიპარა, მაღაზიაში დარჩა ქუდი, დაბრუნდა ქუდის ასაღებად და მაშინ დაიჭირეს. ამისთვის 4 წელი და 6 თვე მიესაჯა. ეს ბავშვი ქურდობაზე მეტად იმას განიცდიდა, რომ შეცდა და ქუდისთვის მიბრუნდა. ბავშვები იხდიდნენ სასჯელს მანდარინის, კარტოფილის, ძეხვის მოპარვისთვის.



6 წელი გზადიდა 4 ბავშვს, ისინი ჩემი ორგანული ნაწილი გახდნენ

— მკვლევარებს, დაჭრას რომ სჩადიოდნენ, ისინი რას გიყვებოდნენ?

— ასეთი შემთხვევა მახსენდება, ბავშვს მეგობარმა ლომბარდში ტელეფონი ჩააბარებინა, ვითამაშე და სასწრაფოდ ფული მჭირდება და მალე გამოგატანინებო. ტელეფონი 60 ლარად ჩააბარა და ეს რომ დედამ გაიგო, ატეხა ხმაური და შვილს სასწრაფოდ ტელეფონის მოტანა მოსთხოვა. სიმსიენიანი კაცი მყავს სახლში და ტელეფონი მჭირდებაო. ბავშვმა მეგობარს ვერაფერი უთხრა, იცოდა, მეზობელს პენსია რომ ჰქონდა აღებული და ფულის მოსაპარად შევიდა იქ, მაგრამ პატრონმა მოუსწრო. ბავშვმა გადაწყვიტა ფანჯრიდან გადახტომა, მაგრამ დაიჭირეს და ატეხა ხმაური, მოდიო მეზობლებო, ქურდი დავიჭირეთ. ფიზიკურად ძლიერი იყო, ბავშვი ხელში ჰყავდა აყვანილი და აფორთხილებდა. ამ დროს მოზარდმა სამზარეულოს დანას ჩაავლო ხელი და მამაკაცი აჩეხა. კაცს დანით 54 ჭრილობა ჰქონდა მიყენებული. საძილე არტერია გადაეჭრა და სისხლისგან დაიცალა.

— ამდენი ჭრილობა რატომ მიაყენა?

— ძალიან უჭირდა ამაზე საუბარი, მაგრამ ამბობდა, რომ ეს შიშმა გააკეთებინა. მეშინოდა, ის რომ მომრეოდა, მომკლავდა და მე დავასწარიო... ერთი ბიჭუნა მყავდა, მხარზე თავს დამადებდა და სიმშვიდეს ამაში პოულობდა. მითხრა, დედასავით მიყვარხარ და სულ მინდა, მხარზე

დაგადო თავი, მაგრამ მრცხვენიაო.

— არის ისეთი პატიმარი, რომელიც თქვენს მესხიერებაში დარჩა?

— ბევრი მათგანი დარჩა ჩემს მესხიერებაში, თითქმის ყველას სახელი, გვარი და მათი ქმედება მახსოვს. ერთი ბავშვი იხდიდა სასჯელს, დოლისა და გარმონის ქურდობისთვის და დოლგარმონას ეძახდნენ. სკოლაში ცეკვის გაკვეთილები ტარდებოდა და იქ მოიპარა, გაყიდა და დაიჭირეს. დააბრუნებინეს ნივთი და 3 წელი მიუსაჯეს.

— ფიქრობთ, რომ სააკაშვილის დროს არასრულწლოვნებსაც ბრალს უმძიმებდნენ?

— 20 ლიტრი არყის ქურდობისთვის 14 წლის ბავშვს 2 წელი მიუსაჯეს. ტანად ისეთი პატარა იყო, ფიზიკურად ვერ მოერეოდა 20-ლიტრიან ბოცას. ხშირად უფროსები იყენებდნენ ბავშვებს დანაშაულის ჩასადენად და მერე ეუბნებოდნენ, თუ აიღებ შენს თავზე, ცოტას მოგისჯიანო და ასე ენიერებოდნენ ბავშვები. მახსენდება შემთხვევა, მამაკაცს მანქანაში ჰყავდა ბავშვები, თვითონ შევიდა დასაყარალებლად ისე, რომ პატარებმა არაფერი იცოდნენ, მერე დაიჭირა პოლიციამ და ბავშვები, რომლებიც ფარად ჰყავდა მამაკაცს გამოყენებული, გაასამართლეს. 9 და 6 წელი მიესაჯათ, არადა, მანქანიდანაც არ გადმოსულან. ბავშვს როცა უსჯი, მას არ უნდა ჰქონდეს უსამართლობის განცდა, უნდა გრძნობდეს, რომ იმისთვის ისჯება, რაც რეალურად ჩაიდინა.

— ბოროტდებიან ასეთი ბავშვები?

— ბოროტდებიან და ძალიან უჭირთ მდგომარეობასთან შეგუება. როდესაც უსამართლობის განცდა ეუფლება, მაშინ მას აქვს უნდობლობა მთელი სამყაროს მიმართ. არ მალავდნენ, როგორ ეზიზღებოდათ ისინი, ვინც მათი უკანონოდ დასჯის მონანილებები იყვნენ.

— 18 წლის რომ ხდებიან, მაშინვე გადაგყავთ სრულწლოვნებში?

— 18 წლიდან გადადიოდნენ კანონით, იქ მათ სულ სხვა გარემო ხვდებოდათ. ამიტომ, თუ მალე გათავისუფლება უწევდათ, მაქსიმალურად ვცდილობდი, არ გამეშვა დიდებში და სასჯელი ბოლომდე ჩვენთან მოეხადათ. 25-30 ასეთი სრულწლოვანი სულ მყავდა და სხვათა შორის, სწორედ ამის გამო მეგის ქარდავასა და ბაჩო ახალაიასთან მომიხდა დაპირისპირება. მეგისი მეუბნებოდა,

— დროზე გაუშვი დიდებშიო. ერთ დღეს ისე წაკვამათით ამის გამო, მეგისის მაგიდას მუშტი დავარტყი. ძალიან გაუკვირდა ჩემგან ასეთი საქციელი. 2004 წლიდან და 2007 წლამდე ვიყავი დაწესებულების დირექტორი და ბოლო პერიოდში ყოველი დღე ვიმუშავე იმ განცდით, რომ ეს იყო ჩემი იქ მუშაობის ბოლო დღე და იმ თანამდებობაზე არ გამაჩერებდნენ. ბაჩო ჩემს დაწესებულებაში არ შემოსულა სპეცდანიშნულების რაზმით, მაგრამ შედიოდა სხვაგან. იყო შემთხვევები, სანამ მიუსჯიდნენ მოზარდებს, ციხეში სულ სისხლი ანთხევინეს. რამდენი ბავშვია ასე განადგურებული.

— სისტემიდან გაგიშვეს?

— დამიბარეს დეპარტამენტში. მეგისი მაშინ უკვე პროკურატურაში იყო გადასული. ჭაკუა, ბუცხრიკიძე და ჭარბაძე იყვნენ მოადგილეები. ბუცხრიკიძემ მითხრა, ცვლილებები გვინდა, შენ უნდა წახვიდე, განცხადება დაწერე, არ გვინდა, პირადი საქმე გაგიფუჭოთო. უმუშევარი ვიყავი, მაგრამ კარგა ხანს ინერციით ყოველდღე ვხსნიდი სასჯელალსრულების სამინისტროს ვებგვერდს და ვეცნობოდი ინფორმაციებს. წავიკითხე, რომ სამკურნალო დაწესებულებაში ტუბერკულოზით პატიმარი გარდაიცვალა და წერია გარდაცვლილის ინიციალები. მივხვდი, ვინც იყო. ძალიან იმოქმედა ჩემზე ამ ფაქტმა. ძალიან კარგი ბავშვი გახლდათ, ქურდობისთვის იყო ნასამართლევი, ლექსებს წერდა, კარგად აზროვნებდა. მაშინ ციხიდან მალე გავიდა, მაგრამ ოჯახმა არ მიიღო და ლამეებს ათენებდა კოლმეურნეობის მოედანზე, სათამაშო აპარატების ოთახში. როგორც ჩანს, იქ ნესტში ტუბერკულოზით დაავადდა. გარეთ მკურნალობასაც ვერ ახერხებდა და გადაწყვიტა, დანაშაული ჩაედინა, რომ ისევ ციხეში შებრუნებულიყო. დაინახა პატრულის მანქანა და ამ დროს ქუჩაში მდგარ მანქანის შუშას ჰკრა ხელი, გაითამაშა ქურდობა და ისევ დაიჭირეს. როგორც კი მიუსაჯეს, ქსანში, ტუბდაწესებულებაში გადაიყვანეს. ერთ დღეს მოვინახულე, საკმაოდ დასუსტებული იყო და მომიყვა, რომ ოჯახმა არ მიიღო. არავინ აკითხავდა ციხეში. 12 წლის იყო მისი უფროსი ძმა, როცა გააშვილეს, ეს კი 5 წლისა ფაქტობრივად, ქუჩაში დარჩა. დედამისი მეორედ გათხოვდა და მამინაცვალს არ უნდოდა ბავშვები.



ამიტომ დეზერტირების ბაზარში, სიბინძურეში რამდენჯერ გაუთენებია ლამე, ვინ იცის. მისი გარდაცვალების ამბავი რომ გავიგე, დავრეკე და მითხრეს, ისევ მორგშია, პატრონი არ გამოჩნდა. მისი მონაყოლით ვიცოდი, რომ დედამისი სადღაც პრეზიდენტის სასახლის უკან ცხოვრობდა და ყავაზე მკითხაობდა. დიდხანს ვეძებე და მივაგენი ამ სახლს, მაგრამ სახლი გაყიდული აღმოჩნდა. მეზობლებისგან გავიგე, რომ ბავშვი ციხეში პირველად მამინაცვლის ჩადენილი ქურდობის გამო მოხვდა. მან მოიპარა და ბავშვს დააბრალა. არასოდეს უთქვამს, რომ სხვისი დანაშაულისთვის ჰქონდა მისჯილი. ერთ მეზობელს ვათქმევინე მისამართი და მივაგენი დედამისს. ისიც გავარკვიე, რომ იცოდა შვილის სიკვდილი. ასე მითხრა, ჩემთვის ის დიდი ხნის მკვდარია, 15 წლის წინ დავმარხეო. ცხედარს არავინ გამომატანდა და მოვძებნე მისი ძმა. საბოლოოდ, დედამისმა დეიდას მისცა ნებართვა და ძმამ და დეიდამ დაკრძალეს. ამის მერე, ქუჩაში რომ ვხედავდი ასეთ ბავშვებს ხელგანვდილებს, ძალიან მოქმედებდა ჩემზე. ამან დამაფიქრა და გადავწყვიტე, ორი მიუსაფარი ბავშვი წამეყვანა სახლში და მეზრუნა მათზე. გაირკვა, რომ ეს არ იყო იოლი პროცედურა, მაგრამ გავიარე ყველა ეტაპი და მიმღებ მშობლად დავრეგისტრირდი ჯანდაცვის სამინისტროში.

— თქვენი შვილები როგორ შეხვდნენ თქვენს ამ ნაბიჯს?

— თავიდან არ დაიჯერეს, გაუკვირდათ, მაგრამ ნახეს, როგორ ველოდებოდი მათ მოყვანას და როგორ ვფორიაქობდი. მერე უკვე ჩემი შვილებიც ელოდებოდნენ. ერთი თვის თავზე, 2011 წელს, მომიყვანეს 4 ბავშვი. ერთი ოჯახიდან იყვნენ. 3 გოგო და ერთი ბიჭი. მამა გარდაცვლილი ჰყავდათ, დედა ხელმეორედ გათხოვდა და ბინა არ ჰქონდათ. ყველაზე პატარა 2 წლის იყო, ბავშვები ქუჩაში დედასა და მამინაცვალთან ერთად იყვნენ და იქიდან წამოიყვანა სოცმუშაკმა. სკოლაში არ დადიოდნენ, ძალიან რთული ქცევები ჰქონდათ. დიდი შრომა დამჭირდა, რომ ფორმაში ჩამდგარიყვნენ. დეიდას მეძახდნენ. ბავშვებმა ისიც კი არ იცოდნენ, რომ ონკანში ცხელი წყალი მოდიოდა. ბავშვი სახლში რომ მოვიყვანე, ფეხზე არ იხდიდა, 20 დღეა, ფეხზე არ გამიხდიაო. პატარა ჩემ გვერდით იწვა და ლამით კიოდა, ნუ მცემთო. გაირკვა, რომ ძა-

ლალობის მსხვერპლებიც იყვნენ და ეს მათ ქცევაშიც ვლინდებოდა. უფროსი სრულწლოვანი რომ გახდა, დედასთან დააბრუნეს. ბავშვებს მამის პენსია ერიცხებოდათ ეს წლები ანგარიშზე და თანხა გროვდებოდა. როგორც კი 18 წლის გახდა უფროსი, დედამ წაიყვანა და დაგროვილი პენსია გამოატანინა ბავშვს. ორ დღეში უკვე ეს თანხა აღარ ჰქონდათ. მაშინ ძალიან გაებრაზი დედამისზე. მიხდოდა ეს თანხები ბავშვების განათლებაში, ან თუნდაც საყოფაცხოვრებო პირობების შექმნაში დაეხარჯათ. დედას მოვთხოვე, მოენესრიგებინა საცხოვრებელი პირობები და შვილები თავისთან დაებრუნებინა. ახლა რეინტეგრაციის პროცესი მიმდინარეობს. დანარჩენებზე უკვე წაიყვანა დედამ და ახლა ბავშვები მასთან არიან, ნაქირავებში. ბავშვებს ჰქონდათ იმის ილუზია, რომ დედასთან კარგად იქნებოდნენ, იქაც ექნებოდათ თბილი საჭმელი, ზრუნვა, მაგრამ სამწუხაროდ, ასე არ მოხდა.

ბავშვებმა მიატოვეს სკოლაში სიარული. 6 წელი ვზრდიდი 4 ბავშვს, ისინი ჩემი ორგანული ნაწილი გახდნენ, ძალიან მიყვარს ისინი და მინდა, ბედნიერები იყვნენ. ამისთვის ყველაფერს გააკეთებ და მუდმივად გავაკონტროლებ მათი დედის საქციელს.

— დანესებულებაში მყოფი არასრულწლოვნები როგორ ხვდებიან ახალ წელს?

— დიდი ხანია, ახალი წლისთვის საგულდაგულოდ ვემზადებით. ახალ წელს ვიქტორინას ჩავატარებთ. სამი ჯგუფია შექმნილი, ყველას თავისი დავალებები აქვს და არც ერთმა ჯგუფმა არ იცის, ვინ რას აკეთებს. მერე დაჯილდოვდებიან. ახალი წლის დადგომამდეც უკვე ბევრი სტუმარი ჰყავდათ, საჩუქრებიც მიიღეს და კონცერტებიც იყო. მინდა, მთელ საქართველოს და ჩვენს მსჯავრდადებულებს ბედნიერი წელი ვუსურვო და არ გვესმოდეს, რომ არასრულწლოვანმა დანაშაული ჩაიდინა. ■

**ხაღხის ჩრუდ ღვინოებს შორის
ეს სახეობები ჭარჭარობით
ვერ მოხვდა**

**10
ღვინო**
რომაინს უნდა
ბასინაო
სანამ ცოცხალი ხარ

მუკუზანი 3,21%
ჩინური 3,18%
ხისვი 1,88%

**თუ თვლი, რომ ისინი იმსახურებენ 10 საუკეთესო
ღვინოს შორის მოხვედრას მიეხი ხეა!**

**WEB: ALLWINE.GE
FB.com/10wine**

პროექტს „10 ღვინო, რომელიც უნდა გასინჯო სანამ ცოცხალი ხარ“ პალიტრა მედია ახორციელებს. ის ქართული ღვინოს პოპულარიზაციას ისახავს მიზნად და შესაბამისად რჩეულ ქართულ ღვინოებს უფრო მარტივად ხელმისაწვდომს გახდის.



უკეთესი დემოკრატიისკენ გაქანებული საქართველო, მაიმუნები გამოცდაზე და მარიოხუნა

„რით ვარ დაკავებული, ბოლომდე ვერ გავიგე“

ამ მარგალიტებს მთელი წლის განმავლობაში, თქვენთვის საგულდაგულოდ ვაგროვებდი. საით მივექანებით, როგორ აბარებდნენ მაიმუნები უმაღლესში, რატომ ვერ დაკიდენ დროშა, როდის მოვა გუგავა, რომელ მხარესაა „ნაციონალების“ ადგილი ნაძვის ხეზე და ვინ ითვლის თმას მელიას თავზე? წაიკითხეთ, გახალისდებით.

თამუნა კვინიკაძე

„3 წლის წინ, ეროვნული გამოცდების ბარიერი 21 ქულა იყო. ეს იმას ნიშნავს, რომ 3 მაიმუნი რომ შეგეშვა გამოცდაზე და უბრალოდ შემოეხაზათ, ერთი მაინც ჩააბარებდა. ჩვენ ბარიერი ავნიეთ და ახლა შვიდი მაიმუნიდან ერთი აბარებს. ჩვენი მიზანია, მაიმუნებ-

საკონსტიტუციო პროექტის საჯარო განხილვისას პარლამენტის თავმჯდომარემ მისი მისამართით დასმულ შეკითხვას — საით მივექანებით? „საინტერესოდ“ უპასუხა: „ზუსტად ვიცი, საით მივექანებით, ეს არის ადამიანის უფლებების დაცვა. გავექანეთ ჩვენ 2012 წელს იქითკენ, რომ 24 500 პატიმრის ნაცვლად, დღეს გვყავს



მდიდრებს ართმევდა და ღარიბებს აძლევდა

ნოტარიუსი, თითის დაჭერა, მეტი არაფერი ხდებოდა ამ ორგანოში. ყველა ერთად გავექანეთ უკეთესი დემოკრატიისკენ და ეს ყველამ ერთად გავაკეთეთ, აქ მჯდომმა თითოეულმა ადამიანმა. ეკონომიკას რაც შეეხება, მთელი რეგიონის მასშტაბით, საქართველოს აქვს ერთ-ერთი ყველაზე მაღალი მაჩვენებელი ეკონომიკური ზრდის და აქეთ მივექანებით“.

გორელმა ქალბატონმა, ნატო სუციშვილმა საზოგადოებას თავი ცნობილი „მარგალიტებით“ დაგვამახსოვრა. ამჯერად მიხეილ სააკაშვილზე საუბრისას განაცხადა:

„ადამიანს, რომელსაც დარღვეული აქვს 4 რამ, ფსიქოლოგიურად არ არის ნორმალური. მას ქვეყანა კი არა, 2 ბატი არ უნდა ანდო. ეს ისაა, რისგანაც სიამოვნებას იღებს ადამიანი, ჭამა, სექსი, შარდვა და დეფეკაცია. მე შარდვა და დეფეკაცია არ ვიცი, მაგრამ ჭამა არანორმალური ჰქონდა და მოარული ხმებით, მაგას სექსიც არ ჰქონდა ნორმალური“.

„გიორგი გუგავა ოლიგარქებისა და ქურდების დაუძინებელი მტერია... ოლიგარქის მოცილება ქართული პოლიტიკიდან უნდა დაიწყოს მცხეთიდან,“ — განაცხადა ლეიბორისტთა ლიდერმა, შპლვპ ნათიელაშვილმა, გიორგი გუგავას მერად წარდგენის დღეს. ამ გამოსვლას საინტერესო გაგრძელება ჰქონდა:

— ვინმე დაგჩაგრავს? გუგავა მოვა, თქვენ არ დაგჭირდებათ მისვლა. ავად გახდები? გუგავა მოვა, ბანკი მოვა გამოსასახლებლად?

რობინ ჰუდი სულელურად იქცემოდა. მდიდრებს ართმევდა და ღარიბებს აძლევდა. მერე ის ღარიბები ხდებოდნენ მდიდრები...

მა ვერ ჩააბარონ ეროვნული გამოცდები“. — ამბობდა განათლების ყოფილი მინისტრი, ალექსანდრე ჯეჯელავა.

წლის განმავლობაში ეს მისი ერთადერთი „მარგალიტი“ არ ყოფილა. ახალგაზრდული ორგანიზაციების მერვე ფორუმზე განაცხადა:

„რობინ ჰუდი სულელურად იქცეოდა. მდიდრებს ართმევდა და ღარიბებს აძლევდა. მერე ის ღარიბები ხდებოდნენ მდიდრები“.

9 500 პატიმარი. აი, აქეთ გავექანეთ ბატონებო. ციხეებში კვდებოდა 150 კაცი, ახლა 12 კაცი კვდება. აი, აქეთ გავექანეთ ჩვენ 2012 წელს. ქუჩაში ხალხს აღარ ხოცავენ, მომიტინგეებს აღარ არბევენ სასტიკი ფორმით — აი, აქეთ გავექანეთ ჩვენ 2012 წელს. ეს არის ყველაფერი, საითაც ყველა ერთად მივექანებით. მეტი დემოკრატია, გახსოვთ, რა ხდებოდა, როგორი იყო მაგალითად პარლამენტი,



ქალაქების დამტარებლად მყავდა საოლქო კომისიაში



აი, აქეთ გავექანეთ ჩვენ 2012 წელს



გუგავა მოვა, ნყალი გასკდება? გუგავა მოვა, გზა გაითხრება? გუგავა მოვა. რამე გაჭირვება გექნებათ? გუგავა მოვა...

ზაქარია ქუცნაშვილისა და თამაზ მეჭიაურის დაპირისპირება მთლიანად ერთი დიდი „მარგალიტი“ იყო.

ზაქარია ქუცნაშვილი:

„თამაზი ჩემს მზეს ლოცულობდა. ნათესაური კავშირი მე, როგორც მთიელს მავალდებულებს, ყველა მთიელზე ვიზრუნო. ბატონი ბიძინა ყოველთვის გვასწავლიდა, ყოველთვის მიეცით ადამიანს შანსი, რომ გზაზე დადგნენო. თამაზი ჩემს მზეს ფიცულობდა. ძალიან უყვარს ქეიფი. დღე და ღამე ჩემს სადღეგრძელოს სვამდა და შტაბის უფროსად გავამწესეთ, ჩემს მშობლიურ მთიანეთში“.

თამაზ მიჭიაური:

„მაგან კი არ მიმიყვანა, მე მივიყვანე პარლამენტში. 1995 წელს, როდესაც პირველად გავხადი პარლამენტარი. ქალაქების დამტარებლად მყავდა საოლქო კომისიაში და ისიც ბოლომდე ვერ მიიყვანა. მაჟორიტარ ფრაქციაში იმიტომ შევედი, რომ ოთხი კაციდან მაგისტრის იურისტის ადგილი გამეკეთებინა. ვახტანგ რჩეულიშვილს რომ დავუპირისპირდი, იქ გამყიდა და დაარქვეს „პავკა მაროზოვი“ მაგისტრის... ჯერ ერთი და სად მნახა მთვრალი? მე ქაიფიც ვიცი და „კაპოტზე“ მიქეიფია. დადიოდა და დაჭორობდა „კაპოტზე“ მოქეიფების დრო წავიდაო. ეგ კურდღელი, მთიელობას რომ იბრალებს, რისი მთიელია ეგ წარაკუა? ცუილა დაარქვეს მაგას თიანეთში, იმის გამო რომ შემოიპარებოდა და გაიპარებოდა“.

ელენე თიქველიანი:

— „...პატიმრობაში რომ ყოფილიყო, განსაკუთრებით — მარიონხუნაზე“.

ბიკა კორკოტაშვილი, მაკა რაზმაძეს:

„შენ მე რომ შეგხრა ახლა, არ გინდა? ნუგბარად რომ ჩავიკოკლოზინო“.

გობი ნუღლიანი:

„4 წელია ვიცი, რომ ჩემპიონატი უნდა ჩატარებულიყო ქუთაისში, 4 წელია ვიცი და ვერ მოაბენ ვერაფერს თავი. ფორსირებულად თლა თავის მოჭრა რომ არ გამოსულიყო, პირდაპირ ტალახზე დააგენ (აქ სავარაუდოდ ასფალტს გუ-

ლისხმობდა) და მოედანზე? ნაჭერი არ ყოთ. სახელმწიფოს დროები ადის ლამაზი, გაშლილი, დიდი. ჩვენი დროა ადის პატარ ბოვების კუტუსავით. ეს რა სირცხვილია, რა უბედურებაა. დრომა ვერ დაკიდენ ამ შობელძაღვლებმა“...

მისხილ საბაპაშვილი:

„ბინაში რომ შემოვარდნენ, ვუთხარი, შხაპი უნდა მივიღო, დამელოდეთ-თქო და დიდხანს ვიღებდი შხაპს. დამინყეს გარედან კაკუნი, ამიტომ ნელა ჩავიცვი და ამასობაში გააღეს კარი და შემომივარდნენ აბაზანაში. დამინყეს ხელების გადაგრეხა. მე ორ სპეცრაზმელს ხელი ვკარი და ორივე აი, აქ (აბაზანაში) ჩავტენე“.

ენძელა მატყაშვილი გიორგი კვიციანიშვილის ნიკა მელიასთან დაპირისპირებას ასე გამოეხმაურა:

„პირდაპირ ზიდან გამახსენეთ, ბატონო პრემიერო... ეს ალბათ საქართველოს ისტორიაში დარჩება ერთ-ერთ ღირსეულ ჩხუბად“.

ალბ მარშანი:

„...კიდევ ერთხელ და კიდევ ერთხელ ვრწმუნდები, რომ აბსოლუტურად ფუჭია ჩვენი აქ ყოფნა, პარლამენტი რომ შქვია და რით ვარ დაკავებული, მე ბოლომდე ვერ გავიგე“.

კახაბ კახიანი:

„დღეს, საღამოს 8 საათზე გვაქვს მთავარი ნაძვის ხის ანთების ცერემონია, სადაც ძალიან ბევრი ჩვენი თანაქალაქელი იქნება. გინვეთ თქვენც, ოპოზიციას, ბატონო ლევან (ხაბეიშვილს) და ისიამოვნეთ. სხვათა შორის, ერთი ადგილი ნაძვის ხეზე თქვენთვისაც გვაქვს შემონახული, ოღონდ პარლამენტის მხრიდან, უკნიდან“.

არ ვიცი, კაპო ბომბინი ნიკა მელიას თავზე თმას როგორ დაითვლის, ან ჩამოვარდნის საკითხს, როგორ გააკონტროლებს, მაგრამ გიორგი კვიციანიშვილის გასაგონად კი თქვა:

„თავზე თმა არ აქვს სამწუხაროდ, მაგრამ რაც აქვს, ერთი ღერიც არ ჩამოუვარდეს, იმიტომ რომ ბატონო პრემიერო, ვილაც პროვოკატორმაც რომ რამე ქნას, დაგბრალდებათ თქვენ“.

დაბოლოს, პოლიტოლოგ სოსო ტიხაძის მიხედვით „ბრძოლა“ ანდაზასთან: „რაც მოგივა დათაო ყველა... რაც მოგივა თავითა... იგივე თავიდან“...



ერთი ადგილი ნაძვის ხეზე თქვენთვისაც გვაქვს შემონახული



რით ვარ დაკავებული, მე ბოლომდე ვერ გავიგე



რაც მოგივა თავითა

მემაქასეზის გაჯანსაღების სენზორი

პოტენციის დაქვეითება, პროსტატიტი, ადენომა (ავთვისებიან გადაგვარებაზეც!) შარდვის პრობლემების: ნშირი და უნებლიე, შეკავება, შეუკავებლობა, წვა, ქავილი, ტკივილი. გაწმენდა ვირუსებისა და მიკრობების საგან. ასევე ალკოპოლიზმისა და ნარკომანიისგან საზღადაოდ, სწრაფად განთავისუფლება, დამოკიდებულების მოხსნა. „თეთრი ცხელების“, ნერვოზების, დეპრესიის, უძილობის, შიშების, აკვიატებების, აგრესიულობის, ტვინში სისხლმომარაგების მოშლის მკურნალობა. კუჭ-ნაწლავის მოწესრიგება, კოლიტი, ბუასილი, ღვიძლის გაწმენდა, ფუნქციის აღდგენა. გამოკვლევები და დიაგნოსტიკა უახლესი აპარატურით (უფასოა). ანონიმურობით. მყარი 100%-იანი შედეგით.

მის: ნაართლის 142, I სართული, VI კაბინაში
ტელ: 599 90-54-78, 234-02-38 თბი



სახე

ნინო ჯავახიშვილი

ჩვეულებრივი ბიჭი ვარ, სოფელში დაბადებულ-გაზრდილი. სწავლა გავაგრძელე თოიძის სამხატვრო სასწავლებელში, ხის მხატვრული ჭრის სპეციალობით — მეჩუქურთმე ვარ. ბავშვობიდანვე მომწონდა ჩხირკედელაობა და რაც კარგად გამომდიოდა, ის სპეციალობა ავირჩიე. ვფიქრობ, სწორი გადაწყვეტილება იყო.

— გიმუშავია პროფესიით?

— რამდენიმე კაცს საამქრო გვქონდა ნაქირავეები და ვაკეთებდით საძინებლებს, მისაღები ოთახისა და სამზარეულოს ავეჯს, მაგრამ შემოტანილი ავეჯი უფრო იყიდებოდა, ვიდრე ჩვენი ვაკეთებული. არ ღირდა წვალებად და თავი დავანებეთ. ახლა სახლში პატარ-პატარა ნაკეთობებს ვაკეთებ, ჩემს ქიას ვახარებ. ამ საქმეს სულ ვერ დავანებებ თავს, რადგან ძალიან მიყვარს, მსიამოვნებს და მამშვიდებს ხეზე მუშაობის პროცესი. სხვებს კი უკვირთ, რა ნერვები გაქვს, ერთი პატარა დეტალის ვაკეთებას ამდენ ხანს რომ უნდებო? მას მერე ოპერას უფრო მეტი დრო და ყურადღება დავუთმე, მხატვრობა და ხეზე ჭრა უკვე ჰობად მექცა.



მიყვარს, მსიამოვნებს და მამშვიდებს ხეზე მუშაობის პროცესი

„ლეიკემია აღმომაჩნდა — ჯოჯოხეთი იყო ის ერთი წელი, მტერსაც არ ვუსურვებ“

კახა ჭუმბურიძის პირადი ცხოვრება

„ნიჭიერის“ ფინალისტი, 31 წლის კახა ჭუმბურიძე ლაგოდენში, სოფელ ლელიანში დაიბადა და გაიზარდა. პირველ გადაცემაში მან საოპერო არია შეასრულა და იმდენად შთამბეჭდავად, რომ პირველი „ოქროს ლილაკიც“ დაიმსახურა. ბოლო 4-5 წელია, რაც ხალხური სიმღერა ოპერამ ჩაანაცვლა და ადრე თუ სერენადებს უმღეროდა სატრფოს, ახლა არიებით ანებივრებს. სწორედ ოპერისა და ბალეტის თეატრთან დამითქვა შეხვედრა და განვლილ ცხოვრებასა და სამომავლო გეგმებზე მესაუბრა.



ემოციების გამოხატვა აღარ შემეძლო, დავმუნჯდი, შოკში ვიყავი...

— სიმღერაც შენი ჰობია?

— ბავშვობიდან ვმღეროდი. მამა სამარშრუტო ტაქსის მძღოლია, დედა საბავშვო ბაღის პედაგოგი, თუმცა ორივე სიმღერაზეა შეყვარებული. მამა ხალხური სიმღერების ანსამბლის წევრი იყო ლაგოდენში. სუფრა ისე არ ჩაივლიდა, რომ მის სამეგობროს არ ემღერა. დედაც ახერხებს სიმღერას, ბაბუა შესანიშნავად ასრულებდა ხალხურ სიმღერებს და ალბათ, მეც გენებში მაქვს ეს სიყვარული. ერთხანს ანსამბლ „ილორის“ წევრი ვიყავი. ეს ბოლო წლებია, რაც ოპერას უფრო მეტი ყურადღება დავუთმე და ვნანობ, რომ დაგვიანებით. კონსერვატორიაში ჩაბარება მიწოდდა, მაგრამ 31 წლის კაცს, რომელსაც ცოლ-შვილი ჰყავს შესანახი, ძალიან დიდ დროს წამართმევდა სწავლა და გადავიფიქრე. დედაჩემის დიდი დამსახურებაა ჩემი ოპერით გატაცება. ტელევიზორში ყოველთვის უსმენდა და მეც მეძახდა: უსმინე, რა კარგად მღერისო. მეც მომეწონა და შევიყვარე. თავიდან თუ დედამ ითამამა დიდი

როლი, მერე უკვე თვითონაც მომინდა, ამ სფეროში ძალები მომესინჯა და დიდი წარმატებისთვის მიმეღწია. ისე არ გათენდება და არ დაღამდება, რომ ოპერას არ მოვუსმინო, ძალიან მამშვიდებს. ამ ყანოს თავისი მსმენელი ჰყავს და როდესაც „ნიჭიერში“ უნდა გამოვსულიყავი, მეშინოდა, არ ვიცოდი, როგორ მიიღებდა მსმენელი. გამიკვირდა, ბავშვებიც კი დიდი ოვაციებით რომ შეხვდნენ ჩემს გამოსვლას.

— ე.ი. მოულოდნელი იყო ასეთი წარმატება?

— ნამდვილად არ ველოდი ასეთ ოვაციებსა და აღიარებას. ვფიქრობდი, თუ კარგად ვიმღერებ, გადამიყვანენ-მეთქი შემდეგ ტურში, მაგრამ ოქროს ლილაკი?! საოცრება იყო... ლილაკს რომ აჭერ, რაღაც სკდება და უცებ შემეშინდა, ავიხედე ზევით და ბრჭყვიალა რაღაცები რომ ჩამოცვივდა, მაშინ მივხვდი, რაც ხდებოდა ჩემს თავს. ემოციების გამოხატვა აღარ შემეძლო, დავმუნჯდი, შოკში ვიყავი...



— თანასოფლელები როგორ შეგხვდნენ გამარჯვებულს?

— ყველას ძალიან გაუხარდა და მილოცავდნენ. მეუბნებოდნენ, რომ გნახეთ, სიხარულის ცრემლები მოგვდიოდაო. ჩემი მეუღლე და ახლობლები ხშირად მთხოვდნენ, რომელიმე პროექტში მიმელო მონაწილეობა და ახლა მეუბნებიან: რომ გირჩევდით, რატომ არ გვიჯერებდით? მეც მინდოდა გამოსვლა, მაგრამ „პრიკოლებში“ მოხვედრის შემინოდა. ვფიქრობდი: ვაითუ, ნერვიულობისგან ან საერთოდ ვერ ამოვილო ხმა და ან საშინლად ვიმღერო, ქუჩაში სირცხვილით როგორღა გამოვიდე-მეთქი? მზად არ ვიყავი და როდესაც საკუთარ ძალებში დავრწმუნდი, გავრისკე კიდეც. გახარებული და ბედნიერი ვარ, ხალხის სიყვარული რომ მოვიპოვე და მათი რჩეული გავხდი. ეს სულ სხვა პასუხისმგებლობაა და არ მაქვს უფლება, მათ იმედი გავუცრუო. ასმაგი შემართებით მივინწაფივარ გამარჯვებისკენ...

— ვიცი, რომ ძალიან რთული პერიოდი გქონდა — 15 წლისას ლეიკემია აღმოგჩნდა...

— ამას წინათ გურჯაანში ჩატარდა საქველმოქმედო ღონისძიება ლეიკემიით დაავადებული ბავშვების დასახმარებლად, მეც ვმონაწილეობდი. იქ ერთი 15 წლის ბიჭიც იყო და გონებაში ყველაფერი ამომიტივტივდა. მეც 15 წლის ვიყავი, როდესაც ეს დაავადება აღმომაჩნდა. ჩვეულებრივ ვცხოვრობდი, ვერთობოდი მეგობრებთან ერთად, დავდიოდი სკოლაში და ერთ დღეს საოცრად მოზღვავებული ენერგია ვიგრძენი. თურმე ლეიკოციტები დასაშვებ ნორმას 5-6-ჯერ აღემატებოდა. ერთი დიდი მანქანა შემა ერთ დღეში დავჩრებ ისე, რომ არ შემისვენია. მაშინ მალარია იყო გავრცელებული და გვეგონა, მეც ეს დაავადება მჭირდა. 2-3 დღეში ხომ ნავალთ-მეთქი საავადმყოფოდან? — ვეკითხებოდი დედას, მაგრამ ანალიზებმა აჩვენა, რომ ლეიკემია მქონდა. გავიდა დღეები, კვირები, თვეები და მეც ნელ-ნელა შევეგუე ჩემს მდგომარეობას. ქიმიის სამი ეტაპი ჩავიტარე. პირველი ეტაპის შემდეგ ისეთი გამოფიტული და დაუძლურებული ვიყავი, სიარულიც კი არ შემეძლო. მახსოვს, ერთხელ ტელეფონი რეკავდა და ერთი ნაბიჯი გადავდგი თუ არა, წავიქეცი. მამა რეკავდა თურმე... მეორე ეტაპზე სპეციალური სავლები უნდა გამოგველო, პატარა ბავშვები

ჯიუტობდნენ და ყველაფერს წესისამებრ არ აკეთებდნენ. ზოგს ტუჩები ჰქონდა ერთმანეთზე დანებებული დამწვრობისგან. მე უფრო დიდი ვიყავი და ვუჯერებდი ექიმებს. მთვე იშვილის კლინიკაში ვინეცი და ბოლოს, დასხივებაზე გერმანიაში გავგვზავნეს. მერე და მერე უფრო ვიარბებდი, რაც მაშინ გადავიტანე. ჯოჯოხეთი იყო ის ერთი წელი, საშინელება, მტერსაც არ ვუსურვებ... ვნატრობდი: ღმერთო, ოღონდ აქედან გამიყვანა-მეთქი... 5 წელი დიეტაზე ვიყავი. ახლა მირეკავენ და მეუბნებიან, რომ ლეიკემიას ისინიც ებრძვიან და რომ ჩემი მაგალითი და წარმატება მათ უდიდეს ძალას და სტიმულს აძლევს, რაც ძალიან მახარებს. ჩემი სურვილიც ეგ არის, რომ გავამხნევო და ბრძოლისუნარიანობა შევმატო მათ; მინდა, ამ ბავშვებს მეტი ყურადღება დაუთმო და შეძლებისდაგვარად დავეხმარო; მინდა, დიდ წარმატებას მივალწიო, რომ შევძლო მათთვის მეტის გაკეთება. ჩემი „ნიჭიერში“ მონაწილეობის ერთ-ერთი მიზეზიცა და მიზანიც სწორედ ეს არის...

— ახლა შენს ოჯახზეც მითხარი რამე?

— მეუღლე — მარეხ ჩალაძე წარმოშობით რაჭველია, პროფესიით ექთანი. 2 გოგონა გვყავს — 3 წლის ელენიკო და 5 თვის მარიტა. მარეხი 5 წლის წინ რუსთავეში, ნათესავის ოჯახში გავიცანი და ძალიან მომეწონა. ერთი წელი ვხვდებოდით ერთმანეთს და მერე დავექორწინდით. ის ერთი წელი კი მართლაც ძალიან დამტანჯა. ბოლო თვეები ვეხვეწებოდი: ნამომყევი, დავექორწინდეთ, რაღას ველოდებით-მეთქი? მე 27 წლის ვიყავი, მარეხი — 23-ის. არც ისე პატარები ვიყავით, დრო კიდე რომ გავგვეწელა. ძალიან კარგი იყო შეყვარებულობის პერიოდი და მარეხი დღემდე ნანობს, რატომ კიდე დიდხანს არ გავაგრძელებთო?

— მოსწონდა, რომ განვალებდა? ალბათ რომანტიკულიც იქნებოდი, რაკი ასე მისტირის იმ პერიოდს.

— ალბათ, მართლა მოსწონდა ჩემი ნვალეობა, მაგრამ დრო აღარ ითმენდა. უზომოდ რომანტიკული არ ვიყავი, თუმცა სერენადაც კი მიმღერია მისთვის, რაც გადამწყვეტი აღმოჩნდა მარეხის გულის მოსაგებად.

— სერენადებს თუ უმღეროდი, მონატრება ის დრო, აბა, რა იქნება?

— (იციხის) ახლა არიებს არ ვუმღერო? თანაც, ყოველდღე... სხვათა

შორის, ჩემს უფროს გოგონას ძალიან მოსწონს ოპერა. როდესაც რეპეტიციას გავდივარ სახლში, გამორბის, წინ დამიჯდება და სულგანაბული მისმენს. პატარას კი ეშინია და ტირის — ალბათ ჰგონია, რომ ვუყვირი.

— დაბოლოს, როგორია შენი სამომავლო გეგმები?

— მინდა, ერთხელ კიდევ გადავუხადო მადლობა ჩემს გულშემმატკივარს, მათგან უზომოდ სიყვარულსა და სითბოს ვგრძნობ და ეს ძალიან მამბედნიერებს. საოცრებები ხდება



ერთი წელი ვხვდებოდით ერთმანეთს და მერე დავექორწინდით

ჩემს ცხოვრებაში... ვერასდროს წარმოვიდგენდი, რომ სიმღერა ამხელა პოპულარობასა და სიყვარულს მომიტანდა! ოპერის სოლისტობაზე ვოცნებობ, პატარა-პატარა შემოთავაზებები უკვე არის და ვნახოთ, „ნიჭიერის“ შემდეგ რა იქნება. მინდა ოპერის სცენაზე დავდგე და იქიდან მოვეფერო ჩემს ხალხს!

კვალ-სახსართა პრობლემა

კოქსარტოზის, ოსტეოქონდროზის, ოსტეოპაროზის, ოსტეოართროზის, რევმატოიდული არტროზის, ანკილოზიზური სპონდილიტის, პოდაგრული არტრიტის, პოლიართრიტის მკურნალობა. დაზიანებული ხრტილისა და გაცვეთილი ძვლის სტრუქტურის აღდგენა, სითხის დაბალანსება სახსარში, ტკივილების მოხსნა, ნერვული სისტემისა და ძვლის მოწესრიგება. მკურნალობა საოპერაციო და ნაოპერაციო სახსრებზე ძვლის მკვებად, ცენტრული პრეპარატებით, წონის დარეგულირებით, იმუნოტეტის გაძლიერებით. სისხლის მიმოქცევის აღდგენით, მარილების, შლაკებისა და ქოლესტერინისაგან გაწმენდით. უკუჩვენება არაა. შედეგები საუკეთესო და მყარი.

ტელ: 599 91-37-65 ქ-61: ქაითორ



დღესასწაული, როცა თითქოს ყველა ერთი ასაკის ხდება...

ახალი წელი ბავშვობაში და დღეს...

ახალი წლის შესახებ ცნობილი ადამიანები, ბავშვობის დროინდელ და ცხოვრების სხვადასხვა პერიოდის მოგონებებს გვიზიარებენ. ზოგი მათგანი კი დღევანდელ განწყობაზეც გვესაუბრება.

ნაწელი გომიკიჰვილი

რატომ არ აღნიშნავდნენ დაბადების დღეს ჩარაკვიანების ოჯახში ბელა ჩარაკვიანი:

— ჩვენი ოჯახისთვის ახალი წელი ყოველთვის იყო და დღესაც არის ყველაზე მნიშვნელოვანი დღესასწაული. საშინელი ახალი წელი გავატარებთ სამოქალაქო ომის დროს, როცა მე და ნანა ინგლისში ვიყავით, ბავშვები — თბილისში. ჩვენ კი შევხვდით ახალ წელს, მაგრამ თვალისუფლებით ტელევიზორისკენ და ყური — რადიოსკენ მქონდა, რა ხდება თბილისში-მეთქი? ახალ წელს მხოლოდ მაშინ შევხვდი სხვაგან. საერთოდ ყოველთვის ვცდილობდი, სახლში ვყოფილიყავი. ახალი წელი ბავშვობიდან ძალიან მიყვარს და რატომ? დავიბადე და ვიზრდებოდი მთავარი კომუნისტის, რესპუბლიკის პირველი პირის ოჯახში, სადაც მხოლოდ საბჭოთა დღესასწაულებს — პირველი მაისი, 7 ნოემბერი — აღნიშნავდნენ. დაბადების დღეებს არ გვიმართავდნენ, რადგან ეს ითვლებოდა წვრილბურჟუაზიული მეშჩანური

ყოფის გადმონაშთად (იციინის). რა არის მეშჩანური ყოფა? საჩუქრების მიცემა, სახლში იადონი რომ გყავს გალიაში, თუ გაქვს პატარა-პატარა „სტატუეტკები“... ფაქტობრივად, ისე გამოდიოდა, რომ ჩვენთვის ერთადერთი დღესასწაული ახალი წელი იყო. დიდ ნაძვის ხეს მოიტანდნენ და მას ჩვენ თვითონ ვრთავდით, ეგეთი სიამოვნება ბავშვობიდან არ მახსოვს. გვყავდა ასევე, ძალიან დიდი თოვლის ბაბუა და რასაკვირველია, ახალი წლის დილას გვჩუქნიდნენ საჩუქარს, რომელიც არ ითვლებოდა მეშჩანობად. ბავშვობის სათამაშოებიდან არაფერი შემერჩა. სათამაშოები კი მართლაც საუკეთესოები და ულამაზესები მქონდა. დღეს რომ ამბობენ, მაშინ სადაც ცხოვრობდნენო, არ არის მართალი. მაღალი თანამდებობის პირები ისე ცხოვრობდნენ, როგორც ეკადრებოდათ, ანუ რასაც გულისხმობდა მათი სტატუსი. მახსოვს, წარმოუდგენლად ლამაზი ელექტრომატარებელი მქონდა, რომელიც ძალიან მიყვარდა, ის მთელ ოთახში დადიოდა.

ჩემი შვილები — ირაკლი და თეონა როცა დაიბადნენ, მათთვის თოვლის ბაბუის როლს ჩემი ერთ-ერთი მეგობარი ასრულებდა. თავიდან ბავშვებს ნამდვილი თოვლის ბაბუა ეგონათ. ვინ არისო? რომ მეკითხებოდნენ, რა ვიცი-მეთქი, — ვუბნებოდი. ჩემი შვილიშვილი, პატარა ნანა, წლების მანძილზე სანტა კლაუსს ინგლისურად სწერს, რა უნდა საჩუქრად. სანტას საჩუქარი მე უნდა ვიყიდო, რაც ზოგჯერ საკმაოდ ძვირია (იციინის). ამას წინათ, ერთ-ერთი წინა წლის წერილი ვნახე და მის არქივში ჩავდე. ნანა ლონდონში სწავლობდა, სკოლაში იქ შევიდა და ამიტომ აქვს სანტა კლაუსი გამჯდარი.

ჩვენ ტრადიცია გვაქვს — 3 დღე ზედიზედ ვქეიფობთ და არ გაგვიცდენია არც ერთი ახალი წელი. პირველ იანვარს ყოველთვის ვიკრიბებით ოჯახის წევრები, შვილიშვილები, ერთი ან ორი ისეთი

ადამიანი, რომელიც რალაცით არის დაკავშირებული ჩვენს ოჯახთან. მაგალითად, ქალბატონი ნანდა ნიკოლაიშვილი, რომელმაც გამაცნო ჩემი ნანა. ის მეუღლესთან ერთად მოდიოდა ხოლმე, რომელიც სამწუხაროდ, გარდაიცვალა და ახლა, ნანდა მარტო მოდის. ჩემთვის მნიშვნელოვანია, რომ იმ სამი დღის განმავლობაში, აქ მოხვდეს ყველა უახლოესი ადამიანი. ძალიან გადაღლილი ვარ და პირველად დავფიქრდი, შევძლებ თუ არა ამას? უნდა შევძლო, ტრადიცია ტრადიციაა! მისი დარღვევა ნიშნავს, რომ საქმე უკვე ცუდადაა (იციინის).

საახალწლო გადაცემა ბია აბესალაშვილი:


— მე, გოგა პიპინაშვილი და ჩვენი პატარა ჯგუფი „არტ სტუდიო“ იბერეზიაში ვმუშაობდით. ერთხელ 29 დეკემბერს დაგვავალეს, რომ 31-ში ერთსაათიანი გადაცემა უნდა გვქონოდა, თუ არადა, დავტოვებდით ტელევიზიას. გოგას ვუთხარი, ვიცი, რაც უნდა გავაკეთოთ-მეთქი. წავედით ჩემთან სახლში, მარნიდან ავიღე 20-ლიტრიანი კასრი, მიკროფონს ჩვენი ჯგუფის წარწერიანი ღრუბელი ჩამოვაცვი (თვითონ გავაკეთე) და ქუჩაში გავედით. გავაჩერებდით ვინმე კარგ ტიპაჟს, მივანვდიდი პატარა ყანწით ღვინოს და ვეტყვოდი, — „დაილოცე, ხალხს მიულოცე ახალი წელი!“ ასე შევაგროვეთ ახალი წლის სადღეგრძელოები მე და გოგამ. თუმცა, მარტო ქუჩის ამბებით არ დავკმაყოფილდით. წავედით სამშობიაროში, მივადექით ექიმს, რომელიც ჯერ კიდევ სახეს ინმენდდა და მივანოდე ყანწი: „ვინ დაიბადა, აბა, დალოცეთ!“ აქ ვინ შემოუშვა ესენიო? — კაცი გაგიჟდა. ისე გავთავხვედით, რომ მილიციამ იცოცხლა. მილიციის უფროსი ზის დიდი ამბით. რა ხდებაო? გვკითხა, ბოცით რომ დაგვინახა. — „ახალი წელი მოდის და მიულოცე შენს ახლობლებს, მეგობრებს, ქართველებს, არაქართველებს“. — აა, ძაღლის წელი მოდის და იმიტომ შემოხვედით, არა? კარგი, აბა, გაგიმარჯოთო... იქ ვილაცხა, კამერაში იჯდა. იმ პატიმარს შეიძლება, დავალევიანო-მეთქი? (იციინის). ღვინო არ შეიძლებაო, — გვითხრა, მაგრამ მერე დაგვრთო ნება. პატიმარს გისოსების აქედან ვუჭახუნებდით, მალე გამოსვლა ვუსურვეთ...



ჩვენი ოჯახისთვის ახალი წელი ყოველთვის იყო ყველაზე მნიშვნელოვანი დღესასწაული



გისოსების აქედან ვუჭახუნებდით, მალე გამოსვლა ვუსურვეთ...



სულ მგონია, რომ ახალი წელი ბავშვობის გაგრძელებაა



ახალ წელს, იშვიათი გამონაკლისის გარდა, სახლში ვხვდები

2000 წელი...

მანანა სურმაძე:

— ამ დღესასწაულის მიმართ დღემდე განსაკუთრებული განწყობა მაქვს. ახალი წელი ის დროა, როცა შენ ქმნი იმ ატმოსფეროს, სადაც ზღაპრული სამყარო რეალობა ხდება. მთელი წლის მანძილზე ეს ერთადერთი მომენტი, როდესაც მირაჟი ხელშესახებია და ამაში ჩართულია შენი ტვინი, სული, გული და ყველაფერი, ასევე გარშემო მყოფი ადამიანები. ასეთი განუმეორებელი და განსხვავებული დღესასწაული როგორ შეიძლება, არ გიყვარდეს? სულ მგონია, რომ ახალი წელი ბავშვობის გაგრძელებაა, აქ უფროსებიც მეორდებიან თავიანთ ბავშვობაში, საჩუქრებს უძღვნიან პატარებს. გაიგივება ხდება — თითქოს ყველა ერთი ასაკისაა და ერთნაირად უხარიათ.

ბავშვობაში ჩემი ახალი წელი ყოველთვის დღესასწაული იყო, სადაც იყვნენ მშობლები, ბებიები, მათი მეგობრები. გახარებული ადამიანების ეს დიდი სივრცე ზღვა სიკეთეს იტევდა და გასცემდა. აქ ვინ რა პროფესიისა იყო, არ ჰქონდა მნიშვნელობა, აღმაფრენას ყველა ერთნაირად განიცდიდა, ყველა ერთმანეთს ანებივრებდა. ერთხანს ბებიასთან ვცხოვრობდი ოპერის უკან. არ დამავინწყდება, ვეებერთელა ნაძვის ხე იდგა იმ ოთახში, სადაც მეძინა.

თეატრში საახალწლო სპექტაკლები პირველ ან ორ იანვარს რომ ინიშნებოდა მაშინ რუსთაველის თეატრში ვიყავი და მახსოვს, დილაუთენია „მერი პოპინისი“ უნდა გვეთამა-

შა. მსახიობების უმრავლესობა გამოუძინებელი და ნაბახუსევი იყო, მაგრამ ამასაც თავისი ხიბლი ჰქონდა. განსაკუთრებულად 2000 წლის ახალი წელი მახსენდება. რა საოცრება იყო, ათასწლეული შეიცვალა. ჩემი მეგობრები: თეონა ჯაფარიძე, ნინო კოპაძე და მე თავისუფლების მოედანზე შევხვდით ახალ წელს. მაშინ ქუჩაში ბევრი ნაცნობი ვნახე, მიუხედავად იმისა, რომ მგონი, კონცერტიც არ ტარდებოდა. ახალი წელი კიდეც იცით, რატომ მიყვარს? ზოგჯერ 30 დეკემბერია და ვერ გრძნობ მის მოახლოებას. აი, უკვე კარს მოადგა და ისევ ვერაფერს გრძნობ, მაგრამ ბოლოს გაჯობებს და მაინც თავის ჭკუაზე გადაგიყვანს!

31 დეკემბერს ზაპანა (დაპით) სურცილაძე:

— ახალი წელი საოცარი შეგრძნებაა, იქვეა შობა. შობა-ახალი წელი ბავშვობაში უფრო ტკბილია. ცოტა უცნაური და მისტიკურია ის მოგონებები. მახსოვს პირველი ნაძვის ხის აწყობა. ერთ წელს, 29 დეკემბერს, ძალიან საყვარელი ბაბუა დავითი გარდამეცვალა, ვისი სახელიც მქვია. მაშინ 5 წლისა ვიყავი, ცუდი ახალი წელი გვქონდა. ბაბუის სახელი არ შემრჩა — ჯაპანას მეძახიან. გამზრდელი ბებია იყო 31 დეკემბერს დაბადებული და ორმაგად მიხაროდა ახალი წლის დღესასწაული. კარგად მახსოვს ერთი სათამაშო — ეტილიანი ცხენი მიყიდეს. ცხენზე (სკამი ჰქონდა) ვჯდებოდი, ფეხებს როგორც ველოსიპედზე, ისე ვამოძრავებდი

და დამყავდა. მახსოვს ახალი წლის სამზადისი: იყო ლიმონათზე გაგზავნა, ხაჭაპურების ცხობა, გოჭის შეწვა „დუხოვკაში“... სუფრასთან მიტანამდე კუდის მონიწკვნა გოჭზე, შეიძლება ყურისაც. ამას მოჰყვებოდა დატუქსვა...

ერთ ახალ წელს, 31 დეკემბერს ლონდონში ბიგ-ბენტან, მსოფლიოს პირველ საათთან შევხვდით მარჯანიშვილის თეატრის რამდენიმე მსახიობი. ინგლისში მიწვეულები ვიყავით სპექტაკლით „როგორც გენებოთ“. ხალხი მღეროდა, ყვიროდა, დიდი აურზაური იყო. ამ განკრიალებულ ლონდონში უამრავი შამპანურის ბოთლი ეყარა. ყველაფერზე გვეპატიჟებოდნენ, სასმელიდან დანყებულნი, ნარკოტიკით დამთავრებული. ბიგ-ბენტან დილის 5 საათამდე დაყავით, მერე დავბრუნდით სასტუმროში.

ამჟამად ჩართული ვარ საახალწლო პროცესებში, ხორცთან დაკავშირებული ამბები მეხება. ვთვლი, რომ გურმანი ვარ და თავადაც ვამზადებ ხორციან კერძებს. ქალებს ვეხმარები ხოლმე, გოზინაყისთვის ნიგოზი დამიჭრია. ახალი წელი ახლოვდება და ქუჩაში გასვლა საცობებისა და რიგების გამო მეზარება. ჩვენ არც ამდენი ასაფეთქებლები გვქონდა, დღეს არანორმალური სიტუაციაა ამ მხრივ. ახალ წელს, იშვიათი გამონაკლისის გარდა, სახლში ვხვდები, მერე არის გასვლები მეგობრებთან, ჩემს დასთან — დოდოშკასთან, ცოლოურებში. ერთი სიტყვით, მისვლა-მოსვლა მიდის, რა! უკვე დილისკენ კი მივამურებ ლოგინს.



პირველი ახალი წელი
ახალ ბინაში

ნიკა კუჭავა:

— ახალი წელი ბავშვობაში ყველაზე დიდი ზღაპარი და დღესასწაული იყო. ოჯახის ყველა წევრი ახალი წლის შემოსვლას, აუცილებლად სახლში და მთელი რიტუალებით ვხვდებოდით. არ მახსენდება არც ერთი ახალი წელი, რომელიმე ოჯახის წევრი რომ ჩვენ გვერდით არ ყოფილიყო. სხვათა შორის, თოვლის ბაბუისაც დიდხანს მჯეროდა. 12 წლისა ვიყავი, როცა ერთხელ ჩემმა მწვრთნელმა მითხრა: გიჟი ხომ არა ხარ? საქართველოს ჩემპიონი გახდი (ჩოგბურთს ვთამაშობდი) და თოვლის ბაბუის გჯერაო? კარგა ხანს მეგონა, რომ თოვლის ბაბუა არსებობდა. მას წერილებს ვწერდი, ვუბატავდი რაღაცებს, ვეხვეწებოდი, რომ წერილზე ხელი მოენერა...

ერთხელ უკრაინაში, ოდესაში ახლობლის ოჯახში შევხვდი ახალ წელს. ის დღე არაფრით გამოირჩეოდა. მახსოვს, მეორე დღეს ქალაქის ცენტრალურ ქუჩაზე — დერბასოვსკაიაზე გავვდივით, სადაც მთელი ამბავი ხდებოდა, საოცარი ზეიმი იყო.

ახალი ბინა მაქვს და პირველად უნდა შევხვდე იმ სახლში ახალ წელს, ამიტომ ჩემებს — დებს და სიძეებს ვთხოვე, ჩემთან შევხვდეთ-მეთქი და დამეთანხმნენ. თუ ლამის 2-3 საათზე დავიშალეთ, შეიძლება მეგობრებთან წავიდე, მაგრამ არა მგონია, პირველი იანვარს ვერ მოვახერხებ. რესტორანი არ მიყვარს, ოჯახური სიტუაცია მირჩევნია.



კარგა ხანს მეგონა, რომ თოვლის ბაბუა არსებობდა

პირველი ახალი წელი ერთად
— ცოლ-ქმრის ამპლუაში

2017 წელს დაქორწინებულების LOVE STORY

მოგესხნებათ, ოჯახის შექმნა ძალზე საპასუხისმგებლო გადაწყვეტილება გახლავთ. ზოგს რამდენიმე დასრულებული ქორწინება აქვს „ანგარიშზე“ და ჭეშმარიტი მეორე ნახევრის პოვნის იმედს მაინც არ კარგავს — კვლავ სიყვარულის ძიების პროცესშია, ზოგს კი ოჯახის შექმნის ისე ეშინია, რომ უცნაური შიშების გვერდით, ფობიების სიაში გამოფობიასაც (ქორწინების შიში) ნახავთ... მოკლედ, გადავწყვიტეთ, იმ ცნობილი ადამიანების ამბები მიმოვიხილოთ, ვისაც 2017 წელს პირად ცხოვრებაში გაუმართლა და მეორე ნახევარი იპოვეს, ზოგმა უკვე — მეორედ, მესამედ...

ეთო ყორღანაშვილი

ულამაზესმა ბალერინამ — თათა ჯაშმა და პროფესიით არქიტექტორმა გიორგი ბარნაბიშვილმა წელს იქორწინეს. წყვილმა ერთმანეთი სატელევიზიო პროექტის — „შენ შეგიძლია ცეკვა“ მსვლელობის პერიოდში გაიცნო. მაშინ გიორგი ტელეკომპანია „იმედის“ მთავარი მხატვარ-დიზაინერი გახლდათ, თათა კი შოუს ნარმატებელი მონაწილე იყო. ბალერინას აზრით, მათ ურთიერთობას განუმეორებელს ის ფაქტი ხდის, რომ გიორგის თავისი რჩეული ჯერ კიდევ 6 წლის წინ დაუნახავს და მას შემდეგ, გონებაში ჩარჩენია. წლების მერე, წყვილი ბედმა ერთმანეთს ისევ შეახვედრა და ამჯერად, მათი რომანი ბედნიერი ქორწინებით დაგვირგვინდა...

თათა ჯაშმა:

— მეუღლის ამპლუაში თავს შესანიშნავად ვგრძნობ — იმაზე უკეთ, ვიდრე წარმომედგინა. პირველი ახალი წელია, რომელსაც მე და გიორგი ცოლ-ქმრის ამპლუაში ვხვდებით. რომ გითხრათ, წინასწარსააღწოდ დიდი სამზადისი გვაქვს-მეთქი, მოგატყუებთ — ჩვენი მშობლები უფრო ემზადებიან, რომ დღესასწაული მოგვიწყონ (იღიმის)... მე და გიორგი ცალკე ვცხოვრობთ. სიმართლე გითხრათ, მეგონა, დიასახლისობის მორგება გამიჭირდებოდა, მაგრამ ადვილი ყოფილა — პროფესიას კარგად შევუთავსე და სახლის საქმეებს სიამოვნებით ვაკეთებ... მიუხედავად იმისა, რომ შარშან ამ დროს მე და გიორგი უკვე ერთად ვიყავით, ვერ წარმოვიდგენდი, რომ ზუსტად 1 წლის შემდეგ, ასეთ სიტუაციაში — დაოჯახებულები ვიქნებოდით. ჩვენი ურთიერთობა კიდევ უფრო პოზიტიური გახდა. შემიძლია, თავი-



ჩვენი ურთიერთობა კიდევ უფრო პოზიტიური გახდა

სუფლად ვთქვა, რომ გიორგი იდეალური ქმარია.

ალბათ, პატარა მომღერალი — ზუკა ხუციშვილი (გიო ხუციშვილის შვილი) ბევრს ახსოვს. წლების მერე, ზუკა საგარეო საქმეთა სამინისტროში მუშაობს და ფაქტობრივად, სიმღერას ჩამოშორდა, თუმცა დიდი სურვილი აქვს, იმ ადამიანებისთვის, ვისაც მისი სიმღერები ახსოვს და უყვარს, საღამო მონაწყოს. წელს ზუკას პირად ცხოვრებაშიც სასიამოვნო სიახლე მოხდა: მან ჯერ კიდევ 2017 წლის დასაწყისში მიღებული გადაწყვეტილება წარმატებით განახორციელა და საყვარელ ადამიანზე იქორწინა...

ზუკა ხუციშვილი:

— ძალიან კარგია, როცა გვერდით საყვარელი ადამიანი გყავს. ნელ-ნელა ერთმანეთს ვეჩვენებთ, ყველაფერს სიყვარულითა და გაგებით



ახალი წელი იმაზე ფიქრით დავიწყე, თუ როგორ შევქმნიდით ოჯახს

ვეკიდებით. ერთმანეთის ნაკლიც გვიყვარდება და დადებითი თვისებებიც. ოჯახურ ცხოვრებაში მთავარი ეს არის. რა თქმა უნდა, ადამიანს ბოლომდე ვერასოდეს გაიცნობ, ვიდრე ერთად ცხოვრებას არ დაიწყებთ. ბევრი სიახლე სიურპრიზიც არის, მაგრამ ეს ცხოვრების ერთ-ერთი დიდი ნაწილია. ცხადია, ოჯახურ თანაცხოვრებას გარკვეული სირთულეები — წვრილმანები ახლავს, მაგრამ სერიოზული არაფერი ყოფილა. კამათი ჯანსაღი ურთიერთობის წესია, რათა გაიგო, შენს მეორე ნახევარს რა მოსწონს, ერთმანეთს ხელი შეუწყობ და კომპრომისზე ნახვიდეთ. მე და ჩემი მეუღლე ერთმანეთს თითქმის მთელი ცხოვრებაა, ვიცნობთ — კლასელები ვიყავით. ბოლოს აღმოჩნდა, რომ მხოლოდ ჩემი კლასელი და მეგობარი კი არა, მეორე ნახევარიც არის (ილიმის). სხვათა შორის, სოციალურ ქსელებში რამდენჯერაც ჩვენ შესახებ დანერგეს, მისი გვარი ყოველთვის არასწორად ეწერა: ხან „მანიაშვილი“ იყო, ხან — „მანეჟაშვილი“, რაზეც ძალიან ვხალისობთ (იციინის). სინამდვილეში, ჩემი რჩეული ქეთუშა მანიჟაშვილი გახლავთ. პროფესიით იურისტი.

— 2017 წლის დასაწყისში წარმოიდგენდით, რომ დაოჯახდებოდით?

— სხვათა შორის, კი, რადგან 31 დეკემბერს ხელი ვთხოვე. ქორწილი აპრილში გვექნა. ასე რომ, შარშან ახალი წელი იმაზე ფიქრით დავიწყე, თუ როგორ შევქმნიდით ოჯახს.

— ცოლობაზე 31 დეკემბერსვე დაგთანხმდათ?

— კი, მიუხედავად იმისა, რომ ვნერვიულობდი. თან, გრანდიოზული ამბავი მოვანყვე: ყველა მეგო-

ბარი დავპატიჟე და სიურპრიზი გავუკეთე. უხერხული იქნებოდა, ქეთუშას ცოლობაზე უარი რომ ეთქვა (იციინის).

— ანუ სხვა გზა არ დაუტოვეთ?

— კი, მგონი, ცოტა უხერხულადაც იგრძნო თავი. მეგობრებთან ერთად, ფაქტის წინაშე დავაყენე, რომ უარი არ ეთქვა (ილიმის)... ცხადია, ვხუმრობ. როცა იცი, რომ ადამიანი „შენია“, მისგან პასუხს წინასწარ გრძნობ...

— ცოლ-ქმარი ახალი წლის შესახებ დროად როგორ ემზადებით?

— სხვათა შორის, სამზადისი ჯერ არ დავიწყებია. სახლიც უნდა გავალამაზოთ. ვგეგმავთ, 31 დეკემბრის ღამე როგორ გავატაროთ...


„ჩემი ცოლის დაქალების“ მსახიობმა — ნინი ოკუჯავამ და პროფესიით იურისტმა იკა კორსაველმა ერთმანეთი 4 წლის წინ გაიცნეს. შეხვედრაც მალე დაიწყეს, მაგრამ მერე იკამათეს და დაშორდნენ. 2 წლის შემდეგ, ერთმანეთს შემთხვევით, ბათუმში შეხვდნენ და ურთიერთობაც აღადგინეს, 2017 წელს კი ოჯახი შექმნეს...

ნინი ოკუჯავა:

— როცა ადამიანი წლების განმავლობაში შენი შეყვარებულია, ცხადია, დაოჯახების მერე ბედნიერი ხარ. თავს კარგად ვგრძნობ. 2017 წელი ჩემთვის ძალიან კარგი იყო! ბოლო 2 წელია, რაც მე და იკა ახალ წელს ერთად ვხვდებით: შარშან ბაკურიანში, მეგობრებთან ერთად შევხვდით, შარშანწინ — ჩემი მეგობრის სახლში (მეგობრების წრეში), წელს კი — ცოლ-ქმრის ამპლუაში, სახლში შევხვდებით. ჯერ სამზადისი არ დავიწყებია, ნაძვის

ხეც კი არ დავგიდგამს... დრო უკან რომ „გადავახვიო“, 2017 წლის დასაწყისში ვერც კი წარმოვიდგენდი, სასაცილოდაც არ მეყოფოდა, რომ 2018 წლის დასაწყისში გათხოვილი ქალი ვიქნებოდი. ჯერჯერობით დაქორწინებას არ ვგეგმავდით — 2-3 წლის მერე ვაპირებდით, მაგრამ ყველაფერი ხდება (იციინის)...

წელს დაოჯახდა მუსიკოსი, ჯგუფის — „ჯეო ფოლკის“ ერთ-ერთი წევრი — ბექან წინწალაშვილი. მან თავის რჩეულზე — ია მანგოშვილზე ჯვარი



2017 წელი ჩემთვის ძალიან კარგი იყო



ყოველი დღე საინტერესოა...



თორნიკემ მოდელ ქეთი ჟღენტზე იქორწინა



წყვილმა გრანდიოზული ქორწილი გადაიხადა

მყინვარწვერზე, ზღვის დონიდან 4000 მეტრზე მდებარე ტაძარში დაინერა... ბაქან წინსწალაშვილი:

— დაოჯახების მერე, ჩვენს ურთიერთობაში ბევრი რამ შეიცვალა: ურთიერთობა უფრო დაიხვეწა, სიყვარული გაიზარდა, ერთმანეთი სხვა კუთხით დავინახეთ, კიდევ ერთხელ დავრწმუნდით, რომ შეუღლების შესახებ ჩვენი გადწყვეტილება სწორი იყო და წამითაც არ ვფიქრობთ, რომ შეცდომა დაფუშვით, პირიქით — ყოველი დღე საინტერესოა... შეძლებისდაგვარად, ერთმანეთს პრობლემებს ვუმსუბუქებთ. დაოჯახების სანყის ეტაპზევე სირთულე-



შეყვარებულებმა ყველა წესის დაცვით იქორწინეს

ბის დაძლევის მიმართ იმუნიტეტი გამოვიმუშავეთ: მოგეხსენებათ, მყინვარზე დავინერეთ ჯვარი და ვიდრე ამ საკითხს მოვაგვარებდით, სტრესი, დაღლილობა გამოვიარეთ... ყოველდღიურ ცხოვრებაში სხვა სახის პრობლემებია, თუმცა ისეთი — არაფერი, რომ ჩვენს ურთიერთობას ზიანი მიაყენოს.

— ცოლის შერთვამდე ახალი წლის დღესასწაულს როგორ ხვდებით?

— ბავშვობიდან დიდი სიხარულით ვხვდებოდი ხოლმე, მაგრამ შარშანდელ დღესასწაულზე ძალიან მოწყენილი, უხასიათოდ ვიყავი — სადღესასწაულო განწყობა არ მქონია. ახლა უფრო საინტერესოა — მეუღლესთან ერთად, ახალ წელს პირველად ვხვდები და უკვე გვიხარია. რამდენიმე დღით ქალაქგარეთ გასვლა და დასვენება გვინდა, თუ მოვახერხებთ...

— 2017 წელს როგორ შეაფასებთ? თქვენთვის როგორი იყო?

— პირადად ჩემთვის, დიდი წარმატების მომტანი იყო, ბევრი რამ გავაკეთე: ხმის ჩამწერი სტუდია გავაკეთე, ახალი წლის პერიოდში ნიშნობა მქონდა... 2017 წელი კარიერული თვალსაზრისითაც აქტიური აღმოჩნდა: საზღვარგარეთ კონცერტები გვქონდა. საქართველოში „ჯეო ფოლკის“ წევრები „აეროსმიტის“ სოლისტს — სტივ ტაილერს შევხვდით და Dream On-ის ქავერი „ცოცხლად“ შევუსრულეთ... ახლახან ინტერნეტში ბერას ახალი კლიპი „საშობაო სიმღერების პოპური“ აიტვირთა, რომელშიც ჩვენც ვმო-

ნანილებით. ღმერთის წყალობით, ეს პროექტი კარგად ჩავამთავრეთ... ახლაც გადაღებების პროცესში ვარ „ჩართული“ — რამდენიმე დღეში, ახალ წლამდე ჩემი კლიპი გამოვა...

ასევე, წელს დაოჯახდა ტელეწამყვან ინგა გრიგოლიას შვილი — მარიამ გრიგოლია. მისი რჩეული — ნიკოლოზ გამეზარდაშვილი სასაზღვრო პოლიციის ყოფილი უფროსის — ზურაბ გამეზარდაშვილის ვაჟი გახლავთ. შეყვარებულებმა ყველა წესის დაცვით იქორწინეს. ზაფხულში ნიშნობა ჰქონდათ, შემოდგომას კი ჯვარი სვეტიცხოველში დაინერეს. სტუმრებს შორის ბევრი ცნობილი ადამიანი იყო, მათ შორის — ბერა ივანიშვილიც. პატარძალს საქორწინო კაბა ანუკი არემიძემ შეუკერა. მარიამი საკუთარხვევლთან დედად მიიყვანა...

2017 წელი მსახიობ ია სუხიტაშვილისთვისაც იღბლიანი აღმოჩნდა — მან სიყვარული იპოვა და მეორე ვაჟის დედაც გახდა. იას რჩეული პროფესიით არქიტექტორი სანდრო შარაშიძე გახლავთ. სანდროსთვის ეს პირველი ქორწინებაა, იასთვის კი — მესამე. მსახიობს უფროსი ვაჟი პირველი ქორწინებიდან ჰყავს. მეორედ კოლეგაზე — მიშა მესხზე იყო გათხოვილი...

26 წლის წარმატებულმა ქართველმა ძიუდოისტმა, ევროპის სამგზის და მსოფლიო ჩემპიონმა — ავთანდილ ჭრიკიშვილმა 2017 წლის გაზაფხულზე შექმნა ოჯახი. ავთანდილის მეუღლე თამუნა გვენეტაძე გახლავთ. წყვილმა გრანდიოზული ქორწილი გადაიხადა.

მიუხედავად იმისა, რომ მილიონერი ბუბა ქებურიას ვაჟის — თორნიკეს (თოშა) და მომღერალ ქრისტინე იმედაძის შესაძლო რომანის შესახებ ინფორმაცია ვრცელდებოდა და თითქოს ურთიერთობას წყვილიც აღარ მალავდა, თორნიკემ მოდელ ქეთი ჟღენტზე იქორწინა. პატარძალს „ელ სააბის“ მოდის სახლში შეკერილი ულამაზესი კაბა ეცვა. გრანდიოზული ქორწილი თორნიკემ საკუთარ რესტორანში გადაიხადა...

სხვა დაქორწინებულ ცნობილ სახეებს რაც შეეხებათ, ზოგი მათგანი პირად ცხოვრებას არ ასაჯაროებს. მათ აზრს პატივს ვცემთ და რაც ვიცით, ამჯერად, ჩვენთვის დავიტოვებთ... ყველას — საზოგადოებისთვის ცნობილსა თუ უცნობ ადამიანს ბედნიერ სიყვარულს გისურვებთ!..



თამუნა კვინიკაძე

— ლაშა, ამ დიდ წარმატებას გილოცავ! ყველა ტიტული მოიპოვე, რაც კი ძალოსნობაში არსებობს. ბოლო გამარჯვებაზე მიახლოებით, წარმატებული აზიდვისას, რა განცდები გქონდა?

— არ ვიცი, როგორ გადმოგცე, იმ დროს რას ვფიქრობდი ან საერთოდ, ვფიქრობდი თუ არა. ამ დროს თითქოს ნერვიულობა, დაძაბულობა, ყველანაირი განცდა ერთდროულად იხსნება. გრძნობ, რომ თავისუფლები, ბედნიერი ხარ, თან დიდად ვერც აცნობიერებ, რა მოხდა. მერე როცა დიდი აუდიტორიისგან მარტორჩები, იაზრებ, იჯერებ, რა მოხდა და ეს დიდი ბედნიერებაა.

— ხელზე სვირინგი — საქართველოს რუკა ახალი გაკეთებული გაქვს. ეს ის ხელია, რომელიც მსოფლიო ყურადღების ცენტრში ხშირად ექცევა, აზიდვების დროს სვირინგი ჩანს.

— დიდი ხანია, ეს სვირინგი მინდოდა გამეკეთებინა. თავდაპირველად ვფიქრობდი კისერზე დამეხატა, შემდეგ ხელზე გადავწყვიტე.

— ვიცი, რომ ბევრი ქვეყნიდან გაქვს შემოთავაზება, ჩემპიონატებზე მათი სახელით გახვიდე, მათ შორის, მატერიალური კუთხით, ძალიან მაცდური შემოთავაზებებიც გქონია, მაგრამ უარს ამბობ. რატომ?

— დიახ, მსგავსი შემოთავაზება ბევრჯერ მქონდა, მაგრამ ყოველჯერზე უარი ვთქვი. დავფიქრდი, გამარჯვების შემდეგ, სხვა ქვეყნის დროშა უნდა ავნიო და მოვიფარო, ეს იმდენად წარმოუდგენელია, ვერაფრით შევძლებ.

— 2017 წელი შენთვის წარმატებული იყო, 2018 წლისგან რას ელოდები, რა გეგმები გაქვს?

— ეს და გასული წლებიც ჩემთვის ძალიან წარმატებული იყო. ყველა ტიტული, რაც კი არსებობს, მოპოვებული მაქვს. მომავალი 2018 წელიც უკვე დაგეგმილია. წინ ევროპისა და მსოფლიოს ჩემპიონატებია. მსოფლიო ჩემპიონატზე გამოსვლამეტად რთული და საპასუხისმგებლო იქნება, რადგან 2020 წლის ოლიმპიადის ლიცენზიები თამაშდება. მარტის ბოლოს ევროპის ჩემპიონატია, აუცილებლად გავალ და ვეცდები, უკვე მესამედ გავხდე ევროპის ჩემპიონატის გამარჯვებული. 15 იანვრიდან ვარჯიშს დავიწყებ. დღის განმავლობაში, საშუალოდ 5 საათს ვვარჯიშობ, როცა

ევროპის, მსოფლიო და ოლიმპიური ჩემპიონის საახალწლო ტრადიციები

რას სთხოვს მსოფლიოს უძლიერესი მამაკაცი თოვლის ბაბუსა?



მას უკვე შეარქვეს დაუმარცხებელი გოლიათი. 24 წლის ასაკში, მისი ტიტულების ჩამონათვალი შთამბეჭდავია. თუ შეიძლება, ამ ქვეყანაში ვინმეს წარმატებული ეწოდოს, ეს ძალოსანი ლაშა ტალახაძეა. ინტერვიუ მასთან წარსულშიც ჩამინერია, მაშინ თავი საოცარი ყურადღებით, პასუხისმგებლობის გრძნობით, უბრალოებით დამამახსოვრა. ამჯერადაც იგივე გამეორდა. ვინც ლაშას იცნობს და ურთიერთობა შექონია, დამეთანხმება, რომ ეს ბიჭი ადამიანობაშიც ჩემპიონია. ის დიდი ბავშვია, რომელსაც დღემდე განითვების უნარი შერჩენია.

შეჯიბრება ახლოვდება და დატვირთულ რეჟიმში მაქვს, მაგ დროს მთელი დღის განმავლობაში ვვარჯიშობ.

— კიდევ ერთხელ გილოცავ წარმატებას და ბედნიერ 2018 წელს გისურვებ! ახლა კი საახალწლო ტრადიციებზე მინდა გკითხო, ბავშვობაში თოვლის ბაბუსას წერილს სწერდი?

— თოვლის ბაბუსას ხსენებისას, გონებაში სულ ერთი კადრი მიტრიალებს ჩემი ბავშვობიდან. დეიდაჩემის ოჯახში ვიყავით, ვიდაცამ კარზე დააკაკუნა. ოჯახის ყველა წევრი შინ იყო. მითხრეს, — გახედე, თოვლის ბაბუ მოვიდაო. არ დავიჯერე, თითქოს შემეშინდა, მაგრამ ბოლოს მაინც ცნობისმოყვარეობამ მძლია. 5 წუთის შემდეგ, კარი გამოვალე და კართან საჩუქრები დამხვდა. თოვლის ბაბუ არსად ჩანდა. 5 წლის ვიყავი, მაგრამ ძალიან კარგად დამამახსოვრდა. მაშინ მე და ჩემმა ძმამ დავიჯერეთ, რომ ის ნამდვილად არსებობდა.

— ბავშვობაში თოვლის ბაბუსას წერილებს სწერდი?

— ასეთი რამ არ მახსენდება. ვიცოდე, საჩუქრებს მშობლები რომ მიკეთებდნენ. ამბობდნენ, თოვლის

ბაბუამ მოგიტანაო. ამ საკითხს დიდად არ ვიძიებდი.

— სამეზობლოში მეკვლევ გეპატიუებოდნენ?

— ძალიან მორცხვი ვიყავი. ჩემზე რომ ამბობდნენ, რა საყვარელი ბავშვიაო, ვნითლდებოდი. სხვათა შორის, ეს თვისება დღემდე გამომყვა, ახლაც ვნითლდები ხოლმე. ყველა მცნობს, ზოგჯერ ქუჩაში ჩემკენ ხელს რომ



ეს ის ხელია, რომელიც მსოფლიო ყურადღების ცენტრში ხშირად ექცევა



ბავშვობაში თქვენთვის წერილი არასდროს მომიწერია

იმერენ მანქანით მოძრაობის დროს მცნობენ, სულ მრცხვენია და მინდა დავიმალო.

ბავშვობაში მეკვლედ ხშირად დავდიოდი. 15 წლამდე ბარბარობის და ახალი წლის მეკვლე ვიყავი, რაც თბილისში წამოვედი, მეკვლეობას ხშირად ველარ ვახერხებ. ჩვენს ოჯახში, ამ ბოლო დროს, ახალ წელს და ბარბარობასაც მეკვლედ ბიძაჩემი, იური თოდაძე მოდის. გამორჩეული მეკვლეა. ამბობს, — ფეხბედნიერი ვარ, რაც თქვენთან სიარული დავინწყე, ლამაზ სულ წარმატებები აქვსო.

— **მიაზზე, თქვენი ოჯახის საახალწლო ტრადიცია როგორია?**

— მე და ჩემი ძმა უმეტესად თბილისში ვართ. საახალწლოდ კი 30 ან 31

მსოფლიოს, ევროპისა და ოლიმპიურმა ჩემპიონმა ლაშა ტალახაძემ ამერიკის ქალაქ ანაჰაიმში მსოფლიო ჩემპიონატის ოქროს მედალი მოიპოვა, მან ახალი მსოფლიო რეკორდი დაამყარა. ატაცში 210, 215 და 220 კილოგრამი დასძლია. აკვრაშიც სამივე ცდა გამოიყენა 243, 250 და 257 კგ და ჯამში 477 კილოგრამის აწევით, მსოფლიოს ახალი რეკორდი დაამყარა. მან თავისივე რეკორდი 4 კილოგრამით გააუმჯობესა. ატაცში აწეული 220 კილოგრამითაც ახალი მსოფლიო რეკორდი დაამყარა. წინა მსოფლიო რეკორდი — 117 კილოგრამიც ქართველ ძალოსანს ეკუთვნის.

იმ დღეს, როცა ეს ინტერვიუ ჩაინერა, ლაშა ტალახაძე ოლიმპიურმა კომიტეტმა, 2017 წლის საუკეთესო სპორტსმენად დაასახელა.

რიცხვში ყოველთვის საჩხერეში ჩავდივართ. ამ დღეებში, როგორც ყველა ოჯახში, ჩვენთანაც დიდი სამზადისია. ახალ წელს ოჯახის წევრები ერთად ვხვდებით. მერე მეგობრებთან ვინაცვლებთ, ხან ჩვენთან მოდიან მეგობრები, ვისთან ერთადაც გავიზარდეთ. იქ ძალიან დიდი სიბოზაა. ეს ტრადიცია ჩვენში იმდენად გამჯდარია, ისეთი ახალი წელი არ მახსოვს, რომელსაც საჩხერეში, ჩემს სახლში არ შევხვედროდი. მე და ჩემს ძმას საახალწლო მაშხალები ძალიან გვიყვარს, სასწაულებს ვაკეთებთ.

— **ამ დღეს თავს უფლებას აძლევ, ალკოჰოლი მიირთვა?**

— ახლა ისეთი პერიოდი, როცა ყველა შეჯიბრება დასრულებულია და შეიძლება განტვირთვისთვის მცირე დოზით მივიღო, ამ პერიოდში არ მავენებს. ზოგადად ალკოჰოლი დიდად არ მიყვარს.

— **სამზარეულოში დედას ეხმარები?**

— ვეხმარები, მაგრამ არა კულინარიულ ამბებში. ეს საქმე საერთოდ არ მეხერხება, არც არასდროს მიცდია. ჩემს სახლში იმდენად გემრიელ კერძებს ამზადებენ, არც მინდა ჩავერო.

— **რამდენიმე თვის წინ რომ ჩაგწერე, მითხარი, შეყვარებული ვარო. ახლო მომავალში დაოჯახებას ხომ არ აპირებ?**

— ჩვენ ისევე შეყვარებულები ვართ. დაოჯახებას ვგეგმავ, მაგრამ ჩემი სპორტული ცხოვრებიდან გამომდინარე, დროის საკითხი ვერ გადამიწყვეტია. ძალოსნობა სპორტის ისეთი სახეობაა, ფორმას მალე კარგავ და თვე-ნახევარი მაინც არის საჭირო იმისთვის, რომ დაკარგულის 70% აღიდგინო.

— **თოვლის ბაბუას რას მისწერ?**

— რა ვიცი, რა მივწერო? რაც მინდოდა, ყველა სურვილი ამისრულდა. ახლა მხოლოდ ერთ რამეს ვთხოვ.

„**თოვლის ბაბუ!**

მიუხედავად იმისა, რომ ბავშვობაში თქვენთვის წერილი არასდროს მომიწერია და არაფერი მითხოვია, მაინც ყველაფერს მისრულებ. დიდი მადლობა ამისთვის. ახლაც ჩემთვის არაფერს გთხოვ. ძალიან მინდა, ყველა ბავშვთან მიხვიდე და გაახარო, ვისაც ეს მართლა სჭირდება. ჰო, ასეთები დიდებიც არიან და მათთანაც მიდი და გაახარე, ძალიან გთხოვ.

დიდი სიყვარულით, ლაშა ტალახაძე“.

ნანული გომიკიჰვილი

ამ ოჯახის ყველა წევრი მუსიკას ემსახურება: დავითი ჰობოისტია, ლილი მევიოლინე, ქალიშვილები — ვერიკო და სოფიკო ასევე მევიოლინეები. ისინი წლებია ცხოვრობენ და მოღვაწეობენ თურქეთში, თუმცა სამშობლოსთან კონტაქტი არასოდეს გაუნწყვეტიათ და მათი წარმატებები არა მარტო თურქეთს, საქართველოსაც ეკუთვნის. 21 წლის ვერიკო ჭუმბურიძემ რამდენიმე წელია, მსოფლიო მუსიკალური საზოგადოების ყურადღება მიიპყრო. იგი, როგორც სოლისტი, კონცერტებს მართავს და მსოფლიოს სხვადასხვა წამყვან ორკესტრთან უკრავს. მუსიკოსების ოჯახს ქალბატონი ლილი ჭუმბურიძე გაგვაცნობს.

— მე და ჩემი მეუღლე თურქეთის ქალაქ მერსინის კონსერვატორიის პედაგოგები ვართ, დავითი დოცენტი. უფროს ქალიშვილზე 4 თვის ფეხმძიმე ვიყავი, როდესაც აქ ჩამოვედი. ჩვენ მაშინ გერმანიაში ვაპირებდით წასვლას. მერე ისე მოხდა, რომ დავითი იაპონიაში მიიწვიეს, თუმცა ჩემ გარეშე. თურქეთში იცოდნენ, რომ ის საქართველოში გამართული, ჩასაბერ საკრავთა კონკურსის გამარჯვებული იყო და რადგან კარგ ჰობოისტს ეძებდნენ, აქ შესთავაზეს ჩამოსვლა. საბოლოოდ არჩევანი თურქეთზე შევაჩერეთ. ვფიქრობდით ექვსი თვე გვემუშავა, მაგრამ თვეები გაიწელა და უკვე 22 წელია, ეს პროცესი გრძელდება (იცინის). საქართველოსთან კონტაქტი არასოდეს დაგვიკარგავს. როცა ვერიკო წამოიზარდა, ძალიან მინდოდა ნიჭიერთა ათწლეულში ესწავლა კონსტანტინე ვარდელთან, რომელიც მომწონდა, როგორც მუსიკოსი. კონსერვატორიის პედაგოგს, ბატონ ნოდარ ჟვანიას (მე მასწავლიდა) ვთხოვე და ვერიკო ათწლეულში გავაფორმეთ. სირთულეები გვქონდა, რადგან საქართველოში გარკვეული დროით ჩამოვედიოდი, მერე ვერიკო გამოცდებს ექსტერნად აბარებდა, შემდეგ ისევე უკან ვბრუნდებოდი. ასე წინ და უკან გვიწევდა სიარული.

— **ქალიშვილებმა თქვენი ზეგავლენით აირჩიეს ვიოლინო?**

— როცა ვერიკო ძალიან პატარა იყო, ბალეტი განსაკუთრებულად უყვარდა, ცეკვაში ღამეებს ათენებდა. ერთხელ, 2 წლის ბავშვი, 40 გრადუსი სიციხით მალვიძებს და მეუბნე-



„ვერიკომ დაუკრა საქართველოს სახელით, მაშინ, როცა თურქეთი აფინანსებდა“

ბა, მე ვერ ვცეკვავ და შენ იცეკვეო... ზედმეტად ემოციური იყო. ჩვენს ქალაქში ცნობილი წყვილია მედეა და ნუკრი მაღალაშვილები (ბალერინა და ბალერონი), მათ ვერიკო შეამონმეს და მითხრეს: ბავშვს მსხვილი ძვალი აქვს. თუ ბალერინა გახდება, მუდამ პრობლემები ექნება, ამიტომ გირჩევთ, სხვა სპეციალობაზე იფიქროთო. სწორედ იმ პერიოდში ჩემი კლასის კონცერტი მქონდა და ვერიკოც წავიყვანე. ბავშვმა თქვა, ვიოლინოც მინდაო — ასე დაიწყო მისი მუსიკასთან ურთიერთობა. უმცროსი გოგონა, სოფიკო ჯერ კიდევ პატარა იყო, როცა გავასინჯეთ-ერთ-ერთმა პედაგოგმა მითხრა, რომ კარგი დიაპაზონი და მონაცემები აქვსო. თუმცა გადავწყვიტეთ, მასაც ვიოლინოს განხრით ესწავლა. იმდენად მოსწონდა ეს ინსტრუმენტი, სულ — მასწავლე, მასწავლეს გაიძახოდა. ახლა სოფიკო 17 წლისაა, ჯერ სწავლობს, მერე გერმანიაში წავა.

— ვერიკო უამრავ კონკურსში მონაწილეობდა. მისი პირველი წარმატებები გაიხსენეთ და სირთულეების შესახებაც მიახლოეთ.

— მან პირველი ჯილდო 8 წლის ასაკში აიღო. თურქეთის მასშტაბით მევიოლინეთა კონკურსში, რომელიც ჩვენს ქალაქში ტარდებოდა, პირველი პრიზის ლაურეატი გახდა. მასხოვს, ჟიურის რუსმა წარმომადგენელმა თქვა, ამ ბავშვში დიდი მომავალი ჩანსო. მაშინ ამაზე ყურადღებას არ ვამახვილებდი. თურქეთსა და ასევე ევროპაში ცნობილი პიანისტები არიან ტყუპი დები გუჰერ და სუჰერ პეკინელი, რომლებიც თურქეთში ნიჭიერ ბავშვებს ეძებდნენ და მათ აფინანსებდნენ. განცხადება სკოლაში გამოაკრეს. იმდენად პატარა ფურცელზე ეწერა გამოცდის შესახებ, რომ ყურადღებაც არ მიმიქცევია. ვერიკომ მაცნობა ეს ამბავი და მეუბნება: დედიკო, ოთხი პერიოდის ნაწარმოებს ითხოვენ: ბაროკო, კლასიკა, რომანტიკა და თანამედროვე. ერთ კვირაშია გამოცდა. — თანამედროვე მზად არა გვაქვს და თან უცხოელები ვართ, ამაზე არც იფიქრო-მეთქი, — ვუთხარი. — არაო, გააპროტესტა და ენთუზიანზით განაცხადა: გამოცდაზე მაინც გავალ, თანამედროვე პროგრამასაც მოვას-



საზღვარგარეთ წარმატებული მუსიკოსების ქართული ოჯახი

წრებ, უნდა ვცადოო. ისიც დამთხვა, რომ ჟიურის მიიწვიეს მერსინის ოპერისა და ბალეტის თეატრის ორკესტრის კონცერტმაისტერი მარინე ქელივიძე. ვერიკოს დაკვრის შემდეგ დებმა აღფრთოვანება ვერ დაფარეს. როცა გაიგეს, რომ უცხოელია, თქვეს: ამას მნიშვნელობა არა აქვს, ის მუსიკოსია და დახმარება სჭირდებაო. ამ ქალბატონების დამსახურებაა, რომ ვერიკო ვენაში პროფესორ დორა შვარცბერგის კლასში სწავლობდა. ზოგადად, კონკურსებს არასასიამოვნო ნიუანსები ახლავს, რაც ნიჭიერ ბავშვს ზოგჯერ დაღს ასვამს. ვერიკომ ეს პერიოდიც გაიარა, მაგრამ ყოველთვის შემართებით იყო. „მერე რა მოხდა?“ — ასე ამბობდა. ჰანოვერის კონკურსში 16 წლისა მონაწილეობდა. ყველაზე პატარა მონაწილე იყო და მისი ასაკი არც მიუთითეს. ჟიურის თავმჯდომარე ვინც იყო, მისი სტუდენტები გამოდიოდნენ და რა თქმა უნდა, ვერიკოს გამოჩენა არავის აწყობდა. ფინალამდე მივიდა, მაგრამ ვერ გაიმარჯვა. კონკურსის მერე მას კონცერტში მონაწილეობა შესთავაზეს. ვერიკომ უარი თქვა. თავმჯდომარე გაცდა: ამას როგორ მიბედავ, დებულებაში ხომ გინერია, რომ ფინალში გასული კონცერტში მონაწილეობსო? ჩვენმა მასპინძელმა გერმანელმა ქალბატონმა აღნიშნა, როგორი ძლიერი ბუნების ბავშვი ყოფილაო. თუმცა იმ კონკურსმა თავისი შედეგი მაინც გამოიღო. ის ყველამ გაიცნო. მაშინაც და დღესაც ამბობენ,

რომ ვერიკოს არასწორად მოექცნენ.
 — გული არ გწყდებათ, ვერიკო კონკურსებზე საქართველოს სახელით რომ არ გამოდის?
 — თურქეთში 90-იანი წლების გასაჭირის გამო წამოვედით. გული გწყდება, რომ ეს ყველაფერი აქ ხდება და არა საქართველოში, მაგრამ ვერიკო ყოველთვის გამოდის თურქეთისა და საქართველოს სახელით. სხვათა შორის, ჩაიკოვსკის სახელობის ახალგაზრდა მუსიკოს-შემსრულებელთა საერთაშორისო კონკურსზე, ვერიკომ დაუკრა მხოლოდ საქართველოს სახელით, მაშინ, როცა თურქეთი აფინანსებდა. იქ ოქროს მედალი და პირველი ადგილი მოიპოვა. მინდა აღვნიშნო, რომ სწორედ თურქი დების წყალობით ჰქონდა სამი წლის მანძილზე ინსტრუმენტი, რაშიც ისინი ყოველთვის ქირას, 750 ევროს იხდიდნენ. ჩვენ ხეში გვჭირდებოდა და ამ საკითხში დახმარება საქართველოს ვთხოვეთ, მაგრამ რეაგირება არ ყოფილა... აი, ახლაც, ვერიკომ სპეციალური გამოცდა ჩააბარა გერმანიაში, რათა ინსტრუმენტი მიეღო. იგი უკრავს Giovanni Battista Guadagnini-ზე ათი წლის ვადით.
 — თქვენი გეგმების შესახებ გვითხარით რამე...
 — მშობლები ვმუშაობთ, მასტერ-კლასებს ვატარებთ. ვერიკოს კონცერტები აქვს, სოფიკო ამთავრებს მუსიკალურ სკოლას, მაგრამ ჩვენი უპირველესი გეგმა ისევ და ისევ საქართველოში დაბრუნებაა... ■



ცხოვრება

სოფო ვონიშვილი

— ცხოვრების ამ ეტაპზე თავს რა ასაკში გრძნობ?

— 18-19 წლის ასაკში მგონია საკუთარი თავი.

— მომთმენი ხარ? შეგიძლია წარუმატებლობა და დამარცხება ისე მოითმინო, რომ ეს ვერავინ შეგატყოს?

— წარუმატებლობის მოთმენა ცხოვრების თანმდევი მოვლენაა, ეს არც ისე ცუდია, რადგან ამ მომენტში უფრო მეტად გწყურია წარმატება, აფასებ მას და როდესაც მიაღწევ, მორიგი წარმატება ბევრად უფრო „გემრიელია“. ამიტომ უფრო ცუდია, არასოდეს გამოცადო ის. წარუმატებლობა დეპრესიაში არასდროს



სიყვარული ყველა კანონზე მაღლა დგას

„ადამიანებს ურჩევნიათ თვალი დახუჭონ და სიცარიელეში იცხოვრონ“

რა მოგონებას ამოშლიდა ნინი გოგიჩაიშვილი საკუთარი ცხოვრებიდან

არსებობა უბრალოდ მინიმუმამდე დაყვანილი ცხოვრებაა, რომელიც მხოლოდ ძილით, ჭამით და უბრალო ყოფით აისახება. ცხოვრება კი გრძნობების, ემოციების, წარმატების, წარუმატებლობის, გამარჯვების, დამარცხების, სიყვარულის, იმედგაცრუების, სიხარულისა და ზღვა ემოციების მთელი ნაირსახეობაა — ამბობს მოდელი და ტელენამყვანი ნინი გოგიჩაიშვილი, რომლისთვისაც ცხოვრების აზრი მხოლოდ ბედნიერებაშია.

მაგდებს და შესაბამისად, ამას ვერც ვერავინ მატყობს.

— შენ ყოველთვის იმას აკეთებ, რაც მოგწონს თუ ირგვლივ მყოფების აზრსაც ითვალისწინებ?

— შეუძლებელია ადამიანი მუდმივად აკეთოს ის, რაც მხოლოდ თავად მოგწონს. ვფიქრობ, ეს დიდი ეგოიზმია, რადგან ყველა ადამიანი ინდივიდუალურია და ყველას სხვადასხვა რაღაც ხდის ბედნიერს. თუმცა, ჩვენი შეცდომა ალბათ ის უფროა, რომ გვავინყებდა, ცხოვრება ხანმოკლეა და მეტ დროს ბრაზსა და სიძულვილს ვუთმობთ, რაც ცხოვრების ბედნიერ ნუთებს გვპარავს. ჩემი აზრით მთავარია, არასოდეს შევწყვიტოთ სწავლა, რათა ჩვენი თვალთახედვის არე უფრო მრავალფეროვანი გახდეს.

— რომ გქონდეს შანსი, შეცვალო მხოლოდ ერთი დეტალი შენს ცხოვრებაში, რას შეცვლიდი?

— გავიცნობდი ჩემს დიდ ბებო შურას. მაღლობა ღმერთს, მეორე დიდ ბებოს მოვესწარი.

— რა ტიპის სამსახური გაგხდოდა ბედნიერს?

— სადაც მექნებოდა მონყენილი და ცხოვრებისგან დათრგუნვილი ადამიანების გაბედნიერების საშუალება, სადაც შევძლებდი მათზე ზრუნვას და ყურადღების მიქცევას... მოკლედ, ფსიქოლოგი ვიქნებოდი.

— ყოველთვის იმას აკეთებ, რისიც გჯერა?

— რისი გაკეთებაც უნდა დავინყო, მჯერა, რომ შევძლებ, მაქვს რწმენა, ვდებ დიდ მონდომებასა და შრომას... მუშაობის პროცესში შეიძლება, ორჭოფობა დავინყო და დავუხსვა საკუთარ თავს კითხვა: რისთვის ვაკეთებ ამას? თუმცა დანყებული საქმე ყოველთვის ბოლომდე მიმყავს.

— რას შეცვლიდი იმისთვის, რომ უკეთესად გეცხოვრა?

— ყოველთვის ვცდილობ წვრილმანებს ყურადღება არ მივაქციო, ვიყო მაღლიერი იმ ყველაფრით, რაც მაქვს, გავატარო მეტი დრო ჩემს ოჯახთან და საყვარელ ადამიანებთან, ვიფიქრო არა მხოლოდ საკუთარ თავზე, არამედ გარშემო მყოფებსა და მათ გრძნობებზე.

— რამდენად აკონტროლებ ყველა იმ მოვლენას, რაც შენ ირგვლივ ხდება?

— კონტროლი ყველა ურთიერთობაში და ზოგადად ცხოვრებაში ენერჯისა და დროის ფუჭი კარგვაა, რადგან ჩვენზე ბევრი რამ არ არის დამოკიდებული... თუმცა, ჩვენ შეგვიძლია შევცვალოთ დამოკიდებულება სიტუაციის მიმართ. ჩვენი ფსიქოლოგიური მდგომარეობა მნიშვნელოვანია, ამიტომ მაქსიმალურად უნდა ვეცადოთ ნერვები უაზრობას არ შევწიროთ.

— ოდესმე მეგობარი გაგიჭორავს? თუ მოგისმენია შემთხვევით შენი მეგობრის ან ახლობელი ადამიანის უსამართლო კრიტიკა?

— ყველაზე მეტად მეზიზღება უსამართლობა, არაჯანსაღი კრიტიკა. ზურგს უკან სხვა ადამიანებზე ლაპარაკი არ მიყვარს. უამრავი საინტერესო თემაა, რაზეც შეიძლება საუბარი. სხვისი პირადი ცხოვრება ნაკლებად მაინტერესებს, ამიტომ თუ ვინმეს რაიმეს თქმა სურს, ეს პირადად იმ ადამიანს უნდა უთხრას.

— დაარღვევდი კანონს საყვარელი ადამიანის გადასარჩენად?

— რა თქმა უნდა, კი. სიყვარული ყველა კანონზე მაღლა დგას. თუ საყვარელი ადამიანი განსაცდელშია, დაუფიქრებლად დავარღვევდი კანონს და გადავარჩენდი.

— რით განსხვავდები სხვა ადამიანებისგან?

— ყველა ადამიანი ინდივიდუალურია და აქვს რაღაც ისეთი, რაც



მას სხვისგან განასხვავებს. ვიტყვი ერთს, ვცდილობ არასოდეს მოვიტყუო და არ ვატყინო ადამიანებს გული. მიყვარს სხვისთვის დღის გალამაზება და მიმარწია, რომ სიტყვებს დიდი ძალა აქვს. სიტყვას შეუძლია ერთი ჩვეულებრივი დღე განსაკუთრებული და სამახსოვრო გახადოს, ამიტომ აუცილებელია ერთმანეთს მეტი კარგი რამ ვუთხრაო.

— გაქვს აუსრულებელი ოცნება?

— დიახ, მაქვს ოცნებები, რომლის ასასრულებლად ვშუშაობ. თავს არ ვზოგავ, რომ ჩემი ყველა ოცნება რეალობად იქცეს... ჩემი ერთ-ერთი ოცნებაა ფრანგული ენის სწავლა.

— სამუდამოდ საცხოვრებლად რომელ ქვეყანაში ნახვიდოდი?

— ჩემი ქვეყანა ძალიან მიყვარს და არა მგონია, საცხოვრებლად სხვაგან წავსულიყავი. თუმცა, დროებით სიამოვნებით ვიცხოვრებდი ამერიკაში. მიყვარს იქ მცხოვრები ადამიანები: ბედნიერი, თავაზიანი, მზრუნველი ხალხია, ერთმანეთს პატივს სცემენ და თან, ამერიკაში ჩემი ბავშვობის მეგობარი ცხოვრობს.

— რომელს ისურვებდი იყო: ბედნიერი სულელი თუ ჭკვიანი უბედური?

— ვფიქრობ, ცხოვრების აზრი ბედნიერებაში იმალება, ამიტომ თუ ვიქნებოდი გენიოსი და ჩემს ნიჭს ვერაფერში გამოვიყენებდი, მაშინ ჯობია, ისევე სულელი და ბედნიერი ვიყო.

— ისურვებდი ისეთივე მეგობარს, როგორიც თავად ხარ?

— კი, რა თქმა უნდა. ვთვლი, რომ ვარ კარგი მეგობარი, ერთგული და უღალატო.

— რა უფრო კარგი იქნებოდა შენთვის, შენი მეგობარი საცხოვრებლად სამუდამოდ წავიდეს უცხო ქვეყანაში თუ შენ გვერდით იყოს და შეწყვიტო ურთიერთობა?

— უკეთესია ახლოს გყავდეს და შეწყვიტო მასთან ურთიერთობა, ვიდრე სამუდამოდ გადაიკარგოს უცხო ქვეყანაში.

— ყველაზე მეტად, რის გამო ხარ სამყაროს მადლიერი?

— ჩემი ოჯახისა და მეგობრების გამო. ნამდვილად არაფერი დაუშურებია სამყაროს ჩემთვის, მან საუკეთესო ადამიანები გამომიგზავნა.

— არჩევანი რომ გქონდეს, რომელს აირჩევდი, ძველი მოგონების ცუდი და რა — კარგი?

წაშლას თუ ახლის მოპოვებას?

— ახალ მოგონებას რომ ისედაც მოვიპოვებ, ამის მჯერა. ცხოვრება მოულოდნელობითა და მოგონებებით სავსეა. ამიტომ რაიმე ცუდ მოგონებას წავშლიდი. მაგალითად, ძალიან რომ დამეღუპა, მთელი კვირა ვტიროდი ამის გამო.

— როგორ ფიქრობ, შესაძლებელია სიმართლის გაგება ბრძოლის გარეშე?

— ხანდახან სიმართლის გასაგებად ბრძოლა სულ არ არის საჭირო. უბრალოდ, ადამიანებს ურჩევნიათ თვალი დახუჭონ და სიცარიელეში იცხოვრონ, რადგან ეს უფრო მარტივია. ჩემთვის მნიშვნელოვანია სიმართლის ცოდნა, როგორი მწარეც უნდა იყოს ის.

— შენი ყველაზე დიდი შიში რეალობა გამხდარა?

— ადამიანი ყველაზე ხშირად ბევრს რაზეც ფიქრობს, ის იქცევა ხოლმე რეალობად. ამიტომ ვცდილობ, იმაზე, რისიც ყველაზე მეტად მეშინია, საერთოდ არ ვფიქრო ან ვეცადო დავძლიო ეს შიში და თავი შევავაღულიანო, რომ ყველაფერი კარგად იქნება.

— წყენას მალე ივიწყებ?

— ყველა წყენა მალე მაივიწყდება. არ შემიძლია დიდხანს ვიყო გაბრაზებული. გურული ვარ და ფიცხი ხასიათი მაქვს, უცებ შეიძლება გავვიჟღედე, გადავიროო, მაგრამ მეორე წამს მიზეზიც კი არ მახსოვს.

— რა არის შენი ბავშვობის ყველაზე კარგი მოგონება?

— მიუხედავად იმისა, რომ 90-იანების ბავშვი ვარ, ბევრი კარგი და ფერადი მოგონება მაქვს. ბავშვობაში ძალიან მიყვარდა ბამბის ნაყინი და როცა ვენო ბებოსთან ერთად მუშტაიდის ბაღში ვსეირნობდი, ყოველთვის ყიდულობდა ბამბის ნაყინს. ბამბის ნაყინის გამყიდველი კაცი უკვე მცნობდა და თითქმის ჩემი ზომის ნაყინს მიმზადებდა (ილიმის).

— თუ ჯერ არაფრისთვის მიგიღწევია, დასაკარგი არაფერი გაქვს?

— ვფიქრობ, ადამიანს ყოველთვის აქვს დასაკარგი. შეუძლებელია, ადამიანს პატარა მიღწევა მაინც არ ჰქონდეს ცხოვრებაში, რომელიც უბიძგებს და მისცემს სტიმულს, რომ იყოს კიდევ უფრო წარმატებული.

— შეგიძლია დაუფიქრებლად უპასუხო კითხვას: რა არის შენთვის ცუდი და რა — კარგი?

— კარგია ადამიანების დახმარება, ცუდია შური...

— გაყიდდი შენი ცხოვრების 10 წელს მსოფლიო აღიარებაზე?

— მირჩევნია მსოფლიო აღიარება სხვა გზით მოვიპოვო. ჩემი ცხოვრების 10 წელს არანაირ აღიარებაზე არ დავთმობ.

— არსებობს განსხვავება არსებობასა და ცხოვრებას შორის?



არ შემიძლია დიდხანს ვიყო გაბრაზებული

— რა თქმა უნდა, არსებობს. არსებობა უბრალოდ მინიმუმამდე დაყვანილი ცხოვრებაა, რომელიც მხოლოდ ძილით, ჭამით და უბრალოდ ყოფნით აისახება. ცხოვრება კი გრძნობების, ემოციების, წარმატების, წარუმატებლობის, გამარჯვების, დამარცხების, სიყვარულის, იმედგაცრუების, სიხარულისა და ზღვა ემოციების მთელი ნაირსახეობაა.

— თუ ჩვენ შეცდომებზე ვსწავლობთ, რატომ გვეშინია მათი დაშვების?

— შეუცდომლად ცხოვრება შეუძლებელია... ვთვლი, რომ შეცდომების დაშვების არ უნდა გვეშინოდეს, ჩვენი შეცდომები ჩვენივე ცხოვრების საუკეთესო მასწავლებელია. ჯერ არ დაბადებულა ადამიანი, ვინც მხოლოდ სხვის შეცდომაზე ისწავლის.

— დაბოლოს, რა ან ვინ გიყვარს ყველაზე მეტად და ის, რაც ბოლოს გააკეთე, გამოსატავდა ამ სიყვარულს?

— ყველაზე მეტად ჩემი ოჯახი და მეგობრები მიყვარს. დიახ, ბოლოს რაც გავაკეთე, სიყვარულის გამოხატულება იყო — ჩემს დას, ნანუკას გავყევი გალერეაში.



მეკვლეობისა და ქართული სუფრის ხიბლი

„საახალწლოდ მთელი ამერიკა მორთულია, მაგრამ მე მაინც ჩემი ქვეყანა მინატრება“

ნინო ჯავახიშვილი

ლელა ქურიძე:

— გურიაში უფრო ძველით ახალ წელს აღნიშნავდნენ. კაცები ტყეში თხემლის ხეს ჭრიდნენ და ძველით ახალ წელს ცეცხლს ანთებდნენ. აუცილებლად უნდა გვექონოდა ჩიჩილაკი, ისევე, როგორც სუფრაზე: საცივი, კუჭმაჭი და ხაჭაპური. მახსოვს, ჩემი მშობლები ღორის თავს ხარშავდნენ, ჯვარს გამოსახავდნენ ხოლმე შუბლზე და სუფრის შუაგულში საპატიო ადგილს მიუჩენდნენ. საჯიქოს ეძახდნენ — ღორის რომელიღაც ნაწილს და ისიც აუცილებლად ამშვენებდა საახალწლო სუფრას. მეკვლეს ყოველთვის წინასწარ ვეპატიჟებოდი. ვიცოდი, ვის ჰქონდა კარგი ფეხი. ჩემს ბავშვობაში ერთ ახალ წელს ვიღაც დაუპატიჟებლად მოვიდა მეკვლედ და დედა ლამის გაგიჟდა ნერვიულობით: ცუდი ფეხი აქვს და წელს რა გვემეველებათ? მას სჯეროდა, რომ თუ კარგი მეკვლე ეყოლებოდა, იმ წელსაც ყველაფერი კარგად იქნებოდა. მამა ერჩუბა: სტუმართან უკმაყოფილება რატომ შეიძინიო? მერე შემოიყვანა ეს კაცი, სუფრა გაუშალა, თუ რამე ჰქონდა, არაფერი დაინანა და გაუშვა. კარგად მახსოვს, როგორ იჩხუბეს ამის გამო მშობლებმა.

შობას საშობაო ღვეზელს ვაცხოვბოდი. საშობაო ღვეზლის შიგთავსი ყველი და მოხარშული კვერცხი იყო და მთვარისებურ ფორმას აძლევდ-

ახალ წელს საქართველოს ყველა კუთხეში ერთნაირი სიხარულითა და მოლოდინით ეგებებიან, თუმცა ტრადიციები მეტ-ნაკლებად განსხვავებული აქვთ. როგორ ხვდებიან შობა-ახალ წელს, როგორია მეკვლეობის ტრადიცია და რა რიტუალებს ასრულებენ ამ დღესასწაულებზე? — ამის შესახებ სხვადასხვა კუთხის წარმომადგენლებს ვკითხეთ.



აუცილებლად უნდა გვექონოდა ჩიჩილაკი, ისევე, როგორც სუფრაზე: საცივი, კუჭმაჭი და ხაჭაპური

ნენ. დედა ყველაზე დიდს გააკეთებდა მამასთვის, ცოტა მომცროს — თავისთვის, კიდევ უფრო პატარას — ჩემი დისთვის, მერე ჩემთვის და ყველაზე პატარას ნაბოლარა შვილს — ჩემს ძმას უცხოვდა. ახლა მეც ასე ვაცხოვბოვ ხაჭაპურს თითოეული წვერისთვის. ჩემი მეუღლე მოხევეა. მათ საინტერესო, უჩვეულო ტრადიცია ჰქონიათ. ახალ წელს არასდროს შევხვედრივარ ყაზბეგში და თვითონ არ მინახავს, მაგრამ დედამთილისგან გამიგონია, რომ სტუმრები სეცციალურად ისე იცვამენ, რომ მასპინძელმა ვერ იცნოს. თურმე, კოსტიუმირებულ სანახაობას აწყობენ.

ილუკა შეთიკაური:

— ხევსურეთში ძველით ახალ წელს აღნიშნავდით. „სანელინდო“ ლუდი დუღდებოდა. სახლიდან გარეთ არ უნდა გასულიყავი, სანამ მეკვლე არ მოვიდოდა. ამას „კვალის დაჭერას“ ეძახდნენ. ღამე დედა ამზადებდა სამეკვლეო სუფრას, ერთ დიდ მრგვალ ხმადს აცხოვბოდა, ერთ მხარეს აჭრელებული იყო, მეორე მხარეს — არა. საქვავებში მივდიოდით და მიგვექონდა წინწანაქარი — საუკეთესო არაყი და მთელ ღამეს ქეიფში ვათენებდით, რიჟრაჟზელა ვბრუნდებოდით სახლებში.

შევიდოდით, არაყს ჩავიყენებდით პირში და გადმოვფრქვევდით, თან დავაყოლებდით: „აქემც აჰფუვდებით“. მერე დავილოცებოდით, დედაჩემი ან ჩემი და სამეკვლეო ხმადს მოარბენინებდა. სამჯერ უნდა გაგვეგორებინა კარიდან და თუ დაჭრელებული გვერდი ზემოთ მოექცეოდა, კარგი წელი იქნებოდა და თუ პირიქით — ცუდი. ყველაზე უმცროსს მოჰქონდა ნყალი, პური, ყველი. ვითომ ნყალსაც მივულოცავდით და ვსვამდით, ამას ეძახდნენ კვალის შეტანას — თვითონ ოჯახის წევრი რომ შედიოდა სახლში, ამის შემდეგ უკვე მეკვლე მიდიოდა. აუცილებლად კაცი უნდა ყოფილიყო. მეკვლე ფხიზელი რომ გაგეშვა, სირცხვილად მიიჩნეოდა. თუ ვინმეს ჰყავდა საკლავი შეთქმული, ახალი წლის დღეებში იკვლებოდა. ასევე, ვისაც ახალი რძალი ჰყავდა, სალოცავში მიჰყავდა და ხუცესი დაამწყალოებდა — ამას ჯვარში გაყვანას ეძახდნენ. ბიჭი თუ ჰყავდა ოჯახს, იმ ბიჭის მიბარებაც სალოცავისთვის ახალ წელს ხდებოდა...

ნათია სიჭინავა:

— სამეგრელოში, ისევე როგორც გურიაში, ახალ წელს კალანდას ეძახიან და განსაკუთრებული რიტუალიც აქვთ. ახალი წლის წინაღამეს



მეკვლე ფხიზელი რომ გაგეშვა, სირცხვილად მიიჩნეოდა



„მომავლავმა მამამ ძალა მოიკრიბა და დედას ეცეკვა“

სოხუმური ახალი წლის მონატრება

როლანდ ხოჭანაშვილი

„1989 წლის 14 მარტი იდგა. მამა უკვე მომავლავა, მაგრამ ძალა მოიკრიბა და დედას ეცეკვა. 14 მარტი მამას დაბადების დღე იყო. ეს სცენა დღევანდელი დღესავით მახსოვს. ისეთი სიყვარული და ბედნიერება იყო მშობლების მზერაში...“

დაახლოებით 30 წლის წინ, დეკემბრის ბოლო დღეს ცა ჩვეულებრივზე მეტად გაშავდა სოხუმში. გვიანი შემოდგომის ხმელი ფოთლების ტახტი ზამთარმა მედიდურად დაიკავა და პირველმა ფიფქებმა მთელი ქალაქი გამოიყვანა გარეთ. ბუზღუნის გარეშე დაჰყვებოდნენ მშობლები პატარებს და უმანკო სითეთრეზე პარალელურად რჩებოდა დიდი და პატარა ნაფეხურები. 12 საათის დადგომამდე ნელ-ნელა ოჯახურ გარემოს დაუბრუნდა ყველა. მხოლოდ ერთი თვალეზბრიალა ბიჭი, ირაკლი გუგუშვილი დააბოტებდა სოხუმისთვის უჩვეულოდ დიდ, მუხლამდე თოვლში გვიანობამდე. კარაქისფერი ედო ქუჩებს, ერთმანეთს ერეოდა თოვლის სიქათქათე და ქუჩის განათების ბლანტი სიყვითლე. 17 წლის ასაკში მოუწია სოხუმის დატოვებამ ირაკლის. მშობლიური მხარის მონატრება ბასრად ბევრჯერ გადაუვლის ხოლმე გულზე, მაგრამ მონატრება მონატრებად რჩება...

1975 წლის 13 აპრილს სოხუმში გუგუშვილ-ჯანგველაძეების დიდ და ტრადიციულ ოჯახში ვაჟი დაიბადა. სოხუმიდან ბედისწერამ დევნილის სტატუსით თბილისამდე ჩამოიყვანა. ახლა ზოგჯერ ხატავს, ზოგჯერ ფილმებსა და რეკლამებში იღებენ, თუმცა, სოხუმური წარსული ყველაზე მკვეთრი ფერებითაა ჩანერილი მის ცხოვრებაში.

ირაკლი გუგუშვილის მოგონებები: „დედა, ეთერ ჯანგველაძე ძალიან ლამაზი ქალი იყო. ვინც იცნობდა, ყველა მოხიბლული გახლდათ მისი სილამაზით. შემძლია თამამად ვთქვა, ის იყო უნაკლო გარეგნობითა და სულით. პროფესიით მუსიკოსმა, სიცოცხლის ბოლომდე იდეალისტად დარჩენილმა აფხაზეთის ომის შემ-

დეგაც არ დატოვა საკუთარი კერა იმ იმედით, რომ შეუნარჩუნებდა თავის შვილს ოდაბადეს, მაგრამ... 1997 წლის 6 თებერვალს უჩუმრად წავიდა და სოხუმის მიწას მიაბარეს უჩემოდ...“



დღევანდელი დღესავით მახსოვს. ისეთი სიყვარული და ბედნიერება იყო მშობლების მზერაში...

გარდაცვალებამდე რამდენიმე წლით ადრე, ერთი თვით მოახერხა თბილისში ჩამოსვლა, მაგრამ ვერ გაჩერდა დედაქალაქში, სოხუმი თავისკენ ეძახდა!

მამა, რუდოლფ გუგუშვილი საინტერესო პიროვნება, დიდი ისტორიული წარსულით, დედით გუგუშვილი და მამით შვაბეთის მიწის გერმანელი თავადი, ალექსანდერ ფონ გერსტლეს ვაჟი გახლდათ. ბაბუა იდუმალებით მოსილი გზებით აღმოჩნდა ამიერკავკასიაში და საბჭოთა პოლიტიკური ელიტის ერთ-ერთი გავლენიანი ფიგურა გახდა. როგორც ვიცო, 1937 წელს მისივე უშუალო ხელმძღვანელობის, ლავრენტი ბერიას ბრძანებით გადაასახლეს და როგორც უმეტესობა, ისიც უგზო-უკვლოდ დაიკარგა ციმბირის უკიდევანო სივრცეში.

დედის დიდი ბაბუა, საველი ჟვანია საკმაოდ გავლენიანი ვაჭარი ყოფილა ფოთში და სასწავლებელიც კი გაუხსნია საპორტო ქალაქში მე-19 საუკუნის შუა პერიოდში გლეხთა ბავშვებისათვის. საველი ცნობილი იყო თურმე ქართველების განმანათლებლური წინსვლის ყინით. მოგვიანებით მისი ვაჟი, მიხეილ ჟვანია გადადის სოხუმში საცხოვრებლად და სოხუმის ახლოს დიდი ნაკვეთების მფლობელი

თხილის ხისგან ჩიჩილაკს აუცილებლად მამაკაცი თლის. რთავენ ტკბილეულით, სუროს ფოთლებითა და მანდარინით. თავზე ჯვარსაც უკეთებენ. ტრადიციის თანახმად, გამთენიისას ოჯახის უფროსი გარეთ გადის ჩიჩილაკით ხელში და იძახის: კარი გამიღეთო. შიგნიდან ეკითხებიან: ვინ ხარ და რა მოგაქვსო? ის პასუხობს: ხვავი, ბარაქა, სიკეთე და დღევანდელი. ეს მეორდება სამჯერ და ბოლოს, დალოცვას რომ მორჩება, სახლში შედის ტკბილეულით სავსე თასითა და ჩიჩილაკით ხელში, ახალი წლის მოსვლას ულოცავს ოჯახის წევრებს. შემდეგ იწყება მეზობლებში სტუმრობა. 15 იანვარს ბედობას აღვნიშნავთ — მეგრულად „კუჩხა“ ეწოდება. იგივე რიტუალი ტარდება, რაც ახალ წელს, მაგრამ ამჯერად უკვე წინასწარ შერჩეული მეკვლე მოდის.

ნათელა მიტრეპელი:

რაჭველების სუფრას ახალ წელს ამშვენებს ღორი და ლობიანები, სხვა ნუგბარ-საჭმელებთან ერთად. ბებიამ იცოდა, ვამღზე ან მსხალზე ხურდა ფულებს ჩაარჭობდა ბარაქის ნიშნად და სუფრაზე დადებდა. 12 საათს ყველა თავის სახლში ხვდება, პირველში კი უბნის კაცები ჩამოივლიან ყველა ოჯახს, ულოცავენ ერთმანეთს და ქეიფობენ.

სამობაოდ ბავშვები ჩამოივლიან ხოლმე და ყველა ოჯახის კარზე აკაკუნებენ. წინასწარ ვემზადები ამისთვის, ვყიდულობ ხილს, კანფეტებს, ჩურჩხელებს და ბავშვებს ვასაჩუქრებ. ზოგჯერ ფულსაც ვჩუქნი შობის მახარობლებს. ბავშვობაში რამდენჯერ ჩამომივლია მეც. გავავსებდით ხოლმე ჩანთებს და ბოლოს ერთ-ერთის ოჯახში ვიქეიფებდით. ძალიან გვიხაროდა...

მამინ არ ვიცოდით ერთმანეთისთვის საჩუქრების ყიდვა. ეს ბოლო წლებია, რაც ჩემს შვილებთან ერთად ამერიკაში, პენსილვანიის შტატში ვცხოვრობ და 25 დეკემბერს სახლი საჩუქრებით არის სავსე. ცამეტნი ვართ და თითოეული 12-12 საჩუქარს ყიდულობს. არის ერთი ამბავი, ყველას ერთი სული აქვს გახსნას და ნახოს თავისი საჩუქარი. ემოციური და ბედნიერი წუთებია. დეკემბრის პირველივე დღიდან, საახალწლოდ მთელი ამერიკა მორთულია. ულამაზესია აქაურობა, მაგრამ მე მაინც ჩემი ქვეყანა მენატრება...



ხდება. საარქივო დოკუმენტაციაში მიხეილი სოხუმის მთავარ იურისტად მოიხსენიება და ერთ-ერთი ცნობილი ისტორიული შენობის, მასწავლებელთა სახლის მფლობელიც ყოფილა. ეს შენობა გამოირჩეოდა თავისი სინატ-იფითა და მასშტაბურობით...

ბაბუა, დედის მამა — ბიქტორ ჯანგველაძე გახლდათ ქალაქის კოლორიტი, სოხუმის პირველი მეფაეტონე (არა გაჭირვების, არამედ სილალის გამო). სხვათა შორის, ბაბუამ საპატიო წრეზე მოატარა მსოფლიო ჩემპიონი ჭადრაკში ქალბატონი ნონა გაფრინდაშვილი სოხუმის სტადიონის გარშემო და ამ ფაქტით ძალიან ამაყობდა თავის დროზე.

სახელოვანი გვარის მფლობელი გახლდათ ბებუის უმცროსი და, ოღლა ჟვანია, რომელიც ათწლეულების განმავლობაში მთავარი ლიტერატორი იყო აფხაზეთში და „ვეფხისტყაოსნის“ აფხაზური თარგმანიც მას ეკუთვნის. თუმცა, ეს მნიშვნელოვანი ფაქტი აფხაზ ლიტერატორებს მიაწერეს, გასაგები მიზეზების გამო...

უნდა აღვნიშნო ის ფაქტიც, რომ ჩვენი ოჯახის ისტორიის დიდი ნაწილი აფხაზ თავად ლეიბებსა და ჯიკირებს ეკუთვნის. ეს სახელოვანი გვარიშვილები გვენათესავებოდნენ. ყველაფრის მიუხედავად, მაინც იმედის ნაპერკალი არ ქრება ჩემს თვითშეგნებაში, რომ დადგება ის სანატრელი დღე, როდესაც ჩვენ გავერთიანდებით, ჭემმარიტი აფხ-

ობლების საძვალეა, ჩემი ბავშვობა, უამრავი ნათელი მოგონება, ოჯახი, მეგობრები, ჩემი ევკალიპტების, მაგნოლიებისა და აკაციების სურნელი, ჩემი სოხუმური ზღვა და ყავა, რომლის გარეშე მამა, სოხუმის უნივერსიტეტის დექტორი, პროფესორი ისტორიკოსი და ფოტოჟურნალისტი ნუთს ვერ ძლებდა! მამა ჭემმარიტი სოხუმელი იყო!

შემდეგ იყო დევნილობა, სიბნელე, უშუქობა, მაგრამ ბევრი ჭემმარიტი ახალშეძენილი მეგობარი ივანე ჯავახიშვილის სახელობის სახელმწიფო უნივერსიტეტის ისტორიის ფაკულტეტზე. ეს იყო ყველაზე მძიმე და იმავდროულად ყველაზე ბედნიერი წლები. ჩვენ, სტუდენტები მაშინ, პირდაპირი გაგებით, ერთ ფუნთუშას ვიყოფდით და მართლა გვიყვარდა ერთმანეთი, გვიყვარდა გულწრფელად და ანგარების გარეშე... სად წავიდა დღეს ეს სიყვარული, თანადგომა? დღეს ხომ ასე თუ ისე, გაცილებით გაუმჯობესდა ცხოვრების დონე, მაგრამ ეტყობა, ადამიანები თავისთვის ცხოვრებას უფრო შეეჩვივნენ!

მძიმე წარსულის მიუხედავად, ვთვლი, რომ ჩემი ცხოვრება შედგა. მე ბედნიერი ადამიანი ვარ, რადგან ჩემ გარშემო ყოველთვის იყვნენ ადამიანები, ვისთვისაც ყველაზე ახლობელი და სანუკვარი ვიყავი... გამზრდელი დეიდები აგრაფინა, ვალენტინა, თალიკო და სამედიცი-

ისვენებდა თურმე პოეზიის მეფე და ბიბლიოთეკაში შესულა. სიფრიფანა მარგარიტასთვის უკითხავს, — გალაკტიონის რომელიმე წიგნი თუ გაქვთო? შეკითხვაში ფარულად ისმოდა, ნეტავ, თუ მიცნობს ეს ახალგზრდო?.. დეიდას მიუწოდებია ერთ-ერთი ტომი, შესაძლოა, სულაც „არტისტული ყვავილები“. გადაუკითხავს რამდენიმე ლექსი დიდ პოეტს, მერე წვერზე ხელი ჩამოუსვამს და დამშვიდობებია დეიდას, რომელმაც თითქოს ვერ იცნო გალაკტიონი...

მახსენდება, ჩვენს სახლში ჩატარებული ლიტერატურული საღამოები, გიტარასა და ფორტეპიანოზე ჟღერდა კლასიკური და ქალაქური ჰანგები. შეიძლება ვინმემ გადაჭარბებულად მიიღოს ჩემი ნათქვამი, რომ მე ვარ ადამიანი-ორკესტრი. ნუ ჩამითვლიან ამ სიტყვებს ტრაბახად ან ლუი დე ფიუნესის ნაცნობი ფილმის სათაურის გადამღერებად. ისტორიკოსისა და სამართალმცოდნის პროფესიების გარდა, ძალევი მოვსინჯე ვოკალში, ტელევიზიაში, სერიალებში, თეატრში, რეკლამებსა და კლიპებში, რაც სიმართლე გითხრათ, ძალიან მომწონს. განსაკუთრებულად დამამახსოვრდა პატრონის როლი ლაშა თაბუკაშვილის პიესაში „ათვინიერებენ მიმინოს“.

ხშირად მახსენდება ახალ ათონში ბავშვობის დროინდელი გასეირნება. 10 წლის ვიყავი მაშინ. იდგა ზაფხულის ლამაზი დღე და მიხაროდა, რომ ჩემ გვერდით იყვნენ ჯანმრთელი, ულამაზესი მშობლები... ჯანმრთელობა ყველაზე ძვირფასი რომ იყო, ეს 1989 წლის 14 მარტს გავიგე! ეს დღე მამას დაბადების დღე იყო და ავადმყოფობის მიუხედავად, ის მაინც წამოდგა და ეცეკვა დედას... დღევანდელი დღესავით მახსოვს ეს ფაქტი. ბედნიერება იყო მათ მზერაში, აკოცეს ერთმანეთს და მაშინ მეც მივვარდი, ჩავეხუტე ორივეს. რა ვიცოდი, რომ სამ დღეში მამა ამქვეყნად აღარ იქნებოდა!

ადამიანის ცხოვრებაში ძალიან მნიშვნელოვანია ყოველდღიურობა. ყველაფერი უნდა დავაფასოთ. დღეს რაც გვაქვს, ზვალისთვის ის ბევრად უფრო ფასეული შეიძლება გახდეს. ცხოვრებაში ყველაფერი გვხვდება, ტალახიანი ქუჩა, უღრუბლო ცა, მაგრამ ღირსეულად უნდა გაიარო მკაცრი და შავი რეალობის მიუხედავად იმ დაკლანკილ გზაზე, ადამიანის სიცოცხლე რომ ჰქვია...“



ჩვენი ოჯახის ისტორიის დიდი ნაწილი აფხაზ თავად ლეიბებსა და ჯიკირებს ეკუთვნის

აზეთელები! შეუძლებელია, რომ ეს გენოფონდი ასე უმოწყალოდ დაიკარგოს ისტორიის მოუსავლეთში. შეიძლება გამოუსწორებელი იდეალისტი ვარ, მაგრამ ასე მსურს და მწამს! იქ ხომ ჩემი წინაპრების, ჩემი გამზრდელი დეიდებისა და მშ-

ნო ბიბლიოთეკის დამსახურებული მეცნიერ-მუშაკი, 84 წლის მარგარიტა, რომელიც შემომრჩა ჩემი დიდი ოჯახისგან. დეიდა მარგარიტას ერთხელ პირადად შეხვედრია გალაკტიონი. ამას ყოველთვის დიდი მონივნებით იხსენებს დეიდა. სოხუმში



იაპონიის ახალი ელჩი კახეთითა და ქართული სტუმარმასპინძლობით აღფრთოვანდა

ბატონმა კარლო ქველაძემ, საქართველო-იაპონიის ასოციაციის პრეზიდენტმა და იაპონიის იმპერატორის ამომავალი მზის ორდენის კავალერმა, რამდენიმე დღის წინ გვთხოვა, მისთვის მიგვეცა საშუალება, რომ გამოგვექვეყნებინა წერილი, სადაც აღწერილია იაპონიის ახალდანიშნული ელჩის სტუმრობა კახეთში.

წერილის სტილი დაცულია:

„ჩემი პირველი ვიზიტის დროს იაპონიის ელჩთან, ბატონ ტადაჰარუ უეჰარასთან ნათლად ჩანდა, რომ ელჩი იცნობდა ჩვენი ასოციაციის მუშაობას. ჩვენ ვიმსჯელებთ საქართველო-იაპონიის ასოციაციისა და ასოციაციის იაპონური პარტნიორის „იაპონია-ევრაზიის ქვეყნების საზოგადოების“ (პრეზიდენტი პროფესორი მასანაო ტააკედა) თანამშრომლობის გეგმაზე ასოციაციის კომპენტენციის ფარგლებში, ასევე, სელჩოსთან ერთად დავსახეთ, საქართველოსა და იაპონიის თანამშრომლობის ახალი, სასარგებლო და საინტერესო გზები. ვფიქრობ, ეს შეხვედრა ნაყოფიერი იყო, აღსანიშნავია, რომ ელჩმა რეზიდენციაში მიიწვია საქართველოში იაპონიის ენის სპეციალისტები და იმ ორგანიზაციის წარმომადგენლები, ვინც თავისი საქმიანობით ემსახურება საქართველოსა და იაპონიას შორის მეგობრობის განმტკიცებასა და თანამშრომლობას და აღუთქვა, რომ მათი საქმიანობის უკეთეს გაცნობის მიზნით, აუცილებლად ესტუმრება. პირველი ასეთი შეხვედრა დაგეგმილია სწორედ საქართველო-იაპონიის ასოციაციაში.

არ შემიძლია, არ აღვნიშნო ბატონი ტადაჰარუ უეჰარას მეგობრული და გულთბილი განწყობა საქართველოსა და ქართველების მიმართ. ეს არის ჩვენი ქვეყნის მიმართ იაპონიის მთავრობისა და იაპონელი ხალხის კეთილგანწყობა, რაც დიდ სტიმულს გვაძლევს და გვაავალდებულებს, ასეთივე სიყვარულით მოვეკიდოთ მოძმე იაპონელი ხალხის ძმურ დამოკიდებულებას ჩვენ მიმართ.

რადგან ბატონი ტადაჰარუ უეჰარა ადრე არ იყო საქართველოში ნამყოფი, მას ცხადია აინტერესებდა,

მეგობრობისა და თანამშრომლობის განახლებული გზები



საკუთარი თვალით ენახა საქართველოს რეგიონები და უშუალო კონტაქტით გასცნობოდა ქართველების ტრადიციებს, კულტურას. მოკლედ რომ ვთქვათ, ჩაეხედა ქართველების კაცთმოყვარეობისა და სტუმართმოყვარეობის საიდუმლოებაში.

საქართველო-იაპონიის ასოციაციისთვის დიდი პატივი იყო, რომ ბატონმა ელჩმა მიიღო ჩვენი შეთავაზება და დაგვეთანხმა, გასცნობოდა უმშვენიერეს კახეთს, დაეთვალა იერებინა კულტურული ძეგლები: ნინოწმინდა, ალავერდი, იყალთო, გრემი... ენახა ერეკლე II-ისა და ალექსანდრე ჭავჭავაძის სახლ-მუზეუმები, ყურძნის ვენახები, ქართული ღვინის მარანი, ქართული ქვევრი და გასცნობოდა ტრადიციულ სტუმართმოყვარეობას.

ელჩი მოხიბლული დარჩა ალექსანდრე ჭავჭავაძის სახლ-მუზეუმით (ერეკლე II-ის მუზეუმში რემონტი იყო). ვფიქრობ, ბატონი ელჩი არ ელოდა, თუ საქართველოში, ნინანდალში, ჯერ კიდევ მეთვრამეტე საუკუნეში ცხოვრობდა ისეთი გამოჩენილი პიროვნება, როგორც იყო ალექსანდრე გარსევანის ძე ჭავჭავაძე (1786-1846), ქართველი პოეტი, რუსეთის არმიის გენერალ-ლეი-

ტენანტი. სტუმართმოყვარეობით განთქმული ალექსანდრე ჭავჭავაძის ოჯახი მაშინდელი საქართველოს მონინავე აზრისა და კულტურის ერთ-ერთი კერა იყო.

როცა დავრეკე ერთ-ერთი ღვინის კომპანიაში და ვუთხარი, რომ გვინდოდა იაპონიის ელჩისთვის გვეჩვენებინა ქართული ღვინის ქარხანა, მიპასუხეს, — მობრძანდით, ჩვენი ღვინის ქარხნები მზადაა თქვენს მისაღებადო. მინდა, მათ ამისთვის მადლობა გადავუხადო.

დავათვალა იერეთ ვენახები, ქარხანა, მარანი, ქვევრში ჩასხმული ღვინო ვაჩვენეთ და ქართული სტუმართმოყვარეობით აღფრთოვანებულ ელჩს კახური „მრავალყამიერიც“ მოვასმენინეთ.

ბატონი ელჩი ტადაჰარუ უეჰარა, საელჩოს პირველი მდივანი ბატონი სინჯი სოიამა და საელჩოს ატაშე, ქართველოლოგი იასუჰირო კოჯიმა მოხიბლული დარჩნენ და გადაგვიხადეს უღრმესი მადლობა.

საქართველო-იაპონიის ასოციაციის სახელით, მინდა უღრმესი მადლობა გადაუხადო ჩვენს მასპინძლებს, ეს დღე იყო ქართველი და იაპონელების მეგობრობის ნამდვილი ზემი...“



პატარძალივით გამოპრანჭული თბილისი...

„ილუზიას ვიქშინით, რომ ყველაფერი პარგად არის“

საახალწლო განწყობა საზეიმოდ მორთული ქუჩების წყალობით, უკვე შეგვექმნა. რა დასამალია და თავიდან, როცა შუა რუსთაველზე დიდი ბაფთები გაჩნდა, სხვების კრიტიკას ნაჩქარევად, მეც შევუერთდი, უღიმღამოდ მომეჩვენა ახალი მორთულობა, მაგრამ აღმოჩნდა, რომ თურმე, ეს მხოლოდ დასაწყისი იყო: ბაფთები ზოგან ჩამოხსნეს და რაღაცები შეასწორეს, ნათურებიც დაუმონტაჟეს, ირგვლივ ხეებიც მორთეს და დღეს, თუკი რუსთაველის გამზირზე გაივლით, აუცილებლად კარგი განწყობა შეგექმნებათ, დადებითი ენერგიით აივსებით და ბავშვობაშიც კი დაბრუნდებით — გაგიჩნდებათ ნაძვის ხის ირგვლივ შემორბენის, ფოტოების გადაღების სურვილი...

თბილისში საახალწლო განათებები 15 დეკემბრიდან ჩაიერთო. ქალაქის ცენტრალურ გამზირებზე: რუსთაველზე, თავისუფლების მოედანზე, ჭავჭავაძის გამზირზე, პეკინის ქუჩაზე და ა.შ. ახალი და ორიგინალური საახალწლო განათებები დამონტაჟდა. დედაქალაქს საახალწლო განათება-გაფორმება 3 მილიონი ლარი დაუჯდა.

თბილისის მერიის შპს „თბილსერვის ჯგუფის“ ინფორმაციით, რუსთაველის გამზირზე დამონტაჟდა 32 ერთეული 12 მეტრი სიგანის ოქროსფერი ბაფთა, რომლის შუამიც ე.წ. მანათობელი ცა გადის. ყველა ხე თავიდან ბოლომდე ოქროსფერი მანათობლებით მოირთო.

ამასთან, საახალწლო ნაძვის ხის ორივე გვერდზე 2 ერთეული ხუთი მეტრი სიმაღლის საახალწლო თალი განთავსდა, რუსთაველის გამზირზე კი 5 მეტრი სიმაღლის ნაძვის ხის სათამაშო ბურთი დაიდგა.

ჭავჭავაძის გამზირი 500 ერთეული სხვადასხვა ფორმისა და ზომის ჩამოსაკიდი ფიგურით მოირთო, რომლებიც მიწების, ოქროსფერი და თბილი, თეთრი მანათობლებით

გაფორმდა, ასევე დაახლოებით 300 ერთეული ხე ოქროსფერი მანათობლებით მოირთო.

სადღესასწაულოდ მოირთო ბართაშვილის ქუჩაც, რომლის შუა (გამწვანებულ) გამყოფ ზოლზე დამონტაჟდა 8 ერთეული 5-მეტრიანი თეთრი ნათებითა და ნითელი ბაფთით შეფუთული დეკორატიული ნაძვის ხე. ამასთან, პეკინის ქუჩაზე განთავსდა 24 ცალი, 10 მეტრის სიგანის მანათობელი ბაბუანვერა, რომელიც პროგრამული მექანიზმის საშუალებით ქმნის „ქარნაღებულ ბაბუანვერას“ ეფექტს. სანაპიროზე კი, მეტეხის ხიდიდან ბართაშვილის ხიდამდე ხეები ოქროსფერად განათდა.

რუსთაველზე მოსეირნეების დანახვაც სასიამოვნოა ამ დღეებში. თუკი სხვა დროს გაღიმებულ ადამიანს იშვიათად გადააწყდებით და ქუჩაშიც ტელეფონში ცხვირჩარგული დავდივართ, ბოლო დღეებში ეს ტენდენცია ნამდვილად შეცვალა საუცხოო განათებებმა და ბედნიერად გაღიმებული ადამიანების სახეების ცქერა სიამოვნებას მოგანიჭებთ, თანაც, ტელეფონს სულ სხვა დატვირთვა აქვს — ფოტოაპარატის...

ბევრი ჩივის, რომ განათება, როგორც საუცხოოც უნდა იყოს ის, კუჭს ვერ გააძლებს, მშვენიერ ხალხს ვერ დააპურებს, ვერც სტუმრების სათანადოდ გამასპინძლებაში შეუწყობს ხელს და ის სამი მილიონი ლარი, რომელიც ამ საახალწლო აქცესუარების შესაძენად დახარჯეს, საახალწლოდ ხალხისთვის, ლარიბი ფენისთვის დაერიგებინათ, ჯობდაო. თუმცა, მიუხედავად ყველაფრისა, ყველაზე დიდი „კრიტიკოსებიც“ აღიარებენ, რომ წელს თბილისი გამორჩეულად ლამაზია...

ნანა სულსაკაშური, დიასახლისი:
— ძალიან მიხარია, წელს ასე ლამაზად რომ მორთეს თბილისი. მართალია, ამბობენ, ეს კუჭებს ვერ გაგვიძლებსო, მაგრამ თვალს ხომ გაახარებს და განწყობას ხომ გაგიუმჯობესებს? ყველაფერში ცუდის დანახვას ჯობია, პოზიტივი ვეძებოთ და იქნება, ასე მაინც გვეშველოს რამე, თორემ წლებია უკვე, უმიზეზოდ თუ მიზეზის არსებობის გამოისობით, დაბღვერილები დავდივართ და ისე გამოდის, რომ ამქვეყნად არაფერი გვახარებს. მე მომწონს ჩემი ქალაქი სხვა დროსაც და ახლა — მით უმეტეს, ასე პატარძალივით გამოპრანჭული. სამი შვილი მყავს. პატარები არიან და საახალწლო განწყობა ჩემს ოჯახში განსაკუთრებულად იგრძნობა, მაგრამ სალამოს მთხოვენ ხოლმე ქალაქში გასეირნებას და აღფრთოვანებულები არიან რუსთაველზე დადგმული ნაძვის ხით, საოცარი განათებებით. ნამდვილად ღირდა ამ ყველაფერში თანხის გადახდა. მადლობა კახა კალაძეს, ამ საოცარი ეფექტის შექმნისთვის. ბავშვებს ახლა ნამდვილად ჯადოსნურ სამყაროში ჰგონიათ თავი. ყველაფერი ძალიან ლამაზია...

სმრბი, თვითდასაქმებული:
— ალბათ, საახალწლო ზეიმში ნავა მთელი ჩემი თვის გამომუშავებული თანხაც და დანაზოგიც, მაგრამ ამას არ ვდარდობ, ამ დღეებში მაინც შემიძლია თავს დასვენების უფლება მივცე და ბავშვებიც გაეახარო. სალამოობით გამოვდივართ ხოლმე რუსთაველზე. მართალია, შორს ვცხოვრობთ, მაგრამ დაღლილიც კი მზად ვარ, შვილებს მოვემსახურო და ახლა, მათ ამ სილამაზის ნახვის საშუალებას როგორ მოვაკლებ? ისიც გვეყოფა, რომ უამრავი რამ აკლია ჩემს შვლებს. მათი თანატოლების ნაწილს უცხო



ახალი და ორიგინალური საახალწლო განათებები დამონტაჟდა



ქვეყნები რამდენჯერმეც კი აქვთ მოვლილი, ჩემებს კი საქართველოც არ უნახავთ ჯერ, რადგან ყველაფერი ფინანსებამდე მიდის. ჰოდა, რაც შემოიძლია, იმას მაინც არ მოვაკლებ და გლდანთან რუსთაველზე მოსვლას როგორ დავამადლი საკუთარ სისხლსა და ხორცს (იციინის).

— მოსწონთ საახალწლოდ მორთული დედაქალაქი?

— რა თქმა უნდა, ყველაფერი ძალიან ლამაზია. ახლა რომ გითხრათ, ესთეტი ვარ ან ყველაფერს მხატვრის თვალთ ვუყურებ-მეთქი, მოგატყუებთ, მაგრამ რასაც ვხედავ, ძალიან მომწონს და რაც მთავარია, მიხარია, რომ ირგვლივ ყველა კარგ ხასიათზეა, ილიმიან, სურათებს იღებენ, გზასაც კი უთმობენ ერთმანეთს. ამ მოკლე დროში ისეთი შთაბეჭდილება გექმნება ადამიანს, რომ ყველაფერი კარგად არის ქვეყანაშიც, ოჯახშიც და თავს უფლებას აძლევ, შენც ბედნიერი იყო...

მასპაღანელია, ექიმი:

— ყოჩაღ, კახი, კარგად დაინწყე ქალაქზე ზრუნვა. წელს მარტო რუსთაველი კი არა, ბევრი სხვა უბანიც გალამაზებულია, მაგრამ დედაქალაქის ცენტრს მზრუნველი ადამიანების ხელი განსაკუთრებულად დაეცყო და მადლობა ამისთვის. რამდენიმე დღეა, საღამოს აქ მოვდივართ სასეირნოდ. სიმართლე გითხრათ, შარშან, შარშანწინ და მანამდეც, ამის სურვილი იშვიათად გვიჩნდებოდა. მხოლოდ იმ წელს გვიხაროდა რუსთაველის გამზირზე სეირნობა განსაკუთრებულად, მიშამ პირველ წელს რომ აბდღვრილა ქალაქი, მანამდე კონცერტების ხათრით თუ გამოხვიდოდი გარეთ, მხოლოდ კონცერტის მოსამსენად გამოსვლა კი, სიმართლე გითხრათ, მეზარებოდა, მით უმეტეს, მაშინ ჩემი შვილები ძალიან პატარები იყვნენ. ახლა კი ვფიქრობ, ახალი წლის ღამესაც საზოგადოებას შევუერთდებით და იმედია, განათების შესაფერისი კონცერტი დაიგეგმება ქალაქში...

ნათიელა, პენსიონერი:

— შვილიშვილები სასეირნოდ გამოვიყვანე, მათ მშობლებს არ სცალიათ საამისოდ, მუშაობენ და შინ ისეთი დადლილები მოდიან, ჭამის თავიც კი არ აქვთ. მართალია, გული მანუხებს, მაგრამ შვილიშვილების გამო რას არ გააკეთებს ადამიანი (იციინის). ძალიან მომწონს განათებები, გალამაზებულია ყველაფერი და გულს უხარია, მაგრამ ეს ასაფეთქებლები რომ

ალარ გაიყიდოს, უკეთესი იქნება. ხომ წინასწარ ვხედავ, რომ ბავშვები ცეცხლს უკიდებენ ე.წ. ხლაპუშკას თუ ბომბაჩკას, მაგრამ მაინც გული მიმდის, როცა ფეთქდება, ისეთი საშინელი ხმა აქვს და თუ წინასწარ ვერ დავინახე, რომ ვიღაც რალაცის აფეთქებას აპირებს, მაშინ გიჟივით ვკივი და ჩემი შვილიშვილები ამაზე

აღმოვჩნდებით. კი ბატონო, კარგია ეს სილამაზე, მაგრამ ერთეულები-სთვისაა ესეც.

— რას გულისხმობთ?

— 24 საათი თავის გატანისთვის რომ იბრძვის ადამიანი, აქ მოსვლასაც კი ვერ მოახერხებს და ჩემსავით, შვილების გამო თუ მოვა, სილამაზის ალქმის თავიც არ ექნება. აი, მე



ილუზიას ვიქმნით, რომ ყველაფერი კარგად არის, ბედნიერები ვართ

ხარხარებენ. როგორ შეიძლება, ისედაც დაზაფრულები ვართ, ყველგან ტერორის საშიშროება გველანდება და ადამიანების ასე შენუხება ვის გაუგონია?

— თქვენი შვილიშვილები არ აფეთქებენ „ბომბაჩკებს“?

— მათთვის ასეთ რამეებს არ ვყიდულობთ, შვილო, ფულიც გვენანება და თან გვემინია, ხომ იცით, ზოგჯერ ცუდად ფეთქდება და დამწვრობასაც კი იწვევს. ჰოდა, ეს ამათაც გაცნობიერებული აქვთ. არასდროს გვეუბნებიან, გვიყიდეთო. მხოლოდ ახალი წლის საღამოს ანთებენ რალაცებს... ისე, ჩემს ბავშვობაში „ლამპოჩკის“ ანთება მიგვაჩნდა სასწაულად და ასე მორთული ქალაქი რომ შენახა, ალბათ გადავირეოდი სიხარულით. ამ ასაკშიც კი პატარა ბავშვივით მიხარია აბდღვრილებული ქალაქის ყურება და გული მწყდება, სოფლელი ბავშვები მოკლებული რომ არიან მსგავს რალაცებს. ყველას ხომ არ აქვს საშუალება, შვილი დედაქალაქში ჩამოიყვანოს და ამ მხრივ, ისინი იჩაგრებიან. ზურაბი, უმუშევარი:

— კარგია ეს განათება. ფოტოების გადაღება და „ფეისბუქზე“ ატვირთვა. მერე ილუზიას ვიქმნით, რომ ყველაფერი კარგად არის, ბედნიერები ვართ, მაგრამ სინამდვილეში ხომ ასე არ არის? ეს ყველაფერი ილუზიაა და მაქსიმუმ ორ კვირაში დასრულდება, მერე კი მშვიდი რეალობის წინაშე

უზაროდ დავყვები ბავშვებს და იმის ნაცვლად, რომ დავტყუებ ამ გარემოთი, იმაზე ვფიქრობ, ხვალ სად რა ვიშოვო. ახალი წელიც მხოლოდ იმათია, ვისაც ფული აქვს თავზე საყრელად, თორემ მე ბავშვებისთვის კანფეტების ყიდვაც თუ დიდ ძალისხმევად დამიჯდება, მაშინ რა მედღესასწაულება, ხომ ვერ მეტყვიან? ბავშვებს კიდეც, ისეთი მოთხოვნები აქვთ, გიყვარდეს, მაგრამ არ მიკვირს, მათ თანატოლებს ისეთი მობილურები დააქვთ სკოლაში, პირი ღია დაგრჩება, ჩემებს კი ფარნიანი ნოკია, ისიც სხვისი გამოცვლილი, სამადლოდ ნაჩუქარი დააქვთ და როცა ვურეკავთ, ჯიბიდან მორიდებით იღებენ. რა ვქნა, ვერ მოვერგე ამ ცხოვრებას ეტყობა. ახლა თუ ძალიან ილბიანი ან გოთვერანი არ ხარ, დაიკარგები. ვისურვებდი, რომ ამ განათებების პარალელურად, ხელისუფლებას იმაზეც ეზრუნა, რომ როგორმე ან ხელფასები და პენსია გაეზარდა, იქვე — სოციალური დახმარებებიც, ან კიდეც, ამ პროდუქტს დააკლდეს ფასი, თორემ ხალხს ტკბილეული კი არა, ხორცის ყიდვის თავიც არ ექნება. ხორცს ვინ ჩივის, ლობიოსაც ვერ მოხარშავ, ამ მცენარემაც თავი დაიფასა. ასეთ ბრჭყვიალა გარემოს კარგი სუფრა მოუხდებოდა, სუფრის განწყობას კი დღეს ფართო და ღრმა ჯიბე სჭირდება, რომელშიც ბევრი ფული უნდა გენყოს.



აჭი ძაღლისგან დაკბენილი...

ინგა ჯაყელი

როცა გავიგე ზოდიაქოს ნიშნის მიხედვით ახალი 2018 წელი ძაღლისაა, გული გავუწყალე ახლობლებსა თუ მეგობრებს: ძაღლთან დაკავშირებული საინტერესო ამბავი თუ იცით რამე, რომელიც ამავდროულად ახალ წელთანაც არის კავშირში, მიაბეთ და სანაცვლოდ რაც გინდათ, მთხოვეთ-მეთქი...

ყველა უარით მიშორებდა თავიდან და ლამის იმედიც გადავიწურე, რომ რამეს „მაინც ამოვქექავდი“, როცა მეგობარმა დამირეკა: ჩვენთან მოდი სასწრაფოდ, მამიდაჩემი იხსენებდა ახლა ახალ წელს როგორ დაკბინა მათმა ავმა ძაღლმა ახალგაზრდა კურიერი, რომელმაც შეყვარებულისგან წერილი და საჩუქარი მოუტანაო...

წელი დეიდას დიდი ხანია ვიცნობ და მათ ოჯახშიც ბევრჯერ ვარ ნამყოფი ჩემი მეგობრის წყალობით. გავიქეცი და ორმაგი სარგებელიც ვნახე: მასპინძელმა კარგი ამბავი კი არ „გამომაცხოვინა“ მხოლოდ თქვენთვის, ჩემი საყვარელი იმერული ხაჭაპურიც დამახვედრა იმ რეცეპტით გამოცხობილი, ცოცხალი თავით რომ არ უმხელს არავის და ისეთი გემრიელია, აღარც დიეტა გახსენდება და აღარც კალორიები...

— ეს ამბავი რომ მოხდა, ოცი



ტკივილზე მეტად, დახეული შარვალი ატირებდა და ადარდებდა

წლის გოგო ვიყავი და მართლა ბევრ ბიჭს ვუყვარდი, მოტაცებით მემუქრებოდნენ. მარტოს ვერ მიშვებდნენ მშობლები სახლიდან. სხვანაირად რომ ვერ დამიკავშირდა შეყვარებული, ფოსტაში მივიდა და იქიდან გამომიგზავნა საჩუქარი. ორმაგი გადაუხდია იმისთვის, რომ მაინცდამაინც ლამის თორმეტ საათზე მოეტანათ ჩემთან საჩუქარი. მაშინ დღევანდელივით არც ფოსტა იყო განვითარებული და არც კურიერებს ევალებოდათ ლამით კლიენტის მომსახურება, მაგრამ ბიჭი, რომელიც რაიონიდან ჩამოსული ღარიბი სტუდენტი იყო და სწავლის პარალელურად მუშაობდა, ფულის ხათრით იმასაც დათანხმდა, რომ ახალი წლის შინ შეხვედრის ნაცვლად, სამუშაოდ ქუჩაში გამოსულიყო და ასე მოადგა ჩვენს ჭიშკარს.

კარგა ხანს იძახდა თურმე, მაგრამ ვერ გაგვაგონა სუფრასთან ისეთი ჟრიაბული და ხმაური იყო. გაურისკავს და ეზოში შემოვიდა, სადაც ჩვენი ძაღლი ბასარა აკონტროლებდა სიტუაციას და უცხო კაცი რომ დაინახა, არც დაუყეფა, ისე დაეტაკა და გააკრა თურმე მინას. შეშინებულმა ბიჭმა ნამოხტომა და გაქცევა რომ დააპირა, გადაირია და კბილებით საჯდომზე ისე ჩააფრინდა, მისი ღრიალი ცას მისწვდა და ჩვენც გამოვცვივდით ეზოში...

მამაჩემმა ბასარა გვერდზე გააგდო და ატირებულ ბიჭს ნამოდგომაში დაეხმარა, ამოგლეჯილი ხორცი რომ დაუნახა, მაშინვე მანქანაში ჩასვა და საავადმყოფოში გააქანა...

საწყალს გამოსაცვლელი შარვალიც არ ჰქონდა მაშინ და ტკივილზე მეტად, დახეული შარვალი ატირებდა და ადარდებდა თურმე, როგორც მოგვიანებით იხსენებდა...

რომ გვითხრა, რისთვისაც შემოვიდა ეზოში, მამაჩემს მაინც არ მოსწონდა ის ჩემი შეყვარებული და ჯერ კარგად აგინა: „ეს სისულელე რამ მოაფიქრაო“ და მერე დაემუქრა: ჩემი გოგოსკენ გამოხედვა არ გაბედოს, თორემ ჩემი ხელით მივუსევ ძაღლსო...

რეზო კი, როცა გაიგო, მარტო ცხოვრობდა ნაქირავებში, არც მომვლელი ეყოლებოდა და არც სუფრას გაუშლიდა ვინმე, მას შემდეგ, რაც


ჭრილობა დაუმუშავეს და გაუკერეს, ჩვენთან ნამოიყვანა...

ამ ერთ კვირაში კი ახლოს გავიცანით ერთმანეთი და ისე მალე შეგვიყვარდა, ძველი შეყვარებული და მისი საჩუქარი აღარც გამხსენებია. რეზო მამაჩემსაც ძალიან მოეწონა. რომ შეატყო, სხვანაირად მიუუყუნებდა თვალებს, პირდაპირ უთხრა: წელის იმდენი ემუქრება მოტაცებით, ქუჩაში ვერ გამიშვია და თუ მართლა მოგწონს, დაგაქორწინებთ. შენნაირ პატიოსან და მშრომელ ბიჭს ვნატრულობდი მაინცო...

მაშინ ასტროლოგიას დიდი ყურადღება არ ექცეოდა და არც ის ვიცოდით, ძაღლის წელიწადი თუ შემოდოდა. საავადმყოფოში რომ წავიყვანეთ რეზო, ქირურგს ჰქონდა უცხოური ჟურნალი და იქიდან ამოჭრილი კალენდარი ეკიდა კაბინეტში. იმან გვითხრა: ძაღლის წელიწადი შემოვიდა და ასე რომ „დაგლეჭა“ პირველსავე დღეს, წარმომიდგენია, მერე რას გიზამსო, მაგრამ თუ იმნაკბენს არ ჩავთვლით, რომლის გამოც თითქოს მთელი ცხოვრებაა გვებოდებოდა განგება, ჩვენი შეხვედრა ნამდვილად დიდი ბედნიერებაა. ორმოც წელიწადზე მეტია, ერთად ვართ და ერთი ავი სიტყვა არ მახსოვს ქმრისგან. ჩემს მშობლებსაც პატივს სცემდა და მამაჩემი გახარებული ამბობდა: ნანატრი ბიჭი შევიძინეო...

სხვათა შორის, ძაღლის წელიწადმა კიდევ ერთი დიდი სიხარული გვაჩუქა: სამი გოგონა შეგვეძინა ზედიზედ. არადა, ჩემს ქმარს და განსაკუთრებით მამაჩემს ძალიან უნდოდათ ბიჭიც გვყოლოდა. ჰოდა, ჩვენი მეოთხე შვილი, გიორგი სწორედ იმ ახალ წელს დაიბადა (ორ იანვარს), თორმეტი წლის შემდეგ, ისევ ძაღლის წელიწადი რომ დადგა...

რა გასაკვირია, რომ ძაღლი ყველას უყვარდეს ჩვენს სახლში და ერთი კი არა, რამდენიმე ძაღლი დარბის ეზოში... მისი წელიწადიც რომ არ მოდიოდეს, ისედაც საოცრად ერთგული და მოსიყვარულე ცხოველია და ეჭვიც არ მეპარება, 2018 მრავალ სიხარულს აჩუქებს სრულიად საქართველოს...



ერის მარია რემარკი

სივოსხლის ნაპერწკალი

ვუძღვნი ჩემს დას ელფრიდეს.

დასაწყისი იხ. „გზა“ №51

— კიდევ რამე ხომ არ მოგსურვებია? იქნებ პასპორტიც გინდა? — არ წყდებოდა ჩახლეჩილი ხმა სიბნელიდან.

— არა, მაგრამ იმ შოკოლადით ჩვენ მაშინ ორი დღე გადავაგორეთ.

— ვინ ყვირის იქ ასე? — შეეკითხა 509 ბუხერს.

— ერთ-ერთი იმათგანია, გუშინ რომ გადმოიყვანეს ახალია. მალე ჩანყნარდება. — მიუგო ბუხერმა.

აჰასფერმა რალაცას მიაყურადა.

— უკვე ჩავლილია.

— რა არის ჩავლილი?

— გარეთ. საყვირის ხმა ბოლოჯერ გაისმა.

უცბად დიდი სიჩუმე ჩამონვა; ჩემდეგ კი ნაბიჯების ხმაური მოისმა.

— მოაცილე ეგ „ნაგაზი“ აქაურობას. — ჩაიჩურჩულა ბუხერმა.

აჰასფერმა შეშლილი სანოლებს შორის გახლართა.

— სუ, ჩუმად. — მას ის ისე ჰყავდა განვრთნილი,

რომ ბრძანებაზე სათანადოდ მოქმედებდა. ესეველებს ის რომ ენახათ, მაშინვე, როგორც შეურაცხადს, სასიკვდილო ინიექციით გამოასალმებდნენ სიცოცხლეს.

ბუხერმა კარიდან უკან დაიხია.

— ეს ბერგერია! — თქვა მან.

ექიმი ეფრაიმ ბერგერი საშუალო სიმაღლის კაცი იყო, ჩამოყრილი მხრებითა და სრულიად მელოტი თავით, რომელიც კვერცხს მიუგავდა. თვალის ანთება ჰქონდა და განუწყვეტლივ იცრემლებოდა.

— ქალაქი ინვის. — ჩაილაპარაკა მან, როცა შიგნით შევიდა.

509 წამოდგა.

— მერე, რას ამბობენ იქით?

— არ ვიცი. — გამოეპასუხა ბერგერი.

— რანაირად? რალაც მაინც გეცოდინება.

— არაფერი ვიცი, — გაუმეორა გადაღლილმა, — დაბობმვა შეწყვიტეს, როცა განგაშის ხმა გაისმა.

— რატომ?



- საიდან უნდა ვიცოდე? უბრძანეს და მორჩა.
- და ესესელები? ისინი არ დაგინახავს?
- არა.

ბერგერმა საწოლების მწკრივში ჩაიარა. 509-მ თვალი გააყოლა. ის მასთან საუბარს ელოდა, ახლა კი სხვებივით უხალისო მოეჩვენა. რაღაც ვერ მიუხვდა საქციელს.

- არ გინდა გარეთ? — ჰკითხა მან ბუხერს.
- არა. — იყო პასუხი.

ბუხერი 25 წლისა გახლდათ და შვიდი წელი იყო, რაც ბანაკის მობინადრედ ირიცხებოდა. მისი მამა ერთ-ერთი სოციალ-დემოკრატიული გაზეთის მთავარი რედაქტორი ყოფილა. ეს საკმარისი აღმოჩნდა, რომ მისი ვაჟი ბანაკში გაემწესებინათ. „თუ გააღწია აქედან, ის ერთ ორმოც წელიწადს კიდევ იცოცხლებს, — გაიფიქრა 509-მ, — ორმოცს ან ორმოცდაათს. მე კი, მისგან განსხვავებით, უკვე ორმოცდაათის ვარ. დიდი-დიდი, კიდევ ათი ან ოცი წელი ვიყო ამქვეყნად. — ჯიბიდან ხის ნატეხი ამოიღო და ღეჭვა დაუწყო, — რა მაფიქრებინებს ახლა ასეთ რაღაცებს?“ — გაუელვა გონებაში.

- ბერგერი მიუახლოვდა.
- 509, ლომანს უნდა შენთან ლაპარაკი. — თქვა მან.

ლომანი ბარაკის უკანა ნაწილში, სულ ქვედა საწოლებზე იწვა, რომელზეც ნამჯა არ ეფინა. მან ასე ისურვა. დიზენტერიის რთული ფორმით იყო ავად და ადგომა აღარ შეეძლო. ფიქრობდა, ამგვარი ქმედება უფრო ჰიგიენური იქნებოდა. ეს ჰიგიენური მართლა არ იყო, მაგრამ ყველა შესჩვეოდა ამას.

თითქმის ყველას ხომ, მეტად თუ ნაკლებად, კუჭი ჰქონდა აშლილი. ლომანისთვის ეს ნამება იყო. სასიკვდილო სარეცელზე იწვა და როცა მთელი შიგნეულობა ეკლავნებოდა, ბოდიშს იხდიდა. მისი სახე ისე განაცრისფერებულყო, სისხლისგან დაცლილ ფერადკანიანს მიაგავდა.

მან ახლა ხელი აღმართა, 509 კი მის სასთუმალთან დაიხარა. ლომანის თვალები ყვითლად ელავდა.

- ხედავ? — ასლუკუნდა ის და პირი ფართოდ დაალო.
- რას? — ჰკითხა 509-მ, თან მის გალურჯებულ სასას დააკვირდა.
- ქვევით, მარჯვნივ. კბილის ეგ გვირგვინი ოქროსია.

ლომანმა თავი ვინრო სარკმლისკენ მიატრიალა. მზე მოსდგომოდა ბარაკს და სარკმიდან სუსტი, ვარდისფერი ნათება შემოდიოდა.

- ჰო, — თქვა 509-მ, — ვხედავ. — სინამდვილეში კი ვერაფერს ხედავდა.
- ამომაძვრეთ.
- რა ამოგაძვროთ?
- ამომაძვრეთ-მეთქი. — ჩაიჩურჩულა ლომანმა სულმოუთქმელად.

509-მ ბერგერისკენ გაიხედა. ბერგერმა თავი გააქნია.

- ის ხომ მყარადაა იქ? — თქვა 509-მ.
- მაშინ მთლიანი კბილი ამომიღეთ. ის არაა მყარად. ბერგერი შეძლებს. ის ხომ ასეთ რაღაცებს კრემატორიუმში აკეთებს. ორს კი უფრო გაგიადვილდებათ.

- რად გინდა, რომ ამოგაძვროთ?
- ლომანს ქუთუთოები სუსტად აუთამაშდა. კუსავით ქუთუთოები ჰქონდა, წამნამები აღარ შერჩენოდა.
- ეგ თქვენც ხომ იცით. ოქრო. იმით საჭმელს იყიდით. ლებენტალი გადაცვლის საჭმელზე.

509 უტყვად იჯდა. ოქროს ფირფიტის რამეზე გადაცვლა სახიფათო საქმეს წარმოადგენდა.

ადამიანებს ოქროს ბუენებით, ესესელები ბანაკში შემოყვანისთანავე ცალკე აღრიცხავდნენ ხოლმე, მოგვიანებით კი კრემატორიუმში მათ გვამებს ბუენს ამოაძრობდნენ და თავისთვის აგროვებდნენ. გადათვლისას თუ დაადგენდნენ, რომ სიაში მონიშნული რომელიმე ბუენი აკლდათ, მთელ ბარაკს ფეხზე დააყენებდნენ და ყველას პასუხს აგებინებდნენ.

საჭმელს აღარავის აღირსებდნენ, სანამ ბუენი თავის ადგილზე არ დაბრუნდებოდა, ხოლო იმას კი, ვისაც ის აღმოაჩნდებოდა, ჩამოახრჩობდნენ.

- ამომაძვრეთ! — განაგრძობდა მოთქმას ლომანი, — ეს ხომ ადვილია! მარნუხით! ანდა, რამე მავთულიც საკმარისი იქნება.
- არ გვაქვს მარნუხი.
- მაშინ მავთულით. მოაკაუჭეთ და მიდით.
- არც მავთული გვაქვს.

ლომანმა თვალები დახუჭა. ძალა საერთოდ აღარ შერჩენოდა. ბაგეები კი უმოძრავებდა, მაგრამ სიტყვას ველარ სძრავდა. სხეული გახევებოდა და ძალიან გაბრტყელებოდა, და მხოლოდ მუჭი, გამომშრალი ტუჩების ჭმუხვნალა შეინიშნებოდა: ცხოვრების ეს პანანინა მორევი, რომელშიც სიჩუმე უკვე მდორედ მიედინებოდა.

509-მ ბერგერს ახედა. ლომანი მათ სახეებს ვერ ხედავდა, რადგან მათ შორის საწოლები იდგა.

- რა ეშველება?
- დაგვიანებულია ყველაფრისთვის.
- 509-მ თავი ჩახარა. ხშირად ისე ხდებოდა, რომ იგი წინასწარ ცოტათი უფრო მეტს გრძნობდა.
- მზის ირიბად შემოსულმა სხივმა სახე ერთბაშად გაუნათა ხუთ კაცს, რომელიც მჭლე მაიმუნივით ზედა ნარზე ბოლთას სცემდა.

- მალე მოკვდება? — იკითხა ერთ-ერთმა ილღის სრესითა და მთქნარებით.
- რად გინდა, მალე რომ მოკვდეს?
- მისი საწოლი ჩვენ დაგვრჩება — მე და იმპერატორს!

— კი, დაგვრებათ. — 509, წამით, სივრცეში მოლივლივე სხივს დააკვირდა, რომელსაც არ ეტყობოდა, რომ აყროლებულ ბანაკთან რამე ჰქონდა საერთო. იმის კანი კი, ვინც შეკითხვა დასვა, იმ სინათლეზე, ლეოპარდისას ჰგავდა, მთლიანად შავი ლაქებით იყო დაფარული. კაცმა აყროლებულ ნამჯას დაუწყო ჭამა. რამდენიმე



სანოლის მოშორებით ორი ტყვე ერთმანეთს მალალი, წრიპინა ხმით ეჩხუბებოდა. მოისმა რამდენიმე უღონო დარტყმის ხმაც.

509-ს ვილაც სუსტად მოეჭიდა ფეხზე. მას შარვალზე ლომანი ექაჩებოდა. 509 კვლავ მისკენ დაიხარა.

— ამომიღეთ! — ძლივს გასაგონად ჩაიჩურჩულა ლომანმა.

509 სანოლის კიდეზე ჩამოჯდა.

— ვინ გარისკავს, ძალიან საფრთხილოა. ვერც ვე-რაფერს გავცვლით მასზე.

ლომანს ტუჩები უთრთოდა.

— მათ ეს ხელში არ უნდა ჩაუფარდეთ, — წვალეებით ამოთქვა შემდეგ, — მათ არა! მე ეს 45 მარკა დამიჯდა. ათას ცხრაას ოცდაცხრაში. მათ არა!.. ამომაძვრეთ!

ის უეცრად დაიკლაკნა და ამოიგმინა. კანი მხოლოდ თვალუბთან და ტუჩთან თუ უნაოჭდებოდა, სხვანაირად აღარ უკრთოდა არც ერთი ნაკვთი, რომელსაც შეეძლო, ტკივილი გამოეხატა.

მერე ტანში გაიშალა და მის ფილტვებში დაგუბებულ ჰაერს ხრინწიანი ხმა ამოჰყვა.

— არ იდარდო, — მიმართა ბერგერმა, — ცოტაოდენი წყალი გვაქვს. არაფერი იქნება. კარგი, ჰო, ამოვიღებთ მაგ კბილს.

ლომანი ერთხანს ჩუმად იწვა, შემდეგ ისევ სლუკუ-ნი მორთო.

— შემპირდით, რომ ამომიღებთ, სანამ ისინი კრე-მატორიუმში წამიღებენ. მაშინ ხომ მაინც შეძლებთ.

— კი, მაგრამ კბილი სიაში არ მოინიშნეს, როცა აქ მოგიყვანეს? — იკითხა 509-მ.

— არა. მიდით, შემპირდით. აუცილებლად. იცოდეთ!

— გპირდებით!

ლომანს თვალეზე ბინდი გადაეკრა და გამოხედვა დაუნყნარდა.

— ის რა იყო... წელან... გარეთ?

— ჭურვები, — თქვა ბერგერმა. — პირველადაა, რომ ქალაქი დაბომბეს. ამერიკელები იყვნენ.

— ოჰ...

— ჰო, — თქვა ბერგერმა ჩუმად და მჭახედ, — ბევრი აღარ დარჩა, ლომან, მოუწევთ, შენ გამო ზღონ.

509-მ საჩქაროდ აიხედა ზემოთ. ბერგერი კვლავ ფეხზე იდგა; იგი მისი სახის დანახვას ვერ ახერხებდა და მხოლოდ ხელებს ხედავდა; მისი მუჭები იშლებოდა და იკუმშებოდა, თითქოს უჩინარი ყელი მოემწყვდია და გუდავდა.

ლომანი ხმის ამოუღებლად იწვა. თვალეები ისევ და-ეხუჭა და უკვე თითქმის ველარც სუნთქავდა. 509-მ არ იცოდა, გაათვითცნობიერა თუ არა მან ის, რაც წელან ბერგერმა უთხრა.

ფეხზე წამოდგა.

— მოკვდა? — იკითხა კაცმა ზემოთა სანოლიდან. ის ადრინდელივით ხრინწიანი ხმით განაგრძობდა. დანარჩენი ოთხი, მის გვერდით, დაცლილი თვალეებით, ავტომატიზებულივით წამომჯდარიყო.

— არა, — თქვა 509-მ და ბერგერისკენ მიბრუნდა, — რატომ უთხარი ეგ?

— რატომ? — ბერგერს სახე მოეღრცა. — იმიტომ. რა, არ გესმის?

შუქი მის კვერცხისებურ თავზე ღრუბლის ვარდის-ფერ ნაგლეჯებად ეფინა. მომწამლავე, ჩახუთულ ჰაერში კი ისე მოჩანდა, თითქოს ორთქლი ასდიოდა. თვალეები უკაშკაშებდა, ისინი წყლით ჰქონდა სავსე. მაგრამ ეს ხომ სულ ასე იყო. ბერგერს თვალის ქრონიკული ან-თება ჰქონდა.

509-მ იცოდა, რატომაც უთხრა ლომანს ის სიტყ-ვები; მაგრამ ვითომ რა იყო ახლა ეგ — მომაკვდავის შეგუღიანების რამე ფორმა თუ? იქნებ ცუდადაც კი ემოქმედა ამ ყველაფერს სიკვდილის სარეცელზე მყოფისთვის. უცბად თვალი მოჰკრა, ბუზი როგორ დააჯდა შიფერისფერ თვალზე იმ ოთხთაგან ერთ-ერთს. კაცს ქუთუთოები არ გაუნძრევია. „შესაძლოა, ეს იყო კიდეც გამხნელება, — გაიფიქრა 509-მ. — ალბათ ეს იყო მო-მაკვდავის ერთადერთი გამხნელება“.

ბერგერი უკან გაბრუნდა და სანოლებს შორის, სი-ვინროვეში დაიწყო სიარული. იატაკზე მწოლიარეე-ბისთვის ზედ უნდა დაეხიჯებინა. ამ დროს იგი ჭაობში მტოპავ მარაბუს მიაგავდა. 509-ც უკან გაჰყვა.

— ბერგერ, — ჩურჩულით მიმართა 509-მ, როცა ჩამწკრივებულებს გასცდნენ. ბერგერი გაჩერდა. 509-ს უცბად სუნთქვა შეეკრა, — მართლა გჯერა?

— რა?

509-მ ველარ გადაწყვიტა იმავეს გამეორება. ხმა ველარ ამოიღო, თითქოს სათქმელი ჰაერში გაეფან-ტებოდა.

— ის, რაც ლომანს უთხარი.

ბერგერმა შეხედა.

— არა! — თქვა შემდეგ.

— არა?

— ჰო, არა. არ მჯერა, არა!

— კი, მაგრამ... — 509 უახლოეს სანოლს მიეყრდნო, — აბა, რისთვის თქვი ეგ?

— ლომანისთვის! მაგრამ, თავად მე არ მჯერა. არა-ვის აზღვევინებენ. გესმის? არავის... არავის... არავის... — მაგრამ ქალაქი? ქალაქი ხომ ცეცხლშია!

— ჰო, ცეცხლშია. ბევრი ქალაქი გადამწვარა ეგრე. მაგრამ მერე, რა? ეს არაფერს ნიშნავს, არაფერს!

— კი! რალაცას...

— არაფერს-მეთქი, არაფერს! — მტკიცედ, მაგრამ დაეჭვებით ჩურჩულებდა ბერგერი სწორედ ისე, ვინმე ფუჭიმედს რომ გამოთქვამს და იმწამსვე დაასამარებს. მისი ფერმკრთალი თავის ქალა სანწყლად ირწეოდა, დანითლებული თვალეებიდან კი ცრემლები სდიოდა.

— ერთი პატარა ქალაქი იწვის. და ჩვენ, რა? არაფე-რი! არაფერი შეიცვლება. არაფერი!

— ზოგიერთებს დახვრეტენ, — ჩაილაპარაკა იატა-კიდან აჰასფერმა.

— მოკეტე! — არ დაახანა პასუხმა სიბნელიდან,



— კარგი რა, ბოლოს და ბოლოს, ჩაიგდეთ ეგ თქვენი აქოთებული ენა.

509 კედელთან მდებარე მისთვის განკუთვნილ ადგილთან მიბარბაცდა. მის თავზე ერთ-ერთი იმ მცირე ზომის სარკმელთაგანი იყო, როგორც ბარაკში დიდ იშვიათობას წარმოადგენდა. ის სიგანეში ძალიან ვიწრო გახლდათ და ჭერთან ახლოს მდებარეობდა, სადაც მზის სხივები იშვიათად, მაგრამ მაინც აღწევდა. შემოსული სინათლე სანოლების მესამე წყებას თუ ეცემოდა ხოლმე, იმის იქით სივრცეს კი განუწყვეტელი წყვილიაფი ფარავდა.

ბარაკი იქ ერთი წლის წინ წამოემართათ. 509 მონაწილეობდა მის აგებაში. ის მაშინ ჯერ კიდევ მუშათა ბანაკში ირიცხებოდა. ეს ხის, მოძველებული ბარაკი იყო, რომელიც პოლონური, გაუქმებული საკონცენტრაციო ბანაკის ნარჩენებისგან შეკონინებული. ოთხი ბარაკი, დაშლილი სახით, ქალაქის სადგურამდე მოეტანათ, სატვირთო ავტომობილებზე დაეტვირთათ, ბანაკში გადმოეტანათ და ასე აენყოთ.

ნარჩენები ბალღინჯოებით, შიშით, ჭუჭყითა და სიკვდილით ყარდა. შემდეგ, მაგ ნარჩენებისგან მთლიანად პატარა ბანაკი მოაწყვეს. აღმოსავლეთის მხარის რიგით მომდევნო ნაკადი მუშაობის უუნარო, მომაკვდავი ტყვეებისა იქ შერეკეს და ერთმანეთის ანაბარა მიატოვეს. სულ რამდენიმე დღეში კი ყველანი კვლავ გარეთ გამოყარეს. შემდეგ, ავადმყოფები, დაღუპულები, ხეიბრები და მუშაობის ვერშემძლენი დაამატეს და პატარა ბანაკიც მუდმივ დაწესებულებად იქცა.

მზის სხივი, ფანჯრიდან მარჯვნივ, ოთხკუთხედად ეცემოდა კედელს და იქ, უკვე გაუფერულებულ წარწერებსა და სახელებს ხდიდა თვალსაჩინოს. ეს ნაწერები პოლონეთისა და აღმოსავლეთ გერმანიის ბარაკების უწინდელ მობინააღრეებს ეკუთვნოდა.

ისინი ხეზე ფანქრით ან მავთულის ნაგლეჯებისა და ნემსების საშუალებით იყო დატანილი.

509-ისთვის უმეტესობა ნაცნობი გახლდათ. თვალი მოჰკრა, რომ მზის სხივებისგან შექმნილი ოთხკუთხა კიდე, ახლა ერთ, მუქი კონტურებით შემოსაზღვრულ სახელს განსაკუთრებით აჩენდა: „ხაიმ ვოლფი — 1941“. მისმა დამწერმა ეგ წარწერა ალბათ მაშინ გააკეთა, როცა უკვე დანამდვილებით იგრძნო, რომ უნდა მომკვდარიყო და თან ჩარჩო იმიტომ შემოხაზა, რომ ოჯახის აღარც ერთ წევრს არ მიეწერა მისი სახელის გვერდით საკუთარი. სურდა, მხოლოდ ის ყოფილიყო იქ განთავსებული. ზღვრული ხაზები წარწერაზე მჭიდროდ და მუქად გაველო და ისე, რომ იქ მეტად ველარავინ ჩაამატებდა თავის სახელს... ეგ იყო ბედისთვის იმ მამის უკანასკნელი შელოცვა, რომელიც იმედოვნებდა, რომ მისი შვილები სიკვდილს გადაურჩებოდნენ.

მაგრამ ჩარჩოში მოქცეული ნაწერის ქვევით, მჭიდროდ, თითქოს მასზე მობლაუჭებულად, კიდევ ორი სახელი ეწერა: „რიუბენ ვოლფი. მოშე ვოლფი“. პირველი, ტლანქი და მოუხერხებელი, მოსწავლის ხელწერას

მიაგავდა. მეორე კი ირიბად და თავისუფლად, ბედს დამორჩილებულად და უღონოდ დაეწერათ. ამასთან, გვერდით, ვილაცის მინანურიც იყო: „ყველანი გაზით ამოხოცილნი“.

იქვე, ასევე ცერად, კედელზე, პატარა კორძს ზემოთ, ლურსმნით ამოფხაჭნილიც ჩანდა: „იოზ. მეიერი“. და გვერდით: „რეზ. ლეიტ. რკ. ჯვ. 1 და 2 ხარისხ“. რაც ნიშნავდა: „იოზეფ მეიერი, რეზერვის ლეიტენანტი, რკინის ჯვრის პირველი და მეორე ხარისხის ორდენის მფლობელი“.

მეიერს, როგორც ეტყობოდა, ეგ არ დავინწყებოდა. და ალბათ უკანასკნელი დღეებიც მაგან ჩაუშხამა.

იგი პირველ მსოფლიო ომში იბრძოდა, ოფიცერი გახდა და ჯილდოებიც მიანიჭეს. მას ამისთვის ორმაგად უნდა ეშრომა, რადგან ებრაელი იყო. შემდეგ კი, ზუსტად იმიტომ, რომ ებრაელი გახლდათ, დაიჭირეს და ვითომ რომელიმე საზიზლარი მწერი ყოფილიყო, სიცოცხლეს გამოასალმეს. ეჭვგარეშეა, ის დარწმუნებულიც იყო, რომ ომისდროინდელი სამსახურებრივი წინსვლა, შემდგომში, მისდამი სხვებზე მეტად უსამართლო მოპყრობის მიზეზი გახდებოდა. შეცდა. რა სადაგლობასაც იწინასწარმეტყველებდა, იმაზე უარესად დაასრულებინეს სიცოცხლე. უსამართლო იმ ასოებში არაფერი იყო, რაც თავის სახელს მოკლედ მიუწერა. მათში მხოლოდ მწარე ირონია თუ იკითხებოდა.

მზის სხივების ოთხკუთხედმა ნელ-ნელა სხვა მხარეს გადაინაცვლა. ხაიმი, რიუბენი, მოშე ვოლფი — სახელები, რომლებიც წელან განათებული იყო, ისევ წყვილიაფი დაინთქა. სამაგიეროდ, სინათლეზე ახლა ორი ახალი წარწერა გამოჩნდა. პირველი მხოლოდ ორი ასოსგან შედგებოდა: „ფ. მ.“.

საგულისხმო იყო, ვისაც ის ნემსის დახმარებით ამოფხაჭნა, თავს ალბათ უფრო მცირედად მიიჩნევდა, ვიდრე ლეიტენანტი მეიერი. ალბათ საკუთარი სახელი და გვარიც კი უკვე სულერთი გამხდარიყო მისთვის, და მაინც, მას არ უნდოდა წარწერის გარეშე იმ ქვეყნად წასვლა. მის ქვემოთ ფანქრით სრული მინანურიც გამოჩნდა: „ტევეე ლაიბეში და მისიანები“. და იქვე, ნაჩქარევი ხელწერით, იუდეველური კადიშის¹ საწყისი სიტყვები — Jis gadal².

509-მ იცოდა, რომ სხივი რამდენიმე წუთში სხვა გადაშლილ ნაწერს გაანათებდა: „მისწერეთ ლეა ზანდ...ს ნიუ-იორკში...“, ქუჩის დასახელება გარკვევით აღარ იკითხებოდა. შემდეგ ეწერა — „მამ...“ და იმის იქით, ხის გამომპალ ზედაპირზე: „მკვდარია. ეძებს ლეო“. ჩანდა, ლეო სადღაც გადარჩენილიც კი გახლდათ, მაგრამ ნაწერი მაინც ტყუილად იყო გაკეთებული, რადგან ლეა ზანდერს ბარაკის მრავალ მობინაღრეთაგან ვერც ერთი ვერასდროს ვერ შეატყობინებდა რამეს

¹ იუდეველებისთვის მიცვალებულთა მოსახსენებელი ლოცვა.

² „განდიდებულ და წმინდა იყოს კურთხეული სახელი მისი“ (ივრითზე).



ნიუ-იორკში. მარტივი მიზეზის გამო — იქიდან თავი არავის დაელნია.

509 გონებაგაფანტული მიშტერებოდა წარწერებს. პოლონელმა ზილბერმა არსებულ კედელს „გოდების კედელი“ მაშინ შეარქვა, ჯერ კიდევ ცოცხალი რომ იყო, როცა ბანაკში იწვა და ნაწლავებიდან სისხლდენით იტანჯებოდა. მანაც ასევე, ამ სახელების უმეტესობა ზეპირად იცოდა. ის კი არა, თავიდან სანაძლეოსაც კი დებდა ხოლმე — იცოდა, პირველად რომელ სახელს მიადგებოდა მზის შუქი. ზილბერი მერე მალე გარდაიცვალა. ეს წარწერები კი მზიან დღეებში, სულ რამდენიმე წამით, კვლავინდებურად უბრუნდებოდა ხოლმე საკუთარ აჩრდილისებურ არსებობას და მალევე, კვლავ წყვედიადმი იძირებოდა. ზაფხულობით, როცა მზე უფრო მაღლა იდგა, ის წარწერებიც მოჩანდა, რომლებიც ძალიან ქვემოთ ამოეკანრათ. ზამთარში კი მნათი ოთხკუთხედ კედელზე ისევე ზევით გადაინაცვლებდა ხოლმე. მიუხედავად ყველაფრისა, მაინც ბევრი წარწერა რჩებოდა სამუდამოდ უჩინარი — რუსული, პოლონური, ებრაული; მათთან ვერ აღწევდა სინათლე. ეს ბანაკი ესესელებს ისე ნაჩქარევად მოეწყოთ, რომ კედლების გაშალაშინებისთვის თავი არ შეეწუხებინათ. არც იქაური ბინადრები ზრუნავდნენ ამაზე — უფრო მეტად არ ადარდებდათ ის წარწერები, რომლებიც კედლის ბნელ ნაწილში იყო მოქცეული. არც არავინ ცდილობდა მათ გაშიფვრას. რომელი ბრიყვი შესწირავდა ასანთის დიდად ღირებულ ღერს, რათა უფრო მეტი იმედგაცრუება ეწვინა.

509 უკან შეტრიალდა. აღარ უნდოდა, ამ ყველაფრისთვის კიდევ ეცქირა.

უეცრად განსაკუთრებით მარტოსულად იგრძნო თავი. თითქოს მასა და სხვებს შორის უცნობი გაუცხოება გაჩენილიყო, და ისინი ერთმანეთს ვეღარ უგებდნენ. რამდენიმე ხანს იყოყმანა; შემდეგ კი ვეღარ გაძლო. ხელის ცეცებით მივიდა კართან და გარეთ გახობდა.

ახლა მას ტანზე მხოლოდ თავისი ძონძებიღა აესხა და ყინვა ძვალ-რბილში უვლიდა. ფეხზე წამოდგა, ბარაკის კედელს მიეყრდნო და ქალაქს გახედა. არ იცოდა, რატომ, მაგრამ ამჯერად აღარ უნდოდა უწინდებურად დაოთხილს ევლო. სურდა, რომ ფეხზე მდგარიყო. პატარა ბანაკში გუშაგები კოშკურებს ჯერ კიდევ არ დაჰბრუნებოდნენ. მეთვალყურეობა ამ მხარეს მკაცრი არასდროს იყო. ის, ვინც ფეხზე დგომას ძლივს ახერხებდა, სადღა გაიქცეოდა?

509 ბარაკის მარჯვენა კუთხესთან დადგა. ბანაკი მთაგრეხილის გზაზე, ერთ-ერთ მიხვეულ ადგილას გადაშლილიყო, და მას იქიდან არა მხოლოდ ქალაქზე, არამედ ესესელების ყაზარმებზეც შეეძლო თვალის დევნება, რომლებიც მავთულხლართებს მიღმა, ჯერ კიდევ გაშიშვლებული ხეების უკან მოეწყოთ. რამდენიმე ესესელი მათ წინ აქეთ-იქით დარბოდა. ზოგიერთები აფორიაქებულები, ჯგუფებად იდგნენ და ქვევით, ქალაქს გასცქეროდნენ. ერთმა დიდმა ნაცრისფერმა

ავტომობილმა საჩქაროდ აიარა გორაკი და კომენდანტის ბინის წინ, ყაზარმის მიმდებარედ გაჩერდა.

ნობაუერი, რომელიც უკვე გარეთ იცდიდა, გამალებით შეხტა მანქანაში და ადგილს მოსწყდა. 509-მ, ჯერ კიდევ მუშათა ბანაკში ყოფნისას იცოდა, რომ კომენდანტს ქალაქში სახლი ჰქონდა, სადაც მისი ოჯახი ბინადრობდა. მან გულდასმით გააყოლა ავტომობილს თვალი, ამ დროს კი ყურადღებიდან გამორჩა, რომ ბარაკებს შორის გზაზე ვიღაც ჩუმად მოაბიჯებდა. ეს 22-ე ბლოკის ჩასკვნილი მეთვალყურე, ჰანდკე იყო, რომელიც ყოველთვის უხმაუროდ მიმოდიოდა ხოლმე თავისი რეზინისძირიანი ჩექმით. ის, როგორც სისხლის სამართლის დამნაშავე, მწვანე, სამკუთხა ნიშანს ატარებდა ტანსაცმელზე. უმეტესად, საფრთხე არავისთვის მოჰქონდა, მაგრამ, როცა თავისებურად წამოუვლიდა, მაშინ კი ხალხს, ხშირად, დახეიბრებამდე სცემდა.

509-ს კიდევ შეეძლო, სადმე მიმალულიყო, როცა ის ახლოს მოყიალე შენიშნა — ჩვეულებრივ, ჰანდკეს მისდამი გამოვლენილი შიშიც უკმაყოფილებდა ხოლმე უპირატესობის განცდის სურვილს — მაგრამ ადგილზე დარჩა და ფეხი არსად გაუდგამს.

— რას აკეთებ აქ?

— არაფერს.

— ანუ არაფერს, ჰო?

და ჰანდკემ მას ფეხებთან დაუფურთხა.

— შენეხვის ჭიაფ! რაო, ფიქრებით მეცხრე ცაზე ხომ არ ნებივრობდი? — ბლოკის მეთვალყურემ თავისი სესესებური წარბები შემართა. — ტყუილად ოცნებობ, თქვენ აქედან ცოცხლები ვერ გააღწევთ. პოლიტიკურო ძალღმობილებო. ისინი მანამდე მაინც ყველას გააძვრენენ საკვამურში.

კიდევ ერთხელ გადააფურთხა და უკან გაბრუნდა. 509-ს სუნთქვა შეეკრა. რამდენიმე წამს გონებაც დაუბნელდა, თითქოს მუქი ფარდა ფრიალებდა მის წინ. ჰანდკე ვერ იტანდა 509-ს, და ისიც, თავის მხრივ ცდილობდა, წინ არ გადაჰყოფოდა ხოლმე. ამჯერად კი ფეხი არ მოუცვლია. ჰანდკეს იქამდე გააყოლა მზერა, სანამ ის საპირფარეოს უკან არ გაუჩინარდა. 509 მუქარას არ შეუშინებია. მუქარა ბანაკში ყოველდღიური მოვლენა იყო. ის ახლა მხოლოდ იმაზე ჩაფიქრდა, რა იმალეობდა იმ სიტყვების მიღმა, რომელიც ჰანდკემ ამოთქვა. ალბათ მასაც რაღაც ეგრძნო, თორემ ამგვარს არაფერს იტყოდა. იქნებ მან იქით, ესესელებისგანაც კი მოისმინა რაღაც. 509-მ ღრმად ჩაისუნთქა. აბა, სულელი ხომ ისედაც არ იყო.

კვლავ ქალაქს შეავლო თვალი. კვამლი სახლის სახურავებს უკვე სქლად დასდებოდა. სახანძრო მანქანების ზრიალი ზემოთაც აღწევდა. სადგურის მხრიდან აქა-იქ ტკაცატკუცი მოისმოდა, თითქოს ტყვია-წამალი სკდებოდა. ბანაკის კომენდანტის ავტომობილი ისეთი სისწრაფით შევარდა გორაკის ქვემოთ, მოსახვევში, რომ სულ სრიალ-სრიალით გაქანდა. 509 ამ ყველაფერს



უმზერდა და უცბად სახე მოეღრცა. ის იცინოდა, იცინოდა უხმოდ, მთელი გულით. არც კი ახსოვდა, ბოლოს როდის გაეცინა. აღარ შეეძლო გაჩერება. ბედნიერება მის სიცილში ნაკლებად თუ იგრძნობოდა, მაგრამ ის მაინც იცინოდა, თან აქეთ-იქით ყურადღებით იხედებოდა და ღონემიხდილ მუშტს ზემოთ სწევდა, სანამ ბოლოს, უეცარმა, ძლიერმა ხველამ მინაზე არ დასცა.

3

„მერსედესი“ ხეობაში თავანყვეტილი მიქროდა. ობერშტურბანფიურერი ნოიბაუერი მძღოლის გვერდით იჯდა. ის ერთი მძიმეწონიანი კაცი იყო, ლუდის მოყვარულივით დასივებული სახით.

თეთრი ხელთათმანი მის ჩასუქებულ ხელებზე მზის შუქით ელვარებდა.

ნოიბაუერმა ეს შენიშნა და ხელთათმანი გაიძრო. „სელმა, — ფიქრობდა ის. — ფრეია! სახლი! — ტელეფონზე არავინ პასუხობდა. — მიდი! მიდი-მეთქი, ალფრედ. სწრაფად განაგრძე გზა!“

ქალაქის შესასვლელთან დამწვრის სუნი გარკვევით შეიგრძნეს, რაც უფრო სიღრმეში მიიწვედნენ, ის სულ უფრო მძაფრად იგრძნობოდა. ახალ ბაზართან პირველი ღრმული დაინახეს, რომელიც დაბომბვის შედეგად გაჩენილიყო. დანაზოგების „შემნახველი სალაროს“ შენობა ჩაშლილიყო და იწვოდა. სახანძრო უკვე მოსულიყო და ცდილობდა, ახლომდებარე სახლები მაინც გადაერჩინა ხანძრისგან, მაგრამ წყლის ჭავლი ისე სუსტად გამოიყურებოდა, რომ ვერაფერს მოერეოდა. ადგილზე გაჩენილი ჩაღრმავება გოგირდისა და მჟავების სუნად ყარდა.

ნოიბაუერს კუჭის შეტევა დაეწყო.

— ჰაკენშტრასეთი გადი, ალფრედ! აქ გაძრომას ვერ მოვახერხებთ.

მანქანა მოტრიალდა და სხვა მიმართულებით, ახლა უკვე ქალაქის სამხრეთ ნაწილისკენ წავიდა. იქ სახლები პატარა ნაკვეთებით მშვიდად ეფიცებოდნენ მზეს. ქარი ჩრდილოეთით ქროდა და ჰაერი სუფთა იყო. შემდეგ უკვე, როცა მათ მდინარეს შემოუარეს, ისევ წამოვიდა დამწვრის სუნი, კვამლი მოშორებით მდებარე ქუჩებზე შემოდგომის ნისლივით განოლილი მოჩანდა. ნოიბაუერი ულვაშს იგლეჯდა, რომელიც ფიურერივით მოკლედ ჰქონდა შეკრეჭილი.

იყო დრო, როცა ის, ვილჰელმ მეორესავით, აპრეხილს ატარებდა.

კუჭის სპაზმი არ ეშვებოდა! სელმა! ფრეია! ნარმტაცი ბინა! მთელი მუცელი, მკერდი... თითქოს ყველაფერი უცბად მხოლოდ კუჭად იქცა.

ისინი ორჯერ დაადგნენ შემოვლით გზას. პირველად, ავეჯის მაღაზიას შეეჩხენენ, რომელსაც წინა მხარე ჩაშლოდა. ნაწილი ავეჯისა ისევ სართულებზე იდგა, ნაწილი კი ქუჩაში ხორად ეყარა და იწვოდა.

მეორედ კი საპარკმახერომ ჩაუღობათ გზა, სადაც

აფეთქებისგან გადმოსროლილი ცვილის აალებული მანეკენები მანჭვით დნებოდნენ.

როგორც იქნა, მანქანამ ლიბგმტრასესკენ გაუხვია. ნოიბაუერი ფანჯარაში გადაეყუდა. აი, მისი სახლიც — წინ ბაღია, გაზონზე კი გამომწვარი თიხის ქონდრისკაცი და ნითელი ფაიფურის ტაქსაც. არაფერი იყო დაზიანებული, ყველა ფანჯარა მთელი გახლდათ. სპაზმი კუჭში უმაღვე შეწყდა. ნოიბაუერმა კიბის საფეხურები სწრაფად აირბინა და კარი შეაღო. „ბედი მაქვს, რა. — გაიფიქრა, — მიმართლებს, რას ერჩი. ისე, ასეც უნდა იყოს“. რაღა სწორედ მას უნდა შემთხვეოდა ცუდი რამ? კეპი მოიხადა, ხარირმის რქის საკიდზე დაკიდა და მისაღებისკენ გასწია.

— სელმა! ფრეია! თქვენ სადღა ხართ?

არავინ გამოხმაურებია. იგი ფეხების ბაკუნით მივიდა ფანჯარასთან და გამოალო. სახლის უკან, ბაღში, ორი რუსი ტყვე მუშაობდა. მათ ერთი კი ახედეს მოსულს და უფრო მეტი მონდომებით განაგრძეს მინის თხრა.

— ეი, ბოლშევიკებო! — დაუძახა ნოიბაუერმა. ამ ხმაზე ერთ-ერთმა რუსმა მუშაობა შეწყვიტა, — სადაა ჩემი ოჯახი? — დაულრიალა. ტყვე რუსულ ენაზე გამოეპასუხა. — ეგ შენი, ღორების ენა, გამოთაყვანებულ, მიატოვე ახლავე, გერმანული ხომ იცი?! თუ ჩამოვიდე და შეგასწავლო?

რუსი თვალმოუცილებლად მიშტერებოდა.

— თქვენი ცოლი სარდაფშია, — თქვა ვილაცამ მის უკან.

ის შებრუნდა. მოსაუბრე მოახლე გოგონა აღმოჩნდა.

— სარდაფში? ოჰ, რა თქმა უნდა! და თქვენ სად იყავით?

— გარეთ. მხოლოდ ერთი წამით გავედი გარეთ.

გოგონა კართან იდგა, ლოყები ასწითლებოდა, თვალები კი ისე უციმციმებდა, თითქოს ის-ის იყო, ქორწილიდან დაბრუნებულიყო.

— ამბობენ, ასობით ადამიანია დაღუპული, — წაიყბედა მან, — სადგურთან, სპილენძის ქარხანაში და ეკლესიაში...

— მოიცადე! — შეანყვეტინა ნოიბაუერმა, — ვინ თქვა ეგ?

— ხალხი ამბობს, გარეთ...

— ვინ ამბობსო? — და ნოიბაუერმა ნაბიჯი წინ გადადგა, — ქვეყნის მოლაღატეები ლაპარაკობენ ამას! აბა, სხვა ვინ?

გოგონამ უკან დაიხია.

— გარეთ... მე არა... სხვა ვილაცები. ყველა!

— გამყიდველები! მათხოვრები! — იღრიალა ნოიბაუერმა. ბოლოს და ბოლოს, მის შეკავებულ დაძაბულობას, როგორც იქნა, მიეცა გზა, — ბრბო! ღორები! ნუნუნებენ რაღაცებს! და თქვენ? რა გინდოდათ თქვენ ამ დროს გარეთ?

— მე?.. მე — არაფერი...



— დაკისრებულ სამუშაოს არიდებდით ხომ თავს? სიცრუის ლაქლაქი და შემზარავი ცნობების გავრცელება! ეს საქმე ასე რომ არ ჩაივლის, დარწმუნებული ბრძანდებოდეთ. წესრიგი აქ ადრევე უნდა დამემყარებინა. უბაღლო წესრიგი! მიდით ჩქარა, იმოძრავეთ, შედით სამზარეულოში!

ამის თქმა იყო და, გოგონა ნაჩქარევად გავარდა ოთახიდან. ნოიბაუერმა ჰაერი შეისუნთქა და ფანჯარა მოხურა. „ანუ არაფერი მომხდარა, — გაუელვა აზრმა, — სარდაფში არიან, რა თქმა უნდა. ისე, ეს ადრეც კი უნდა მეფიქრა“.

სიგარა ამოიღო და მოუკიდა. ფორმა გაისწორა, მკერდი გამოზნიქა, სარკეში საკუთარ თავს შეავლო თვალი და დაბლა დაეშვა.

მისი ცოლი და ქალიშვილი კედელთან მიდგმულ შეზღონგზე ერთმანეთის გვერდით, ახლო-ახლო ისხდნენ. მათ ზემოთ, ფართო ოქროს ჩარჩოში მოთავსებული, ფიურერის მრავალმხრივ აფერადებული სურათი ეკიდა.

ოჯახს სარდაფი, 1940 წლიდან მოყოლებული, საჰაერო დაბომბვისას თავის დასაცავად მოეწყო. ნოიბაუერმა ის მაშინ მხოლოდ წარმომადგენლობითი ნორმების გათვალისწინების გამო გააკეთებინა; ასეთი ქმედებით სხვებისთვის კარგი მაგალითის მიცემა პატრიოტიზმის გამომჟღავნებად ითვლებოდა. მთელი სერიოზულობით არავის სჯეროდა, რომ გერმანიას დაბომბვას დაუნყებდნენ. ყველა ნამდვილი გერმანელისთვის საკმარისი იყო გერინგის განმარტება — სამომავლოდ, სულ შტერი მეძახეთ, თუ ჩვენი საჰაერო ძალების შემხედვარე, მტრის თვითმფრინავები გერმანიის ზეცას გაარღვევენო. სამწუხაროდ, ყველაფერი სხვანაირად მოხდა. ტიპური მაგალითი პლუტოკრატებისა და ებრაელების ცბიერებისა, როცა თავს იმაზე სუსტებად წარმოსახავენ, ვიდრე სინამდვილეში არიან.

— ბრუნო! — წარმოთქვა სელმა ნოიბაუერმა, წამოდგა და ხველება აუტყდა. იგი იყო ქერთიანი და მსუქანი, ტანზე კი ამჟამად უმაღლესი ხარისხის, ფრანგული აბრეშუმის, მოვარდისფრო პენუარი ემოსა. ის ნოიბაუერმა ჩამოუტანა, როცა 1941 წელს პარიზში შეგებულებით იყო.

სელმას ლანგები უკანკალებდა და თავისი მეტად პატარა ბაგეებიდან სიტყვასაც ვერ სძრავდა.

— ყველაფერი ჩავლილია, სელმა. თავი დაიწყნარე.

— ჩავლილია? — სათქმელს ქალი ისე ლეჭავდა, თითქოს სიტყვები კენიგსბერგული დიდი გუფთები ყოფილიყო.

— რამდენ... რამდენ ხანს?

— სამუდამოდ. ისინი უკვე სხვა მიმართულებით გაფრინდნენ. თავდასხმა მოგერიებულია. ისინი აქ აღარ დაბრუნდებიან.

სელმამ სამოსი გულზე მჭიდროდ მიიკრა.

— ვინ ამბობს ამას, ბრუნო? საიდან იცი შენ ეგ ყველაფერი?

— ჩვენ მათი ნახევარი მაინც გავყლიტეთ. ახლა ისინი მოერიდებიან აქ დაბრუნებას.

— საიდან იცი?

— ვიცი. ამჯერად ცოტა კი გაგვაოცეს. მომავლისთვის სხვანაირად დავხვდებით სადარაჯოზე.

ქალმა, როგორც იქნა, გარკვევით ამოიღო ხმა.

— და ესაა სულ? — თქვა მან, — და ესაა სულ ის, რაც შეგიძლია, რომ გვითხრა?

ნოიბაუერმა იცოდა, რაც აქამდე ილაპარაკა, სულ არაფერი იყო.

— რა, არაა საკმარისი? — ამიტომ შეკითხვაზე შეკითხვითვე უპასუხა.

ცოლი ნოიბაუერს თავისი წყლიანი ცისფერი თვლებით მიშტერებოდა.

— არა! — დაიჭყვივლა მან უეცრად, — არ არის საკმარისი! ეგ მხოლოდ მონაჩმანია! საერთოდ არაფრის მთქმელია! რა აღარ სმენია ჩვენს ყურებს? ჯერ ხმა დაირხა, ისეთი ძლიერები ვართ, უცხო მფრინავები გერმანიის საჰაერო სივრცეს არასდროს გადმოკვეთენო; და უცბად ისინი აქ არიან, ჰო? მერე ამბობენ, აღარასდროს გამოჩნდებიან, ყველას საზღვართანვე ჩამოვყრითო, არა? და ნაცვლად ამისა, ისინი, ათჯერ მეტნი, გვიახლოვდებიან და გვიახლოვდებიან და განგამის საყვირიც არ წყდება! და ბოლოს, როცა იქნება, აქაც მოგვაგნებენ და შენ კი ამაყად მოდიხარ ჩემთან და იქაღნები, — ისინი აღარ გამოჩნდებიან, ჩვენ მათ ისეთ დღეს დავაყრითო... რომელი ჭკუათამყოფელი დაიჯერებს ამას? გეკითხები!

— სელმა, გთხოვ, — ნოიბაუერმა უნებლიეთ თვალი ფიურერის სურათისკენ გააპარა, შემდეგ კი კარისკენ გადახტა და ის ისე მძლავრად დახურა, კინაღამ ჩამოიღო. — ჯანდაბა! თავი ხელში აიყვანე! გინდა, რომ ყველა შარში გაგვხვო? გაგიჟდი? რას გაკივი აქ? — მიმართა და თან მის ცხვირწინ ჩამოდგა. ქალის ზორბა მხრების ზემოთ კი სურათზე ფიურერი კვლავ გამბედავად იმზირებოდა ბერხტესგადერის ლანდშაფტის ფონზე.

ნოიბაუერმა წამით დაიჯერა კიდევ, თითქოს ფიურერი ამ ყველაფერს გაფაციცებით უსმენდა. სელმას კი სურათისთვის სულაც არ შეუხედავს.

— გამოთაყვანებული, ჰო? — განაგრძობდა ის წყრომას, — ვინ არის გამოთაყვანებული? მე არა! ძალიან კარგი ცხოვრება გვქონდა ომამდე... და ახლა? ახლა-მეთქი! მიპასუხე, ახლა ვინაა აქ გამოთაყვანებული, თქვი!

ნოიბაუერი ცოლს ისე ჩააფრინდა მკლავებში და ისე შეანჯღრია, რომ თავი მას ხან იქით გადაუვარდა, ხან — აქეთ, და ხმის ამოღებაც მეტად ვეღარ შეძლო. ქორორი ჩამოეშალა, რამდენიმე თმა გადაეყლაპა და ხველა აუტყდა. კაცმა ხელი გაუშვა. სელმა შეზღონგზე ტომარასავით დავარდა.


გაგრძელება შემდეგ ნომერში



შოქანი, შოქლის ძველი თბილისის ქუჩებში დაეაშუსნებთ

ეს არის ნაწარმოები თბილისზე,
როგელშიც მხატვრულადან აღწერილი დედაქალაქის,
საზოგადოების ფორმირებისას
მიმდინარე სანიტარულ ნაბიჯი,
პერსონაჟების ცხოვრება და თავგადასავლები.

აივნიანი ქალაქი



„აივნიანი ქალაქი“ შექმნილი ნაშრომი,
ამ იმ ქალაქის სული მტრიალებს

დაიწყე ყითხვა დღეს!

19.95ლ




იკითხეთ წიგნის მალაზიებში ან დარეკეთ ნომრებზე: 0(32)2382673; 0(32)2382674
და www.elva.ge თქვენთვის სასურველ ადგილზე მოგართმევთ.



„არასდროს მომენატრება ბავშვობა, არასდროს!“

მსახიობები საინტერესო ადამიანები არიან. ისინი ბევრჯერ საკუთარი ბუნების მიღმა რამდენჯერმე პოულობენ მეორე „მეს“ და ყველა „მეს“ ისე ოსტატურად ასრულებენ, რომ ძნელია გაარჩიო ნამდვილი და გამოგონილი. გამონაკლისი არც გორელი მსახიობი **პოპა (იბაპოპ) პოპაძე**, რომელთანაც ეს ინტერვიუ სწრაფად და ემოციურად ჩაინერა.

გორის თეატრის მსახიობის სვდისანი წარსული



როლანდ ხოჯანაშვილი

— ვინ არის კობა კობაძე?
— დროებით დავივიწყებ თავ-მდაბლობას და ვიტყვი, რომ ვარ ერთ-ერთი კარგი და ნიჭიერი მსახიობი ქართულ თეატრში, რომელიც ხუთიანზე თუ არა, ოთხიანზე პლუსით მაინც ასრულებს როლებს. დავიბადე ქართლის შუაგულში, ქალაქ გორში, 1972 წლის 20 ვარდობისთვის. ზოდიაქო მაქვს უცნაური: კურო და ვირთხა. ჩემს დაბადებას არც თოფის გასროლა მოჰყოლია და არც შამპანურების ბათქაბუთქი. ამის მიზეზი ის იყო, რომ დედა ჩემი დაბადებიდან მალევე გარდაიცვალა. მყავს უფროსი ძმა, რომლის დაბადება სასწაული იყო ჩვენს ოჯახში და დიდი სიხარულიც, რადგან ჩემს მშობლებს 18 წელი შვილი არ უჩნდებოდათ. როდესაც დედა ჩემზე დარჩენილა ფეხმძიმედ, ექიმებს უთქვამთ, რომ არ შეიძლებოდა მეორე შვილის გაჩენა, ჯანმრთელობა არ უწყობდა ხელს, მაგრამ მან გარისკა... გამზარდა ბებომ (დედის დედამ). როგორც ბავშვების უმრავლესობა, მეც დავდიოდი ბაგა-ბაღში, შემდეგ — სკოლაში და როდესაც მამაც გარდამეცვალა (სკოლას ვამთავრებდი), ნათესავეებმა გადაწყვიტეს, მე და ჩემს ძმას სასოფლო-სამეურნეო ინსტიტუტში ჩაგვებარებინა

(ობლებს გამოცდაზე შეღავათი ჰქონდათ და კიდევ, სტიპენდია 80 მანეთი). ჩემი ძმა თევზის ტექნოლოგი და მე — აგრონომი უნდა გავმხდარიყავი. ვერ დავიტრაბახებ, რომ ფრიადოსანი ვიყავი, მაგრამ ნამუსი მქონდა...

— ჩანს, აგრონომი არ გამოვიდა შენგან...

— მესამე კურსზე ავიღე აკადემიური და დღემდე აკადემიური სტუდენტი ვარ (იღიმება).

— და მსახიობის საინტერესო და საპასუხისმგებლო მანტია როგორ მოირგე?

— სკოლის პერიოდში დავდიოდი კულტურის სახლში დრამატულ წრეზე (პედაგოგი ნაირა გრიგალაშვილი). მე რე დავკავდი საბავშვო და თოჯინების სახალხო თეატრში მსახიობად. მსახიობობა უცხო და საინტერესო იყო ჩემთვის.

— გორის თეატრის მსახიობად თავი წარმოგედგინა?

1 იანვრიდან

შეაბროვე სამხედრო საათების უნიკალური კოლექცია

მავლავართა საათი Fifty Fathoms დრო მნიშვნელოვანია

არსენალი

“არსენალის” მკითხველისთვის საათის სპეციალური ფასი **12 ლ** ჟურნალთან ერთად **15 ლ**

არსებობს უმრავლესი საათი, რომელსაც სხვადასხვა მნიშვნელობა აქვს მისი მფლობელისთვის. არსებობს საათები, რომლებიც დაგვხმობენ, რომ ვართ ადამიანები. არსებობს საათები, რომლებიც დაგვხმობენ, რომ ვართ მკაცრი. არსებობს საათები, რომლებიც დაგვხმობენ, რომ ვართ მკაცრი. არსებობს საათები, რომლებიც დაგვხმობენ, რომ ვართ მკაცრი.

საათი "Fifty Fathoms," რომელიც 1950-60-იან წლებში გერმანიის, აშშ, საფრანგეთისა და ავსტრალიის საზღვაო ძალებში გამოიყენებოდა.

12 ისტორიული მანის საათი



ლამპის შუქზე გვითამაშია სპექტაკლები!

— ვერასდროს წარმოვიდგენდი, რომ იმ თეატრში და იმ მსახიობების გვერდით მოვხვდებოდი, რომლებსაც, როგორც მაცურებელი, დარბაზიდან და ქუჩაში შევცივინებდი. მოხდა ისე, რომ 1994 წლის 9 ივლისს ერისთავის თეატრში მოვხვდი რადისტად. ამავე წელს თეატრში ჩამოყალიბდა სტუდია, სადაც 18 ახალგაზრდა სწავლობდა და მეც მათ შორის აღმოვჩნდი: ხან სპექტაკლის მუსიკალური გახმავანება მევალებოდა, ზოგჯერ სცენაზე ვიდექი თანასტუდიელებთან ერთად, „მასოვკაში“. ერთ მშვენიერ დღეს განანილდა ბიუჰნერის პიესა „ვოიცეკი“, რომლის რეჟისორი ალექსი ჯაყელია. უცებ გაისმა: მთავარი როლი ვოიცეკი — კობა



მეამაყება, რომ ვარ პროვინციული თეატრის მსახიობი

კობაძე! შემეშინდა და შემრცხვა ძალიან, როცა ამდენ უნიჭიერეს მსახიობებთან ხარ და მთავარ როლს გაძღვენი! თან გამიხარდა და წარმატებულადაც ჩაიარა პრემიერამ. ბედნიერი ვიყავი, რომ ერისთავის თეატრში, პროფესიულ თეატრში და პროფესიონალ მსახიობებთან ვითამაშე პირველი როლი, თანაც, მთავარი როლი რომ გაქვს და 500 ადამიანი „პაკლონზე“ წამოგიდგება, „ბრავოს“ დაგიძახებენ, ეს ენით აღუწერელი ბედნიერებაა.

— ვიცი, რომ ხშირად საბავშვო სპექტაკლებში იყავი დაკავებული...

— ერთი პერიოდი მართლაც, ყველა საბავშვო სპექტაკლში ვიყავი დაკავებული და როდესაც სხვა როლს მაძღვედნენ, ძალიან მიჭირდა გადართვა, სულ ჭიდილში ვიყავი ზღაპრის გმირებთან... ყველა როლი რაღაცნაირად, თავისებურად მიყვარს და ყველა როლი საინტერესო იყო ჩემთვის, მაგრამ ზოგს თავისებურად სითბო მოაქვს და თავის ისტორია აქვს. ანტონ ჩეხოვის „ალუბლის ბაღში“ არის პატარა როლი, გამვლელი ჰქვია პერსონაჟს. ძალიან მიყვარს ეს როლი. მიყვარს ალბათ იმიტომ, რომ ძალიან მინდოდა „ალუბლის ბაღში“ თამაში და ვითამაშე; მიყვარს ალბათ იმიტომ, რომ ძალიან მაგარი სპექტაკლია და ძლიერ არტისტებთან ერთად ვარ პიესაში, რომლის ავტორიც ჩეხოვია! 1994 წლიდან დღემდე უამრავ რეჟისორთან, სამხატვრო ხელმძღვანელსა და დირექტორთან მომიწია მუშაობამ. ფაქტი ისაა, რომ მე ძალიან ბევრი რამ მასწავლეს ამ ადამიანებმა და ამისთვის მადლობას ვწირავ ყველას.

— თეატრში იმ დროს მიხვედი, როცა თეატრალური ცხოვრება კვდომას იწყებდა, ბევრი თეატრალი იძულებულიც კი გახდა, პროფესია შეეცვალა.

— ახლანდელმა თაობამ გადმოცემით იცის ის გასაჭირი, რომელიც საქართველომ გამოიარა: არა სინათლე, არა გაზი, არა წყალი და არა პური. აი, ამ პერიოდშიც კი არ გაჩერებულა თეატრი. ლამპის შუქზე გვითამაშია სპექტაკლები! რეპეტიციები ინიშნებოდა ღამის პირველი საათიდან, როცა სინათლე ირთებოდა ქალაქში. გაყინულ თეატრში ნაბდებში გახვეულები დავდიოდით და თეატრი მაინც ცოცხლობდა თავისი მრავალფე-

როვანი რეპერტუარით! თეატრი არ მოკვდა, რადგან ის ძალიან სიცოცხლისუნარიანია; სიცოცხლისუნარიანი კი იმიტომაცაა, რომ თეატრი სჭირდება საზოგადოებას!.. მეამაყება, რომ ვარ პროვინციული თეატრის მსახიობი. იმ თეატრისა, რომელიც ამბობს თეატრალურ ოჯახში ჯანსაღ სიტყვას და მომავალში არაერთხელ იტყვის!

— ვის ეტყობი გორის თეატრის ბოლო წარმატებების გამო მადლობას?

— არ შემიძლია, მადლობა და დიდი პატივისცემა არ გამოვხატო ბატონი სოსო ნემსაძისადმი, რომლის სამხატვრო ხელმძღვანელობის პერიოდში დიდ წარმატებებს მიაღწია თეატრმა და მე, როგორც მსახიობს, მომეცა საშუალება, სხვადასხვა როლი შემეხსრულებინა. ერისთავის თეატრის დასი არის ძალიან ძლიერი და ნიჭიერი. დღესდღეობით ჩვენი პროვინციული (კარგი გაგებით) თეატრი, თავისი რეპერტუარითა და უნიჭიერესი არტისტებით ბევრ თეატრს თამამად დაუდგება გვერდში.

ბევრი ქება რომ არ გამომივიდეს, იმასაც გეტყვით, რომ გორს ჰყავს არაჩვეულებრივი მაცურებელი, გემოვნებიანი და ნამდვილი თეატრალეები. ოთხი წელია, რაც გორს აქვს „კომედიის ფესტივალი“, ჩამოდიან ქართული და უცხოეთის თეატრალური დასები. ამ ფესტივალის ფონზე, გორის მაცურებელს აქვს შესაძლებლობა, შედარებები გააკეთოს ჩვენსა და სხვა თეატრებს შორის.

— ალბათ, გრჩებათ თავისუფალი დროც...

— თავისუფალი დრო კი მაქვს და მას ჩემს ალპინისტ მეგობრებთან ერთად, მთაში ვატარებ. საერთოდ, მიყვარს ხალხთან ურთიერთობა და მხიარულება, იუმორის მქონე ადამიანები მაბედნიერებენ. მარტოობა საძინებელშიც მეყოფა.

— არასდროს ყოფილხარ დაოჯახებული?

— დასაოჯახებელი ვარ! შეყვარებულიც ვიყავი ერთ დროს!

— ახლა არ ხარ შეყვარებული?

— მიყვარს ყველა ადამიანი და მიყვარს ჩემი თეატრი.

— დაბოლოს, არის რამე, რაც არასდროს მოგენატრება?

— არასდროს მომიენატრება ბავშვობა, არასდროს!



რისი ბაკეთება შეუძლია საზოგადოებას აზარტული თამაშების დასამარცხებლად!

დედები, რომლებიც ლუდომანების საშველად გაერთიანდნენ

„დღეს საქართველოში შექმნილი მდგომარეობა ყოველგვარ რეალურ ზღვარს გასცდა, აზარტულ თამაშებზე, უკვე საჭირო და უფრო მეტიც, აუცილებელიც კი არის განგაშის ზარების შემოკვრა. ადამიანები ყველაზე მეტად შვილების ლუდომანიით დაავადებას უჩივიან. ბავშვები ამ სენით უკვე თინეიჯერული ასაკიდან ავადდებიან“, — ამბობს სამოქალაქო მოძრაობა „დედები აზარტული თამაშების წინააღმდეგ“ დამფუძნებელი, ქალბატონი თამარიძე ჯანა, რომელიც ამ პრობლემაზე სასაუბროდ რედაქციაში გვესტუმრა.

ლიკა ქაჩია

— ჩატარებული კვლევის მიხედვით, გამოკითხულ მოსწავლეთა 44% ბიჭების და 15% გოგონების ონლაინთამაშებით არის გატაცებული. ჩემი უშუალო მონიტორინგით ასი გამოკითხულიდან 10-12 ქალბატონი არის თამაშზე დამოკიდებული. მინდა ერთი ამბავი გიამბოთ, რომელსაც უშუალოდ შევესწარი ორიოდ დღის წინ ერთ-ერთ ინტერნეტკაფეში. სამი მოზარდი თამაშობდა. მათგან ერთ-ერთმა წააგო 300 ლარი, მეორემ ჰკითხა, რითი აპირებდა აღნიშნული თანხის გადახდას? მოთამაშემ მიუგო, რომ დაალომბარდებდა 200 ლარად თავის ტელეფონს, ხოლო 100 ლარს როგორმე იშოვიდა. ვერ მოვითმინე და გამოველაპარაკე. აღმოჩნდა, რომ ის მოზარდი, ვინც წააგო, 20 წლის, ხოლო მისი მეგობრები 18-19 წლისანი იყვნენ. ეს არის რეალობა, რომელიც დღეს ჩვენი ქვეყნის ახალგაზრდებს, მოზარდებს გამოუვალ სიტუაციაში აგდებს და განვითარების შანსს უკარგავს, ართმევს ხალისს ცხოვრების მიზნების დასახვასა და მათ მიღწევაში.

— თქვენი მოძრაობის მიზანი რა არის?

— ჩემი და ჩემი მოძრაობის — „დედები-აზარტული თამაშების წინააღმდეგ“ მიზანი ამ მწარე რეალობის დამსხვრევა და თაობების გადარჩენაა. ოფიციალური მონაცემებით, ნახევარ მილიონზე მეტი მოთამაშეა რეგისტრირებული. ქვეყანაში, სადაც რეგისტრირებული მოსახლეობა სამილიონ ნახევარია, დამეთანხმებით, რომ მოთამაშეთა ეს რაოდენობა კატასტროფულად დიდია, მით უმეტეს, რომ არ ვიცით, რამდენია არარეგისტრირებული.

აქვე გეტყვით, რომ თამაშზე დამოკიდებულებს ხშირად კრიმინალური ქმედების განხორციელებაც

უხდებათ, 2015 წლის მონაცემებით, მსგავსი მიზნით ჩადენილ დანაშაულთა რაოდენობა 2283 შემთხვევაა. მიჭირს იმის დაჯერება, რომ სახელმწიფოს არ აქვს სურვილი აზარტულ თამაშებზე რეგულაციების ისეთი ფორმატი შემოიღოს, რაც საქართველოს მოქალაქეს მაქსიმალურად შეუზღუდავს მსგავსი სერვისით სარგებლობის შესაძლებლობას. დღეს შემუშავებული კანონპროექტი ვერაფრით იქნება სიმშვიდის მომტანი იმ ადამიანებისთვის, ვისაც ოჯახში ჰყავს ლუდომანიით დაავადებული პირი. სახელმწიფო ბიუჯეტის თითქმის 40% აზარტული თამაშებიდან შემოსული თანხებია და მესმის სახელმწიფოსიც, ძნელია ამხელა თანხების დათმობა, მაგრამ უფრო მძიმე და ქვეყნისთვის საზიანოა მოსახლეობის ნახევარი ლუდომანიით იყოს დაავადებული, რითაც იკარგება თაობები და ნადგურდება გენოფონდი.

— რას აპირებთ და რა მიზნები გაქვთ დასახული პრობლემის აღმოსაფხვრელად?

— ამ პრობლემასთან ბრძოლა შესაძლებელია მხოლოდ გონივრული ნაბიჯებით. არ შეიძლება გამუდმებით ითხოვდეთ დახმარებას, ფულს და ამით შვილს უწევდეთ დათვივრ სამსახურს. ძნელია უშველო ადამიანს, რომელიც აზარტულ თამაშებზე დამოკიდებული. ძნელია იმაში დარწმუნება, რომ კონკრეტული ადამიანი ბოლომდე გათავისუფლდა ამ სენისგან. მშობელი თუ ახლობელი ადამიანები მაქსიმალურად უნდა ცდილობდნენ, ლუდომანის დახმარებას და თუ ფიქრობენ, რომ ის შეეშვა თამაშს, მუდმივად მაინც უნდა აკონტროლონ, ისევ ხომ არ გახდა თამაშზე დამოკიდებული?!

— თქვენი დაკვირვებით, ეს ე.წ. დაავადება უკუჩვენებელია?

— ეს უკუჩვენებელი სენი ნამდვილად არ არის. სიკვდილის გარდა,



ამ პრობლემასთან ბრძოლა შესაძლებელია მხოლოდ გონივრული ნაბიჯებით

ყველაფერს ეშველება! როდესაც ადამიანი გადაწყვეტს, რომ მაგალითად, ლუდომანთან ურთიერთობის ყველა რესურსი ამოწურა, მაშინაც არ უნდა დაკარგოს იმედი და უფალს უნდა მიენდოს. სანამ ხელს ჩაიქნევ, მანამდე უნდა გახსოვდეს, რომ არსებობს უამრავი რესურსი, საყვარელი ადამიანი რომ შემოაბრუნო ჯანსაღი ცხოვრებისკენ. იბრძოლეთ იმისთვის, რომ გადაარჩინოთ თქვენი ოჯახის წევრები. ასეთ ადამიანებთან გულცივი დამოკიდებულება დამლუპველია. ამ სენით დაავადებულები ძალიან ფაქიზები და ემოციურები არიან. ერთ მშვენიერ დღეს შეიძლება, საკუთარ თავსაც კი გამოუსწორებელი ზიანი მიაყენონ. ძალიან ძნელია ასეთ ადამიანთან ურთიერთობა, ყველაფერი ყელში ამოგივა, მაგრამ ის უარეს დღეშია, რაც უნდა გავითვალისწინოთ და მოვითმინოთ, დავეხმაროთ. არის ფსიქოსარეაბილიტაციო ცენტრიც, რომელიც საკმაოდ ძვირად ღირებულია, ერთი ვიზიტი 60 ლარი ღირს და ეს არის ზუსტად პრობლემა! თამაშზე დამოკიდებულები უმეტესად არიან სოციალურად



შეჭირვებული ხალხი, რომლებსაც ჰგონიათ, რომ დღეს თუ დადებენ ვინ იცის, რა გზით ნაშოვნ 10 ლარს, ამით იშოვიან ათასობით თანხას. ეს ტყუილია, ილუზიაა! ბევრი ისეთი ადამიანი ვნახეთ, რომლებიც თამაშობდნენ და დაკარგეს ყველაფერი. აღარ შერჩათ ოჯახი, ცოლ-შვილი, სახლ-კარი, მანქანა. ბევრი მათგანი ხელს აწერს ჩვენს მოთხოვნას, რომ

ბობდა, რომ ეს დამლუპველი სენია. გავიარეთ კონსულტაცია და შემდეგ მოლაპარაკება გავმართეთ მთავრობის წევრებთან. შევეხმიანეთ დეპუტატ ლევან გოგიჩაიშვილს. მივანოდეთ ჩვენი სამუშაო პროგრამა, მოთხოვნები და მას მერე, თითქმის ყოველ მეორე კვირას პარლამენტში გვიბარებდნენ სამუშაო შეხვედრებზე. ბატონმა ლევანმა აიღო ინიცია-

ლი მოთამაშე უნდა მივიდეს იუსტიციის სახლში და თქვას: გეხვეწებით, ამიკრძალებთ თამაშით. ეს არასერიოზულად მეჩვენება. თუ მაინც ითამაშებს, სახელმწიფო კონკრეტულ ობიექტს (და არა თავად პიროვნებას) დააჯარიმებს 5.000 ლარით და მეორე შემთხვევაში, 10.000 ლარით... დამიჯერეთ, ეს თანხა არის ნამში შესული თანხა ნებისმიერი სათამაშო ობიექტისთვის. და კიდევ, ძალიან გვიანდა ნებისმიერი ონლაინთამაში „ჩაიხსნას“. „ლურჯი ვეშაპი“ იქნება თუ რულეტკის დატრიალება, სულერთია, ფინანსთა სამინისტროს პროექტში კი აღნიშნულია, არ „ჩაიხსნას“ და მოხდეს მკაცრი კონტროლი. ვერ მოხდება მკაცრი კონტროლი, რაღაც მაინც გაიპარება. მოკლედ, პროექტში არის ლაფსუსები. ჩვენ ვითხოვთ, რომ ოჯახის წევრებს მიეცეთ მოთამაშის „გამაგების“ უფლება ქვეყნის მასშტაბით. ისინი კი ამბობენ, რომ ამ შემთხვევაში, უნდა ნავიდეო ოჯახის წევრი სასამართლოში, დაწეროს განცხადება, რომ ოჯახში ჰყავს მოძალადე და ა.შ. ეს აბსურდია.



ბევრი ისეთი ადამიანი ვნახეთ, რომლებიც თამაშობდნენ და დაკარგეს ყველაფერი

თამაში აიკრძალოს, ზოგი კი ამასაც გაურბის. იცით, რა მითხრა ერთმა ადამიანმა? — სად იყავით მაშინ, როცა მე მიჭირდაო? გაბოროტებულიც ბევრია, რა თქმა უნდა!

— მოძრაობის ჩამოყალიბების იდეა როდის გაჩნდა?

— ჩვენი მოძრაობა აპრილიდან დაფუძნდა. მაშინ აბსოლუტურად უცნობი ადამიანები შევხვდით ერთმანეთს. მანამდე „ფეისბუქზე“ დავდე წერილი: მოდი, შევიკრიბოთ ასეთი პრობლემის წინაშე მდგარი ადამიანები-მეთქი და იმ დღეს უამრავი ზარი შემოვიდა ჩემს ტელეფონზე. დავთქვით შეხვედრა და შევარჩიეთ ადგილი, სადაც ერთმანეთს გავუზიარეთ გულისტკივილი. ზარები იყო საზღვარგარეთიდანაც. ჩვენ ერთად მოვიფიქრეთ სახელიც „დედები აზარტული თამაშების წინააღმდეგ“. არ მოვიდნენ მამაკაცები, მაგრამ ხელმონერებს როცა ვაგროვებდით, ბევრი მამაკაცი შეეცადა დაგკონტაქტებოდა. ჩვენ შევიმუშავეთ სამუშაო გეგმა და დავეუკავშირდით არასამთავრობო ფინანსისტთა ორგანიზაციას, რომელსაც ბატონი ზურაბ ოკულაძე ხელმძღვანელობს. ეს ის ადამიანია, რომელიც წლების წინ ხმამაღლა ამ-

ტივა, შექმნა კომისია და ამ საკითხს ჩაუდგა სათავეში. უკვე დამუშავების პროცესშია კანონპროექტი, რომელიც განხილვაზე უნდა გავიდეს.

სხვათა შორის, ფინანსთა სამინისტრომ შემოიტანა პროექტი, რომელიც ერთი შეხედვით შევება, მაგრამ იქ იმდენი „შავი ხვრელია“ დატოვებული, რომ წარმოუდგენელია, მოქალაქე ამ უბედურებისგან დაიცვა.

— რას გულისხმობთ „შავ ხვრელებში“?

— ეს არის პირველ რიგში, ასაკი. ამბობენ, რომ მოთამაშეთა ასაკი 21 წლამდე უნდა შეიზღუდოს, მაგრამ დამიჯერეთ, 34 ან 45 წლის კაცმაც შეიძლება საკუთარ თავს და ოჯახს დაუშავოს, შვილები ქუჩაში დატოვოს. ამას წინათ უცნობმა ასაკოვანმა ქალბატონმა დამირეკა და მითხრა: ქალბატონო თამრიკო, არ გიცნობთ, მაგრამ თქვენგან შევლას ველი, აღარ მაქვს სახლი, ტელეფონი, ტელევიზორი, აღარ მყავს ქმარიო. ჰოდა, აბა, რა მნიშვნელობა აქვს, რამდენი წლის მამაკაცი დალუპავს და დაანგრევს ოჯახს?..

მეორე საკითხი, რაშიც სირთულეს ვხედავ, თვითაკრძალვის პრობლემაა, როდესაც დაავადებუ-

საკრძალია ყოველგვარი რეკლამა, რომელიც ეხება აზარტულ თამაშებს და ეს გათვალისწინებული და განერილი უნდა იქნეს ახალ ნორმატიულ აქტში. მიუღებელია „შავ სიაში“ შეყვანის სამსლიანი ხანდაზმულობის ვადა, ანუ პირს ეკრძალება თამაში 3 წლით და ეს სამი წელი უნდა იყოს მოქალაქის გამოჯანმრთელების, მისი რესოციალიზაციისთვის გამოყენებული დრო. ამისთვის კი საჭიროა ფსიქოსარეაბილიტაციო ცენტრ(ებ)ის მუნიციპალურ დონეზე არსებობა, სადაც ჩართული იქნება ჯანდაცვის სამინისტროსთან ერთად განათლების სამინისტრო, რომ ადამიანი, რომელსაც აეკრძალა თამაში, კონკრეტული ვადის გასვლის შემდეგ ისევ არ გახდეს მოთამაშე...

კანონპროექტში მითითებულია, რომ უნდა მოხდეს მოთამაშეთა მონაცემთა ერთიანი ბაზის შექმნა, თუმცა არ არის განსაზღვრული, როგორ მოხდება მოქალაქის იდენტიფიცირება მისი შემოსავლების მიხედვით. ვის ვაძლევეთ თამაშის უფლებას? ყველას თუ ადამიანს, რომელსაც აქვს მაღალი შემოსავალი? რა ითვლება მაღალ ანაზღაურებად, ეს კიდევ ცალკე საკითხია, ალბათ უნდა მოხდეს ზედა ზღვრის



განსაზღვრა წლიური შემოსავლის მიხედვით და მცირე შემოსავლის მქონე პირს არ ექნება წევრობა აზარტულ თამაშებთან — დამერწმუნეთ, აუცილებელია მსგავსი დეფინიცია, რადგან დღეს სტუდენტები და სკოლის მოსწავლეები არიან დაკავებულნი მსგავსი „გასართობით“, მათ კი არ აქვთ თავიანთი შემოსავალი და საკუთარი ქმედებებით ოჯახებს აგდებენ მძიმე მატერიალურ მდგომარეობაში, სწადიან უამრავ დანაშაულს თანხის საშოვნელად და ა.შ.

დასახვევია ასევე, ონლაინთამაშების თემა. ეს არის საკითხი, რომლის აკრძალვაც აუცილებელია, თუნდაც იმ მილიონების საფასურად, რაც სახელმწიფომ მის გასაუქმებლად უნდა გაიღოს.

ონლაინთამაშები ეს არის ე.წ. მინიკაზინო ოჯახში. უამრავი შემზარავი ფაქტი მიაბნეს მოთამაშეთა დედებმა, მეუღლეებმა, დებმა. ვიცი ამბები, თუ როგორ ხდებიან პიროვ-

ნებები მოძალადეები. არის შემთხვევები, ოჯახის წევრების მიმართ თანხის გამოძალგის მცდელობების, სუიციდის, თავის დაზიანების, რომ აღარაფერი ვთქვათ ოჯახიდან ნივთების გატანაზე. გააქვთ ისეთი საყოფაცხოვრებო ტექნიკა, როგორც არის მაცივარი, ტელევიზორი, სარეცხი მანქანა და ამ ყველაფერს ლომბარდები ჩვეულებრივად იბარებენ. ლომბარდების თემა, ეს კიდევ ცალკე და ფართოდ გასაშლელი საკითხია, რასაც ჩვენი მოძრაობა ცალკე შეეხება. მანამდე კი მინდა ერთი ოჯახის მაგალითი გაიამოთ, რომელსაც ჰყავს 33 წლის შვილი (დედა დამიკავშირდა). ის ლუდომანიის უმძიმესი ფორმითაა დაავადებული. დღეს ისეა ამ ადამიანის მდგომარეობა, რომ ლოგინად არის ჩავარდნილი, ყოველგვარ რეალობას მონყვეტილი. ოჯახი აღმოჩნდა უმძიმეს ეკონომიკურ პირობებში. ჩვენი მოძრაობის დახმარებით მოახერხეს

ფსიქიატრთან დაკავშირება, რომელიც უწევს თერაპიულ მკურნალობას არა მხოლოდ სენსების სახით, არამედ მედიკამენტურ დონეზეც და იმედი გვაქვს, გამოჯანმრთელდება.

დაგეგმილი გვაქვს სხვადასხვა შეხვედრა მთავრობის წარმომადგენლებთან. პირველ რიგში, გვინდა შევხვედეთ განათლებისა და ჯანდაცვის მინისტრებს. მიგვაჩნია, რომ აუცილებელია სასწავლო დაწესებულებებში ანტირეკლამის კუთხით ჩატარდეს ლექცია-სემინარები თემაზე. თუ სადამდე შეიძლება მივიდეს თამაშზე დამოკიდებული ადამიანის ცხოვრება.

ვისარგებლებ შემთხვევით და მოვუწოდებ ყველას, ვისაც ანუხებს ეს საკითხი, დაგვიკავშირდნენ სოციალურ გვერდზე, სახელწოდებით (ქართულად) „დედები აზარტული თამაშების წინააღმდეგ“.

გავერთიანდეთ ამ საშინელი სენის დასამარცხებლად!

აზარტული თამაშებისადმი ავადმყოფური ლტოლვა და უჩვეულო სიმპტომები

მას შემდეგ, რაც სათამაშო ბიზნესი იატაკქვეშეთიდან გამოვიდა და ლეგალური არსებობის უფლება მოიპოვა, მომრავლდა კაზინოები და სლოტკლუბები და აზარტულ თამაშებზე დამოკიდებულება გლობალურ სოციალურ პრობლემად იქცა. mkumali.ge-ზე ამ საკითხთან დაკავშირებით, საინტერესო თემას წავაწყდით, სადაც ლუდომანია განხილულია სულ სხვა ჭრილში: აზარტული თამაშებისადმი ავადმყოფური ლტოლვა, მართალია, მამაკაცებში უფრო ხშირია, მაგრამ ქალებში გაცილებით მძიმედ მიმდინარეობს. სუსტი სქესი ამ ქსელში სამჯერ უფრო სწრაფად ებმება და ფსიქოთერაპიასაც გაცილებით ძნელად ემორჩილება. მამაკაცებისგან განსხვავებით, ქალები ლუდომანები ზრდასრულ ასაკში ხდებიან და მათ 1-4%-ში დამოკიდებულება ისეთ ფორმას იღებს, ხშირად ფსიქიატრის ჩარევაც კი ხდება საჭირო. ქალებში ლუდომანიას თითქმის ყოველთვის ახლავს დეპრესიული აშლილობა, მამაკაცებში კი ალკოჰოლიზმი, ამიტომ გასაკვირი არც არის, რომ ასეთი ადამიანები სხვებზე ხშირად და იოლად ანგრევენ ოჯახებს, არღვევენ სამსახურში ქცევის წესებს და სამუშაო ადგილსაც ხშირად იცვლიან.

რა ახასიათებს ლუდომანიას?

- თამაშისადმი მუდმივი ლტოლვა, კაზინოში და აპარატებთან უფრო და უფრო მეტი ხნის გატარება;
- ინტერესთა სფეროს შეცვლა — თამაში ადამიანის ცხოვრებიდან თანდათან დევნის სხვა ინტერესებს; ლუდომანი მხოლოდ თამაშზე ფიქრობს, გონებაში სათამაშო კომბინაციებს და მასთან დაკავშირებულ სიტუაციებს წარმოისახავს;
- თვითკონტროლის დაკარგვა — ლუდომანი სურვილის შემთხვევაშიც კი ვერ ახერხებს თამაშისთვის თავის დანებებას, განურჩევლად იმისა, იგებს თუ გამუდმებით აგებს;

- ფსიქოლოგიური დისკომფორტი, გაღიზიანება თამაშის თუნდაც მოკლე ხნით შეწყვეტისას, რადგან თამაშის სურვილი ძნელი გადასალახია. ეს მდგომარეობა ძლიერ ჰგავს ნარკომანთა აბსტინენციას, რომელსაც თან სდევს თავის ტკივილი, ძილის დარღვევა, გუნება-განწყობის გაუარესება, ყურადღების კონცენტრაციის დაქვეითება;
 - თამაშის გახშირება, ამასთან, მომატებული რისკის ხარჯზე;
 - გადანყვეტილების შემდეგ, აღარ გაეკაროს სათამაშო ადგილს, საკმარისია უმნიშვნელო პროვოკაცია და თამაშზე დამოკიდებულება უახლდება.
- თამაშზე დამოკიდებულება სამ სტადიად ვითარდება: მოგებათა სტადია; წაგებათა სტადია; განხიზვლის სტადია. მოგებათა სტადიაში თამაში შემთხვევითია, მოგება — ხშირი, ფსონები თანდათან იზრდება, ადამიანი ჰყვება ფანტაზიას, ეუფლება უსაფუძვლო ოპტიმიზმი. წაგებათა სტადიაზე მოთამაშე უკვე მიზანმიმართულად თამაშობს, თავს ინონებს მოგებებით, გონებით მხოლოდ თამაშს უტრიალებს და ადრე თუ გვიან ხვდება, რომ აღარ შესწევს შეჩერების ძალა. იწყება ტყუილები. ლუდომანი პრობლემებს უმაღლეს მეგობრებს, ოჯახზე ნაკლებად ზრუნავს, სამსახურში სიარულს თავს არიდებს, იღებს ვალებს, ცდილობს, ფულის შოვნას როგორც კანონიერი, ისე უკანონო გზით, გამუდმებით გაღიზიანებულია, სურს თამაშისთვის თავის დანებება, მაგრამ ვერ ახერხებს. განხიზვლის სტადიაზე ადამიანი კარგავს როგორც პიროვნულ, ისე პროფესიულ რეპუტაციას, თავს არიდებს მეგობრებსა და ოჯახს, იტანჯება სინდისის ქენჯნით, ეუფლება პანიკა, ხშირად სწადის უკანონო ქმედებებს, ინანიებს, უიმედობის, თავის მოკვლის სურვილი იპყრობს; ოჯახი ინგრევა, ლუდომანი იწყებს სმას, უვითარდება ემოციური აშლილობა.



ბიბლუსი

ნაწარმოებზე თქვენი შთაბეჭდილება შეგიძლიათ გაგვიზიაროთ ელფოსტით <http://svetnov.wordpress.com/gza.fantazia@gmail.com>

სვეთა კვარაცხელია

დასაწყისი ნხ. „ბზა“ №41-51

ნამხდარი ქალი



ცუდი დღეები დამიდგა. გუნება მოშხამული დავდიოდი. როგორ გამოემსწორებინა სიტუაცია? უფრო სწორად, რა უნდა გამეკეთებინა, რომ სამივე კმაყოფილი დავრჩენილიყავით? ნანასთან ძველ ურთიერთობას ვერ აღვადგენდი, ეს გამოორიცხული იყო — როგორც ქალი, ის აღარ მიზიდავდა, მაგრამ მეგობრობა შემეძლო. მართლა სულით და გულით დავუდგებოდი გვერდით. სამაგიეროდ, ნინისთან ყოფნა მწადადა. მწადადა მთელი არსებით, მაგრამ იმასაც ვხვდებოდი, რომ ფაქტობრივად, ესეც შეუძლებელი იყო. გადაგვარებული უნდა ვყოფილიყავი, ყოფილი საყვარლის შველთან რომანი რომ გამეზა... მაგრამ... არსებობდა ერთი „მაგრამ“... სანამ ნანა გამოჩნდებოდა ჰორიზონტზე, მანამდე ვიცნობდი ნინის და ჩვენ ერთმანეთი გვიყვარდა. მართალია, იგი არ მიცნობდა და სინამდვილეში მირაჟი იყო მისი მხრიდან ჩემი შეყვარება, მაგრამ მაინც...

არ მიყვარს ადამიანებზე ცუდის თქმა, მით უფრო იმათზე, ვისთანაც კარგად ვგრძნობდი ერთ დროს თავს... ამბობენ, ეს ძლიერების საუკეთესო თვისებააო. ჩემს ძლიერებაში ეჭვი არასდროს შემპარვია, მაგრამ საკუთარ თავთან მარტო დარჩენილს ჩემი გონებრივი ტყუპისცალისთვის ყველაფრის თქმა შემეძლო. მასთან ნანა ხშირად მიგინებია. ანდრია ერთი და ანდრია ორი ხშირად კამათობენ. აი, მაგალითად, ახლაც. ანდრია ერთი ამტკიცებს, რადგან ნანა ასეთი ტყუილებით ცდილობს შენთან დაახლოებას, არ ღირს მასთან გამინაურება და დაახლოება, დისტანციური ურთი-

ერთობა აჯობებსო. ანდრია ორი კიდევ უმტკიცებს, ეგ იმიტომ, რომ ნანას ჯერაც უყვარხარ და არ უნდა კიდევ ერთხელ დაგკარგოსო. არადა, არ მესმის, რა არის აქ საკამათო. არც ანდრია ერთს და არც ანდრია ორს არ ალელვებს ნანა... აი, ისე, კაცი რომ ალელდება ქალის დანახვაზე ან შეხებაზე. ჰოდა, რატომ კამათობენ, ვერ გამიგია.

ნანაზე შეხედულება არ შემცვლია. როგორც მაშინ მოვნათლე, ნარსულში, დღემდე ისე ვიხსენიებ — ნამხდარი ქალი. არის რალაცეზი, რაც არავის ეპატიება — არც ქალს, არც მამაკაცს. შეიძლება ლალატიც ვაპატიო ადამიანს, თუკი არ მომატყუებს და ამის შესახებ დროულად მეტყვის. გეფიცებით, მართლა შემიძლია ასე პატიება, მაგრამ თუ ჩემი გაშიფვრის მერე ჩამაყენებ საქმის კურსში, ვერა, ვერ გაპატიებ. თუმცა, ეს ყველაფერი ნარსულში დარჩა. მერე რა? ახალგაზრდა იყო, გამოუცდელი, მე ვიტყვოდი — ხამიც, დაუნახავიც... ამიტომ ვერ გათვალა. არ იცოდა, რას მოუტანდა თავისი საქციელი. იქნებ არც უნდა ვამტყუნებდე? მას ოჯახის შექმნა უნდოდა, გათხოვება, შვილები... მე ეს არც ერთი არ მინდოდა. ვინ არის დამნაშავე, დღეს ერთად რომ არ ვართ? მე თუ ის? თუ დავუფიქრებდით, უფრო მე, ვიდრე ის. მაშინ რას ვერჩი? მართალია, არ უნდა ვერჩოდე. როგორც ჩანს, საბაბს ვეძებ, რომ იმ ძველი ურთიერთობის აღდგენის

მცდელობას ყველანაირად შეეშალო ხელი.

თვალები გავახილე და გავიზომორე. მეყო ამდენი ფიქრი. ასეთ თუ ისე, ცხოვრება მაინც მშვენიერია. მით უფრო, დილით, როცა გაიღვიძებ და პირველი, რასაც თვალის გახელის შემდეგ აკეთებ, გაზმორებაა. იდეალური დილა გაზმორებით იწყება და თუ გსურს, იგი იდეალურად დიდხანს შეინარჩუნო, კიდევ ერთხელ უნდა გაიზმორო, გაიღიმო, გვერდი მოინაცვლო და ისევე დაიძინო. ძილის შეზღუდვაზე დიდი სიამოვნება არ არსებობს ცხოვრებაში.

ცხოვრება კი მშვენიერია. მისი არ უნდა გვემინოდეს, პირიქით, შენი ცხოვრების ავტორი უნდა იყო და არა მათემატიკოსი. სცენარი თავად უნდა დანერო, კორექტივებიც თვითონ უნდა შეიტანო, თავგადასავლებიც უნდა ჩართო შიგ და საინტერესოც გამოვა. ასე რომ, ცხოვრება პიესაა და არა ჭადრაკის თამაში. ეს არის იმპროვიზაცია თემაზე... შეიძლება მინორული, შეიძლება მათორული... ყველაფერი შემსრულებელზეა დამოკიდებული. ავტორიც თავად ხარ და მსახიობიც. ხარისხის გარანტორი მხოლოდ შენ ხარ, სხვა არავინ.

ნინისთან შეხვედრამ გარკვეულწილად რალაც პროცესები დააჩქარა. ორი დღე რომ გავიდა, ავდექი და ნანას სახლში მივადექი. არ დამირეკავს, მოულოდნელად



გამოვეცხადე. თვალები გაუფართოვდა, ისე გაუკვირდა. სიხარულის ტალღამ სინითლესთან ერთად შეუმჩნევლად გადაურა სახეზე. თუმცა, რალა შეუმჩნევლად... მე ხომ დავინახე. მინდვრის ყვავილების თაიგული მივართვი. ვიცოდი, ყვავილები რომ უყვარდა, განსაკუთრებით მინდვრის ყვავილები.

— ცხოვრებაში რამდენჯერ მიჩუქებია შენთვის ყვავილები? — ლიმილით ვკითხე და გადავკოცნე. ჯერაც ახალგაზრდულად ფაფუკი და სალუქი სახის კანი ჰქონდა.

— არ მახსოვს... უფრო სწორად, ერთი მახსოვს და არასდროს დამავინყდება, სხვები არა.

— ალბათ იმ ერთის გარდა სხვა შემთხვევა არც ყოფილა, რადგან ის ერთი მეც მახსოვს. უნივერსიტეტი რომ დაამთავრე და ერთადერთი ვარდი გაჩუქე, იმას გულისხმობ, არა?

— ჰო, — ნაპერწკლები დააკვესა თვალებიდან.

აი, ეს ნაპერწკლები მდაგავდა ყოველთვის, საოცარი თვალებიდან მაშხალასავით რომ გაყრიდა ხოლმე.

— მარტო ხარ?

— მარტო ვარ, კი. ლელი ჯერაც არ მოსულა. იმედია, დარჩები მის მოსვლამდე.

— არ ვიცი, ვნახოთ. ყოველ შემთხვევაში, ცოტა ხანს დავრჩები, გაქცევას არ ვაპირებ.

— სამსახურიდან მოდიხარ?

— ჰო, შინ არ შემვივლია.

— მაშინ გასადილებ. გუფთა მაქვს...

— არა, არ მშია, მადლობა. ყავას დავლევ, თუ არის საშუალება და არ გეზარება.

— ახლავე. შენ შედი, დაჯექი, მე კი ახლავე მოვალ, — ნაზად თქვა და სამზარეულოსკენ გაეშურა.

სასტუმრო ოთახში გავედი. ძირს დაგებული ხის იატაკი ყოველი ნაბიჯის გადადგმაზე ჭრაჭუნებდა. ვინ იცის, რა ხნისაა ეს სახლი, რამდენ წელს ითვლის. უცნაურია, აქ რომ გადაუნყვებია სახლის შექენა. ნუთუ მართლა ჩემ გამო გააკეთა ეს?

თვალეები დავხუჭე და წამით წარსულში გადავინაცვლე. იმ დროის ენით აუწერელი მონატრება მჭირდა. ის ნანა მენატრებოდა და მსურდა, ეს — აღარ. ცუდია, ასე რომ ხდება. როგორ გინდა აუხსნა

ადამიანს, ძველებურად აღარ მიზიდავო. მომიწევს ახსნა, სხვა გზა არ მრჩება.

— ზუსტად ისეთი მოვადულე, როგორიც გიყვარდა. იმედია, გემოვნება არ შეგცვლია, — მომესმა ამ დროს ზურგს უკან.

ნელა შემოვბრუნდი, მისმა ნათქვამმა ხანჯალივით გამიარა გულში. ესეც კი დაუმახსოვრებია.

— შენ არ გინდა? მარტო მე უნდა დავლიო? — ფინჯანი გამოვართვი.

— წელან დავლიე. ბევრს არ ვსვამ, მხოლოდ დილა-სალამოს. შენ, როგორც ჩანს, დაგავინყდა.

— არა, არ დამვიწყებია, მაგრამ მე რა ვიცოდი, თუ უკვე დალეული გქონდა? — გავუღიმე. მართლა არ დამვიწყებია. ყველაფერი მახსოვდა, რაც მასთან მაკავშირებდა და ეს არც იყო გასაკვირი, მე ხომ მიყვარდა. თუმცა, მასაც ხომ ვუყვარდი რალაც პერიოდის განმავლობაში? ბოლოს გააფუჭა ყველაფერი, თორემ, ალბათობის თეორიის მიხედვით, თუ ყველაზე არა, ერთ-ერთი ბედნიერი წყვილი მაინც ვიყავით იმ წლებში... ალბათ...

— შენი ყველა ჩვევა მახსოვს, განსაკუთრებით მავნე ჩვევები.

— მართლა? — გამეცინა, — მავნე ჩვევები აღარ მაქვს... სიყვარულსაც კი არ ვწყალობ.

ოდნავ შესამჩნევად შეერხა წარბები.

— რას ნიშნავს ნეტავ ეს? — ხმადაბლა იკითხა, ჩემ წინ სავარძელში ჩაჯდა, ხელისგულები მუხლებზე

დაილაგა და თითები უტაქტ-ურიტმოდ აათამაშა.

— ქალის შეყვარებას გადავეჩვიე. ზედმეტი ტვირთია ჩემთვის სიყვარული. ახლა მგონი, გამომივიდა გასაგებად, არა? — გამიხარდა, ასე მოულოდნელად და თავისით რომ ჩამოვარდა საჭირბოროტო თემაზე საუბარი. ჭირის დღესავით მეზარებოდა საჩოთირო საუბრის დაწყება და არც ვიცოდი, საიდან დამეწყო.

— ეგ შენთვის ყოველთვის ზედმეტი ტვირთი იყო, — გამქირავად მესროლა.

— არა, ასე არ არის.

— იცი? ხანდახან მგონია, რომ არც არასდროს გყვარებივარ. უბრალოდ, სამარიაჟოდ გჭირდებოდი. შემომხედეთ, რა ლამაზი საყვარელი მყავს! — დამგესლა.

თითქოს თვალთ დამიბნელდა. იმდენად შეურაცხყოფელი იყო მისი სიტყვები, რომ სიბრაზისგან კანკალმა ამიტანა. კიდევ კარგი, როგორც ექიმს, წლების განმავლობაში გამომიმუშავდა თავის ხელში აყვანის ინსტინქტი. თავის შეკავება ნებისმიერ სიტუაციაში შემეძლო.

— დიდი ვერაფერი სამარიაჟო იყავი სიფილისიანი გოგო, — ისე აგდებულად შევეპასუხე, გესლის ნთხევის სურვილი გავუქრე, — რომ არ მყვარებოდი, ჩემ გვერდით ვერ იქნებოდი... ერთი დღეც ვერ იქნებოდი. რაც შეეხება სილამაზეს, შენზე ბევრად ლამაზებიც არსებობდნენ. იცი რამ გააფუჭა ჩვენი ურთიერთობა? შენმა შეხედულებ





ბებმა. იმან, რომ თავი სამყაროს ცენტრი გეგონა. დარწმუნებული იყავი, რომ ყველა მამაკაცი შენ ირგვლივ იტრიალებდა, მე — მით უმეტეს. არასდროს დამავინყდება შენი სახე, როცა ძალიან მშვიდად შევხვდი შენს ლალატს და დარჩენა არ გთხოვე. ალბათ დარწმუნებული იყავი, რომ ვერ დაგთმობდი. რალაც დოზით მართალი ხარ... გამიჭირდა შენი დათმობა. მაგრამ ეს არ იყო ის შემთხვევა, როცა რალაცებზე თვალის დახუჭვა შეიძლება. ლალატის პატიება არ გამიჭირდებოდა, მე სხვა რამე გამიჭირდა. შენი ტყუილები ვერ ავიტანე. ქალმა ერთხელ თუ სცადა შენი მოტყუება და გამოუვიდა, მერე აღარ დაგინდობს. უფრო და უფრო დიდი ხალისით და უფრო და უფრო დახვეწილი ტყუილების გამოგონებას იწყებს, რათა შენი მოტყუებით ღვთაებრივი სიამოვნება მიიღოს.

— მეგონა, წარსულზე აღარ ვილაპარაკებდით... — ხმა წაერთვა, წელან ენერგიულად ათამაშებული ხელის თითები უღონოდ ჩაებლაუჭნენ სავარძლის სახელურებს.

— შენ დაიწყე, ჩემი ბრალი არ არის... — მხრები ავიჩიჩე და ყავა მოვსვი.

— ყოველთვის ყველაფერი ჩემი ბრალია...

— ყოველთვის არა და არც ყველაფერი... ნუ იგონებ... მოდი, ცოტა გავმხიარულდეთ, აქ საქმის გასარჩევად არ მოვსულვარ. მეგონა, ერთმანეთის ნახვა გაგვიხარდებოდა.

— ჰო, მეც ასე მეგონა. — ორაზროვნად მიპასუხა და ირონიულად ჩაიღიმა, — არა უშავს, ისე ვიმეგობროთ, ხომ შეიძლება?

— რა თქმა უნდა. მაპატიე, არ ვიცი, რატომ მოხდა ასე. თუ დამიჯერებ, მე თვითონაც მიკვირს.

— ძალიან კარგადაც იცი.

— შენ რა იცი, მე რა ვიცი?

— ყველა ადამიანმა იცის, რატომ ხდება მის თავს ესა თუ ის. მოდი, ნულარ გავაღრმავებთ. ორივენი კარგად ვხვდებით, რაც ხდება. რაც არის, არის. უბრალოდ, შენი დაკარგვა არ მინდა. მე შენ არ მიძებნიხარ, სრულიად მოულოდნელად გამოჩნდი. მეგონა, ეს ღვთის ნება იყო. რადგან ხელმეორედ ერთმანეთს შეგვახვედრა, ნიშანი მოგვცა-მეთქი. წარსულმა კიდევ ერთხელ შემატორტმანა, თუმცა ახლა უკვე შემიძლია თავის შე-

კავება, ისე იოლად აღარ ვეცემი, როგორც მაშინ, მიამიტობაში. მიამიტობის ეტაპი დიდი ხანია, დამთავრდა. ახლა ისლა მინდა, რომ სხვა მხრივ მაინც დამიდგე გვერდში. იმედია, წარსულის მცირე დამსახურებები ამის უფლებას მაძლევს. ჩემი გოგოს მდგომარეობა მაშფოთებს. იცი, რამდენი წელია, ვილაც უყვარს? ამ დროს თვითონაც არ იცის, ვინ. ვილაც. უსახელო, უგვარო, უთვისტომო... იქნებ არც არსებობს რეალურად. შეიძლება ქალიცაა, რას გაიგებ! ამას რომ ვუხსნი, ცოფდება, არ მისმენს... დამეხმარე, გთხოვ... კაცს სხვანაირად შეუძლია ქალის შეგონება, ნდობის მოპოვების სხვანაირ ხერხებს ფლობს. მე ყოველთვის მჯეროდა შენი და ახლაც შენი იმედი მაქვს... ამ სოციალურმა ქსელებმა მთლად გააგიჟა ახალგაზრდობა. იქ ცალკე ცხოვრება აქვთ აწყობილი. მინდა, რეალურ ცხოვრებაში გაუმართლოს და არა ვირტუალურში. მთელ სიცოცხლეს ფანტაზიებში ხომ არ გალევს? ვუშველოთ რამე... ერთად ვუშველოთ... გთხოვ, ამაზე მაინც არ მითხრა უარი.

— არ ვიცი, რა გითხრა... მე სიამოვნებით დავეხმარებოდი, მაგრამ როგორ გგონია, მას სჭირდება ჩემი დახმარება? არ მეტყვის, შენ ვინ გეკითხება, ჩემს პირად ცხოვრებაში რომ იჭრები? მე მისთვის სრულიად უცხო ადამიანი ვარ. ვილაც ვარ, გარედან მოსული...

— მთავარია, მისი ნდობა მოიპოვო...

— მაგრამ როგორ?

— როგორ და... — პაუზა გააკეთა, ჩახახვლა და თვალები დახარა. მივხვდა, რალაც ისეთი უნდა ეთქვა, რაც მე არ მესიამოვნებოდა, — ვითომ შევრიგდით, ვითომ ერთად ვართ... ასეთი სცენა გავითამაშოთ...

— ნანა... — შევანყვეტინე, როცა მივხვდი, საითაც უმიზნებდა.

— ნუ მანყვეტინებ, ძალიან გთხოვ... შენ არასწორად გაიგე. უბრალოდ, ხშირად უნდა იარო ჩვენთან. მე დაგირეკავ, როცა შინ იქნება და მხოლოდ მაშინ მოდი. ნუ გეშინია, ისე არ გავაკეთებ, რომ მარტონი დავრჩეთ, თუ ეს გაშფოთებს. მინდა, ერთმანეთს შეეჩვიოთ. მერე სადმე გახვალთ, დაპატიჟებ ან რალაც ამდაგვარი. მოკლედ, შენ ეგერი არ გეშლება,

რალას მალაპარაკებ? მთავარია, იმის არსს ჩასწვდე, რის ახსნასაც ვცდილობ.

ამ დროს კარის სახელური გატკაცუნდა.

— მოვიდა! — ისეთი შეშინებული ხმით წარმოთქვა ნანამ, სიცილი ვერ შევიკავე.

— მერე რა? მოვიდეს, ჩვენც ხომ ეს გვინდა.

ნინი ჩემს დანახვას არ ელოდა.

— უი, თქვენ? რომელმა ქარმა გადმოგადგოთ? — ისე ცივად მკითხა, უსიამოვნო ტალღამ გულის სიღრმეში რალაცას მიმახეთქა.

— ამ სახლისკენ მომავალ ქარს გამოვყევი, — ხუმრობაში ცვადავ გატარება, ვითომ მისი ირონია ვერ ვიგრძენი.

— აჰა... — დაკვირვებული მზერა ჯერ მე მომაპყრო, მერე დედამისს, — რალაც ვერ ვატყობ, იმ ქარის კმაყოფილი იყოთ ან ერთი, ან მეორე. სწორად მივხვდი? ისეთი დამძრებული სახეები გაქვთ, თითქოს დასაფლავებდიდან ამნუთას დაბრუნდით.

— რა საზიზღრობებს გაიძახი, გოგო, რა გჭირს? — გაღიზიანდა ნანა და ადგა, — აბა, გიჟივით უნდა ვიცინოდეთ თუ რა?

— არა, არაფერი. თქვენ თუ კარგად გრძნობთ თავს, მე რა... — მხრები აიჩიჩა და ქვედა ტუჩი მოპრუნა, — მე მხოლოდ გამიხარდება.

— ჰოდა, გამოიცვალე ტანსაცმელი და ვისადილოთ. ანდრიაც მშიერია.

— რატომ მერე, რას ელოდებოდი?

— შენ. — ძალიან მშვიდი, ღიმილიანი სახითა და მომწუსხველი მზერით ვუთხარი და ხელებით „ესაა ჭეშმარიტება“ შესტი გამოვსახე.

მისი გაოცება წარბების აჭიმვაში გამოიხატა. ერთხანს უნდობლად მიყურებდა, მერე თავი გაიქნია და თავის ოთახში გაუჩინარდა.

ნანამ სუფრა გაანყო. საქმელი გააცხელა. გუფთის სასიამოვნო არომატმა სამზარეულო გადაავსო. ვიგრძენი, რომ მომშივებოდა. მართლა სიამოვნებით მივირთმევედი ახლა, მით უფრო, რომ გვერდით ნინი მეყოლებოდა, მის ხმას გავიგონებდი, მის მზერას დავიჭერდი, მის ისრებივით ირონიას ავისხლეტიდი...

სანამ ნინი გამოვიდოდა, ნანამ ჩურჩულით მთხოვა, იქნებ როგორ-



მე დაითანხმობ, რომ ამ დღეებში სადმე გამოგყვეს — ან კინოში, ან თეატრში... რამე მოიფიქრეო.

სიყვარული — წელიწადი იდეალური აღმოჩნდება პარტნიორული კუთხით. შესაძლებელია ახალ სიყვარულს შეხვდეთ ან ძველ პარტნიორთან განაახლოთ ურთიერთობა. სასიყვარულო კავშირები შესაძლოა მეგობრულ საფუძველზე აღმოცენდეს. დაოჯახებულ კუროებს კი არაერთი, მშვიდი და ჰარმონიული წუთის გატარება ელით თავიანთ მეორე ნახევრებთან.

ტყუპი

ერთ-ერთი აქტიური წელიწადი მოდის თქვენთვის კარიერული და ფინანსური თვალსაზრისით. თუმცა, შესაძლოა პირად ცხოვრებაში გარკვეული სირთულეები გაჩნდეს და მათი სამომავლოდ გადადება მოგახდეთ.


ბიზნესი და კარიერა — წლის პირველი ნახევარი უზომოდ პროდუქტიული, აქტიური და წარმატებული იქნება. ტყუპის უმეტესობას დამსახურებული წინსვლა ელის კარიერულ საქმიანობაში. შესაძლოა დანიშნულებასაც გამოჰკრათ ხელი. ამ მხრივ განსაკუთრებით აქტიური თებერვალ-მარტის პერიოდი იქნება.

ფინანსები — შეიძლება ითქვას, რომ ფინანსურად მთელი წლის მანძილზე გიმართლებთ. ფულს სტაბილურად, საშუალო შემოსავლებით გამოიმუშავებთ. კოლოსალურ მოგებას ამ წელს არ უნდა ელოდოთ.



1 იანვრიდან ღვინის დიდი ენციკლოპედია ტომი II

ერთგული მკითხველის თხოვნით, მსოფლიო ბესტსელერი „ღვინის დიდი ენციკლოპედია“ უკვე ყველასთვის ხელმისაწვდომია. სასაჩუქრე გამოცემა, რომელიც საქართველოში ბესტსელერი გახდა, 130 ლარი ღირს. ეს გამოცემა კი სპეციალურად „კვირის პალიტრის“ მკითხველისთვის შეიქმნა და მისი შეძენა თითქმის 3-ჯერ უფრო ნაკლებ ფასად შეგიძლიათ. ორი მოთქრული ტომი 47 ლარი დაგიჯდებათ.



სასაჩუქრე გამოცემაზე



მხოლოდ „კვირის პალიტრის“ მკითხველისთვის ერთი ტომის **სპეციალური ფასი** უკვე გამოსული „დიდი ენციკლოპედია ღვინო“, ტომი I შეგიძლიათ შეიძინოთ წიგნის მალაზიებში. იკითხეთ წიგნის მალაზიებში და პრესის გავრცელების წერტილებში, ან დარეკეთ ნომრებზე: 0(32)2382673; 0(32)2382674 და www.elva.ge თქვენთვის სასურველ ადგილზე მოგართმევთ.



ხალხი, რომელიც საქართველოს დააკლდა!

ნებისმიერ წელიწადს მოაქვს სევდაც და სიხარულიც, დანაკლისიც და შე-
ნაძენიც... გამონაკლისი ამ მხრივ არც 2017 წელი ყოფილა. ამ წელმა რამდენიმე
ძვირფასი სიცოცხლე წაგვართვა.

ხათუნა ჩიბოგიძე

მშვენიერი, დაუპიწყარი „მარიტა“

2017 წლის 11 ოქტომბერს, საკუ-
თარ სახლში გარდაცვლილი იპოვეს
ქართული სილამაზის სიმბოლო —
ლიკა ქავჭავაძე. სულ რამდენიმე
დღეში მას 58 წელი შეუსრულდებოდა.
ბუნებამ ლიკა ქავჭავაძეს არამარტო
სილამაზე, დიდი ნიჭიც დააბერტყა.
ის ძალიან კარგად ხატავდა, ხუთი
წლიდან მუსიკას ეუფლებოდა და
წარმატებით დაამთავრა თბილისის
სახელმწიფო კონსერვატორია. 12
წლისა პირველად გადაიღეს ფილმში
და ამის შემდეგ დაიწყო მისი, რო-
გორც მსახიობის კარიერა. „ყველა
ეტაპს თავისი ხიბლი აქვს. ცხოვრე-
ბაში ყველა პერიოდი საინტერესო
და თავისებურად გამორჩეულია,
მხოლოდ ხატვა ან ფილმში გადაღება
ხომ არ არის მნიშვნელოვანი — სხვა



ლიკა ქავჭავაძე



გივი ბერიკაშვილი

რამეებიც არსებობს, რითიც შეიძლე-
ბა შეივსო ცხოვრება“ — ამბობდა
მსახიობი გარდაცვალებამდე რამდე-
ნიმე თვით ადრე... ლიკა ქავჭავაძემ
ოცდაათამდე საინტერესო როლი
შეასრულა, მაგრამ უმეტესობას
მინც მარიტას როლით დაამახსო-
ვრდა — ის ყველასათვის მარიტა იყო
— მშვენიერი, მომხიბვლელი, წყაროს
წყალივით კამკამა და ნათელი. მა-
რიტას როლი ცხოვრების ბოლომდე
გამყვებო — თვითონაც აღიარებდა
და ეს სიტყვები ლიკა ქავჭავაძეს
წინასწარმეტყველებასავით აუხდა.

ყველაზე სასურველი მეკვლე

გივი ბერიკაშვილი ქართველ
ხალხს გამორჩეულად უყვარდა.
ხალხმა სასურველ მეკვლედ გივი
ბერიკაშვილი ექვსჯერ დაასახელა.
ცნობილი მსახიობი 1933 წელს დაი-
ბადა გურჯაანის რაიონის სოფელ
კოლაგში და იმქვეყნიურ საქარ-
თველოში 2017 წლის 10 აპრილს
გადაინაცვლა. გივი ბერიკაშვილის
სცენაზე გამოჩენა ნამდვილი ზეიმი
იყო, ხალასი ნიჭი, იუმორი და სცენის
სიყვარული ყოველ მის გამოსვლას
დღესასწაულად აქცევდა. მაყურებე-
ლი გრძნობდა მის დიდ სიყვარულს და
თვითონაც სიყვარულით პასუხობდა.
გივი ბერიკაშვილი სხვადასხვა დროს
მუშაობდა რუსთავის სახელმწიფო
დრამატულ თეატრში, სოხუმის სა-
ხელმწიფო დრამატულ თეატრში
და ბოლოს კოტე მარჯანიშვილის
სახელობის სახელმწიფო აკადე-
მიურ თეატრში. გადაღებულია 45
მხატვრულ ფილმში, შესრულებული
აქვს ათეულობით როლი ქართულ
თეატრში. 2008 წელს მარჯანიშვი-
ლის თეატრის წინ მისი ვარსკვლავიც
გაიხსნა. „ამ ბოლო დროს ავიჩემე და
როგორც ბავშვობაში ვრთავდი ნაძ-
ვის ხეს, წელსაც ისე მოვრთე. იცით,
ჩემს დროს როგორ იყო? — ნაძვის ხეს
ვრთავდით ჩურჩხელებით, ნაირ-ნაი-
რი ჩირით, კანფეტებით, ხილით.
მერე ნელ-ნელა ჩამოვჭამდით და
ძველით ახალ წელს ცარიელი ნაძვის
ხე იდგა ოთახში... იმედი მაქვს, 2017
წელი ბედნიერების და წარმატების
მომტანი იქნება საქართველოსთვის.

მიყვარს საქართველო, მიყვარს ქარ-
თველი ხალხი და მინდა, ბევრი ახალი
წელი თქვენთან ერთად გავატარო“.
— ეს სიტყვები გივი ბერიკაშვილმა
2017 წლის დასაწყისში თქვა, მაგრამ
სამწუხაროდ, ნატვრა ვერ აისრულა...
მსახიობი საბურთალოს სასაფლა-
ოზე, ამაღლების ეკლესიის ეზოშია
დაკრძალული.

„გი მიყვარს ბალი ფორთოხლის, ჰოდა, ამ ბაღში დაგმარხეთ“

ჯანსუღ ჩარკვიანი ნოდარ დუმბა-
ძის, რეზო ინანიშვილის, ჭაბუა ამირე-
ჯიბისა და ოთარ ჭილაძის თაობის წარ-
მომადგენელი იყო. როგორც თვითონ
ამბობდა, ეს მისი „სამშო“ იყო. სწორედ
მათზე წერდა: იმ ხალხს გაუმარჯოს,
ვინც თავისი არსებობით სიცოცხლეს
გვიადვილებდა, წავიდა და წასვლას
გვიადვილებსო. თვითონაქტიური ადა-
მიანი გახლდათ, საქართველოში მიმ-
დინარე ყველა მოვლენის ეპიცენტრში
იყო და ყველაფერზე ჰქონდა თავისი,
ხშირად კრიტიკული აზრი. ცნობილი
პოეტი, რომელიც უამრავი პრემიისა
და ჯილდოს მფლობელი იყო, ბოლომ-
დე დარჩა უკომპრომისო პიროვნებად,
რომელიც თავის სათქმელს უყო-
ყმანოდ ამბობდა. ჯანსუღ ჩარკვიანი
2017 წლის 6 ნოემბერს, 86 წლისა
გარდაიცვალა. „მე მიყვარს ბალი ფორ-
თოხლის, ჰოდა, ამ ბაღში დამმარხეთ“,
— წერდა პოეტი გარდაცვალებამდე
რამდენიმე თვით ადრე. დიდი თაობის
ბოლო წარმომადგენელი თბილისში,
მთანმინდის მწერალთა და საზოგადო
მოღვაწეთა პანთეონში დაკრძალეს.

კაცი, რომელიც გულით აფხაზეთის სიყვარულს ატარებდა

ცნობილი მსახიობი, დიმა ჯაიანი
მიმდინარე წლის 10 დეკემბერს გარ-
დაიცვალა. 1973 წლიდან ის სოხუმის
დრამატული თეატრის მსახიობი და
ამავე თეატრის სამხატვრო ხელმძღ-
ვანელი გახლდათ. ყოველთვის სიყვა-
რულით ლაპარაკობდა აფხაზეთსა და
მშობლიურ სოხუმის თეატრზე, სადაც
სპექტაკლები მისი მონაწილეობით
ანშლაგით გადიოდა. ბოლო წლებში
დიმა ჯაიანი აფხაზეთის კულტურისა
და განათლების მინისტრი იყო, ასევე
გახლდათ სოხუმის თეატრის მთავა-
რი რეჟისორი. გარდაცვალებამდე
ცოტა ხნის წინ სიმსივნის დიაგნოზი



ჯანსულ ჩარკვიანი



დიმა ჯაიანი



ზურაბ სოტკილავა

დაუსვეს, ოპერაციის გასაკეთებლად თურქეთში იმყოფებოდა, მაგრამ ოპერაციამდე გარდაიცვალა. აფხაზეთი მსახიობისთვის დაუვინყარი, დიდი ტკივილი იყო. ის გულით მშობლიური მხარის მონატრებას ატარებდა და ტკივილით სავსე წავიდა ამ ქვეყნიდან.

ბით დახვდნენ. გამოჩენილი საოპერო მომღერალი თბილისში, საბურთალოს სასაფლაოზე, ეკლესიის მიმდებარე ტერიტორიაზე დაკრძალეს 2017 წლის 23 სექტემბერს. დაკრძალვის ცერე-

მონიაზე სოტკილავას ანდერძით, სვანური სამგლოვიარო კომპოზიცია — „ზარი“ ისმოდა. საქართველოში დაკრძალვაც მომღერლის უკანასკნელი თხოვნა იყო.

სახელოვანი ქართველი

2017 წელს, ქალაქ მოსკოვში, კიდევ ერთი სახელოვანი ქართველი გარდაიცვალა — სსრკ-ისა და საქართველოს რესპუბლიკის სახალხო არტისტი, დიდი თეატრის სოლისტი — ზურაბ სოტკილავა, რომელიც 80 წლისა იყო. ზურაბ სოტკილავა 1937 წლის 12 მარტს, სოხუმში დაიბადა. დიდი მომღერალი მარტო საბჭოთა სივრცეში კი არა, მთელ მსოფლიოში პოპულარული იყო. თბილისის ზაქარია ფალიაშვილის სახელობის ოპერისა და ბალეტის სახელმწიფო თეატრის სოლისტი, მოსკოვის კონსერვატორიის პროფესორი, მოსკოვის დიდი თეატრის სოლისტი, ბოლონიის სამუსიკო აკადემიის საპატიო აკადემიკოსი — ეს მისი რეგალიები არასრული ჩამონათვალია. ზურაბ სოტკილავა მრავალი საერთაშორისო ჯილდოსა და პრემიის ლაურეატი გახლდათ.

აფხაზეთის დაკარგვა მომღერლისთვის დიდი ტკივილი იყო, თუმცა ამ მხრივ მას საკმაოდ მტკიცე პოზიცია ეკავა: ინტერვიუებსა და საუბრებში ყოველთვის ამბობდა, რომ სოხუმში მხოლოდ მას შემდეგ ჩავა, როცა იქ ჩასვლას ყველა შეძლებს.

ზურაბ სოტკილავა სამშობლოში 21 სექტემბერს ჩამოსავენეს. თანამემამულეების ცხედარს ეროვნულ სამოსში გამოწყობილი საპატიო ყარაულითა და ქართული სიმღერე-

არეჩე წიგნი!

ბიბლუსი Books

საახალწლო -50%-მდე ფასდაკლება

წაიკითხა წიგნები, უკეთესად იქნები!



კრიალა

სუფთა ქართული



პრემიუმი

საუკეთესო

უმაღლესი ხარისხის ხელსახოცი

50 1 33x33
შალი ფენა ნიშნა

უღებელი

კრიალა

უმაღლესი ხარისხის ქართული ხელსახოცი



იშილა ქართული
გაპოლირებული ქაღალდი



ტისუაპიპირი
TISSUE PAPER



ახალი წელი ოქროსფერ რეტრივერებთან ერთად

წინასაახალწლოდ ალბათ ხშირად გაიგონებთ ფრაზებს: „ძაღლის წელი მოდის“, „ოქროსფერი ძაღლის წელი დგება“ და ა.შ. ეს ასტროლოგიის მიმდევართა აქტიურობის დამსახურება გახლავთ. თბილისში ყველაზე პოპულარული ოქროსფერი შეფერილობის უსაყვარლესი ცუგა — ბარლი მსახიობ გომბა გვამელსიანს ჰყავს. თითქმის ოქროსფერია ბარლის „ცოლი“ — გაბიც... ცხადია, ამ ამბავს ასტროლოგიასთან საერთო არაფერი აქვს, მაგრამ გოგა გველესიანი ახალი წლის დღესასწაულს ოქროსფერი რეტრივერის ჯიშის ოთხფეხა მეგობრებთან ერთად ხვდება. ცუგების ამ უსაყვარლეს წყვილს „გზის“ მკითხველები უკვე იცნობენ. წინასაახალწლოდ გოგას შევეხმიანეთ და მისი ბარლი და გაბი მოვიკითხეთ...

ეთო ყორღანაშვილი

— ჩვენთვის ეს წელი მატების იყო: ჩემს „ბიჭს“ — ბარლის უკვე შვილები და შვილიშვილები ჰყავს, ჩემს „გოგოს“ — გაბის კი ბარლისგან შვილები პირველად შეეძინა. ჩვენთვის ეს დიდი მოვლენა იყო. 7 ნოემბერს გაბიმ 7 ლეკვი დაბადა — 1 „ვაჟკაცი“ და 6 „გოგო“. ყველა მათგანი უკვე დაბინავებულია და პატრონები ჰყავთ. მოკლედ, 2017 წელი ჩვენთვის ასეთი სასიხარულო იყო. ასევე, წელს გაბი საერთაშორისო გამოფენაზე „ჯუნორ ჩემპიონი“ გახდა. ბარლი დიდი ხანია, ჩემპიონია... წელს ბარლის სახელობის, ოქროსფერი რეტრივერის ძაღლსაშენიცი დაგვარსე, სადაც ოქროსფერი რეტრივერები დაიბადებოდა...

— მგონი, გაბი ოქროსფერი არ არის...

— კრემისფერი უფროა. ცოტათი უცნაურია: მშობიარობის მერე, გაბიმ უფრო ოქროსფერი შეფერილობა მიიღო. ბარლის რაც შეეხება, ის ნამდვილი ოქროსფერია.

— ასტროლოგიის მიმდევრები როგორც ამბობენ, ოქროსფერი ძაღლის წელი დგება... ამის გამო, თქვენს ოთხფეხა მეგობრებს განსაკუთრებულად ხომ არ ეყვართ?

— ჩემთვის ყოველთვის ძაღლის წელია, ჩემი ძაღლების გამო. მათ ისევე მოვეპყრობი, როგორც — აქამდე. ისევე ისეთი ახალი წელი თუ დაბადების დღე ექნებათ, ისევე გავასეირნებ ყოველ საღამოს... აბსოლუტურად ჩვეულებრივად ვიცხოვრებთ. საერთოდ, ძაღლი ერთგულების სიმბოლოა. ნებისმი-



ჩემთვის ყოველთვის ძაღლის წელია

ერი ძაღლი ადამიანის მიმართ ერთგულია, ოქროსფერი რეტრივერი კი ადამიანთან განსაკუთრებული



წიგნების, ნაძვის ხეებისა და მოღუბრი საახალწლო აქსესუარების ფართო ასორტიმენტი

გვესტუმრეთ „გიბლუსი გალერეაში“

მის.: თბილისი / ქავჭავაძის N 7 / კანდელაკის N 7 | ქ. ბათუმი / შ. აბაშიძის N 52



ურთიერთობით გამოირჩევა. სხვა ჯიშის ძაღლების პატრონები ნუ მინყენენ, მაგრამ რაც კი ძაღლს დადებითი თვისებები აქვს, ოქროსფერ რეტრივერებს ის ორმაგად აქვთ განვითარებული.

— ახალი წლის დღესასწაულისთვის როგორ ემზადებით?

— როცა მცალია, მაშინ უფრო ვემზადები. ახლა სულ რეპეტიციები მაქვს. პარალელურად, ლეკვებზე



ძაღლებს შორის, „ბიჭი“ „გოგოს“ არ ეჩხუბება

ვზრუნავ და როგორ მოვემზადები, არ ვიცი... ნაძვის ხე გუშინ დავდგი.

— ბარლის და გაბის ნაძვის ხესთან როგორი დამოკიდებულება აქვთ, ხომ არ ერჩიან?

— არა. საქმეც ამაშია: ბევრი სხვა ჯიშის ძაღლებისგან განსხვავებით, მათ იციან, რითი შეიძლება თამაში და რითი — არა. ბარლის და გაბის ლეკვები ჯერ თვე-ნახევრის არიან. მათი პატრონები მირეკავენ და მწერენ — ასეთი პატარები ისე როგორ აღზარდეთ, რომ მხოლოდ პამპერსზე ისაქმებნო? ჯიშია ასეთი — მხოლოდ პამპერსზე შარდავენ და არა — იატაკზე.

— ახალი წლის ღამეს სხვადასხვა ასაფეთქებლის ხმა არ აფრთხობთ?

— ეს მათთვის სტრესია. შესაბამისად, მეც სტრესს განვიცდი, მაგრამ რა ვქნა? ასაფეთქებლებით ბავშვებიც ზიანდებიან: რამდენი დამწვრობა და არასასიამოვნო შემთხვევა ყოფილა? საერთოდ, საქართველოში ამის შემოტანა უნდა აიკრძალოს — ჩვენი ყურებიც დაისვენებს და ნაკლები ხიფათიც იქნება.

— თქვენი ცუგებისთვის სტრესის შემსუბუქებას როგორ ცდილობთ?

— იმ წუთში გულმკერდზე ვეფერები. მათ ენაზე ეს გამხსნევებს ნიშნავს. ბარლის ძალიან ეშინია, რადგან ვიდრე საცხოვრებლად ამ სახლში გადმოვიდოდით, მანამდე ნაქირავებ ბინაში, პირველ სართულზე ვცხოვრობდით. ბავშვებს ვთხოვე: ძაღლს ეშინია, ასაფეთქებლებს აქნუსვრით-მეთქი. ბოროტი ბავშვებიც არსებობენ. ერთ-ერთმა ასაფეთქებელი ბარლის ოთახში შემოუგდო და აუფეთქა. მას შემდეგ ბარლის ძალიან ეშინია...

— ხომ არ დაშავებულა?

— არა, მაგრამ ისეთი სტრესი, ფსიქოლოგიური ტრავმა მიიღო, რომ არ ვიცი, რა გითხრათ... სულ მაგიდის ქვეშ ან სადღაც იმალება ხოლმე. ახლა უკვე ცოტა მხნედ არის. გაბის ისე ძალიან არ ეშინია, რადგან მისთვის ასაფეთქებელი არ შემოუგდიათ. ცოტათი კი ფრთხება, მაგრამ ორივეს ვეუბნები: — არაფერია, ნუ გეშინიათ-მეთქი... ახალი წელი ამიტომ არ უყვართ.

— თქვენი ოთხფეხა მეგობრები ვინმეს მეკვლეები თუ ყოფილან?

— ერთხელ დოის მეკვლე ვიყავით. პრინციპში, „მეკვლესაც“ ვერ ვიტყვი — ბევრნი მივედით. მაშინ ბარლი პატარა იყო... ალბათ, წელს ჩვენი მეკვლეობა ბევრს მოუნდება. 31 დეკემბერს შინ ერთი ლეკვი გვეყოლება და მარტო ვერ დავტოვებთ.

— ლეკვები ისევ შინ გყავთ?

— 3 მყავდა. დღეს ერთი წაიყვანეს. ერთს 30 იანვარს წაიყვანენ, ერთს კი — 31 დეკემბერს (ვისაც მიჰყავს, სურს, შვილს ნაძვის ხესთან, ყუთში ლეკვი დაახვედროს საჩუქრად).

— ბარლი და გაბი შვილებთან განშორებას არ განიცდიან?

— ჯერჯერობით გაბი ვერ ხვდება, თუმცა სულ ვფიქრობდი, ეზოში ჩამეყვანა, როცა ლეკვს წაიყვანდნენ, მაგრამ პირიქით — ეს მის თვალწინ ხდებოდა. თავდაპირველად, ვერ მიხვდა, რა ხდებოდა. დღეს კი, როცა ლეკვი წაიყვანეს, გარკვეულ მანძილზე უკან გაჰყვა... ჯერ კიდევ 2 ლეკვი ჰყავს. როცა პირველი ლეკვი წაიყვანეს, გაბიზე მეტად მე განვიცადე — თავი ვერ შევიკავე და ცრემლები წამომივიდა... ლეკვების მოვლას შრომა, ენერგია, დრო სჭირდება. ასე რომ,

წელიწადში ერთხელ შვილიკოების გაჩენა „მოგვიწევს“, მერე კი — მათი გაშვება-დაბინავება...

— საახალწლოდ, ცუგებს რაიმე განსაკუთრებულ ნუგბარს თუ სთავაზობთ?

— ჩემს ცუგებს განსაკუთრებული ნუგბარი თავიანთ დაბადების დღეზე აქვთ ხოლმე, თუმცა ახლაც შეიძლება, შევთავაზო: ე. წ. ხბოს „ჩაშეკვი“ უყვართ — მათთვის ეს ყველაზე დიდი საჩუქარია.

— რამდენი წელია, რაც ახალ წელს ცუგებთან ერთად ხვდებით?

— საერთოდ, ცხოვრების სხვადასხვა პერიოდში, ძალდი ყოველთვის მყავდა. 19 იანვარს 6 წელი გახდება, რაც ბარლი მყავს. გაბი კი, დაახლოებით 2 წელია, რაც ჩვენთანაა.

— წელს ბარლის მეკვლეობა მისი შეფერილობის გამო ხომ არ სურთ?

— არ ვიცი. ჯერჯერობით არავის შემოუთავაზებია, მაგრამ ბარლის ისედაც, მეკვლეობის გარეშეც ეპატიყებიან, თუმცა ახლა 2 ამხელა ძალდით დაპატიყება, ცოტა არ იყოს, რთული საქმეა.

— წელს ბარლის რამე გმირობა ხომ არ ჩაუდენია?

— წელს — არა, მაგრამ ერთხელ 2 წლით უფროს ხვადს ეჩხუბა — იმის გამო, რომ ხვადი „გოგოს“ ეჩხუბებოდა. საერთოდ, ძაღლებს შორის, „ბიჭი“ „გოგოს“ არ ეჩხუბება. რომელ „ბიჭსაც“ ბარლი ეჩხუბა, იმ წრეში ის იყო მთავარი, მაგრამ მისი ადგილი უკვე ბარლის უკავია — იქაურობას დღემდე ბარლი მართავს...

— ანუ ახალ წელს ცუგების გარემოცვაში ხვდებით, ხომ?


— აბა, რა! თავს აბსოლუტურად მშვენივრად ვგრძნობ. თუ ვინმე მოვა, ძალიან კარგი. თუ არა და — მერე, რა? განა რა არის ახალი წელი? ჩვენს ცხოვრებას კიდევ 1 წელი აკლდება და ეს გვიხარია... ერთგულებაზე კარგი, ნამდვილი და ჭეშმარიტი არაფერია. თუ გვერდით ერთგული ადამიანი, მეგობარი გყავს, ჩათვალე, რომ ამისთვის ღირდა დაბადება და ცხოვრება... ვისურვებ, 2018 წელს ერთგულება მოეტანოს მათთვის, ვისაც ეს აკლია; ვისაც ამის დანაკლისი არა აქვს, მათ ერთგულება უფრო განმტკიცებოდეთ და გაძლიერებოდეთ!..

— ბედნიერ ახალ წელს გისურვებთ!..



მსოფლიოს საუკეთესო მუზეუმები

13
ტომად





ეს უნიკალური სერია მათთვისაა, ვისაც სურს, ჰქონდეს მსოფლიო შედევრების საკუთარი კოლექცია, ნებისმიერ დროს შეეძლოს მისი დათვალიერება და თითოეული შედევრის ისტორიის გაცნობა.

„წიგნი, რომელიც მუზეუმს შეგაყვარებს!“
დათო ტურაშვილი - მწერალი

8 იანვრიდან თვეში ერთხელ
„კვირის პალიტრასთან“ ერთად
ტომი III

მადრიდის მუზეუმი პრადო

სპეციალური ფასი 13.50 ლ გამეტთან ერთად 15 ლ



ლონდონის ეროვნული გალერეა
ტომი 4

მადრიდის მუზეუმი პრადო
ტომი 3

მაგარი ყლით და სუპერით



თუ წინასწარ გამოიწერთ ან შეაგროვებთ სერიის ყველა წიგნს,

ჩვენ გზუქნით!

თქვენ მიერ არჩეული შედევრის ასლს!

ორიგინალთან მიხედვით ასლი სპეციალური ტექნოლოგიით იბეჭდება მაღალხარისხის ტილოზე და გადაჭიმულია ხის კარკასზე!
იმისთვის, რომ გარანტირებულად შეძლოთ კოლექციის ყველა ტომის შეგროვება და საუკუნოდ მიიღოთ მხატვრული ტილო, გირჩევთ გამოიწერთ ეს სერია!

დამატებითი ინფორმაციისთვის
დარეკეთ: 0322 38 38 71



იკითხეთ წიგნის მაღაზიებსა და პრესის გაგვრცელების წერტილებში ან დარეკეთ ნომრებზე: 0(32) 238 26 73; 0(32) 238 26 74 და elva.ge ადგილზე მოგართმევთ. www.palitra.ge [Palitra.L.Publishing](https://www.facebook.com/Palitra.L.Publishing)



მხატვარი, რომელიც ქმარმა ორჯერ აღმოაჩინა

„აზრები თავისით მოდის, არ ვფიქრობ რა დავხატო. უცებ ვდგები და ვინცებ ხატვას, ტილოზე ისე გადმომაქვს ნაზბრევი, რომ არ ვიცი, საბოლოოდ რა გამომივა. ერთადერთი, რაც მჭირდება, მუშაობის დროს სინყნარეა, ფიქრები რომ არ გამეფანტოს. როცა ვასრულებ, მერე პატარა ბავშვივით ვეფერები. ყოველთვის ბოლო ნამუშევარი ყველაზე მეტად მომწონს და მგონია, რომ ის ყველაზე კარგია, ჩემი არც ერთი ნახატი, არც ერთი ნივთი ერთმანეთს არ ჰგავს, რაც ძალიან მახარებს“, — ამბობს მხატვარი სვეტლანა ჭოჭუა და თავის ნამუშევრებს მათვალისწინებს. როგორც კი მის სახლში ფესს შედგამ, მაშინვე ხედები, რომ შემოქმედის სახლში ხარ.



თეა ხურცილავა

შემოქმედ ადამიანებს მდიდარი ფანტაზია და მარჯვე ხელები რომ აქვთ, ამაში მისი ნამუშევრები უთუოდ დაგარწმუნებთ. ოთახების

კედლებს მისი შესრულებული ნატურმორტები და პეიზაჟები ამშვენებს, მის ნახატებში ყველა ფერს აღმოაჩენთ, გამორჩეული ფერი არ აქვს. გარდა ნახატებისა, იქ უამრავ საინტერესო ნივთს ნავანყდი სვეტას ხელით შექმნილს.

ახალგაზრდა ქალი დეკორატიულ თიხაზეც მუშაობს და ულამაზეს ნამუშევრებს ქმნის.

სვეტლანა აფხაზეთში, კერძოდ ოჩამჩირეში დაიბადა, 3 წლის იყო, მისი მშობლები საცხოვრებლად პეტერბურგში რომ წავიდნენ. სწორედ იქ გაიცნო მომავალი მეუღლე, თემურ ჭოჭუა და საბოლოოდ ისევე საქართველოში დაბრუნდა.

სვეტლანა ჭოჭუა:

— 1991 წლიდან თბილისში ვარ,

ჩემი მშობლებიც აქ ჩამოვიდნენ, რადგან მამაჩემს ძალიან უყვარს საქართველო. მერე ისევ გადაიკვეთა ჩემი და თემურის გზები და ჩვენ დავქორწინდით. მშობლები ისევ დაბრუნდნენ პეტერბურგში და ახლა იქ არიან.

— ხატვა როდის დაიწყეთ?

— ბავშვობიდან ვხატავ. ხატვა ჩემთვის ყველაფერია, მის გარეშე არსებობა არ შემიძლია, სწორედ ამიტომ ავირჩიე ეს პროფესია. პეტერბურგში ვსწავლობდი, საქართველოში ძნელია მხატვრობა. სამწუხაროდ, ჯერჯერობით პერსონალური გამოფენის მოწყობა ვერ შევძელი, არადა, ძალიან მინდა ჩემი ნამუშევრები ფართო საზოგადოებამ ნახოს და შეაფასოს. გარდა

ილია II
სრულიად საქართველოს
კათოლიკოს-პატრიარქი

უწინდელის განცდაები, ტკივილი, სიხარული,
რეალური აზრები. დოკუმენტები და ფოტოები
პირადი არქივიდან. ეს საქართველოს
შეუღბანებაელი ისტორია!

წლის ყველაზე
მნიშვნელოვანი
წიგნი

4-თომეულის
სპეციალური
ფასი ~~126ლ~~
80ლ

იკითხეთ წიგნის მაღაზიებში ან დარეკეთ ნომრებზე:
0(32)2382673; 0(32)2382674 და www.elva.ge ადგილზე მოგართმევთ



მხატვრობისა, თიხაზეც ვმუშაობ, ჩემით შევისწავლე და დეკორატიული თიხისგან საავტორო თოჯინებს ვაკეთებ. ფაიფურის თოჯინები ყველას მოსწონს და მიხარია, რომ ჩემი შექმნილი არც ერთი თოჯინა ერთმანეთს არ ჰგავს. თიხაზე მუშაობა წლების წინ დავიწყე. ყველაფერი ლამაზი მიყვარს. აქ რასაც ხედავთ, კერამიკული თიხით მაქვს შესრულებული, კარგია ნამდვილ თიხაზე მუშაობა, მაგრამ ლუმელი არ მაქვს, თიხის გამოწვა რომ შევძლო.

— გარდა თოჯინებისა, უამრავი სხვა ლამაზი ნივთი გაქვთ თიხისგან დამზადებული, ძნელია მასზე მუშაობა?

— მხატვრისთვის არ არის თიხაზე მუშაობა ძნელი, სისტემატურად ვამზადებ ფულის ჩასაყრელ სხვადასხვა ფორმის და ზომის ყულაბას, ასევე, სამკაულების ჩასადებ ყუთებს და ნიღბებს.

— თქვენი ნახატები იყიდება?

— ყველაზე კარგად ძველი თბილისის ხედები იყიდება, ძირითადად უცხოელები ყიდულობენ. მაღაზიაში ვაბარებ. არ შემიძლია ტრაფარეტულად ვხატო. ტრიდზე ვმუშაობ და ასეთი ნახატები უფრო მეტად მოსწონთ. რა განწყობაზეც ვარ, იმის მიხედვით ან ვხატავ, ან თიხისგან ვძერწავ. რაც მთავარია, ჩემი მეუღლე და ვაჟი, ძალიან მიწყობენ ხელს მუშაობაში. ახლა ვაპირებ ჩემი საიტი გავაკეთო, ამაში ვაჟი დამეხმარება, ის პროგრამისტია. რასაც ვქმნი, ყველაფერს გულით ვაკეთებ და მასში მთელ ენერგიას ვდებ.

— ძალიან უცხოა თქვენი პუფი, როგორც ჩანს, ესეც თქვენი შექმნილია...

— დიახ, ყოველთვის ვცდილობ, რომ ორიგინალური იყოს ყველა ნივთი, რაც სახლში მაქვს. ეს პუფი ჩემი ხელით გაზეთებისგან გავაკეთე, პუფის შიგნით ბოთლები ჩავალაგე, მყარი რომ ყოფილიყო, მერე დავჭერი გაზეთის ფურცლები და ბოლოს შევდებე, საბოლოოდ ასეთი ლამაზი გამოვიდა.

თიხურ ჭოჭუა, სვეტლანას მეუღლე:

— სვეტლანა მართლა საოცარი ადამიანია და სახლში ყველაფერს მისი ხელი ეტყობა. შეიძლება თქვენთვის დაუჯერებელია, მაგრამ მეტლახიც კი თავისი ხელით

დააგო ბინაში, შპალერიც გამოცვალა, იატაკიც მოხეხა და ლაქიც მისი წასმულია. სულ ფუსფუსებს, უნდა, რომ ყველაფერს მისი ხელი ეტყობოდეს. მუდამ სიახლის ძიებაშია და ძალიან ბედნიერია, როცა საბოლოო შედეგს ნახულობს. ყველანაირად ხელს ვუნყოფ, თავისი საყვარელი საქმე რომ აკეთოს. ძირითადად დღის საათებში ხატავს, რადგან შუქი სჭირდება ხატვას. მუზა რომ მოსდის, ცდილობს განმარტოვდეს, მთლიანად თავის საქმეშია ჩარგული და მთელ სულსა და გულს აქსოვს მასში. მართლა ყველაფერი ეხერხება, ხელოვანია, პიანინოზეც მშვენივრად უკრავს, კარგად მღერის. ძერწავს, ძალზე ინტერესიანია და სულ ახლის ძიებაშია. ორიგინალური უყვარს ყველაფერი. ბუნებით რომანტიკული ადამიანია. თავისი ხელით გაკეთებულ ფაიფურის თოჯინებს ბავშვებით ეფერება და ელაპარაკება. მეტალზეც ასევე წარმატებით მუშაობს, ალბათ შეამჩნევდით მეტალისგან დამზადებულ მის ნივთებს, ფერადი შუშებისგან ამზადებს რალაცებს და სკულპტურებიც მრავლად აქვს გაკეთებული.

— მეუღლე თურმე პეტერბურგში გაგიცნიათ, საქართველოში ცხოვრება არ გაუჭირდა?

— მაშინ მატარებელში შემთხვევით შევხვდი მამამისს და რომ გაიგო ქართველი ვიყავი, ძალიან გაუხარდა, სახლში დამპატიყა. ოჩამჩირეში გატარებული წლები ტკბილად ახსოვდა და ქართველებს ხშირად ეპატიჟებოდა თავის სახლში. მეც ასე აღმოვჩნდი მათთან, მაშინვე მომეწონა მისი ქალიშვილი, მაგრამ სტუმარი ვიყავი და რას ვიტყოდი. მერე დავმეგობრდით, მაგრამ მალე საქართველოში დაბრუნებამ მომიწია. ვიცოდი, რომ მისი ოჯახი სოხუმში აპირებდა დაბრუნებას. ხშირად ვფიქრობდი მასზე. კომუნიკაციის საშუალება მაშინ არ იყო. ერთხელ ჩემს ძმას ვთხოვე პეტერბურგში მოეკითხა მისი ოჯახი. შევიტყვე, რომ ისინი საცხოვრებლად თბილისში გადასულან. ასე აღმოვაჩინე ხელმეორედ სვეტა საქართველოში. ჩვენი ურთიერთობა თანდათან გრძობაში გადაიზარდა და ყველაფერი ქორწინებით დასრულდა. ახლა დიდი შვილი გვყავს და ვცხოვრობთ ბედნიერად. ძალიან მინდა



თოჯინებს ბავშვებით ეფერება და ელაპარაკება

წარმატებული იყოს სვეტა და მისი ნამუშევრები ფართო საზოგადოებაში ნახოს.

P.S მართლაც ორიგინალური და ლამაზია მისი ნამუშევრები. მარჯვე ხელებით რომ ბევრი რამის შექმნა შეიძლება, ეს ნათლად ჩანს მისი შექმნილი თითოეული ნივთის ხილვისას. ჩვენ კი ისლა დაგვრჩენია, წარმატებები ვუსურვოთ მას.



აქ რასაც ხედავთ, კერამიკული თიხით მაქვს შესრულებული



უნდა მონანილობდეს თუ არა ქრისტიანი ახალი წლის დღესასწაულში?

უხსოვარი დროიდან ახალ წელს ხალხი ზეიმით, სადღესასწაულო განწყობით ეგებებოდა. უძველეს დროში, წლის დასაწყისი გაზაფხულზე აღინიშნებოდა. მამათა სწავლებით, უფალმა სამყარო გაზაფხულის პერიოდში შექმნა, სწორედ ამიტომ იწყებს გაზაფხულზე ყველაფერი განვითარებას და წელიწადის ათვლასაც სწორედ გაზაფხულზე აღნიშნავდნენ.

შორენა მერაპვილაძე

მამა მაპარი:

— სხვადასხვა ისტორიულ პერიოდსა და სხვადასხვა კულტურის მქონე ერებში, მათ შორის — ქრისტიანულ სამყაროშიც, ახალი წელი სხვადასხვა დროს აღინიშნებოდა. გარკვეულ ისტორიულ ხანაში წელიწადის ათვლა იწყებოდა მარტში, შემდეგ — სექტემბერში, მოგვიანებით, IX-X საუკუნეებიდან, დამკვიდრდა ახალი წლის 1-ლი იანვარს აღნიშვნის ტრადიცია. თავდაპირველად ეს იულიუსის



კალენდრის მიხედვით ხდებოდა, ე.წ. ძველი სტილით. როდესაც დასავლეთის სამყარომ კალენდარი შეცვალა და ახალ კალენდარულ სტილზე გადავიდა, იულიუსისა და გრიგორიანულ კალენდარს შორის 13-დღიანი სხვაობა გაჩნდა, დასავლეთის ქვეყნებში ყველა დღესასწაულის აღნიშვნა ორი კვირით ადრე დაინო. ეს ცვლილება თავისთავად,

ახალი წლის დღესასწაულსაც შეეხო და ახალი წლის აღნიშვნა ახალი სტილით 1-ლ იანვარს დაინყო. მოგვიანებით აღმოსავლეთის ქვეყნებიც, მათ შორის — რუსეთი და საქართველოც გადავიდნენ დროის ათვლის ახალ სისტემაზე და თავისთავად, ახალი წლის დღესასწაული ჩვენშიც ახალი სტილით პირველ იანვარს დამკვიდრდა, თუმცა ქართველებს არც ძველი სტილი დაინყებიათ და 14 იანვარსაც აღნიშნავენ... მეფის რუსეთშიც და რა თქმა უნდა, ქრისტიანულ აღმოსავლეთშიც, ჯერ შობას აღნიშნავდნენ, შემდეგ ახალ წელს, მაგრამ მერე სოციალისტური წყობის ქვეყნებში, განსაკუთრებით კი საბჭოთა კავშირში, ახალმა წელმა იმის გამო გადაფარა მიწიერად (თუმცა არა ჭეშმარიტი მორწმუნეებისთვის) შობის დღესასწაული, რომ კომუნისტებმა იულიუსის კალენდრის გრიგორიანული კალენდრით შეცვლის პარალელურად დაინყეს ეკლესიის დეენაც. საეკლესიო დღესასწაულებს აღნიშნავდა მხოლოდ საზოგადოების მორწმუნე ნაწილი და არა — მთლიანად საზოგადოება; საბჭოთა ქვეყნებში შობის დღესასწაული საერთოდ გამოირიცხა და დასავლური შობა-ახალი წლის დღესასწაული საბჭოთა სივრცეში მხოლოდ ახალი წლის დღესასწაულის სახით დამკვიდრდა. შობისადმი მიძღვნილი მიწიერად გამოხატული ტრადიციები და ატრიბუტებიც მხოლოდ ახალი წლის დღესასწაულმა შეითვისა. ახალი წლის დღესასწაულს ჩვენში ასეთი ზეიმით სწორედ საბჭოთა ტრადიციიდან გამომდინარე აღნიშნავენ. საუბარი არ არის მორწმუნე ადამიანებზე, რომლებმაც მშვენივრად იციან, რომ შობა გაცილებით დიდი დღესასწაულია. შობის დღესასწაულის იმ ფორმით აღნიშვნა, რა ფორმითაც ეკლესია გვასწავლის და წმინდა მამები გვიქადაგებენ, კიდევ უფრო განაბრძობს ადამიანის სულს და მიაახლოებს უფალ-

თან. ხოლო საერო დღესასწაულის აღნიშვნა-არაღნიშვნა კავშირში არ არის ადამიანის სულიერ მდგომარეობასთან.

— რა სხვაობაა იულიუსის კალენდარსა და გრიგორიანულ კალენდარს შორის?

— ვიცით, რომ XVI საუკუნეში პაპმა გრიგორმა გადაწყვიტა, ასტრონომიულ კალენდართან საეკლესიო კალენდარიც გაესწორებინა, რასაც ამ ორ კალენდარს შორის 13-დღიანი სხვაობა მოჰყვა. თუ მეცნიერული კვლევებით ყოველ 128 წელიწადში უნდა მოხდეს ერთი დღის დამატება, იულიუსის კალენდარსა და გრიგორიანულ კალენდარს შორის სხვაობა უკვე არა 13, არამედ — 17 დღე უნდა იყოს, მაგრამ პირველი ცვლილების შემდეგ, კალენდარში ცვლილება აღარ მომხდარა. მეცნიერული თვალსაზრისით, არც ერთი კალენდარი უკვე სწორი აღარაა, მაგრამ საეკლესიო პრაქტიკაში გამოსაყენებლად, ყველაზე მეტად მისაღებია იულიუსის კალენდარი, რადგან პირველივე საუკუნეებიდანვე სწორედ ამ კალენდარზე იქნა აგებული ქრისტიანული დღესასწაულების აღნიშვნა. ამიტომ სასურველია, ისევ ეს კალენდარი იქნას გამოყენებული. ასტრონომიულ სიზუსტეს საერთო არა აქვს ქრისტიანული დღესასწაულების აღნიშვნასთან, რადგან ამ დღესასწაულების აღნიშვნით მისტიკურ კავშირში ვართ იმ ბიბლიურ მოვლენებთან, რომლებიც საუკუნეების წინ მოხდა; იმ წმინდანებთან, რომელთა სხენებასაც აღვასრულებთ.

ახალი წელი არის სუფთა საერო დღესასწაული, თუმცა ეკლესია არ კრძალავს ამ დღესასწაულში მონაწილეობას, თუ, რა თქმა უნდა, ადამიანი მას აღნიშნავს იმ ფარგლებში, რა ფარგლებშიც ქრისტიანს შეეფერება სადღესასწაულო დღეების მიწიერად ზეიმი, მით უფრო — მარხვის პერიოდში.

— ტრადიციები, რომელიც ახა-



ლი წლის დღესასწაულს უკავშირდება?

— საქართველოს ყველა კუთხე თავისებური საახალწლო ტრადიციებით გამოირჩეოდა. ნაწილი დღემდეა შემორჩენილი, განსაკუთრებით, მეკვლისა და ბედობის ტრადიცია. ასევე აღასრულებენ სხვადასხვა რიტუალურ ქმედებებს... — საერთოდ რიტუალური ტრადიციები არის სახეცვლილი, მათი უმეტესობა წარმართობას უკავშირდება და ცხადია, ეწინააღმდეგება ქრისტიანულ სწავლებას, ამიტომ ქრისტიანმა არ უნდა შეასრულოს. თუნდაც მეკვლე, რომელიც მარცვლეულსა და კანფეტებს მოაბნევს სახლში, თანაც მეკვლედ კეთილი გულის ადამიანსაც არჩევენ, რათა ოჯახს ბარაქა, სიკეთე და სიტკბოებით სავსე წელიწადი მიუტანოს. ეს არათუ რელიგიას, საღაზრსაც კი უპირისპირდება. როგორ შეიძლება, მარცვლეულის სახლში მობნევამ ან ადამიანის ფეხის შედგმამ, წელიწადის კეთილად წარმართვა განაპირობოს? შეგვიძლია ახლობლები მოვინახულოთ ან საგანგებოდ მოვინვიოთ, საჩუქრებიც მივართვათ ერთმანეთს, ეკლესიას ამის საწინააღმდეგო არაფერი აქვს, მაგრამ რიტუალური დატვირთვა არ უნდა მივცეთ. დღემდე შემორჩენილი საახალწლო ტრადიციების უმეტესი ნაწილი ძველ პერიოდს უკავშირდება. საქართველოში XX საუკუნის დასაწყისში, რუსეთის იმპერიის დაშლისა და რევოლუციის შემდეგ, შეიცვალა კალენდარული სისტემა და ახალმა ტრადიციებმა ჩამოყალიბება ვერ მოასწრო იმის გამო, რომ თავად სისტემა ებრძოდა უკვე ტრადიციებს. ამიტომ თავისთავად მოხდა ყველა იმ ტრადიციის შენარჩუნება, რაც ამ დრომდე არსებობდა. ძველით ახალი წლის დასაწყისი ანუ იულიუსის კალენდრის მიხედვით პირველი იანვარი, პირველ რიგში არის უფლის წინადაცვლის დღესასწაული, ასევე, უდიდესი საეკლესიო მოღვაწის, ბასილი დიდის ხსენების დღე. ამ ორ უდიდეს დღესასწაულს ერთობლივად აღასრულებს ეკლესია ამ დღეს. საქართველოში შემორჩენილი ტრადიციების უმეტესობა სწორედ ამ დღესასწაულებთანაა დაკავშირებული, მაგრამ საკმაოდ დამახინჯებული, არარელიგიური ფორმით.

როგორ იქმნება „ერუდიტი“? ის, რაც სტატიის მიღმა რჩება

10 წლის წინ, „გზის“ რედაქციას ახალი რუბრიკის იდეა შევთავაზე: ეს იქნებოდა სხვა სტატიებისგან სრულიად განსხვავებული, ერთგვარი ინტელექტუალური „თამაში“, სადაც რესპონდენტთან სხვადასხვა სფეროდან წინასწარ მომზადებული კითხვები დაისმებოდა. ბუნებრივია, იმ სირთულესაც ვაცნობიერებდი, ცნობილი ადამიანების დათანხმება რომ გამიჭირდებოდა. მითხრეს, საინტერესოა, სცადე, როგორი გამოვაო და ასე დაიბადა „ერუდიტი“.



სამართლიანობა მოითხოვს, აღვნიშნო, რომ ფეხბედნიერი რესპონდენტი აღმოჩნდა

თამუნა კვინიკაძე

რუბრიკის სახელი მთავარი რედაქტორის, ზურაბ აბაშიძის იდეა იყო. პირველი სტუმარი ლეიბორისტი გიორგი გუგავა გახლდათ. „გუგავა მოვა“ გაგახსენდათ, ხომ? 10 წლის წინ მივედი გუგავასთან და სამართლიანობა მოითხოვს, აღვნიშნო, რომ ფეხბედნიერი რესპონდენტი აღმოჩნდა. თავდაპირველად რუბრიკა ჟურნალის ყოველ მეორე ნომერში იბეჭდებოდა და მკითხველთა მონონებაც მალე დაიმსახურა. რედაქტორის შემოთავაზებამ, სტატია ყველა ნომრისთვის მომემზადებინა, თავდაპირველად ცოტათი შემაშინა, მაგრამ ეს გამონკვევა მივიღე. დიდი ძალისხმევით საჭირო, ცნობილი სახე საკუთარი ერუდიციის საჯაროდ გამოტანაზე რომ დაითანხმო. რუბრიკაზე მუშაობის მრავალწლიანმა გამოცდილებამ ბევრი რამ მასწავლა. მათ შორის — ურჩი რესპონდენტების დათან-

ხმების ხერხები, პატარა პროფესიული ემპაკობები. ბუნებრივია, ჯერ ვერ გავთქვამ, მაგრამ ამის დროც დადგება. 10 წელია, ჩემთვის „გზის“ ყოველ ახალ ნომერზე მუშაობა, „ერუდიტის“ რესპონდენტის ძიებით იწყება. ეს ყველაზე რთული საქმეა. მინიმუმ 5 ადამიანს მაინც უნდა დაუზურეკო, ერთი თანხმობა რომ მივიღო. ბუნებრივია, ამ ყველაფერს თან სახალისო ამბებიც ახლავს. შეთანხმებული ინტერვიუდან რესპონდენტი მხოლოდ ერთხელ გამექცა — ამ სიტყვის სრული მნიშვნელობით. სხვებსაც ჰქონდათ მცდელობები, მაგრამ არაფერი გამოუვიდათ. გაქცეულ რესპონდენტზე გიამბობთ: ის საქართველოს პარლამენტის წევრი გახლდათ. ინტერვიუს ჩასაწერად საკანონმდებლო ორგანოში დამიბარა. მე და ჩვენი ფოტოგრაფი, მიშა როსტომაშვილი პარლამენტში დათქმულ დროს გამოვცხადდით, მაგრამ თავად არ დაგვხვდა. სამაგიეროდ, უყუ-



რადღებოდ არ დავუტოვებთ ივანე, დამირეკა, მოიბოდიშა, სულ რაღაც 10 წუთით მაგვიანდება, დამელოდეთო. ეს ერთადერთი ზარი და ბოდიში არ ყოფილა, ლამის ყოველ

შეკრა, სახე შეეცვალა, პასუხი არც მეოთხე შეკითხვაზე იცოდა, არც მეხუთეზე... ეს ჩემთვის იმდენად წარმოუდგენელი იყო, გაავიწყტე, შესაძლოა, პროტესტის ნიშნად არ

უნდა მქონოდა, მაგრამ... ნავიდა და დავგვტოვა. ვინაობას არ ვასახელებ, რადგან დღეს ის საჯარო პირი აღარ არის. პოლიტიკიდანაც ისე გაიქცა, როგორც — ინტერვიუდან.



წლის „ანტიერუდიტი“ მოვედი, ჩემი პრიზი სად არისო?

2 წუთში რეკავდა: უკვე მოვდივარ, უკვე მოგიახლოვდით, ბოდიშს გიხდით, აი, უკვე მანქანიდან გამდგომი ვარ, ბოდიშს გიხდით... მოკლედ ათი წუთი ნამდვილად არ მოგვიწყენია. კაბინეტში ავედით, ზამთარი იყო, პალტო ჩამომართვა, შემოგვკვთავაზა ყავა, ჩაი, რომელი გესიამოვნებთ? მისი თავაზიანობა თავდაპირველად დამაჯერებელი მომჩვენა, მაგრამ მალე მივხვდი, შთაბეჭდილების მოხდენას ცდილობდა. ინტერვიუს ჩანერა დავინწყეთ. მოგეხსენებათ, შესავალში საყვარელ ავტორებზე, ნანარმობებზე, პერსონაჟებზე ვსაუბრობთ. ეს რესპონდენტიც ლაპარაკობდა. ვერ ვიტყვი, რომ საინტერესოდ, მაგრამ ლაპარაკობდა. აი, კითხვებზე რომ გადავედით, მაშინ კი დამუნჯდა. პირველი კითხვა რომ მოისმინა, მითხრა, პასუხი არ ვიციო. მეორე შეკითხვის შემდეგ მკითხა, სულ ასეთები უნდა მკითხოო? მესამე შეკითხვაზე წარბები

მპასუხობს-მეთქი და მორიგი შეკითხვა ჩემი ეჭვის გადასამოწმებლად დავუსვი. — რა ჰქვია საარჩევნო ყუთში ჩასაგდებ ფურცელს? — ბიულეტენი, — საოცარი სისხარტე გამოავლინა და უეცრად თვალებიც გაუბრწყინდა. ამ გამონათებას ისევ მისთვის „გაუგებარი“ კითხვები მოჰყვა. მდგომარეობას დიდხანს ვეღარ გაუძლო და უეცრად მითხრა, — დამირეკეს, უნდა წავიდეო. — დაგირეკეს? თქვენს ტელეფონზე ზარი არ შემოსულა-მეთქი. როგორც ჩანს, მიხვდა, უნიჭოდ რომ მოიტყუა და უხერხული პაუზის შემდეგ, ფეხზე წამოდგა, — არა, არა, უნდა წავიდე. მაგიდიდან მობილური ტელეფონი, გასაღები აიღო, კაბინეტიდან გავიდა და კართან გველოდებოდა, მე და მიშაც რომ გავსულიყავით. ჩვენ არ გავდიოდით. აფუხსენი, რომ უპასუხისმგებლოდ იქცეოდა, რომ ეს ინტერვიუ მეორე დღისთვის მზად

— კითხვებით ჩემს ერუდიციას ამოწმებთ, ამან შეიძლება ცოტა უხერხულ მდგომარეობაში ჩამაყენოს... მერჩივნა პოლიტიკაზე გვესაუბრა. — ინტერვიუს შეწყვეტა „ქართული პოლიტიკის“ ლიდერმა, გოჩა ფიფიაძემაც სცადა, შემდეგ კი „შეტევაზე“ გადმოვიდა: — თუ იცით, დავით აღმაშენებელი რომელ წლებში მეფობდა? — ამას რატომ მეკითხებით? — ისე, არ შეიძლება? — რომ არ იფიქროთ, ჩამჭრელი შეკითხვა დამისვით, გიპასუხებთ, — 1089-1125 წლებში.

პასუხით აშკარად უკმაყოფილო დარჩა, შემდეგი „ჩამჭრელი“ შეკითხვის დასმა აღარც კი უცდია. რესპონდენტებით სასიამოვნოდ გაცოცხლებულიც ხშირად დავრჩენილვარ, მაგრამ არასდროს დამავინწყდება წინადადებები: „ანსამბლჯაზს ვუსმენ“, „მურვან ყრუ თურა გვარი იყო?“ სხვათა შორის, ამ „მარგალიტების“ ავტორიც ერთ-ერთი ყოფილი პარლამენტარი იყო. ვრცელა იმ რესპონდენტთა ჩამონათვალი, რომელიც რუბრიკაში ჩანერაზე დღემდე ვერაფრით დავითანხმე. მათი უმეტესობა ისეთია, ვფიქრობ, „წლის ერუდიტიც“ შეიძლებოდა გამხდარიყო, მაგრამ... რა არგუმენტები აღარ მომისმენია: „იმიჯს, რომელსაც წლების განმავლობაში ვაშენებდი, 10 წუთში დამინგრევ“, „ოღონდ „ერუდიტი“ არ მისხერო და სხვა ნებისმიერ თემაზე დაგელაპარაკები“. „შენ ძალიან საშიში ხარ“, „ეგ „გზაში“ ყველაზე სანერვიულო რუბრიკაა“...

მსახიობი გიორგი მარშანია იშვიათი გამონაკლისი აღმოჩნდა. როცა დავურეკე, მისმა რეაქციამ გამაკვირვა, — უი „ერუდიტი“ უნდა ჩამწერო? მიხარია. შეხვედრის დროს კი „სიხარულის“ მიზეზი ასე ახსნა: — „განა იმიტომ მიხარია, რომ ძალიან დიდი ერუდიტი ვარ და ყველა კითხვას პასუხს გავცემ. რომელ კითხვაზეც პასუხი არ მეცოდინება, შემრცხვება. მომავალში მეტის წაკითხვასა და ცოდნის შეძენას შევეცდები. რომ გითხრა, ყურნალებს ხშირად ვკითხულობ-



მეთქი, მოგატყუებ, მაგრამ „გზაში“ ამ რუბრიკას ნაუკითხავს არასდროს ვტოვებ. იმასაც ვაღიარებ, რომ ბევრი რამ მისწავლია“.

„რომ მცოდნოდა, ამ რუბრიკისთვის მწერი, არ შეგხვდებოდი“, — ის ფრაზაა, რომელიც ყველაზე ხშირად მესმის.

მსახიობ ზუზუ ბეჟაშვილის ინტერვიუდან თავის დაღწევის მცდელობამ ძალიან გამახალისა. შეხვედრაზე ისე დამთანხმდა, არც უკითხავს, რა თემაზე უნდა გვესაუბრა. როგორც კი რუბრიკის დასახელება გაიგო, თავში ხელი შემოირტყა. ბევრი ეცადა, მაგრამ თავიდან ვერაფრით მომიშორა. განსაკუთრებით ლუდის შესახებ დასმულ კითხვაზე პასუხის არცოდნამ „გაანერვიულა“.

— რა იყიდება მსოფლიოში ცნობილ „სოთბის“ და „კრისტის“ აუქციონებზე?

— (დედას ეძახის) დედა!!! გაცილე რა ჟურნალისტი (იციინის)... სულ ეგეთები უნდა მკითხო?

ჰო, კიდევ ერთი შემთხვევა გამახსენდა და ამასაც გაიმბობთ: ჩემმა კოლეგამ, ეთო ყორღანაშვილმა მითხრა, ამ რუბრიკაში რესპონდენტებს როგორ წერ, ძალიან მინდა, ერთხელ ინტერვიუზე დაგესწოო. იმ საღამოს ერთ სამოქალაქო აქტივისტთან შეხვედრაზე ვიყავი შეთანხმებული. დღეს ის ერთ-ერთი სტრატეგიული ობიექტის პიარის სამსახურს ხელმძღვანელობს. მარტივად რომ გითხრათ, თავი არაკომფორტულად იგრძნო. ოღონდ ახლა მე შემეშვი და თუ გინდა, გოგა ხაინდრავას შეგახვედრებო. ბატონ გოგასთან იმ დღეს თავად მქონდა დარეკილი და ვიცოდი, თბილისში არ იყო. დავინტერესდი, კიდევ რა შეთავაზებებს მოიფიქრებდა, — დარეკე-მეთქი. — ქალაქიდან გასული ყოფილა, — ჩაილაპარაკა იმედგაცრუებულმა. მას შემდეგ რამდენიმე კანდიდატურა კიდევ შემომთავაზა. ის პერიოდი იყო, გააჩენილად „საკანში“ რომ იჯდა. „მაესტროში“ წავიდეთ, გიას ჩაგანერინებო; წყნეთში წავიდეთ, მეგობრები მწვადის შეწვას ვაპირებთ და ჩვენთან ერთად იყავიო... მოკლედ, ძალიან ბევრი ინვალა, მაგრამ ვერ „მომქრთამა“. დაჩივრით, წლების შემდეგ მოგიკითხავ, ეს ყველაფერი გახსოვს? უნდა ვაღიარო, კარგი რესპონ-

დენტი იყავი და თავის დაძვრენას რატომ ცდილობდი?

წლის განმავლობაში 52 ნომერი გამოდის და იმდენი „ერუდიტი“ მაქვს დანერილი, რამდენიც 10-ისა და 52-ის ნამრავლია. ვაღიარებ, ეს რუბრიკა მხოლოდ რესპონდენტებისთვის კი არაა, ჩემთვისაც დიდი წვალეა. მიუხედავად იმისა, რომ „გზაში“ სულ 4 საავტორო რუბრიკა მაქვს, „ერუდიტი“ გამორჩეულად მიყვარს. ჟურნალი ამ რუბრიკის გარეშე ძალიან იშვიათად თუ გამოსულა. ასეთ დროს კი მკითხველს რედაქციაში დაურეკავს და საყვედური უთქვამს. ეს ის გამონაკლისი შემთხვევაა, როცა საყვედურიც კი სასიამოვნო მოსასმენია.

ეს ყველაფერი ერთი ამოსუნთქვით დავენერე, დეტალების გახსენებით, 10 წლის ერთ სტატიამი ჩატევა შეუძლებელია. წლის შემაჯამებელ სტატიას ყოველი წლის ბოლოს ვამზადებ. დასმულ შეკითხვებზე სწორად გაცემული პასუხების რაოდენობის მიხედვით, ვაგვლენ „წლის ერუდიტს“, „ანტიერუდიტს“,

ყოველთვის მოდიან, წლის „ანტიერუდიტები“ — იშვიათად. ესეც გასაგებია. „ანტიერუდიტებიდან“ გამორჩეულად ხალისიანი დიზაინერი ბიჭოლა იყო. რომ დავურეკე და ეს ამბავი ვუთხარი, ძალიან გახალისდა. მერე კი რედაქციაში კუთვნილი პრიზის წასაღებადაც მოვიდა. — წლის „ანტიერუდიტი“ მოვედი, ჩემი პრიზი სად არისო? შინ „დედა ენით“ ხელდამშვენებული დაბრუნდა.

წლების განმავლობაში, „წლის ერუდიტების“ ჩამონათვალი ასეთია: გია თორთლაძე, ირაკლი ღვალაძე (ის ერთადერთი მინისტრი იყო, რომელიც ამ რუბრიკაში ჩაწერაზე დაგვთანხმდა), კონსტანტინე გამსახურდია, ზვიად ქორიძე, 12 წლის ცოტნე გვასალია, გია ცაგარეიშვილი, ლევან ბერძენიშვილი, გიორგი ბაქრაძე, 2015 წელს, თანაბარი ქულებით დიმა ხვთისიაშვილი და კრისტი ყიფშიძე, დავით ველიჯანაშვილი. წელს 50 რესპონდენტს შორის საუკეთესო მსახიობი პაატა კიკვაძე გახლდათ.



პოლიტიკიდანაც ისე გაიქცა, როგორც — ინტერვიუდან

ყველაზე მხიარულ, ბუზღუნა, დაბნეულ, შარიან რესპონდენტებს და მათ სამახსოვრო საჩუქრებს გადავცემთ. „წლის ერუდიტები“

დაბოლოს, მადლობა თქვენ ყველას, ვინც კითხულობთ ჟურნალს და „გზაში“ „ერუდიტს“ ელოდებით. ბედნიერ 2018 წელს გისურვებთ!



ბონების საპარტიშო

„გზის“ ერთგული
მკითხველისათვის

(კითხვები)

ქვემოთ მოცემული კითხვები
ჟურნალ „გზაში“ სხვადასხვა
დროს გამოქვეყნებული მასა-
ლების მიხედვით არის შედგენი-
ლი. შეეცადეთ, პასუხი გასცეთ
ამ კითხვებზე ისე, რომ

„პასუხების“ სვეტისკენ
არ გაბეჩდეთ თვალი

1. ამ მცენარეს, რომელიც
წარმოშობით ცენტრალური
ამერიკიდანაა, 1906 წლიდან,
ჯერ ტოტებად ყიდდნენ; ხოლო
მას შემდეგ, რაც ჰოლივუდში
მოხვდა, „საშობაო ვარსკვლავი“
დაარქვეს. მოგვიანებით, მისი
გაყიდვა ქოთნებით დაიწყეს.
მას სხვადასხვა შეფერილობის
ფოთლები აქვს: კრემისფერი,
თეთრი, ლილისფერი, ვარდის-
ფერი, ჭრელი და ყველაზე გავ-
რცელებული — ალისფერი.
დაასახელეთ მცენარის ბოტა-
ნიკური სახელწოდება.

2. ვინ იყო ფილიპ ფონ გო-
გენჰეიმი?

3. რა არის ფარაგა?

4. პეტარდა — სასიგნალო
ასაფეთქებელი ჭურვია. რას
უნოდებენ მას ქართულად?

5. რატომ ჰქონდათ ინგლი-
სურ ტაქსებს — ე.წ. კებებს
მაღალი სახურავი?

6. მექსიკის ქალაქ კანკუნში
არსებობს რესტორანი, სადაც
ოფიციალტებისთვის ეს ოფიცია-
ლურად ნებადართულია. თუ
რომელიმე ოფიციალტი ამ უჩვე-
ულო წესს დაარღვევს, მას სამ-
სახურიდან დაითხოვენ. გამოი-
ცანით, რა მოეთხოვებათ მათ?

7. დაასრულეთ ფრენსის ბე-
კონის გამონათქვამი: „ფული
კარგი მსახურია, მაგრამ ...“

8. რატომ იკრძალება იტალი-
ური კანონმდებლობით ზღვის
წყლის ამოღება და სახლში წა-
ღება?

ანეკდოტები



* * *

— შეილო ჩემო, ბოლოს და ბო-
ლოს, საახალწლოდ მაინც გამოიც-
ვალე ეგ დახეული ჯინსის შარვალი.

— რატომ მამაო?

— იმიტომ, რომ მაინც არავინ
დაგიჯერებს, რომ მუხლისჩოქვით
ამდენს ლოცულობ!

* * *

— როცა ჩემი ცოლი მოულოდნე-
ლად მიახლოვდება, მეხვევა, მკოც-
ნის და მეუბნება: „იცო, როგორ
მიყვარხარ?!“, მე შიში მიპყრობს...

— რატომ?

— სულ იმაზე ვფიქრობ: ან მან-
ქანა დაამტვრია, ან ახალი კრედიტი
„ამკიდა“, ან სიღედრი გადმოჰყავს
ჩვენთან საცხოვრებლად-მეთქი!..

* * *

— ცოლი მოიტაცე?

— კი.

— ვინ გეხმარებოდა?

— სიღედრ-სიმამრი.

* * *

პატრული ვულგარულად გა-
მოწყობილ მძღოლ ქალბატონს
მიმართავს:

— რატომ აქვს თქვენს მანქანას
წინა და უკანა მხარეს სხვადასხვა
ნომერი?

— წინა — მობილურისაა, ხოლო
უკანა — სახლის.

* * *

შვილი მამას ფულს სთხოვს. მამა
აძლევს და თან ეუბნება:

— შეილო, იცი, რომ შენს ასაკში
აბრაამ ლინკოლნი ფულს თავისი
შრომით შოულობდა?

— ვიცი მამო, და კიდევ ისიც ვი-
ცი, რომ აბრაამ ლინკოლნი შენს
ასაკში ამერიკის პრეზიდენტი იყო.

* * *

სვანმა ტაქსი გააჩერა:

— ვაგზლამდე სამ კაცს არ მიგ-
ვიყვან?

— თქვენ ხომ ორნი ხართ? —
უკვირს მძღოლს.

— როგორ, შენ არ მოდიხარ? —
უფრო უკვირს სვანს.

* * *

ატელიეში მკერავი კლიენტს
კოსტიუმს აზომებს:

— უცოლო ხართ თუ ცოლიანი?

— ცოლიანი.

— ჰო, მაშინ პიჯაკის სარჩულის
ქვეშ ფარულ ჯიბეს ჩაგიკერებთ.

* * *

ორი ფსიქიატრი საუბრობს:

— ამჟამად, ერთობ საინტერესო
მოვლენასთან მაქვს საქმე.

— რა მოვლენაა?

— პიროვნების გაორება.

— მერე რა, ეგეთი პაციენტები
მეც მყოლია.

— მე იმას მივალწიე, რომ მკურ-
ნალობის ფულს ორივე მიხდის.

* * *

— ცოლს სახლის საქმეში თუ
ეხმარები?

— არა. ყველაფერს თვითონ
ვაკეთებ!



* * *

ექიმთან:

— აბა, მომიყევით რა განუხებთ.

— ექიმო, ხმები მესმის...

— და რას გეუბნებიან ისინი?

— ისინი მეკითხებიან — რა მა-
ნუხებს...



* * *

ცოლი — ქმარს:
— შენ კიდევ დივანზე ხარ წამო-
ნოლილი?
— სამაგიეროდ, იცი, სად შეიძ-
ლება ჩემი პოვნა.

* * *

საგაზეთო განცხადება, რომე-
ლიც გაცნობის ნაწილშია განთავ-
სებული:
„მინდა — კარგი გარეგნობის
კაცი, მდიდარი, საცხოვრებლის
პრობლემის არმქონე, მავნე ჩვევ-
ების, მომაბეზრებელი ნათესავებისა
და წინა ქორწინებებიდან ბავშვების
გარეშე — მხოლოდ ვნახო“.

* * *

მახო ეკითხება მიხოს:
— მიხავ, ბარტერი რა არის?
— აი, შენ რო კეთილებ შემაგი-
ნებ, მე კიდენა — დედასა!

* * *

— რა იყო, ტერენტი, რამ დაგა-
ლონა?
— რა და... წუხელ, ჩემი ყოფილი
ცოლის ქმარმა დამირეკა და მისაყ-
ვედურა: საქმლის მომზადება სულ
არ იცისო.

* * *

დაქალების საუბარი:
— თუ ქმარმა სიზმარში სხვა სა-
ხელი დაგიძახა, კი არ გაბრაზდე...
— აბა, რა ვქნა?!
— გამოეპასუხე და... არ ინანებ!

* * *

საუბარი ქუჩაში:
— თქვენს გოგონას ძალიან გა-
უმართლა!
— რაში?
— ის ისე ჰგავს თქვენს მეუღ-
ლეს!
— ჰოოო... ეგ უფრო მე გამი-
მართლა...

* * *

— გაიგე, ჭიჭიკიას ცოლი რომ
უთხოვია?
— სულ რაღა მათხოვრობს მაი
გაჭირვებული! ჩემი ვალიც რომ
აქვს...

* * *

მეზობლების დიალოგი:
— წარმოგიდგენია?! ჩვენმა
მარიკამ, თურმე, მანქანა დაამტ-
ვრია...

— რას ამბობ? ხომ არ დაშავდა?
— რა თქმა უნდა, ბევრი რამ და-
შავდა, სანამ... ქმარმა ისევ ახალ-
თახალი მანქანა არ უყიდა!..

* * *

გოგოების საუბარი:
— სასონარკვეთილი ვარ! ქორ-
წინების შემდეგ, კოკა ჩემ მიმართ
სრულიად გულგრილი გახდა!
— მერე, შენც ადექი და გამოორ-
დი!
— ვის გავშორდე? ჩემს ქმარს
ხომ თაზო ჰქვია!..



* * *

დედა — პატარა გოგონას უწყ-
რება:
— თუ სასწრაფოდ არ შეჭამ ამ
მანანის ფაფას, იცოდე, კუდიან
დედაბერს დავუძახებ!
— დედიკო, შენ გგონია, რომ ის
შეჭამს?

ბონების საპარტიშო

„გზის“ ერთგული მკითხველისათვის

(პასუხები)

1. პუანტესია. გადმოცემის მიხედვით, ის აცტეკების ბელადის — მონტესუმას საყვარელი მცენარე იყო. ესპანელმა კოლონიზატორებმა კი, მასთან დაკავშირებით საკუთარი ისტორია მოიფიქრეს: ერთხელ, ლატაკი ბავშვები — პეპიტა და პედრო საშობაო ღვთისმსახურებაზე მოხვდნენ. მათ არაფერი გააჩნდათ, რითაც ტაძრის საკურთხეველის შემკობას შეძლებდნენ. ამიტომაც, ბავშვებმა გზაზე, ბუჩქნარში ფოთლები დაკრიფეს. როცა ისინი ქრისტეს ქანდაკების ქვეშ დააღაგეს, ფოთლები ნითლად შეიფურა. მას შემდეგ, ამ მცენარეს „წმინდა ღამის ყვავილი“ შეარქვეს.
2. იგივე პარაცელსი (1493-1541) — ექიმი, ალქიმისკოი, ასტროლოგი და წინასწარმეტყველი.
3. მიიღებოთ მორთული და ფერადი ძაფებით მოქარგული გულზე ასაფარებელი (იცინ თუშეთსა და ფშაბ-ხევსურეთში).
4. ჭეჭუნას.
5. საიმისოდ, რომ ინგლისელ ჯენ-ტლმენებს ავტომობილში ჩაჯდომისას ცილინდრის მოხდა არ დასჭირებოდათ.
6. მომხმარებელთა აბუჩად აგდება, უპატივისმცემლო მოპყრობა და დაცინვა (მათ თავისუფლად შეუძლიათ კლიენტს თავშიც წაუთაქონ, სახეში ნამცხვარი მიაზილონ და ა. შ.).
7. „... ცუდი ბატონი“.
8. რადგან ქვეყანაში მარილის წარმოებასა და გაყიდვაზე მონოპოლია სახელმწიფოს ეკუთვნის.

ჩვენი ფოტობაღიარება



რუბრიკა მოამზადა ირინა ზანდოიერმა



				➡			↙					↘	1. დამატებითი ტონი მუს.
				2. ქართული ხალხ. სიმღერა		3. ქართ. ფ. „... ბედნიერი“		4. თბილი წუსტი	5. გაიმი				↖
				7. დესპანი					↘				6. პატარა ვურე
								8. თამაში ქაშვრებით	9. ბეკონი			10. მკვებ-რემტველევა	
				11. კუსტოს გამოგონება		12. ფრანგი პარტიზანი	13. ... სტო-უნი	➡				↓	
14. მატანე	↘						↙	↘					
		15. სამედიკატორო სასამართლო	16. ირმები-შეხვეული მარხილი		17. პატარა ზარი		18. მართას ბუბია („ნატურის სე“)		19. პერსიის ზღვის ხედი				↖
					20. ბერძ. ანბანის ასო		21. „... შემქმნა აღამიანად“	↖	22. ვარცხნილობა	↖			23. გერმანული ფილოსოფოსი
		25. სასოფლო იარაღი							26. 47-სიმიანი საკრავი	➡			
					27. სულელი, ყვეფი		28. აუჩქარებელი	↘					29. იაპონური არაყი
		30. ბუნებრივი წყალნატევი							31. მიმართვა უსპ. ქალბატონს				↖
32. ვალის წინდი								↘					
33. ... ალიგატორი	34. მერდინი	35. სცენის განათება							36. ლათ. ამერიკული ცეკვა				
	↘								37. ტეფრანგ. სივრცის საზ.				38. შუიარადებული ბრძოლა
					39. ერთგვარი მაიონეზი								↓
		40. შხამიანი გომბეში							41. გემის უკანა ნაწ.				
		42. ნაბიჯი ბალეტში	↘	43. მოკლე კაბა	44. ... პონტოელი								
								45. ფრანგი დრამატურგი		↖			



ზინა ნომრის სანგარიშის პასუხები 1. ნუგა; 2. აგიდელა; 3. მული; 4. მიჩიგანი; 5. „ულისე“; 6. ნადირი; 7. ჩალა; 8. სავარეჯო; 9. ანგილოტი; 10. ურიკა; 11. ჯირითი; 12. მეწამული; 13. მახათი; 14. ბრიჯი; 15. ლენტეხი; 16. ბაჭარი; 17. კიი; 18. არტერი; 19. „წიქარა“; 20. ბაჭია; 21. ძერა; 22. „აფონია“; 23. რამი; 24. აბანო; 25. იაფი; 26. პერიოლი; 27. არათითი; 28. პოლიფონია; 29. სისინი; 30. კარამბოლი; 31. კომფორტი; 32. ყუა; 33. ტორი; 34. ასპიტი; 35. მარადონა; 36. ემუ; 37. სტიქია. სურათებზე: ნინო ჩხეიძე; სტეფანე.



ღამაზი ღიმილი ერთ დღეში - ეს უკვე შესაძლებელია!

„ავერსის კლინიკის“ სტომატოლოგიური სამსახური გთავაზობთ:

ღ კბილების კერამიკულ რესტავრაციას უნიკალური კომპიუტერული ტექნოლოგიით - **CEREC**

CEREC - ესთეტიკის და ფუნქციურობის ტექნოლოგია, რომელიც პაციენტის ღამაზ, ხარისხიან და გამძლე კბილებს უზრუნველყოფს. სასურველი შედეგი მიიღება **ერთ დღეში**

„ავერსის კლინიკა“-ში **CEREC** ტექნოლოგიით მუშაობს ყველა თერაპევტ-სტომატოლოგი.

„ავერსის კლინიკა“ გისურვებთ ჯანმრთელობას და ღამაზ ღიმილს!



ქ. თბილისი, ვაჟა-ფშაველას ქ. №27ბ



www.aversiclinic.ge



info.clinic@aversi.ge



(995 32) 2500 700



[/AversiClinic](https://www.facebook.com/AversiClinic)

მეზიმ[®] პანკრეაზინი ფორტე

ნატურალური ფერმენტები

- დაგეხმარებათ საჭმლის მონელებაში
- მოგიხსნით სიმძიმის შეგრძნებას



გაიცემა ურეცეპტოდ

მასალა შემუშავებულია 07.2016
მასალა ვარგისია 07.2017
GE_MEZ-06-2016_V1-Poster
SmPC 07/2009

საჭმლის უკეთესი
მონელებისათვის

დაზოგადებულია
გერმანიაში

მიიღეთ 1-2 ტაბლეტი ჭამის დროს, საჭიროებისას – 2-4 ტაბლეტი

მეზიმ ფორტე მოგიხსნით პანკრეასის ფერმენტების ნაკლებობით გამოწვეულ სიმძიმის შეგრძნებას

M BERLIN-CHEMIE
MENARINI

თბილისი 0160, დ. გამრევლის 19, ტელ: 2241370/71/72, ფაქსი: 2241210, ელ-ფოსტა: geobc@wanex.net
გამოყენებისას გაცეანით ინსტრუქციას, გვერდითი მოვლენების შესახებ დეტალური ინფორმაციის მისაღებად მიმართეთ ექიმს.